

0826 ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პუმანიგარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართული ლიტერატურის დეპარტამენტი

## ნ ა ტ ო      ს ი ჭ ი ნ ა გ ა

ქრისტიანული მსოფლმხედველობრივი ასპექტები ილია ჭავჭავაძის  
პუბლიცისტიკასა და მხატვრულ შემოქმედებაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ფილოლოგიის დოქტორის ( Ph.D.)  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

## დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: მაია ნინიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თამარ შარაბიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი 2009 წელი

## შესავალი

მწერლის ნაფიქრალ-ნააზრებს, მის დამოკიდებულებას ამა თუ იმ თემისადმი, საფუძვლად უდევს და მნიშვნელოვნად განაპირობებს მისივე მსოფლმხედველობა. რაც უფრო მყარია და მკაფიოდ გამოკვეთილი შემოქმედის მრწამსი, მით უფრო დიდ დახმარებას გვიწევს მისი ნაწერების სწორ გააზრებაში სარწმუნოებრივი ასპექტების კვლევა. არაერთგზის აღნიშნულა, რომ ილია ჭავჭავაძე მონოლითური პიროვნება იყო და „ერთხელ რწმენილს“ მთელი თავისი არსებით იცავდა და უფრთხილდებოდა. ამდენად, სარწმუნოებრივი საკითხებისადმი მიმართების გარკვევა, კვიქრობთ, არა თუ სასურველი, აუცილებელიც კი არის მისი შემოქმედების შემსწავლელთათვის.

1987 წელს ილია ჭავჭავაძე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა თავისი დგაწლის, ერისა და ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურებისა და მოწამეობრივი აღსასრულის გამო წმინდანად შერაცხა და უწოდა წმიდა ილია მართალი.

ჩვენთვის ამ ფაქტსაც, თავისთავად, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენი მიზანი იყო ილია ჭავჭავაძის წერილობითი მემკვიდრეობის მეცნიერული კვლევა და ობიექტური ანალიზი იმისათვის, რომ მათზე დაყრდნობით გონების თვალით გაგეოზრებინა ამ დიდი პიროვნების მრწამსი, მისი მსოფლმხედველობა, დამოკიდებულება რელიგიური საკითხებისადმი და, ზოგადად, სულიერი დგაწლი. ამიტომ, გადავწყვიტეთ, დაწვრილებით შეგვესწავლა მისი ნაწერები და გამოგვერპვია, რას და როგორ წერდა იგი ქართველთა რწმენის, სარწმუნოებრივი ერთგულების, ეკლესია-მონასტრების, ბერ-მონაზგნური დგაწლის, მართლმადიდებელი წმინდანების, ქრისტიანული ზნეობის, რელიგიური დღესასწაულებისა და, რაც მთავარია, საკუთარი მრწამსის შესახებ. რომელი ზნეობრივი საზომით წყავდა თავის მხატვრულ პერსონაჟებს, რას ფიქრობდა სარწმუნოების მიმართებაზე ეროვნებასთან და მეცნიერებასთან და როგორ აფასებდა ყოველივე ამის ფონზე ერის იმუამინდელ სულიერ მდგომარეობას.

ჩვენ მიერ დასახული კუთხით ქართველ მწერალთა ნადგაწის კვლევა ათეისტური დიქტატურის პირობებში აკრძალული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული მკვლევარები მაინც ახერხებდნენ ამ თემებზე აზრის გამოთქმას, (იხ.ა.ბაქრაძის „წიწამური“, ი.ბეროშვილის „ილიას ათი მცნება“,

გ.კალანდარიშვილის „ასკეტიზმის პრობლემა ილია ჭავავაძის „განდეგილში“, მ.თაბუკაშვილის „თავადი ილია ჭავჭავაძე“ და სხვები), მონოგრაფიულად ეს ასპექტები მაინც შეუსწავლელი რჩებოდა. XX საუკუნის მიწურულს ამ მხრივ დიდი ძვრები მოხდა. საბჭოთა რეჟიმის შესუსტებისა და სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდა რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი საკითხების შესწავლა. ძველი ქართული მწერლობის მკვლევარები ამ მხრივ კომუნისტურ ეპოქაშიც კი შედარებით თავისუფალნი იყვნენ, მაგრამ რაც შეეხება XIX და XX საუკუნეების ლიტერატურის სპეციალისტებს, მათთვის მართლაც დიდი მონაპოვარი იყო ეს თავისუფლება, რაც გამოიხატა კიდეც რელიგიური საკითხებისადმი მიძღვნილი გამოკვლევების უწვარ მოზღვავებაში.

სარწმუნოებრივი კუთხით ახალი და უახლესი ლიტერატურის ანალიზმა ძალზე მნიშვნელოვან დასკვნებამდე მიიყვანა მეცნიერები. აღმოჩნდა, რომ ამ ასპექტების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ავტორის ჩანაფიქრის გაგების, არამედ მის თზულებებში წარმოჩენილ მხატვრულ სახეთა სისტემის ახსნისთვისაც. შეიქმნა საინტერესო ნაშრომები მ. ჯალიაშვილის (ჯალიაშვილი 1998), ა.კ. მინდიაშვილის (მინდიაშვილი 2003), მ. კაკაბაძის (კაკაბაძე 2003), ფ. კოტეტიშვილის (კოტეტიშვილი 1996), ჯ. კაშიას (კაშია 1996), ლ. წიქარიშვილის (წიქარიშვილი 2005), ნ. გონჯილაშვილის (გონჯილაშვილი 2001), ა. სპარსიაშვილის (სპარსიაშვილი 1999), საკანდიდაზო დისერტაციები ნ. ჭამპურიძის (ჭამპურიძე 2001), ი. ბარბაქაძის (ბარბაქაძე 2005), ლ. წიქარიშვილისა (წიქარიშვილი 2004) და სხვების.

ამ კუთხით დაიწყო ილია ჭავჭავაძის შემოქმედების კვლევაც. მაია ნინიძემ წიგნებში: „მადლის წყარო“ (ნინიძე 1997), „დაცარიელებული ბეთლემი“ (ნინიძე 2000) და „მხატვრულ სახეთა სისტემა და რელიგიური დისკურსი „ოთარაანთ ქვრივში“ (ნინიძე 2005) – საფუძვლიანად შეისწავლა როგორც მწერლის მრწამსი, ასევე მისი ანარეკლი მხატვრულ ნააზრევში. რამდენადაც ეს წიგნები უფრო ორიენტირებული იყო მხატვრული შემოქმედების ანალიზე, მათში სისავსით ვერ აღინუსხა მწერლის მსოფლმხედველობრივი ასპექტების ამსახველი ყველა მასალა, რაც კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოაჩენდა საკითხს. ამიტომ ჩვენ ორიენტაცია ავიღეთ არა ზოგადად მხატვრულ სახეთა სისტემაზე, არამედ პუბლიცისტიკაზე, ავტორის შემოქმედებით ჩანაფიქრსა და ეპიკურ თხზულებებში გმირთა სახეების ინტერპრეტაციაზე.

კვლევისას დიდი დახმარება გაგვიწია ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ახალმა აკადემიურმა გამოცემამ (ოცტომეული), რომელშიც შეტანილია ბევრი ისეთი მასალა, რომელიც XIX საუკუნეში პირველი პუბლიკაციის შემდეგ აღარსად ყოფილა დაბეჭდილი. ასევე დაგვეხმარა გ. შარაძის „ილია ჭავჭავაძე – ცხოვრება, მოდგაწეობა, შემოქმედება. ფოტომატიანე“ ორ წიგნად (შარაძე 1987) და ი. გიორგაძისა და ნ. გურგენიძის „ილია ჭავჭავაძე – ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“ (გურგენიძე, გიორგაძე 1987).

რამდენადაც ის ასპექტები, რომლებსაც ჩვენ ვიკავლევდით, უკავშირდება ქრისტიანულ სარწმუნოებას, ამოსავლად ვიყენებთ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, წმ. მამათა განმარტებებსა და მართლმადიდებელი სარწმუნოების კატებიზმოს.

თხზულებათა ანალიზისას შევეცადეთ, მიღებული დასკვნები გადაგვემოწმებინა დოკუმენტურ წყაროებთან და წარმოგვეჩინა ობიექტური არგუმენტაცია.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ ბევრი რამ დაწერილა, ჩვენ ამ ზღვა მასალის მნიშვნელოვან ნაწილს ვიცნობთ, მაგრამ ამჯერად მოვიხმეთ და გამოვიყენეთ მხოლოდ ის წიგნები და წერილები, რომლებიც სარწმუნოებრივ ასპექტებს ეხებოდა.

# თავი I. ქართველთა რწმენის ისტორია

## რელიგიური წარსული

ქართველთა ისტორიული წარსულის სარწმუნოებრივ მხარეს ილია დიდი უურადღებით და საფუძვლიანად იკვლევდა. სხვადასხვა მატიანეების ცნობებზე, არქეოლოგიურ გათხრებსა და მეცნიერულ წყაროებზე დაყრდნობით აგროვებდა და შედარებითი კვლევის პრინციპით ამუშავებდა ადრეულ საუკუნეებში ქართველთა რელიგიური წარსულის შესახებ ცნობებს.

ადმოჩნდა, რომ ისევე როგორც ყველა, თავდაპირველად, თურმე, ქართველებიც ერთ დმერთს სცემდნენ თაყვანს, შემდეგ მრავალდმერთიანობა შემოუღიათ და ბოლოს კერპომსახურებაც. სხვადასხვა რჯულთა და ერთა ისტორიის კვლევისა და შედარების შედეგად ილია ასკვნიდა, რომ „არც ერთი ეს ცნობა არ ეწინააღმდეგებოდა ისტორიულ დასკვნას მასზედ, რომ ყველგან ამ კიბით უვლია სჯულის განვითარებასა და წარმატებას“ (ჭავჭავაძე 1955: 114) – მწერალი ამით ხსნიდა პირველყოფილი რჯულის საოცარ მსგავსებას იმ ერებში, რომლებიც ისტორიის მსგლელობის გზაზე ერთმანეთს არასოდეს შეხვედროდნენ.

წერილების ციკლში „აი ისტორია“ ვკითხულობთ, რომ ქართველთ ფარნავაზ მეფის დროს უპირველეს დმერთად ჰყავდათ კერპი არმაზი, რომელიც ფარნავაზს აღუმართავს არმაზის მთაზე უძველეს კერპთა გაცისა და გაიმს შორის. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, ქართველებს კიდევ ერთი დმერთი ჰყოლიათ, სახელად „ბოჩი,“ რომელსაც შვიდი ხელი ესხა და „თვითოეულსა ხელსა მისსა აქვნდა თვითო ფერი ხელმწიფება მოფენად სარგებლობისა წყალობისა, გინა რისხვისა“ (ჭავჭავაძე 1955: 114).

ადამიანები ამ კერპებზე ლოცულობდნენ, მსხვერპლს სწირავდნენ და ჩამოყალიბებული ჰქონდათ მათი თაყვანისცემის წესი, რიგი და სისტემა. ილია შენიშნავს: „... ასე თუ ისე ცხადია, რომ საკუთრივ მეათე საუკუნიდამ ქრისტეს წინათ, მეცხრიდამ მაინც, საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქართველების რჯული კერპომსახურება ყოფილა ქრისტეს რჯულზედ მოქცევამდე“ (ჭავჭავაძე 1955: 118).

ეს ყველაფერი ხომ ნაკვლევი აქვს, შეწავლილი და კარგადაც იცის მწერალმა, მაგრამ ქრისტიანობას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ერის ცხოვრებაში, რომ ქართველი ერის ისტორიის ათვლას ქრისტეშობიდან და

ჩვენში მოციქულთა ქადაგებიდან იწყებს. აქედან ჩნდება ციფრი „ორი ათასი“ ჩვენი წელთაღრიცხვით 1889 წელს.

ილია აღნიშნავს: „ჩვენს ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით.“ იგი ქრისტიანობას „კაცთა ხსნისა და მაცხოვრობის“ მოძღვრებას უწოდებს, აღმატებულს ყველა სხვა მოძღვრებაზე მის საძირკველში ჩადებული მცნებით: „შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თქსი“ (ახალი აღთქმაB 2003: მათე 22.39) – ეს მცნება მოყვასის სიყვარულით საყოველთაო სიყვარულს ქადაგებდა კაცობრიობისათვის: „ამ მცნებამ გააპო კაცობრიობის ცნობიერება ორ დიდ ნაწილად და შუა გაუტარა დიდი კვალი საზღვრადა“ – წერდა ილია გაზ. „ივერიის“ სააღდგომო სტატიაში და დასძენდა: „...კვალს იქნეთ დარჩა მოძღვრება შურისგებისა, სამაგიეროს გადახდისა, ჯავრისა და მრისხანებისა და კვალს აქვდ, მოძღვრება ურთიერთობისა, ურთიერთის სიყვარულისა, შენდობისა, მიტევებისა, მშვიდობისა და შეწყნარებისა. იქ რისხვა და მჯავრია, აქ მშვიდობის ყოფა და მიტევება!..“ (ივერია 1887: №70)

აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება სიტყვებს: „კვალს იქნეთ დარჩა მოძღვრება შურისგებისა, სამაგიეროს გადახდისა.“

ილიას მხატვრული ნაწერებისა და, განსაკუთრებით, მათში ასახული სოციალური წინააღმდეგობების ანალიზისას („კაცო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“) მკვლევარები ხშირად ასკვნიან, რომ ილია შურისძიების მომხრე იყო. მათ ამის დასტურად მოჰყავთ მხატვრული პერსონაჟების: კაცოს, ზაქროს, გაბრიელისა და სხვათა ქმედებები, რომლებმაც, როგორც უსამართლობის წინააღმდეგ გაბედულმა მებრძოლებმა, ჩადენილი გულბოროტების პასუხად, შეური იძიეს გულქვა და მტარვალ ბატონებზე: „შურისგების ფსიქოლოგიურსა და ფილოსოფიურ ძირებს ილია აქ ღრმად არ ჩაჰყოლია. მოწოდებისთვის მძაფრი სურათის დახატვა (გულქვა ბატონის ძალმომრეობა და საბრალო გლეხის სასიკვდილო ცემა) სავსებით კმაროდა და საძიებელიც რადა იყო: ეს მოწოდება კი სავსებით ეთანხმებოდა ეპოქისეულ განწყობილებებს: ღმერთდაკარგულ საზოგადოებაში გამოსავლის ძიებას სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრის გზით და ამ მცდელობისას აღძრულ ნაირნაირ იდეებს, საბოლოოდ ყველა სისხლიანი გადატრიალების აუცილებლობას რომ ირწმუნებდა“ (ჩხეიძე 1996: 80).

ასეთი განაცხადით ჩვენ მწერალს შეურაცხყოფას ვაყენებთ და ქრისტიანობის მიერ ჩვენი ერის ცხოვრებაში გავლებულ იმ „კვალს იქნეთ“ გაგვყავს, რომელზე გადმოსვლაც მას ქვეყნის უდიდეს გამარჯვებად მიაჩნდა.

ასეთი გამონათქვამები მხატვრული თხზულებების არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია და მათი დასკვნა არ შეესაბამება ილია ჭავჭავაძის ზნეობრივ კრედოს.

სახარების მიხედვით უფალი გვამცნობს: „მე ვარ ნათელი სოფლისავ, რომელი შემომიღებეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისავ ” (ახალი აღთქმავ 2003: იოვანე 18-20) – აქედან შემოდის სიტყვა „ნათელის“ სიმბოლური გაგება ილიას ნაწერებში.

ქართველობამ ძველს ახალი არჩია, ბნელს – ნათელი, კერპთაყვანისმცემლობას – „დიადი ხე ახალი ცხოვრებისა, რომელსაც ახალი აღთქმა, ქრისტიანობა ჰქვიან.“

ილია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ახალი აღთქმით „მოგვენიჭა ცხოვრება,“ „მკვდარ იყო სული ჩვენი და ქრისტემ აღადგინა მკვდრეთით“ (ივერია 1887: №70).

ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, მაცხოვრის მოციქულების, ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის ქადაგებების შემდეგ იწყო ჩვენში ქრისტიანობამ გავრცელება საქართველოს სამხრეთიდან: მესხეთიდან და სამცხე-კლარჯეთიდან.

ილია ჭავჭავაძე ქრისტიანობის გავრცელებას ჩვენში „განვითარებით ლამპარს“ უწოდებს. იგი წერს: „როგორც მოგვითხრობს საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქრისტეს ძლევამოსილი მოძღვრება, იგი განვითარებითი ლამპარი პირველად მესხეთიდან მოეფინა მრავალტანჯულ საქართველოს. მოციქულნი მაცხოვრისა ანდრია და სვიმონ კანანელი ამ მხრიდან მოჰყვნენ ქრისტიანობის გავრცელებას“ (ჭავჭავაძე 1997: 57). მაშინ ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპთმსახურება იყო გაბატონებული. პუბლიცისტურ წერილში „ოსმალოს საქართველო“ ვიგებთ, რომ ქრისტიანობას მოწინააღმდეგებიც იმთავითვე მრავლად გასჩენია. „ქრისტეს აქედ პირველ საუკუნეში ადრეკი მეფეს უნდოდა კერპთაყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისათვის საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-ჯავახეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამცოუ მოისპო, პირიქით, უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ კიდევ წმინდა ნინოს მოსვლამდე“.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას ეხება ილიას კიდევ ერთი წერილი „წმინდა ნინოს დღესასწაული,“ რომელიც გვამცნობს, თუ როგორ მოევლინა ლვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას ლვთისმშობლისავე ლოცვითა და გურთხევით წმ. ქალწული გასანათლებლად, თუ როგორ

ქადაგებდა ის სიტყვითა თუ საქმით ქრისტეს რჯულს და მაცხოვრის მოძღვრებას ჭეშმარიტებაზე. წერილში გაცოცხლებულია მეფე მირიანის ნათელდების ისტორიაც: ნადირობა, მზის დაბნელება, მეფის შემრწუნება, კერპებისადმი ამაო თხოვნის შემდეგ „ნინას დმერთის“ საშველად ხმობა. „მყის, სიტყვისათანა განათლდა ყოველი ქავანა და თვალნიცა მეფისანი“ (ჭავჭავაძე 2005: 275) – წერს ილია.

მეფემ ირწმუნა რა ჭეშმარიტება ქრისტესი, დედოფალ ნანასთან ერთად „თაყვანი სცა ჯვარსა ვაზისა ნინასა და აღიარა ქრისტე მან და ერმან მისმან“. ეს მომხდარა ვახუშტის სიტყვით 317 წელს ქრისტეს შობის აქეთ, ბროსეს ცნობით კი – 328 წელს. ამ დროიდან ქართველების კერპომსახურება განქარვებულა და ულმობელი, სისხლისმოყვარე არმაზის მაგიერ აღმართულა ჩვენში „ჯვარი პატიოსანი“, რომელზედაც ეცვა ჩვენი უფალი „ხსნისათვის ქვეყნისა.“

ილია მუდამ უდიდესი მადლიერებით იხსენებს მაცხოვრის სიტყვებს: „ესე არს სისხლი ჩემი თქვენთვის და მრავალთათვის დანთხეული მისატევებლად ცოდვათა. ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის განტეხილი“, საიდანაც ჩანს, რომ უფალი ჩვენთვის ეწამა, ჩვენს გადასარჩენად. ეს ბევრს გვავალებს და ქართველი ერი ამ მოვალეობას არ გაქცევია. „მას აქეთ აღვიარეთ ჩვენ ქართველებმა იგი ჯვარცმული დმერთი, დმერთი ყოველთა ერთნაირად შემწყნარებელი, დმერთი ყოვლად მხსნელი სიყვარულისა, დმერთი შენდობისა და მიტევებისა, დმერთი ნუგეშისცემისა, დმერთი რომელმაც შეგვიწყალა და გვითხრა: მოვედით ჩემთან მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე განგისვენო თქვენ“ (ჭავჭავაძე 2005: 275), – აქაც გვინდა ცალკე გამოვყოთ მწერლის სიტყვები: „დმერთი შენდობისა და მიტევებისა“, რადგან ილია ქრისტეს შენდობის და მიტევების დმერთს უწოდებს, ცხადია, რომ ამ მცნების უდიდეს მნიშვნელობას აცნობიერებს.

დასახელებულ წერილში ავტორი არა მარტო ჩვენი განმანათლებელი დედის უდიდეს დვაწლსა და საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაზე საუბრობს, არამედ აყალიბებს სარწმუნოების არსებაც. იგი გვიჩვენებს, თუ როგორი დიდი და უპირატესი მოძღვრება აირჩია ქართველობამ სულისა და ხორცის საზრდელად.

მწერლის სიტყვით, მას შემდეგ ჩვენი ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენი დიდებული წინაპრების თავგანწირვა იმ ნათლითაა გასხივოსნებული, რაც

წმინდა ნინოს მადლით აღმართულმა „ძელმა ჭეშმარიტებისამ“ მოჰვინა მთელს ჩვენს ქვეყანას.

ილია ჭავჭავაძე ქრისტიანობის მიღებას თავისთავადი, სულიერი თვალსაზრისით მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევს, მაგრამ ამასთანავე ხედავს მის მნიშვნელობას ქვეყნის სიძლიერისათვის. მან გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩვენი ერის განვითარებაში: „ქრისტიანობამ ქვითკირსავით შეგვერა და გაგვამაგრა“, ქრისტიანობა გაგვიძლვა წინ „მამულისა და ეროვნობის შერჩენისა და ხსნისათვის“ (ივერია 1888: №9).

თხუთმეტი საუკუნის მანძილზე რამდენი სისხლი უღვრიათ ჩვენს წინაპრებს სარწმუნოების დასაცავად. ქრისტეს ოჯულის ერთგულებაში გამოუჩენიათ თავიანთი ეროვნული ხასიათი და სიმტკიცე. ქრისტიანობაში ჩაკირულა ჩვენი ქვეყნის ისტორიის დედა-ძარღვი, ეს მოძღვრება კვებავდა და ასაზრდოებდა საქართველოს ცხოვრებას. ამის დასტურად მწერალი ქვეყნის ერთ-ერთ კუთხეს, სამხრეთ საქართველოს იხსენებს.

ცნობილია, რომ საქართველოს გაქრისტიანების ისტორია სამხრეთ საქართველოდან, სამცხე-კლარჯეთიდან დაიწყო და რომ მოციქულთა თანასწორი ნინო წარმოშობით ამ მხარის მჭიდრო ეთნოგრაფიული და პოლიტიკური ნაწილიდან, კაბადოკიიდან (შემდგ. ჭანეთი) იყო. იგივე სამხრეთ საქართველო და მესხეთი იყო ოდითგან ქვეყნის განვითარების ცენტრი, მაგრამ ისტორიულმა და პოლიტიკურმა ქარტეხილებმა მე-17 საუკუნეში ეს მხარე მთლიანად მოწილიერად დედა-სამშობლოს. დიდი ტკივილითა გაჯერებული ილიას პუბლიცისტური წერილი „ოსმალოს საქართველო“, რომელიც 1877 წელს შეიქმნა.

მაშინ, როცა ეს სტატია იწერებოდა, ძირ-ძველი ქართული კუთხე, ქრისტიანობის გავრცელების კერა და „ჩვენი სულის აღმატებულების აკვანი“ სარწმუნოებრივად შეცვლილიყო და დაუდგრომელ დროთა ბრუნვის გამო სამშობლოსგანაც გაუცხოებულიყო. ამიტომაც მიიჩნევდა ილია მესხეთს „სამარედ ჩვენის ყოფილი ადამიანობისა“ (ჭავჭავაძე 1997: 58) და ცდილობდა ისტორიის გახსენებით, წინაპართა გაცოცხლებით „წარსული სულიერი ერთობის“ წადილი აღედგინა.

აქ ქრისტიანობისადმი ილიას დამოკიდებულების საუკეთესო გამოხატულებაა თუნდაც სიტყვათა შერჩევა. იგი სამხრეთ საქართველოს „სულის აღმატებულების“ აკვანს სწორედ იმიტომ უწოდებს, რომ ჩვენში

ქრისტიანობის აკვანი პირველად იქ დაირწა. ამ ქონტექსტში მტკიცნეულად უღერს იმავე მესხეთის ჩვენი „ყოფილი ადამიანობის“ სამარედ მოხსენიება.

ილია განიცდიდა მესხეთის ტრაგიკულ ბედს, სამშობლოდან მის მოწყვეტას და დედა-სარწმუნოების დაკარგვას. თავის წერილებში „ოსმალოს საქართველოზე“ იგი, მართალია, ფრთხილად ეკიდება ამ საკითხს და ბევრჯერ გვერდსაც უვლის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისთვის მესხების გამუსულმანება უმნიშვნელო რამაა. ეს დამოკიდებულება ჩანს ამ ეპიზოდში სიტყვა „სამარის“ ხსენებითაც.

წერილში მოთხოვილია, რომ სამხრეთ საქართველო, „ლაზიკა“, ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში გამხდარა ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ამტყდარი ბრძოლის „საქიშპო ასპარეზი“. ბიზანტიის გამგებლობაში ყოფნისას იგი რელიგიურად თავისუფალი არ ყოფილა, მხოლოდ კათალიკოსის ყოლის უფლება პქონია. ილიას თქმით, „დასხდებოდნენ კათალიკოზად ნათესავნი ქართველნი და არა ბერძენი და აქვნდეს უადრესობა ყოველთა ეკლესიათა და მდგდელ-მთავართა ზედა,“ – ამდენად, ეს მხარე სულიერად 586 წელს შემოერთებია საქართველოს და მხოლოდ არტანუჯის ბაგრატიონთა გვარის გაძლიერების შედეგად დაგვბრუნებია სრულიად.

წერილის ავტორი ფეხდაფეხ მიჰყვება ისტორიას და აღნიშნავს, რომ მე-8 საუკუნეში, როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ და მაჰმადიანობის გავრცელებას შეეცადნენ, სამხრეთ საქართველო ბაგრატიონების მეთაურობით თავდადებით იბრძოდა ქრისტიანობის დასაცავად არა მარტო ხმლით, არამედ მშვიდობიანი აღმშენებლობითაც. „ეხლაც დარჩენილა მრავალი დიდ-მშვენიერნი, თლილის ქვით ამოყვანილი და მხატვრობით შემკულნი ეკლესიები იმ დროს აშენებულნი. იმავე დროს სამცხე-კლარჯეთის ქართველნი მიდიოდნენ საბერძნეთში განათლების მისაღებად, ნასწავლი ბრუნდებოდნენ და პფენდნენ სწავლას საქართველოს ხალხთა შორის“.

მწერლის თქმით, იმ დროს, როდესაც თბილისსა და მის შემოგარენში არაბები თავიანთი სარწმუნოების გავრცელებას ცდილობდნენ არაბული წიგნების მეშვეობით, სამცხე-კლარჯეთის ქართველები ქრისტიანულ, საღვთო და საერო წიგნებს თარგმნიდნენ და ქრისტიანობის განმტკიცებისათვის აშენებდნენ მონასტრებს, რომლებშიც ყმაწვილებისათვის სასწავლებლებიც იხსნებოდა.

ბიზანტიის დაცემის შემდეგ ოსმალებმა მრავალი ჭირი მიაყენეს სამცხე-საათაბაგოს, მის დაპყრობას უტანებოდნენ და ამისათვის ქრისტიანობის

აღმოფხვრა უნდოდათ, მაგრამ იქაურ ქართველებს მტკიცედ ეპურათ ქრისტიანობა 1625 წლამდე. მწერლის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალებმა „მრავალი მსხვერპლი შეაწირვინეს“, ვერა დააკლეს რა ვერც სარწმუნოებას და ვერც ქართველობის გვარტომობას.

ილია წერს, რომ „ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა.“

მე-17 საუკუნეში, როდესაც ქართველებში რდვევა დაიწყო, მძლავრობამ, შურმა და დალატმა ეს კუთხე საქართველოს განაშორა. ოსმალებმა შეძლეს ზოგან მოტყუებით და მაცდურებით, ზოგან ძალდატანებით, საყდართა ძარცვითა და საღვთო-საერო წიგნების მოსპობით, სამღვდელოთა და ეპისკოპოსთა განადგურების გზით ხალხისათვის სარწმუნოების შეცვლა. ქრისტიანი ხალხი, დარჩენილი უწინამდვროდ, უმოძღვროდ და უეკლესიოდ, მწარედ ჩაგრული, უწყალო დევნილი და განადგურებული, ნელ-ნელად მისცემია მაჭმადიანობას, თუმცა მათ შორის ყოფილან ისეთებიც, ვისაც ახსოვდა მამა-პაპათა სარწმუნოება და იდუმალად აღიარებდა ქრისტიანობას, იდუმალად ინათლებოდა და ქორწინდებოდა კიდეც. . .

ერთ-ერთ თავის სტატიაში ილია ჭავჭაძე წერდა: „ადამიანი არის ღვიძლი შვილი ისტორიულ-ფიზიოლოგიური ვითარებისა, მისი გამოცვლა, გადასხვაფერება, გადაერება შეუძლებელია... რელიგია, როგორც ზნეობრივი ფილოსოფია მესხელებზე ვერ იქონიებდა გასავითარებელს გავლენას, რადგან იგი არა თუ მესხელს, თვით ბუნებრივს კეთილ მორწმუნე მოსლემინსაც კი ძნელად ესმის, რადგან იგი მკვდარს ენაზე არის დაწერილი, არაბულ ენაზე“ (ჭავჭავაძე 2005: 573), – ამაზე იყო დაფუძნებული მწერლის იმედი, რომ ერთობა კვლავ აღდგებოდა, ქართველი ომებში მასთან ერთად სისხლდანოხეულ ქმას კვლავ შეითვისებდა და თანდათანობით ჭეშმარიტი ღვთის რწმენაც დაბრუნდებოდა.

ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა, ქრისტეს სჯული სარწმუნოებით აღსარებასთან ერთად ჩვენი ქვეყნის „პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად... ქართველი ერი ამისათვის უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომ თავის შინაგან ღირსების გარდა დუღაბობას უწევდა ერთობასა“ (ჭავჭავაძე 1955: 65). სარწმუნოება იყო ის სათაყვანო საიდუმლოება, რომლის მეოხებითაც

წარიმართებოდა ქვეყნის ძლიერება, ერის კეთილდღეობა და ერთობის მთლიანობა.

ქართველი ერის გზა – ქრისტესათვის ჯვარცმული ერის გზაა, ის „ეპლის გვირგვინიც“, შუბლდაკაწრულმა რომ ატარა და „თვალმარგალიტებით მორთულს რომ არაფრით ჩამორჩება“, – წამების გვირგვინია.

ქართველთა მოღვაწეობა ქრისტეს სარწმუნოების დასამკიდრებლად და დასაცავად მრავალმხრივაა საგულისხმო, მაგრამ განსაკუთრებით იმით, რომ ნათლად გვიჩვენებს, რაშია ჩახვეული ქართველთა ისტორიის დედა-ძარღვი და რაში იხატება ჩვენი ერის სულიერი ძლიერება და სიმტკიცე.

## ქრისტიანობის ერთგულება

ქართველთა სარწმუნოებრივი ერთგულება წინაპრების ცხოვრებასა და დვაწლში, მათ სასწაულმოქმედ მხენეობასა და თავგანწირვაში იკითხება.

ქართველმა ერმა დასაბამიდან მიიღო და შეითვისა სარწმუნოება ქრისტესი, მისი გავრცელების დღიდან „გადისხნა გული, შიგ განიბნივა იგი ჯვარი პატიოსანი ჯვარ-ცმულის ღმერთისა და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის კი არ შეარყევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი. მას აქეთ თხუთმეტი საუკუნეა და მთელი ეს თხუთმეტი საუკუნე გულში ჯვარით და ხელში ხმალით იბრძოდა, იღწვოდა, სისხლს დვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზე ვერავინ შეაცვლევინა“, – ასე წერდა ილია ჭავჭავაძე 1888 წელს გაზეთ „ივერიის“ №9-ში და ამ სტრიქონებში ჩანს ავტორის თაყვანისცემა ქართველთა წინაპრებისადმი, მათ მიერ გამოხატული რწმენის ერთგულებისა და თავდადებისადმი.

როგორც წერილიდან ვიგებთ, ჩვენი წინაპრები განსაკუთრებული ყოფილან, ისეთები, როგორიც დროსა და ვითარებას შეეფერებოდა, მუდამ მზადმყოფნი, მტრისა და მოყვრის დასახვედრად. გარშემო მტრებშემოხვეული, „ნოეს მტრედივით“, ქრისტიანობის მახარობლად ყოფილან მაჰმადიანობით მოდებულ მტერთა შორის. „მაშინდელის ქართველისათვის ორი გზა იყო – ამბობს ილია, – ან ქრისტიანობა, ან არა და ვაჟკაცური სკვდილი იმავე ქრისტიანობისათვის; ან ქართველობა, ან არა და ხმლის პირზე გულის შეთლა... უბედურებს მარჯვენა ხელი მოცლილიც არ ჰქონდათ, რომ პირჯვარი რიგიანათ გადაეწერათ, იმ მარჯვენითა დღედაღამ ხმალი და ოოფი ეჭირათ“ (ჭავჭავაძე 1991: 94.)

მაჰმადიანთა ოკეანით გარშემორტყმულები დღემუდამ უთანასწორო ომებში მტრებს იგერიებდნენ, გაწყდნენ, გაიულიტნენ, მაგრამ მამული, ჩვენი სამშობლო ქვეყანა შეიმაგრეს, ქრისტიანობა, ჩვენი რჯული, ჩვენი სარწმუნოება დაგვიცვეს და ეს მაშინ, როცა თითქმის მთელი ქვეყნიერება ემტერებოდა რჯულსაც და მამულსაც.

„ჯვარცმული ქრისტესათვის როგორ გადავრჩით? წამებული და სისხლ-მთხეველი მამულისათვის რამდა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა?“ – კითხულობს მწერალი და ხსნის კიდეც იმ საიდუმლოს, თუ რა იყო ჩვენი უძლეველობის სიმაგრე და ფარ-ხმალი: „იმ დროთა ჩარხზე გაჩარხული ვიყავით, იმ დროთა ქარცეცხლში გაფოლადებული... „სილბო გვქონდა ნაქსოვისა“ – ვითა ქრისტიანებს და სიმტკიცე ნაჭედისა“ – ვით მეომრებსა და მამულიშვილებს (ჭავჭავაძე 1955: 12).

ერთგულებასათან შედუღაბებული გულითადი რწმენა ის შეურყეველი კლდე იყო, რომელზედაც მრავალტანჯულმა საქართველომ თავისი სვე-ბედის ციხე-სიმაგრე ააშენა. არაერთხელ ცდილა მტერი შეელეწა ციხის კარები, მაგრამ უშედეგოდ, ლვთის მადლითა და წინაპართა ძალისხმევით კვლავ და კვლავ ხდებოდა მისი განახლება და გაძლიერება.

ჩვენი წინაპრებისაგან საუკუნეებს გამოტარებული „ეკლის გვირგვინი“ იყო გვირგვინი წამებისა „...ჭეშმარიტებისათვის, კაცომოყვარებისათვის, გვირგვინი წამებისა ერთმანეთის ძმურად და სიყვარულით განკითხვისათვის, მშიერთა, მწყურვალთა, სხეულთა, საპყართა და პატიმართა შველისა და ხსნისათვის“ (ივერია: 1888 №9). ამ გვირგვინის ტარებას შესწირა ერმა ყოველივე საუკეთესო, რაც კი გააჩნდა საბედნიეროდ მოცემული; ამ სახელითაა დიდებული და ამ

მშვენიერებითაა გამორჩეული ჩვენი მამ-პაპათა ღვაწლი: „თუ ვისმე სამართლიანად ეთქმის, რომ თვით დაიწვნენ და სხვას კი გზა გაუნათესო, ეს ჩვენს მამა-პაპათა ეთქმის, და მადლობელნი შვილნი ლმობიერებით პირქვე უნდა დავემხოთ მათ საფლავთა წინაშე და ვუგალობოთ დიდება დიდებულთა და ქება ქებულთა,“ – თვლიდა ილია.

სარწმუნოებრივი სიმტკიცითა და ერთგულებით გამოირჩეოდნენ ქართველთა მეფენიც, მათმა თავდადებამ და სჯულის სიყვარულმა ისტორიის დასაბამიდან ერს ქრისტესთან სასურველი ერთობა დაუდგინა: მტკიცედ ვიდგეთ სარწმუნოებასა ზედა და ვეძიებდეთ სიკვდილს ქრისტესათვის – ეს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის ანდერმი იყო, რომელშიც ერის ერთიანობის დუღაბიც იყო ჩაკირული.

ქართველი მეფეები თავდადებით ემსახურებოდნენ ქრისტეს რწმენას და, თუ საჭიროება მოითხოვდა, ეწირებოდნენ კიდეც – ამისი არაერთი მაგალითია ჩვენს ისტორიაში. ილია წერდა, რომ ქრისტიანობის „სიკეთეს დიდი ხანია მიაგნეს ჩვენთა ბედის გამგებელთა და არ არის ჩვენი არც ერთი სახელგანთქმული კაცი, ან მეფე, რომ... ამ თვალით არ ეყურებინა ქრისტეს სარწმუნოებისათვის. ამიტომ, მოაცალებდათ თუ არა პოლიტიკური ტრიადი ბედისა, ყოველი მათგანი ცდილობდა, არაფერს ზოგავდა ქრისტეს რჯული, შინაგანის დირსებით განდიდებული და მიმზიდველი, გარეთა დირსებებითაც გაედიდებინათ, გაემშვენიერებინათ და მისი მონასტრები და ტაძრები ყველგან მოეფინათ ქრისტეს რჯულის სახსოვრად და სადიდებლად“ (ჭავჭავაძე 1955: .65).

ამ გზით ვიდოდნენ წმინდა მეფენი: მირიანი, ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ მესამე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, დემეტრე მეფე და სხვებიც. ამ გზით ვიდოდა ჩვენი ეკლესია, სამდვდელოება, ბერ-მონაზვნობა, მთელი ქართველი ხალხი.

„ერთგულება და სარწმუნოება ქართველის თვისებას შეადგენდაო“ (ჭავჭავაძე 1991: 553), – წერდა ილია და ამ თვისებამ განაპირობა ის, რომ წინაპართაგან დაცულ და შეურყვნელად შენარჩუნებულ ქრისტიანულ სარწმუნოებასა და ქართველობას ბზარი მე-19 საუკუნემდე არ შეჰპარვია.

„ქართველმა სარწმუნოებაში ჩასახა თავისი სული და გული და ქრისტეს ჯვარი სისხლისდვრით შეუმწიკვლოდ და წმინდად მოიტანა მეცხრამეტე საუკუნემდე“ (ჭავჭავაძე 2005: 20), – აღნიშნავდა მწერალი; ხოლო თუ რისი ბრალი იყო მეცხრამეტე საუკუნეში რწმენის შესუსტება და ქვეყნის დაცემა –

ეს მიწიერი საზომებით და თუნდაც ისტორიული მოვლენებით არ აიხსნება. ეს იყო ღვთის განგებულება და განჩინება ჩვენზედ მოწეული, წინაპართა ღვაწლის დავიწყების, რწენისადმი გულაცრუებისა და მისგან დაშორების გამო.

ამ მხრივ საინტერესოა ილიას პატარა ლექსი „მეფანტურე“, სადაც ვხედავთ, თუ როგორ გულსაკლავად დამდერის ლექსის ლირიკული გმირი, ბრძა, მოხუცი მეფანტურე გარდასულ დროს და წარსული ცხოვრების წესს. თავის თანამედროვე ქართველებს ახსენებს, რომ ყოველ მათგანს

„ჰყავდა დიდი წინაპარი,  
დაცვა რჯულის, მიწა-წყლისა  
ამის მოწმედ თქვენდა არი“

(ჭავჭავაძე 1997: 109).

ლექსის მიხედვით, ბრძა მეფანტურეს, თითქოს, უხაროდა კიდეც თავისი სიბრმავე, რადგან ხორციელი თვალით აღარ შეეძლო რეალობის ხედვა და მის სევდიან სიმღერას მხოლოდ ნადველით მზირალი მაღალი მთა მწუხარე ხმით აძლევდა ბანს.

## ეკლესია-მონასტრები

ჯერ კიდევ ძველი აღთქმის მიხედვით ცნობილია, რომ ღმერთმა ჩააგონა მოსეს, აეგო სამლოცველო კარავი, სადაც ლოცვის შეწირვით მარადიულ კავშირში იქნებოდა უფალთან, რათა განუწყვეტელი ღვთის ხსენებით შემოქმედის ნათელი და სიყვარული არ მოჰკლებოდა, საქვეყნო საზრუნავით არ დამძიმებულიყო და არ განშორებოდა მას.

არსი ეკლესიისა თავად ღმერთმა განსაზღვრა. წმიდა წერილში კითხულობთ: „ქრისტემან შეიყუარა ეკლესიას და თავი თქვენი მისცა მისთვის, რამთა იგი წმიდა-ჰყოს, განწმიდა საბანელითა მით წყლისავთა და სიტყვითა,

რამთა წარუდგინოს თავადმან თავსსა თქმებულად ეკლესიან , რამთა არა აქუნდეს მწინკულევანებან, არცა ნაოჭ ბრძლისან, არცა სხვან რამ ესევითარი, არამედ რამთა იყოს წმიდა და უბიწო” (ახალი აღთქმა 2003: ეფეს.5-26).

ახალი აღთქმის მიხედვით, ეკლესიის შეუძვრელობა და უძლეველობა უფალმა დაამტკიცა: „ამას კლდესა, ზედა აღვაშენო ეკლესიან ჩემი, და ბჟენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას” (ახალი აღთქმა 2003: მათე 16-18).

ილია ეკლესიას წმინდა საკრებულოს უწოდებს: „ეკლესია – წმინდა საკრებულო, რომელსაც სახლი დვთისა პქვიან“ (77.48). ის დვთის სიტყვისაგან გადმოცემული კანონებით იმართებოდა მუდამ, მის ნათელ მოძღვრებაში ჩაიდო საყოველთაო სიყვარულის, სიკეთის, მშვიდობის, მეგობრობის და ერთობის საწყისები; ეკლესიის მოძღვრებით შეეძლო ადამიანს თავისი დანიშნულების შეცნობა, დვთაებრივი ბუნების გამორკვევა, ბოროტებასა და საცდურთან ბრძოლა, სულის ხსნა და ამაღლება. როგორც ილია ამბობდა, ეკლესიის გარეშე, „ამის გარეთ ადამიანს შველა არა აქვს, თუ უნდა, რომ კაცად, დვთის სახედ და მსგავსებად დარჩესო“( ჭავჭავაძე 1955: 68).

სარწმუნოებრივი გრძნობის მეტ-ნაკლებობა მუდამ ეკლესიის მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. ის ლოცვებითა და საღვთო წერილის მცნებებით მუდამდე აღვიძებდა და აძლიერებდა სარწმუნოების უზენაეს გრძნობას. სახლი დვთისა კრებდა ხოლმე დვთისმოსავ ხალხს საერთო ლოცვისა და ვედრებისათვის. აქ გრძნობდა ყველაზე მეტად ადამიანი დვთის მიერ აღთქმულ ნუგეშისცემას და სასოებით შესცემოდა მომავალს. ეკლესიის წიაღში იყო თანასწორობა, უფროს –უმცროსობის სწორი გაგება და სიყვარული. ილია წერდა: „... საყდარი, ...ეკლესია, როგორც თვითონ ღმერთი ერთნაირად შეივედრებს, ერთნაირად შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე ძონძებში გახვეულ გლახაკსაც და ბუზმენტებით მორთულ თავადსაც” (ჭავჭავაძე 2005: 175).

ეკლესიისადმი მწერლის დამოკიდებულება არაჩვეულებრივად არის ასახული მის ლექსში „მოთქმა საწყლისა”, სადაც უპოვარი გლახაკი უკიდურესი გაჭირვებისა და კაცთაგან გაწირვის მიუხედავად მაღლობს დმერთს:

...

„ყოველ სოფელში გაქას ეკლესია  
იგი ყოველთვის განგიწესია  
მეფეც, საწყალიც, თუნდა მწყემსია

მუნ განდიდებენ, რავარც წესია.  
და წყალობა შენი უდიდესია  
რომ მუნ ალაგი მეც მიწესია.”

(ჭავჭავაძე 1987: 292)

სიკეთისა და სიწმინდის პოვნა, მხოლოდ ეკლესიის წიაღში იყო შესაძლებელი.

ილია ჭავჭავაძე რწმენას, ეპლესიას და დვთისმსახურებას ერთ მთლიანობად მოიაზრებდა და ერთმანეთისაგან არ აცალკავებდა. თავის პუბლიცისტურ წერილებში იგი ხშირად ეხებოდა ამ თემას. მწერალი ყურადღებითა და სიფაქიზით ჩხრეპდა სარწმუნოებრივ საკითხებს, დვთისმსახურების შინაგან თუ გარეგან მხარეებს აკვირდებოდა, განუზომელ სიკეთესთან ერთად ცდილობდა დაენახა მანკიურებებიც, რათა შესაძლებელი გაეხადა მათი გამოსწორება. ერთ-ერთ თავის წერილში ის წერდა: „ეკლესია სახლია დვთისა, საცა ხალხი თავს იყრის, რათა მდვდელ-მსახურთა წინამდლვრობით ერთად ილოცონ, ერთად ევედრონ, ერთად იგემონ ის წყნარი და უცოდველი სიტყბოება, რომელსაც გაღვიძებული გრძნობა სარწმუნოებისა მოუკლენს ხოლმე დვთისმოსავს ადამიანს... იესო ქრისტემ ბრძანა, საცა ორი და სამი შეიკრიბებით სახელითა ჩემითა, მეც თქვენთან ვარო და ეკლესიამ, წირვაა თუ ლოცვა, უნდა გვაგრძნობინოს ჩვენთანა ყოფნა ქრისტესი, როცა ერთად თავმოყრილი ვართ ეკლესიაში“ (ჭავჭავაძე 1991: 484).

მწერალი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლოცვით განწყობას ქმნის კარგად და სასოებით გამოთქმული ლოცვები, „კარგად და სასოებით წაკითხული საღვთო წერილი... აი მიზეზი, რომ დიდი და პატარა უწინდელ დროში მიისწრაფოდა ეკლესიაში საღოცავად, როცა წირვის თუ ლოცვის ზარი სამრეკლოდან გაიხმაურებდა“.

აღსანიშნავია, რომ სარწმუნოებრივ საკითხებში ილია დადებითსა და საუკეთესოს მეტწილად წარსულ დროში ხედავდა. იცოდა, რომ სიტყვა „თავისთავადაც ძლიერია”, მაგრამ წუხდა, რომ მის თანამედროვე ეპოქაში ამ სიტყვის კარგად წაკითხვა და გადმოცემა ეკლესიაში სასიქადულოდ უკვე არავის მიაჩნდა. მწერალი ამჩნევდა, რომ ეს ცვლილება სამღვდელოებას არც კი ემძიმებოდა.

ქართული ლოცვების ძალას შეეძლო ზემოქმედების მოხდენა ჩაგრულ გულზე, მისი სასოებით შექვრა და შეტოკება, მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა

გამო ეკლესიაში ეს სულ უფრო შეუძლებელი გამხდარიყო: „კარგა ხანია არ გაგვიგია ჩვენი სამღვდელოებისაგან კარგად თქმული ლოცვა ან კარგად წაკითხული საღვთო წერილი ეკლესიაში“ – აღნიშნავდა მწერალი და მით უფრო საგანგაშოდ მიაჩნდა ის მოვლენა, რომ მთელ რიგ ტაძრებში ქართული ლვთისმსახურება რუს მწყემსმთავართა დადგენილებებით თანდათან იკრძალებოდა.

უცხო ენაზე აღვლენილი წირვა-ლოცვა და გაუგებარი ქადაგებები ხალხის დედა-ეკლესიისაგან გაუცხოების საფრთხეს ზრდიდა.

1879 წელს ილია ჭავჭავაძე „შინაურ მიმოხილვაში“ ეგზარქოს იოანიკეს საყურადღებოდ წერდა: „ყოვლად სამღვდელო იოანნიკემ უნდა იცოდეს, რომ დვიძლი სიტყვა ფრთად ლოცვისა, დვიძლის სიტყვით უფრო ადვილად, უფრო სუბუქად, უფრო მეტის აღტაცებით და მხურვალებით აღიმართება ხოლმე კაცის გული დმერთამდე და თვითონ დვთის მადლიც უფრო მეტის ძლიერის, მეტის სასოებით მიახწევს ხოლმე კაცის გულის სიღრმემდე. აქ უარყოფა დვიძლის სიტყვისა, უარყოფაა თვითონ ლოცვისა, უარყოფაა ლოცვის მადლისა, ლოცვის მაცხოვრობისა, ლოცვის ნუგეშისცემისა“ (ჭავჭავაძე 1997: 261).

მე-19 საუკუნში, სარწმუნოების ერთიანობის საფარებელით, ბევრი რამ უმსგავსო ხდებოდა საქართველოს ეკლესიაში; ცხვრის სამოსელში გახვეული ბოროტი მძლავრობდა და შლიდა ყოველივე ეროვნულსა და ქართულს. ილიამ მზერა ისტორიულ წარსულს მიაპყრო, რათა იქ ეპოვა ნათელი მაგალითები ქართული ეკლესიის სიმტკიცის, სიწმინდისა და ჭეშმარიტებისადმი ერთგული მსახურების დასტურად.

მას შემდეგ, რაც საქართველო დვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა გახდა, უფლის პირველწოდებულმა მოციქულებმა აქ ქრისტიანობა იქდაგეს. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, ანდრია პირველწოდებულის მიერ დაარსებული ეკლესია ჭეშმარიტების სამსახურში ჩადგა, ხოლო მე-4 საუკუნეში, მოციქულთასწორ წმიდა ნინოს მიერ, ქართველთა საყოველთაო მოქცევის შედეგად, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა და ეკლესიამაც სხვა ძალა და მნიშვნელობა შეიძინა. მის წიაღში დაიდო სათავე სულიერებამ, განათლებამ, კულტურამ, ერის თვითმყოფადობამ და თავისუფლებისაკენ სწრაფვამ.

საქართველოს სახელმწიფოს ძლიერებას და ერთობას ქრისტიანული ზნეობა ედო მუდამ საფუძვლად. ამიტომაც ჰპოვებდნენ ქართველი მეფენი ყველაზე ძლიერ საყრდენს მასში. წმინდა დავით მეფემ ქვეყნის აღმშენებლობის

პროცესი ეკლესიის თანადგომით (რუის-ურბნისის პრეზა) და ერის სულიერი გაჯანსაღებით დაიწყო, თამარის მუშაკობა ქვეყნის ძლიერებისათვის ეკლესია-მონასტრების გაშენებასა და განდიდებაში გამოიხატა. ამ მხრივ საყურადღებო ცნობებია ილიას წერილში „აი ისტორია“, სადაც მწერალი აბათილებს უცხოელთა აზრებს თამარის „მცდარი პოლიტიკის“ შესახებ და იმ ფაქტს, რომ მისი მეფობისას მონასტრებისა და ტაძრების მშენებლობაზე სახელმწიფო შემოსავლების სამი მეოთხედი იხარჯებოდა, დედოფლის სიბრძნით, გონიერებითა და დროების საჭიროებით ხსნის (ჭავჭავაძე 1955: 66).

რამდენადაც „ქრისტიანობა ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ნიშნავდა მთელს საქართველოს მიწა-წყალს, პნიშნავდა ქართველობას“, მუდამ ტაძართა და ეკლესიათა მშენებლობითა და სარწმუნოების გაძლიერებით ქვეყნა თავის არსებობას იცავდა და განამტკიცებდა.

სამხრეთ საქართველოში, ჭოროხის ხეობაში და მტკვრის სათავეში, კლარჯეთში, შავშეთსა და აჭარაში, ერუშეთში, სამცხესა და ჯავახეთში „მეშვიდე თუ მერვე საუკუნიდამ მეთოთხმეტე საუკუნემდე ქართველებს ტაძრები და მონასტრები უშენებიათ, რომელნიც დღესაც არიან. მაგალითებრ, კოლაში – დადეშის, არტანში – ნაქალაქევისა, სამცხეში – აწყურისა, ზარზმისა, საფარისა, ჯავახეთში – წყაროსთავისა, შავშეთში – ტბეთისა, კლარჯეთში – ხახულისა, აჭარაში – სხალთისა და სხვანი და სხვანი“ – წერდა ილია „ქვათა დაღადში“ (ჭავჭავაძე 1957: 106) და იმოწმებდა სტრაბონს, რომელმაც ჯერ კიდევ პირველი საუკუნის დასაწყისში აყვავებულ მდგომარეობაში დაგვიხატა ჩვენი ერი, „რომელმაც გასაოცარის ხელოვნების ეკლესიებითა და მონასტრებით მოჰყინა ძველს-ძველთაგანვე თავისი მხარე, რომელმაც გაავსო როგორც საქართველო, ასევე საბერძნეთი და პალესტინა ქართულის სამკაულებითა და მანუსკრიპტებით“ (ჭავჭავაძე 1957: 110).

ქართული ეკლესია-მონასტრების წიაღში შექმნილი კულტურის ბუდეში იღვწოდნენ ქართველები, ვითარცა მეომარნი, მწერალნი, მხატვარნი, ხუროთმოძღვარნი, სარწმუნოებაზე ავარჯიშებდნენ თავიანთ გრძნობა-გონებას და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდნენ ქრისტეს სახელით. ამიტომაც შეიქმნა ყოველივე ფასეული ამ წიაღში, აქედან ამოიზარდა სახელოვანი ქართული მწერლობა, ფერწერა, არქიტექტურა, ხელოვნება და საერთოდ, ქრისტიანული კულტურა.

ქართული ხუროთმოძღვრების გასაოცარ ძეგლებს მწერალი ერის სულიერი წყურვილის გამოვლინებად თვლიდა. წერილში „აი ისტორია“ ვკითხულობთ: „ერს შეხვდება ხოლმე დრო, თუნდ მონასტრებისა და ტაძრების შენებით – წყურვილს სულისას იკლავს ხოლმე, ეს საპატიო წყურვილია, იმიტომ, რომ სათავე წარმატებისა ეს წყურვილია და სხვა არა-რა“ (ჭავჭავაძე 1973: 67).

უნებურად გვახსენდება დავით მეფესალმუნის სიტყვები: „ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრე სურის სულსა ჩემსა შენდამი დმერთო!“ (VI-41) – რადგან სათავე ამ წყურვილისა ერთია, ნათელია, თუ რა მისწრაფება ამოძრავებდა ქართველ ერს; იგი მთელი ძალ-დონით ცდილობდა სულიერად მიახლებოდა და დაახლოვებოდა ყოვლად ძლიერსა და ცხოველ დმერთს, ჭირში შემწესა და მხსნელს, მაცხოვარს ჩვენსას.

ილიას ნაწერებიდან ვგებულობთ იმასაც, რომ ერი ამ „საპატიო სურვილს“ არა მარტო საქართველოში მოღვაწეობით იკლავდა, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ადმოსავლეთის ქვეყნები: მცირე აზია, სირია, პალესტინა, ბალკანეთის ნახევარკუნძული დღესაც არიან მოწმედ ქართველთა მოღვაწეობისა მართლმადიდებლური სარწმუნოებისათვის.

წერილში „ათონის ქართული სავანის შესახებ“ ილია აღნიშნავს, რომ „მონასტრები ქართველთა ხარჯითა და ფულით აშენებულნი, არა ერთი და ორი დღესაც ჰდადადებს ათონის მთაზედ, სინაზედ, სირიაში, იერუსალიმის ახლო-მახლო, რომ ქართველთა თავგამომეტებით და დიდის მხნეობით უმოღვაწნიათ თავის ქვეყნის გარეთაც სადიდებლად თავის სარწმუნოებისა“ (ჭავჭავაძე 1957: 305).

წერილი „ათონის ქართული სავანის შესახებ“ მრავალმხრივ საყურადღებოა. მასში ჩანს მწერლის დიდი ტკივილი, გამოწვეული სიწმინდეების დაკარგვითა და წარსული დიდების გაცამტვერების საშიშროებით.

როგორც ავტორი მოგვითხრობს, იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის სიგელ-გუჯარის (1706წ.) მიხედვით, იერუსალიმის ქართველებს ჰქონიათ წმინდა მიწაზე ექვსი მონასტერი: წმინდა ჯვრისა, წმინდა ნიკოლოზისა, წმიდათა თეოდორეთა, წმინდა ბასილის, წმინდა ანასი და წმინდა გიორგისა.

მე-17 საუკუნის მიწურულს, იმ ხანებში, როცა პატრიარქმა გუჯარი გამოსცა, საქართველო, შინაურ თუ გარეშე მტრებისაგან დაუძლურებული, ვერ უწვდიდა შეწევნისა და მფარველობის ხელს ამ მონასტრებს და ვერ ეხმარებოდა. მონასტრების გაუქმების შიშით, ქართველ ბერებს ისინი დროებით

საპატრონებლად ბერძნებისათვის ჩაუბარებიათ; ასევე გადაუციათ მონასტრის მიწები და მამულების შემოსავალიც იმ პირობით, რომ მდგომარეობის გამოსწორების შემთხვევაში, ქართველებს ყოველივე უკან დაუბრუნდებოდათ შეწყვეტილი მოღვაწეობის განსაგრძობად.

სიგელში ეწერა: „ხოლო ოდეს დმერთი ინებებს და ივერიიდამ მოვა წინამძღვარი (იღუმენი), მაშინ იმან უნდა ჩაიბაროს და თავის გამგეობაში მიიღოს ყველა მონასტერები უწინდელებრ“, – მონასტრების გამგებლობა ასეც გაგრძელებულა გარკვეული დროის განმავლობაში, ვიდრე მეცხრამეტე საუკუნემდე, როდესაც გაჩენილა საშიშროება იმისა, რომ ქართველებს იერუსალიმის მონასტრები ხელიდან გამოეცლებოდათ და საბოლოოდ დაიკარგებოდა შთამომავლობისათვის.

ამ საფრთხის საფუძველს ქმნიდა იერუსალიმის პატრიარქის, ნიკოდიმოსის მიერ დანიშნული მთავარი ვექილი, არქიმანდრიტი კირ-დამიანე, რომელიც, მინდობილობის ძალით (1885წ.), ყიდდა ქართველთა მონასტრების კუთვნილ მამულებს.

ქართველი მოღვაწენი საქართველოს გარეთ, ათონის მთაზე აშენებული კარის დვთისმშობლის მონასტრის ბერ-მონაზვნები, დიდი იმედითა და სასოებით სთხოვდნენ რუსეთის მთავრობას, რომ სწორედ შესაფერისი დრო იყო იმისათვის, რომ მათ მფარველობაში მყოფ საქართველოს ბერძენთათვის დროებით ჩაბარებული იერუსალიმის ექვსი მონასტრი ისევ კანონიერ მფლობელობაში დაბრუნებოდა.

ცხადია, ილია გულგრილი ვერ დარჩებოდა ამ პროცესებისადმი, ის იერუსალიმის პატრიარქის საქციელს და მის მიერ გამოვლენილ დამოკიდებულებას ქართული ეკლესია-მონატრებისადმი არასწორად თვლიდა, მათი უფლებების შედახვად და საეკლესიო და საერო კანონიერების დარღვევად მიიჩნევდა.

თავისი გამოხმაურებით იგი ცდილობდა, რუსეთის მთავრობა დაეინტერესებინა მონასტრების დაბრუნებით. ამიტომ ხაზგასმით აღნიშნავდა: თუკი „საქართველო შეადგენს ნაწილს რუსეთის იმპერიისას, იგი მონასტრები თვისის მამულებით უნდა შეადგენდნენ სახელმწიფო კუთვნილებას რუსეთისას კავკასიაში – ამიტომ გაყიდვა იმ მონასტრების მამულებისა ბერძენთა ბერ-მონაზონთაგან რუსეთის საკუთრების მართლიერების დარღვევად უნდა ჩაითვალოს“ (ჭავჭავაძე 1957: 309). ილია ამ საქმეში იშველიებდა რუსეთის

სახელმწიფო კანცლერის, გრაჩქოვის 1837 წლის მოხსენებას, რომლის მიხედვითაც, ეს ჩინოვნიკი რუსეთის სახელმწიფოს ვალად მიიჩნევდა საზღვარგარეთ არსებული ქართული სიწმინდეების დაცვასა და მფარველობას: „ჩვენს მთავრობას ვალად აწევს ზედამხედველობა იქონიოს მასზედ, რომ ქონება წმინდათა ადგილთა (святых мест), რომელთაც უნდა სამარადისოდ აძლიონ მათ სახსარი საზრდოობისა და კეთილმოქმედებისა, უკანონობისაგან არ იქნეს გაარარაებული“ (ჭავჭავაძე 1957: 310).

მწერალი, როგორც ქართული მონასტრების ჭირისუფალი, რუსეთის სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსა და მთავრობას სთხოვდა უკანონობისა და გასხვისებისაგან ქართული სიწმინდეების დაცვას. იერუსალიმის პატრიარქის განკარგულების გაუქმებას და რუსული კანონმდებლობის საფუძველზე მიწების ყიდვა-გაყიდვის პროცესის შეჩერებას. „მამულების გაყიდვის საქმეც რუსეთის სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს საქმე უნდა იყოს და არა ბერძნების ბერ-მონაზონთა. ამ სახით, ფულად ნაქცევი ქონება მონასტრებისა ხელუხლებლად შეენახება მონასტრებს, რომელნიც დღეს იქნება, თუ ხვალ, თავის ჭეშმარიტ პატრონებს უნდა ჩაბარდეს. . . ეს მონასტრები თუ კვლავ ძლიერის რუსეთის მფარველობით უკან დაუბრუნდება ქართველ ბერ-მონაზვნებსა, ქონება მონასტრებისა . . . დაცული და შენახული იქნება მტაცებლებისგანო“ – ფიქრობდა ის და იმედს გამოთქვამდა, რომ რუსეთის მთავრობა უგულისყურად არ დატოვებდა ამ საკითხს, თავის შემწეობას აღმოჟრენდა მთხოვნელთ და ძლიერი სახელმწიფოს მფარველობით ეს მონასტრები ჭეშმარიტ პატრონებს კვლავ უკან დაუბრუნდებოდა.

„სასურველია, რომ ეს ჩვენი იმედები არ გამტყუვნდესო“ – დასძენდა წერილის ბოლოს მწერალი, მაგრამ როგორც შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, ისევე, როგორც თითოეული ჭეშმარიტი ქართული საქმისათვის აღძრული ყველა ძალისხმევა, ეს იმედებიც გაცრუვდა და წმიდა მიწაზე არსებული ქართული სავანეები საბოლოოდ დაიკარგა შთამომავლობისათვის.

## სასულიერო პირთა დგაწვი

არაერთხელ გვითქვამს, რომ ილია ეკლესიას და ლიტისახურებას ერთ მთლიანობად მოიაზრებდა და ერთმანეთისგან არ აცალკავებდა. ამდენად, გასაგებია მისი განსაკუთრებული კეთილგანწყობა სასულიერო ფენისადმი, რომელთა მიმართაც ის მუდამ უდიდეს მოკრძალებას, სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავდა.

გერონტი ქიქოძე თავის წერილში „ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე“ გვაწვდის ილიას უახლოესი თანამშრომლისა და ბიოგრაფის გიგა ყიფშიძის ცნობას იმის შესახებ, რომ, თითქოს, ილია ბავშვობაში ბერად შედგომაზე ოცნებობდა (ქიქოძე 1987).

მწერლის ცხოვრებაზე, მხატვრულ შემოქმედებასა და ეპისტოლარულ მემკვიდრეობაზე დაკვირვების შედეგად, საგსებით დამაჯვრებელი გვეჩვენება გრიგოლ ყიფშიძის ნათქვამი ილიას ბავშვობისდროინდელ ოცნებებთან დაკაგშირებით. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით გერონტი ქიქოძის მოსაზრებაზე, რომელიც გვარწმუნებს, რომ ილიას „არც თავის აზროვნებაში, არც თავის ბუნებაში არაფერი გაუმჯდავნებია“ ამის შესაფერი.

ამის თაობაზე უფრო მართებულად გვეჩვენება შალვა კალანდაძის მოსაზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ „ქრისტიანული სარწმუნოების არსის სისრულით მსახველს, მოციქულთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის საუკეთესო მცოდნეს, ღრმად სწამდა, რომ შეიძლება არ იყო ასკეტი პრინციპიალურად, მაგრამ ეწეოდე ასკეტურ ცხოვრებას და აიღო თავის თავზე ხედრი მარტვილობის ამ ცოდვილ ქვეყანაში და გაიზიარო მისი ბედი“ (კალანდაძე 1996: 198).

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილში „დირსეულის დაფასება“ (ჭავჭავაძე 2006: 203) ვკითხულობთ: „ამ წუთისოფელში ადამიანს ბევრი და მრავალსახის საქმე აქვს საკეთებელი. როგორც კერძოდ თავისთვის, ისე ზოგადად ყველასათვის. სათითაოდ ყველას ერთნაირი დანიშნულება არა აქვს. სათითაოდ ყველას რამე დანიშნულება კი უსათუოდ აქვს. . . მრავალგავრია ნიჭიერება, დონე და მიდრეკილება ადამიანისა. სიდიდე და დირსება ის არის, ვინ როგორ აურჩია საქმე თავის ნიჭსა და ვინ როგორ უძღვება“. ამ სტრიქონებით

ნათელი ხდება, თუ როგორი სერიოზულობით ეკიდებოდა მწერალი ადამიანის მიერ საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრას. იქვე ვკითხულობთ: „კაცმა იმას უნდა მიმართოს, იმას ჩასჭიდოს ხელი, რაზეც გული მიუწევს და ნიჭი და უნარი მიუწვდება“. საფიქრებელია, რომ ის გულის სურვილზე უპირატესად ნიჭს, უნარს და არჩეული საქმის რიგიანად გაძლიერდის შეძლებას თვლიდა; ამით საზღვრავდა თავად საქმის სიდიდეს და მნიშვნელობასაც. „უამისოდ ყოველი საქმე მცირება და მისით კი ყოველი პატარაც დიდიაო“ – წერდა ის.

ყოველ ადგილას და ყოველ საქმეში შეიძლებოდა გამოხატულიყო ადამიანის დვაწლის სიდიდე, იქნებოდა ეს ხორციელი თუ სულიერი სფერო. თუკი მუშაკი იქნებოდა უნარიანი, მცოდნე, გამრჯვ, ერთგული და პატიოსანი, პირნათელი დმერთთან, ქვეყანასთან და საკუთარ თავთან.

ილია თვლიდა, რომ საქმის სიდიდე მხოლოდ მის მნიშვნელობაზე არ იყო დამოკიდებული და იზიარებდა იმ აზრს, რომ ვინც ორი მარცვალი მოიყვანა იქ, საცა მანამდე მარტო ერთი მარცვალი მოდიოდა, ის უდიდესს სამსახურს უწევდა კაცობრიობას.

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში, ყველგან და ყველა სფეროში, სახარების სიტყვებით რომ ვთქვათ, იყო „სამკალი ფრიად... ხოლო მუშაკი – მცირედ“ (ახალი აღთქმაB 2003: მათე. 9.37). ამიტომაც ახალგაზრდა ილიას უკვე პქონდა გამოკვეთილი თავისი დანიშნულება და ნიჭისა და უნარის მიხედვით შერჩეული სურვილიც სამუშაკოდ: თავგანწირულად ემსახურა მოყვასისა და სამშობლო ქვეყნისათვის და კალმით მოეფინა „ციდან ნამცნები“... „წმინდა სიტყვა უშიშრად... ხალხში“ (ჭავჭავაძე 1987: 120).

მას არ უფიქრია ხორციელ პატივზე, სიმდიდრესა და დიდებაზე. ათასი ჭირ-ვარამი, ვაი-ვაგლახი და წინააღმდეგობა დახვედრია ამ ეკლიან გზაზე, არა ერთხელ „უკრავთ კიდეც ლახვარი გულში“, მაგრამ სიყვარულით გულანთებული კვლავ იხარჯებოდა და არასოდეს წყვეტდა კავშირს უზენაესთან.

ის, რომ სამწერლო ასპარეზიდან ილია ეკლის გვირგვინს უფრო მოელოდა, ვიდრე დიდებისას კარგად ჩანს ნიკო ნიკოლაძისადმი მიწერილი ერთი წერილიდან: „განა წინადვე არ იცოდი, რომ მაგ გზაზედ... ათასი ვაი-ვაგლახი, ბეზღი, ცილი, ლანძღვა და თრევა დაგხვდებოდა ჯილდოდ შენის შრომისა და მოღვაწეობისა... და თუ იცოდი, ესეთი მოულოდნელი რა დაგხვდა მაგ უმადურს ეკლიანს გზაზედ...“ (ჭავჭავაძე 1958: 45)

ილიას კალამი მუდამ დვთის შემწეობის ქვეშ და ერის სამსახურში იყო.

„დმერთან მისთვის ვლაპარაკობ,

რომ წარვუძღვე წინა ერსა”, — წერდა ის და ყოველი მისი სიტყვა, ლექსი, მოთხოვბა თუ წერილი, ყოველი მისი საქმე და თავად მთელი ცხოვრებაც ჭეშმარიტად ამ მიზანს ემსახურებოდა. თუ რამდენად შეძლო ყოველივე – ეს დრომ და თაობებმა შეაფასეს. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ, რომ თუ ილიას ბაგშვილისდროინდელი ოცნება ბერად შედგომაზე შეიცვალა, ეს არ ნიშნავს ბერ-მონაზვნური დვაწლისადმი მისი დამოკიდებულების შეცვლას.

მწერალს მიაჩნდა, რომ „ადამიანის მხსნელი მისი რჯული და სარწმუნოებაა“ (ცნობის ფურცელი 1898 №337) და ამ ხსნისათვის იღწვოდა მთელი თავისი არსებით, ამიტომ ესათუთებოდა ამ გზაზე შემდგარ ყველა ადამიანს, განურჩევლად იმისა, იქნებოდა ეს საერო პირი თუ სასულიერო.

იცოდა რა სარწმუნოებრივი გზის სიმძიმე, დვთისმსახურებისადმი, იმ ადამიანებისადმი, რომელთაც უფლისაგან ვალად სდებოდათ „ამა ერისა სულის აღზრდანი“, განსაკუთრებულ პატივისცემასა და მოკრძალებას გამოხატავდა, განადიდებდა წარსული დროის სამღვდელოებასა და ბერ-მონაზვნობას, მათ დამსახურებად მიიჩნევდა ქართული ეკლესიის სიწმინდით არსებობას, ხალხში ჩამოყალიბებულ მტკიცე სარწმუნოებრივ გრძნობას, გმირულ სულს, მდიდარ დვთისმეტყველებას თუ მეცნიერებას, ქართულ კულტურას.

ერთ-ერთ „შინაურ მიმოხილვაში“ ვკითხულობთ: „იმ სამღვდელოებამ შესძრა ჩვენი სულიერი ძალ-ღონე და შეაქმნევინა ერს ის სახელოვანი ნაშთნი სარწმუნოებისა, რომლითაც დღეს ჩვენ ქართველნი, სამართლიანად ვქადულობთ. დიდებული სიტყვიერება ჩვენის სამღვთო წერილისა ცალკედ და საეროსი ზოგადად, დიდებული არხიტექტურა ჩვენთა ტაძართა და ეკკლესიათა, სამაგალითო სიმდიდრე, ხელოვნება და სიტურფე საეკლესიო ნივთთა, განძთა და სამკაულთა ამის უტყუარნი მოწმენი არიან“( ჭავჭავაძე 2005: .20).

მწერალი განუსაზღვრელს უწოდებს ერის წინაშე ქართველი სამღვდელოების სამსახურს. დვთისმსახურ კაცს იგი ერის მსახურად თვლის: „დვთისმსახური კაცი იყო ქვეყნის და ჩვენის ერის მსახურიცა“ (ჭავჭავაძე 1997: 171); მათ ქვეყნის გაქრისტიანების დღიდან ხელთ ეპყრათ ქვეყნის სულიერი სიმტკიცე და ძლიერება.

ჩვენი ქვეყნის ძლიერება არა მხოლოდ საბრძოლო ძალასა და იარაღებში იყო, არამედ ყველაზე მეტად ჯგარსა და რწმენაში. ის აუხსნელი სასწაულიც, რომელიც ქართველობისა და ქრისტიანობის იგივეობას გულისხმობდა, სწორედ ლვთისმსახურთა დაუღალავი სულიერი მუშაკობისა და ლვაწლმოსილების შედეგი იყო.

ქრისტეს ჯვრის სიმძიმე ყველამ ყოველთვის იცოდა, მაგრამ პატივი და ჯილდოც მოღვაწისა ამ სიმძიმეში იყო, ამიტომაც ითვლებოდა სასულიერო წოდებაში ყოფნა დიდ ღირსებად და ქართველნი, „დიდი გვარიშვილნი, მეფეთა ოჯახისანი და ძენიც-კი ბედნიერად პრაცხდნენ თავიანთ თავს, თუ-კი ელიოსებოდნენ სასულიერო წოდების კაცად გახდომას, სასულიეროში შესვლას და სამსახურსა“, – წერდა ილია წმინდა ნინოსადმი მიძღვნილ წერილში 1888 წელს (ივერია № 9).

ასეთი სასულიერო პირი ჰყავს გამოძერწილი მწერალს მოთხოვობა „გლახის ნაამბობში“ მხატვრული პერსონაჟის – მდგდლის სახით.

მდგდელი სიკეთით ყველასაგან გამორჩეული პიროვნებაა, განათლებული, მზრუნველი, მოსიყვარულე, ჩაგრულთა ქომაგი და შემწე. ის წმიდა წერილისეულ ჭეშმარიტებებს ქადაგებს და ამიტომაც მის ირგვლივ მუდამ ხალხმრავლობაა. „ხალხი სულგანაბული შესცქეროდა, თითქო დაჯერებულიაო, იმის პირიდამ ოქრო გადმოვარდება და შიშობს ხელიდამ არ გამივარდესო“ – ნათქვამია მის შესახებ მოთხოვობაში და „ოქროში“ სწორედ ის ქადაგებებია ნაგულისხმევი, რომელსაც მოძღვარი დღემუდამ ჰყენდა ირგვლივ: „სიცოცხლე ჩვენი... არც დედისაა და არც მამისა, ქვეყნისა არს“ (ჭავჭავაძე 1988: 172). „სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა, აი, ხიდი ცხონებისა, აი, გასაღები სამოთხისა!“ (ჭავჭავაძე 1988: 173) „რაც შეგვიძლია ჩვენც ისა ვქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და კაციცა“, „სჯობიან ღვთისა და კაცის სამსახურში ამომივიდეს სული“ – ეს ის ოქროები, ის უფლის ტალანტები იყო, რომლებიც მსმენელებს უნდა ემრავლებინათ და გაბრიელივით მიწაში არ უნდა დაეფლათ. ის ცეცხლი კი, რომელიც მდვდლის თქმით, ღვთის მიერ „ყოველი კაცის გულში ენთება“ – არ უნდა გაექროთ.

გაბრიელი ამ ნამდვილ ღვთისმსახურს ასე იგონებს: „ხატებს რომ ხატავენ ის იყო“, „რა კაცი იყო!.. რომ მაგონდება იმისი საქმეები, მგონია, რომ ციდან იყო ჩამოსული, რომ კაცს ქვეყანაზე აჩვენოს კაცობა“.

იღიას განზრახვაც, ალბათ, ეს იყო, რომ დირსეული მდვდლის სახის ჩვენებით, ერთი მხრივ, ხალხისა და სასულიერო პირებისათვის მათი არსი და დანიშნულება შეეხსენებინა და მეორე მხრივ, ჭეშმარიტების მსახურთადმი თავისი თაყვანისცემა გამოეხატა.

კველასათვის ცნობილია, რომ სასულიერო წოდებაში ბერ-მონაზვნობა ყველაზე გამორჩეული ფენაა, ბერობა სულიერი ცხოვრების აღმატებული საფეხურია, „რამდენად ანგელოზი უმაღლესია ხორციელ კაცთაგან, ეგოდენ უმაღლესია ბერობა მსოფლიო ცხოვრებისაგან. გარნა არა ქუდი და ანაფორის ჩაცმითა, არამედ სულის ხარისხთა ზედა ძალითი ძალად აღსვლითა, რომლისა სწავლა უთუოდ დიდ არს და მაღალ და ხანგრძლივი დვაწლით მისაწვდომელ“ (წმიდა ალექსი ბერი 2002: 50) – გკითხულობთ თანამედროვე წმიდა მამის ნაწერებში და ნათელი ხდება მიზეზი იმ მოწიწებისა, რომელსაც ილია გამოხატავს იმ მადლით ცხებულ ბერ-მონაზვნებისადმი, რომელნიც „ერთ დროს ყოფილან ჩვენში ჩვენდა საბედნიეროდ, და ეხლა, ჩვენდა საუბედუროდ, ადარ არიან“.

სტატიაში „ათონის ქართული სავანის შესახებ“ ილია ჭავჭავაძე წერს, რომ ათონის მთაზე, სირიაში და იერუსალიმის ახლო-მახლოს, ქართველთა მიერვე აშენებულ მონასტრებში „თავგამომატებით და დიდის მხეობით“ მოღვაწე ჩვენი სულიერი მამების „ცხოვრება და საქმენი თავმოსაწონად ექმნება ქართველსა ყოველთვის“ (ჭავჭავაძე 1957: 305).

მწერალი აღტაცებული იყო იმით, რომ ამ უცხო ქვეყნებში, მონასტრების წინამძღვრობა ქართველ სულიერ მამებს ეჭირათ და მათ რწმენისადმი გულმოდგინებას, მათ მეცადინეობას ქრისტიანობის გავრცელებისათვის ძალზე შორს გაედგა ფეხი. იგი პალესტინაში მოღვაწე სულიერი მამების დამსახურებასაც „აღმატებულს“ უწოდებდა და მათ მოღვაწეობაში ხედავდა „ქართველთა დიდ დამსახურებას ევროპისა და ქრისტიანული კულტურის ბუდეში“.

მწერლის მოწიწება იგრძნობა მის მხატვრულ ქმნილება, პოემა „განდეგილში“ დახატული ბეთლემის მონასტრის ბერებისადმი დამოკიდებულებაშიაც.

პოემის II თავში კითხულობთ, რომ, ოდითგან, მყინვარის წვერზე გამოქვაბულ ბეთლემის მონასტერში ძმათა კრებული განუწყვეტლივ ღვთისმსახურებას აღასრულებდა. თოვლსა და ყინვაში ისმოდა „ქვეყნიდამ

განდეგილ „მმათაგან“ ლვთის სადიდებლად აღვლენილი ლოცვა და „ქება წმიდათა წმიდისა“. მათი ლოცვითი ლვაწლით ტაძარი განდიდებულა, მისი მადლი ყველგან მოფენილა, განთქმულა და გავრცელებულა. სიწმიდე ამ ადგილისა იმდენად დიდი იყო, რომ მონასტრის დაცარიელების შემდეგაც კრძალვა და რიდი ხალხში იმ ადგილებისადმი მაინც შემორჩენილა:

„და ის ადგილი, ის არემარე  
ესოდენ წმინდად სწამს დღესაც ერსა,  
რომ ნასროლ ნადირს, მუნ შეფარებულს  
მონადირეცა ვერ ახლებს ხელსა“

(ჭავჭავაძე 1987: 256)

ამ სტრიქონებიდან ჩანს, თუ რა საოცარ სიმაღლემდე აჲყავს ილიას ბერ-მონაზვნური ცხოვრება, მათი შრომითი და ლოცვითი ლვაწლი და არსებობის მნიშვნელობა.

მეცხრამეტე საუკუნის ქართული სინამდვილე სასიკეთოს არაფერს სთავაზობდა მწერალს. დამცრობილი ზეობრივი ფასეულობანი, საზოგადოებრივი გულგრილობა და უმოქმედობა, რწმენაშელახული სამდვდელოება და ეკლესიისაგან გაუცხოებული ხალხი ერის სულიერად დაცემის გულსაკლავ სურათს ქმნიდა. ასეთი რეალობა დიდ გმირობას, ღონესა და თავგანწირვას ითხოვდა ჭეშმარიტი მუშაკისაგან. თავის თანამედროვე სამდვდელოებაზე საუბრისას ილია გულმტკივნეულად აღნიშნავდა: „ორიოდ პატივცემული გვამნი ძლივსღა მოჩანან ჩვენს სამდვდელოთა შორის ისეთნი, რომელთაც შერჩენიათ ძველთა მამა-მთავართა გულმტკივნეულობა ჩვენის ქვეყნისადმიო“ (ჭავჭავაძე 1997: 172).

თავგანწირულ და ერისთვის გულშემატკივარ მწერალს აღაფრთოვანებდა საყოველთაო უმოქმედობის ხანაში თავის თანამედროვე ეპისკოპოსების კირიონის, ალექსანდრეს, გაბრიელისა და სხვათა ქმედებები, საზოგადო საქმეებისადმი გამოჩენილი მათი გულისხმიერება და გულმოდგინება. „როცა თქვენისთანაებსა ვხედავთ, გულს კვლავ ერჩის წუთი-სოფლისაგან ღონემიხდილი სასოება და წუთი-სოფლისგანვე გამქრალი იმედი უკეთესის დღეებისა“ – წერდა ის გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1898 წელს ალექსანდრე თქროპირიძეს.

წერილში კეთილმოქმედი, დვთისთვის და ქვეყნის სამსახურისთვის თავგანწირული სათნოებიანი მღვდელმთავრის სახე იკვეთება: „ოქვენ ხორცი დაუმორჩილეთ სულსა, გშიოდათ და არა სჭამდით, გწყუროდათ და არა სგამდით, გციოდათ და არა თბებოდით... იმისთვის, რომ რაც თქვენთ თავს აკლებდით ის სხვას შეპმატოთ, სამადლოდ, საქვეყნოდ გასცეთ, ოქვენს სამშობლოს მოახმაროთ” (ცნობის ფურცელი № 337) – წერდა ილია.

საოცარი სითბოთი და სიყვარულითაა გაჯერებული ეს წერილი და გვიხატავს დვაწლმოსილი ადამიანისა და ჭეშმარიტი მღვდელმთავრის დასამახსოვრებელ სახეს.

ილია ჭავჭავაძე ასევე დიდი გულითადობით გამოირჩეოდა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძე) მიმართაც, მის მიერ წამოწყებული არაერთი საქმის გულშემეტკივარი და თანამოაზრეც იყო. (ქუთაისის სემინარიის გახსნა, ქართული ენის სწავლების გაძლიერება და სხვა). მეუფე გაბრიელი ილიასთან ერთად ასევე ილაშქრებდა გარუსებული ქართველის, გიორგი მუხრანსკის თეორიის წინააღმდეგ, რომელიც დიდი ერების მიერ პატარა ერების, მათი ენისა და კულტურის გაქრობა—ასიმილაციის აუცილებლობას ადასტურებდა.

ილია ეპისკოპოსის ცხოვრების ყოველ წამს მოძღვრებად, მაგალითად და ანდერძად მიიჩნევდა ჩვენი ერისათვის.

გაბრიელ ქიქოძის გარდაცვალებისას გელათის საკათედრო ტაძარში მთელმა საქართველომ მიაგო პატივი ამ სათაყვანებულ მღვდელმთავარს. გამოსასალმებელ სიტყვაში ილია ამბობდა, რომ „არ არის არც ერთი მაგალითი, რომ სადმე და რაშიმე ესუსტოს... რწმენისათვის, პირიქით თავისი ხანგრძლივი სამსახური ამ რწმენას შესწირა და შეალია...“, იგი თვლიდა რა, რომ კაცთათვის მსახურება იყო მსახურება დვთისადმი, სამწყსოს სთხოვდა: „ევედრენით ღმერთს, რომ მომცეს ძალა ჯეროვნად ვემსახურო ეკლესიასა, ესე იგი, თქვენს ცხოვრებასო“ (ჭავჭავაძე 1955: 253).

მეუფე გაბრიელი ღმერთმა სიკვდილის შემდეგ უხრწნელობით დაჯილდოვა და მართლმადიდებელმა ეკლესიამ გამორჩეული დვაწლის გამო წმინდანად შერაცხა.

საქართველოს სინამდვილეში წმიდა მღვდელმთავრების არსებობა და მათი ცხოვრების მაგალითი კვებავდა ილიას ტკივილიან იმედს, რომ „ჯერ კიდევ მსახური მართლა დვთისმსახურებისა არ წაწყმედილიყო ჩვენში“ (ჭავჭავაძე 1991: 172).

## წმინდანთა სახეები

წმინდანთა ცხოვრებას, მათ ლგაწლსა და მეოხებას დიდი მნიშვნელობა აქვს მართლმორწმუნე ერისათვის. ილია ჭავჭავაძე ამ მნიშვნელობას სხვადასხვა კუთხით განიხილავს.

მისი აზრით, „ამ უძველესთა და უდიდესთა მოქმედთა მეოხებითა და ლგაწლით გცხოვრობთ დღესა და გსულდგმულობთ“. (ჭავჭავაძე 1955: 179) მეოხების გარდა, ილიას აზრით, ისინი რწმენით ავსებენ თავიანთ ხალხს და იმედს უსახავენ, რომ ამ სიმაღლემდე მათაც შეუძლიათ ასვლა. იგი გამოყოფს წმინდანთა ცხოვრების, როგორც საუკეთესო მაგალითის მნიშვნელობასაც: ერი მათში „პჰოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ლონესა და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს“.

შემთხვევითი არაა წმინდანთა აღმოშობა ერის წიაღში, რადგან ეს „უკეთესნი და უდიდესნი მოქმედნი“... „სხვა არა არიან რა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომგტყველნი და განმახორციელებელნი“. მწერალი ამ ადამიანებს ერის ვინაობის საძირკვლად მიიჩნევს და მათი ხსოვნის გარეშე ერის არსებობა, წინსვლა და მეობის შენარჩუნება წარმოუდგენლად მიაჩნია.

წმინდანები ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელნი, გამვრცელებელნი და მისთვის თავდადებულები იყვნენ. სარწმუნოებას კი ჩვენი ერის სულიერი წინსვლისა და ერთიანობისათვის მუდამ განსაკუთრებული მნიშვნელობა პქონდა: „ქართველმა ამ რჯულს, ამ ახალ აღთქმას შეუერთა ძველთაგანვე ყოველივე ის, რაც კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის დღეში არ დაჭველდება, მინამ ადამიანი ადამიანობს: შეუერთა მამული და ეროვნება. ეს სამი ერთმანეთის ლირსი საგანი ისე ჩაიწენ, ისე ჩაიქსოვნენ ერთმანეთში, რომ სჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად-გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა – რჯულის დაცვად“ (ივერია 1888 №9).

ამ მადლის, ამ სიწმინდის შემომტანს, ქართველთა სულიერ მშობელს, ჩვენში ქრისტიანობის გამავრცელებელს, წმინდა ნინოს ცხოვრებასა და ლგაწლს

ილია ჭავჭავაძემ რამდენიმე საყურადღებო წერილი მიუძღვნა. სტატიები, რომელიც დაიბეჭდა წმინდა ნინოს დღესასწაულზე გაზეთ „ივერიაში“ (№9; 1886წ; №9, 1888 წელი) მოკლედ მოგვითხრობს წმინდა ქალწულის საქართველოში შემოსვლის და ქართველთა გაქრისტიანების ისტორიას. მწერალი იცნობს ნინოს ცხოვრებას, ეყრდნობა ისტორიულ წყაროებს, ვახუშტის, საბინინისა და ბროსეს გამოცემებს.

ილია ამ წერილში განიხილავს ქრისტიანობის, როგორც ყოველთა ერთნაირად შემწყნარებლობის, შენობისა და ნუგეშისცემის, მოყვასის სიყვარულის მქადაგებელი მოძღვრების არსეს, შემდეგ ეხება ქართველი ერისათვის ამ მოძღვრების მნიშვნელობას: „წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკავიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამც თუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. იმ უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას ხსნად და ცხონებად, თავისი ძლევამოსილი კალთა გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნებას, ვითა ობოლნი შეიკედლა, თავისის დგომებურის ძალ-დონით გამოჰარდა, შეპმოსა, შთაუდგა გული რკინისა, წაუმდგვარა ჯვარი პატიოსანი და ძელი ჭეშმარიტებისა და აი, ათას ხუთასი წელიწადია ამ ძალ-დონით ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნება“.

ამ წერილებში ისმის სადიდებელი ჩვენი განმანათლებელისა, მაგრამ პირველი სტატია მთავრდება გულისტკივილით ქართველი ერის დიდი ნაწილის მიერ წმინდა ნინოს სავანის, ბოდის მონასტრისადმი უყურადღებობის გამო; მეორე წერილში უფრო ვრცლად არის განხილული ის თხუთმეტსაუგუნვანი გზა, რომელიც ქართველმა ერმა განვლო წმინდა ქალწულის მიერ შემოტანილი ჯვრით ხელში.

ქრისტიანობის გავრცელებას და წმინდა ნინოს დვაწლს ეხმიანება პოემა „აჩრდილის“ მე-17 თავიც. მწერალი ამ ეპიზოდში მცხეთას ერის ცხოვრების დიდ აკლდამას უწოდებს, სადაც პირველად ჩაირგა თავისუფლების ძირი. თავისუფლებაში აქ, რა თქმა უნდა, ქრისტესმიერი რწმენა და სულიერი თავისუფლება იგულისხმება. ქართვლის გულიდან აღმოცენილი „ხე ცხოვრებისაც“ ძელი პატიოსნის სახეა, მისი გულიდან გადმოდენილი წყარო – სულიწმინდის მადლის; ლიბანის ნაძვის სურნელი კი ის რწმენაა, რომელიც ქართველს სულიერ და ხორციელ წყლულთა გურნებად მოევლინა და უკვდავების წყაროს აზიარა. ეს ისტორიული ეპიზოდიც, წინაპართა

სიწმინდისაგან ქართველთა სულიერი დაშორებით გამოწვეული, იმავე გულისტკივილით მთავრდება, რითაც წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი პირველი წერილი.

„აწ აღარა სჩქეფს წყარო ცხოველი,  
ხე ცხოვრებისაც იგი დამჭკნარა“ და

„დღეს იმ ცხოვრების წმინდა ალაგნი  
პირუტყვთა ქელვით შეგინებულა“

(ჭავჭავაძე 1987: 192)

ასეთია ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება მოციქულთა სწორის, ჩვენში ქრისტიანობის გამავრცელებლის, წმინდა დედა ნინოსადმი.

მწერალს ყურადღების გარეშე არ დარჩენია ქართველთა ისტორიის უდიდესი შემოქმედი, დიდი მეფე და წმინდანი დავით აღმაშენებელი, როგორც სახე-სიმბოლო, გამომხატველი ერის ვინაობისა და განმსაზღვრელი მისი შესაძლებლობებისა. თავის წერილში, მიძღვნილში დავით მეფის ხსოვნის დღისადმი (ჭავჭავაძე 2005:307), ილია აღწერს, თუ როგორი აოხრებული, უკაცჟო და ნგრეულ-უშენო ქვეყნის სამეფო ტახტი ჩაიბარა თექვსმეტი წლის ყმაწვილმა სამართავად: „ავიდა, იმეფა და გაოხრებული საქართველო, ის გამხმარი და რტოებდაშვებული უფოთლო, უმწვანო ხე, რომლის მიდამო იყო „ტიალ და გაოხრებულ“ ისე განახლებული, გაძლიერებული და გამშვენებული დასტოვა, რომ გაკვირვებული მემატიანე დავითისაგან შეცვლილ სურათს ამ სიტყვებით ხატავს: „ვხედავდი ხესა, შორის ქვეყნისა, სიმაღლედ ცას მიწვდომილსა და რტოთა მისთა კიდემდე ქვეყნისა... და მისგან იზრდებოდა ყოველი ხორციელი“.

ცას მიწვდომილი ხე – სიმბოლური სახეა როგორც ხორციელად, ისე სულიერად განახლებული და გაძლიერებული ქვეყნისა, რომელიც დავითის მეფობის დროს გაერთიანდა და გარშემორტყმული მტრების ძლევის შედეგად აღორძინდა, „გაივხო ქალაქებით და მრავლად აშენებულის ტაძრებით. ამა დროსვე ჩაიდგა საძირკველი საზოგადოებურის ცხოვრებისა, ეკკლესია გაიმართა წესისაებრ, სამდვდელოთა ყოფა განკარგდა“.

წერილში დაწვრილებითაა აღწერილი დავითის თვისებები და ის საკვირველი ლვაწლი, რომელიც ძლევამოსილ მეფეს მიუძღვის ლვთისა და ერის წინაშე: მხეობა, ვაჟკაცობა, მხედრობა, მეომრობა, გამოცდილი სპასალარობა,

უშიშრობა ომსა და ბრძოლაში; ამავე დროს მისი სიბრძნე და შორსმჯგრებელობა, ლმობიერება და გულმოწყალება, სიუხვე და გულშემატკივრობა სწეულთა და გლახაკთადმი. ყოველივე ამასთან ერთად, მემატიანეზე დაყრდნობით, ილია აღნიშნავს, რომ „მეფე დავით დიდი ლვისმოსავი კაცი იყო და დიდად უყვარდა სამღვთო წერილის კითხვა. წიგნებითან დაქონდა ლაშქრობაში. მანვე შემოიღო ჩვეულებად ახალგაზრდათა გაგზავნა ათინაში სწავლისთვინ“ (ჭავჭავაძე 2005: 310)

მწერალი ქვეყნისთვის ასეთი მეფის მოვლინებას ლვთის განგებულებად მიიჩნევს: „ქვეყანას უჭირდა სწორედ იმ დროს სახელოვანი მეფე და ბედმაც მოუვლინა ქართველებს დავით“. აქ ილია იმოწმებს ქართლის ცხოვრებას: „მამამან ზეცათამან პოვა დავით, მონა თვისი და საცხებელი მისი წმიდა სცხო“.

წმინდა მეფის, დავით აღმაშენებლის სადიდებელია ილია ჭავჭავაძის მეორე წერილიც, რომელიც საეკლესიო მოსახსენებელი დღისათვის იყო განსაზღვრული და დაიბეჭდა გაზ. „ივერიის“ №17-ში, 1888 წლის 23 იანვარს.

დავითის ლვაწლის დირსეულ გამოხატულებად მიაჩნია ავტორს ის ფაქტი, რომ ერმა მას „ეკკლესიის დალოცვითა და კურთხევით აღმაშენებლის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად“.

ილია დავით აღმაშენებელს ადიდებს არა მარტო სახელოვანი მეფობის, არამედ დიდბუნებოვნების გამო. წერილში მოცემულია ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გრძნობდა თავს სხვადასხვა ეროვნების ხალხი ჩვენს ქვეყანაში იმ დროს, როცა დავითი „ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად“ შეიქმნა. ილიას თქმით, ქართველთა მეფე „თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივის-მცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა“. წერილის ავტორი ამას დავითის კაცომოყვარეობით ხსნის და იმოწმებს სხვა ერის მემატიანებსაც, რომლებიც „აღტაცებით იხსენიებენ დავით აღმაშენებელს, როგორც კაცს, პატივის-მცემელს და შემწყნარებელს სხვა ერისას და სხვა რჯულისას“.

წერილში მოყვანილია სომები მათე ედესელის, ვარდან დიდის და მაპმადიანი ალ-აინის ციტატები, რომლებიც ილიას, თავის დროზე, დიმიტრი ბაქრაძის შენიშვნებიდან ამოუღია და რომლებზე დაყრდნობითაც მკითხველისათვის ძნელი გასარკვევია, სცილდება თუ არა დავით აღმაშენებლის სიკეთე და ყურადღება სხვა სარწმუნოების ერებისადმი კაცომოყვარეობისა და დიდბუნებოვანების საზღვრებს.

სომები მათე ედესელი ამბობს, რომ „დავით იუო წმინდა, კეთილ-მსახური, სავსე ქველ-მოქმედებით და მართლმსაჯული“... „დავითს არავითარი სიძულვილი არ ჰქონდა სომხური წირვა-ლოცვისა და ეპკლესიისა“.

ერთ-ერთი მაკმადიანური წყაროს მიხედვით ვგებულობთ, თუ როგორ აუკრძალა დავით მეფემ, მაკმადიანთა თხოვნით, ქართველებს მუსულმანებთან ერთად აბანოში შესვლა და მათი ავად ხსენებაც-კი; თუ როგორ გასცემდა უხვად შესაწირავს, როგორ აშენებდა უცხო ტომთათვის ქარვასლებსა და სადგომ სახლებს და ა. შ. „დავითი უფრო მეტს პატივს სცემდა მუსულმანთა ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი“ – ირწმუნება მაკმადიანთა მწერალი.

ამ ცნობათა ავტორები დავით მეფის გულუხვობის და შემწყნარებლობის ჩვენებასთან ერთად, ისტორიული თვალსაზრისით ნაკლებ სარწმუნო ინფორმაციებსაც გვაწვდიან (ყიფიანი 2003: 6).

ერთი იუწყება, რომ, თითქოს, დავითი გრიგორიანელი მოძღვრებისაგან იღებდა ლოცვა-კურთხევას, მეორე კი ამტკიცებს, რომ მეფე უფლისწულთან ერთად დადიოდა უმთავრეს მეჩეთში და ისმენდა სამეფო ლოცვასა და ყურანის კითხვას.

ეს რომ საგაზეთო წერილი არ ყოფილიყო და მხოლოდ რელიგიური მიზანდასახულება ჰქონდა, ილია ჭავჭავაძე აუცილებლად გაამახვილებდა ყურადღებას ამ დეტალებზე და ეჭვს შეიტანდა უცხოური წყაროების სიზუსტეში. მას ძალიან კარგად ესმოდა და მუდამ იმას ქადაგებდა, რომ „სარწმუნოება ჭეშმარიტებაა გულისა და ორსახედ არ ჩაესახება ერთსა და იმავე გულს“ (ჭავჭავაძე 1957: 191). ილიას აზრით, სარწმუნოება სამოსელი არ არის, „რომელსაც კაცი როცა უნდა იხდის და როცა უნდა იცვამს“. ამიტომ მას ოდნავად დასაშვებადაც კი რომ მიეჩნია აზრი, დავითი მეჩეთში ლოცულობდათ, ამას მეფის ლირსებად კი არ ჩათვლიდა, არამედ „ერთხელ რწმენილის“ დალატად. მას არასოდეს შეუტანია ეჭვი დავითის კეთილმორწმუნეობასა და სწორ აღმსარებლობაში და, ბუნებრივია, რომ ამ უცხოელ ავტორთა ნათქვამს ვერ გაიზიარებდა. ერთადერთი, რითაც შეიძლება ილიას მიერ ამ ციტატების უკომენტაროდ მოყვანა აიხსნას, არის ის, რომ მას უცხოელთა მონათხობი სულ სხვა რაგურსში სჭირდებოდა, უნდოდა ეჩვენებინა, როგორი უნდა იყოს ძლიერი სახელმწიფოს მმართველი.

დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ წერილებში საგანგებოდაა ხაზგასმული ჩვენი ქვეყნისა და თავად მეფის მდგომარეობა: „ძლევა-მოსილი იგი

მეფე სრულიად გაბატონდა თავის „ქვეყანაში“, „საქართველო მნელად ეღირსებოდა ისეთს საკვირველ დროს, როცა მან უმაღლეს ხარისხს მიაღწია განათლებისას, მოქალაქეობისას და საზოგადოდ კულტურისას“. (ჭავჭავაძე 2005: 310)

ლოიალური დამოკიდებულება „სხვა-და-სხვა თესლის და სხვა-და-სხვა სარწმუნოების ერებისადმი“ გამარჯვებული ქვეყნის მეფისაგან კეთილშობილებაც იყო და გონივრულობაც. კეთილშობილება იმიტომ, რომ პატივს სცემდა სარწმუნოებაში სხვის თავისუფალ არჩევანს და გონივრულობა იმიტომ, რომ ძლიერი ხელისუფალის ამგვარი საქციელი მტერს გულს ულბობდა და ბოროტებისაგან განაიარადებდა.

XII საუცუნეში, ქვეყნის სიძლიერის გამო, ქართველი კაცი ნაკლებად იდგა სარწმუნოების შერყევის საშიშროების ქვეშ. არც მაჰმადიანობა და არც გრიგორიანელობა ამ პერიოდის საქართველოში საშიშ ძალას არ წარმოადგენდა; ამდენად, მეფის მიერ მათდამი შემწყნარებლური დამოკიდებულება მის თანამემამულებს საცდურს ვერ დაუგებდა.

დავით აღმაშენებლის საქციელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა მართოს გამარჯვებულმა ხელისუფალმა ქვეყანა, რომელშიც სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები ცხოვობენ. ამ ლოიალობით, როგორც ვხედავთ, დავითმა მართლაც მიაღწია მიზანს, რადგან სხვა ერის ისტორიკოსები მას პირსისხლიან დიქტატორად კი არ მოიხსენებენ, არამედ „ყოველთა შემწყნარებლად“.

უცხოელი ავტორების თხზულებებიდან იღიას მიერ ამ ამონარიდების მოყვანა ერთგვარი უკმარისობის გრძნობას იწვევს, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღვიქვათ მის სარწმუნოებრივ მერყეობად; არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ან წმინდა დავით მეფეს მიაწერს რელიგიურ შემგუებლობას ან თავად არის ასეთი.

„არა სადა გეცრუვნეთ შენ, სიწმიდითა მშობელო ჩემო კათოლიკ ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩვენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ, ვინაითგან შემეცნებასა შენსა ღირსქმნილ ვართ – მოწამე არს ჭეშმარიტება“ – ვკითხულობთ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერაში და ეს იყო დავით აღმაშენებლის ცხოვრების ქვაკუთხედი!

თავად ილია კი, როგორც ერთ-ერთ თავის წერილში წერდა, თვლიდა, რომ „სარწმუნოება, რომლის დიდი ნასკვი ადამიანის სულიერ წიაღშია, ორთვალა და ორგულა ვერ იქნება... ვერც თვალს და ვერც გულს ორად ვერ გაჰყოფს... როგორც ორსახე ჭეშმარიტებაა შეუძლებელი, ისე ორსახე სარწმუნოებაც. იგი ერთადერთია ერთის გულში, ან სულ არ არის.“ (ჭავჭავაძე 11957: 191). ეს ერთადერთი სარწმუნოება, რომელიც მას გულში ჰქონდა, მართლმადიდებლობა იყო.

დაგით მეფისადმი მიძღვნილი წერილის ანალიზისა და შეფასებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რა დროსა და ვითარებაში იწერებოდა იგი და რა მნიშვნელობა ჰქონდა შემწყნარებლობის თემის აქცენტირებას:

საქართველოსთან ახლადშემოერთებული იყო მესხეთის მირგველი ქართული ტერიტორია (1878 წელს, 13 ივლისის ბერლინის ტრაქტატის მიხედვით, საქართველოს შემოუერთდა შემდეგი ოლქები: აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა, არტანი და ოლთისი (საქ. ისტორიის ნარკვევები 1970: 451). მუსულმანი ქართველები ამ ფაქტს დიდი სიფრთისილითა და შიშით უყურებდნენ. ილია ათეული წლების განმავლობაში თავისი პუბლიცისტური წერილებითა თუ საჯარო გამოსვლებით ცდილობდა ამ საკითხს ძალიან ფაქტად მიდგომოდა. 1877 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა რამდენიმე წერილი სათაურით „ოსმალოს საქართველო“, სხვა წლებშიც არაერთხელ შეხებია მუსულმანი მესხების პრობლემას (გაზ. „ივერია“ №88, 1888 წ.) „სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს, – წერდა ის 1877 წელს გაზ. „ივერიის“ №9-ში, – ქართველმა თავისის სარწმუნოებისთვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომ ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვის სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა.“ ჯერ კიდევ ამ ოლქების შემოერთებამდე ნატრობდა ის: „ოდონდ მოვიდეს ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კვლავ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს“...

ილია ამ საკითხს ასევე ფრთხილად ეკიდებოდა რუსეთ-ოსმალეთის ზავის შედეგად ამ ოლქების შემოერთების შემდეგ. 1886 წელს წერილში – „სერბიის განსაცდელი“ კვლავ უსვამს ხაზს იმას, რომ სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა არ შეუშლიდა ხელს მუსულმან და მართლმადიდებელ ქართველთა ძმობის აღდგენას.

მწერალი დავით აღმაშენებლის მეჩეთში შესვლის ამბით, შესაძლოა, ისტორიულად დაჩაგრულ, ხანგრძლივი დროის მანძილზე სამშობლოს მოწყვეტილი თანამემამულეების ტკივილსაც ეხმიანებოდა და შიშს უფანტავდა.

მეორე, და, ამასთანავე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო ისიც, რომ ძლიერი ქართველი მეფის ყველანაირი სარწმუნოებისადმი შემწყნარებლობის ჩვენებით, ილია ირიბად საყვედურობდა მართლმადიდებელ რუსეთს, რომელმაც კეთილგანწყობითა და ერთმორწმუნეობის საფარველით დაამონა ჩვენი ქვეყანა, გააუქმა მირონცხებული მეფობა და ეკლესიის ავტოკეფალია, გაძარცვა და გააპარტახა ეკლესია-მონასტრები, ხელი მიჰყო ჩაგვრას, ქართველთა გარდაქმნას და ეროვნულ გადაგვარებას, ერთი სიტყვით – გარუსებას.

ეს იყო ილიას თანამედროვე ეპოქისა და თავად მწერლის მუდმივი სატკივარი. პერიოდულ პრესაში დაბეჭდილ პუბლიკაციებსა (70-80-იანი წწ. „შინაური მიმოხილვები“) თუ პირად წერილებში იგი არა ერთხელ შეპხებია რუს ხელისუფალთაგან თუ სასულიერო იერარქთაგან ერის ჩაგვრა-შეურაცხყოფის ფაქტებს, კანონის წინაშე ქართველთა აღმაშფოთებელ უთანასწორობას რუსებთან შედარებით, დისკრიმინაციას, ეროვნული გადაგვარების საფრთხეს, რომელიც განსაკუთრებული სიმძაფრით XIX საუკუნეში დაუდგა ქვეყანას. მწერალი გმობდა რუსი ჩინოვნიკების მიერ გატარებულ გარუსების პოლიტიკას და მას დვთის განგებულების წინააღმდეგ სვლად მიიჩნევდა.

ამ ტკივილითაა გაჯერებული ილია ჭავჭავაძის პირადი წერილი თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ, ეპისკოპოს სერაფიმესადმი, სადაც იგი ხაზს უსვამს, თუ რაოდენ დამაბრკოლებელი და დამდუპველია ძლიერი იმპერიის დაუნდობლობა და შეუწყნარებლობა დაპყრობილი, სუსტი ერებისადმი. ილია თვლის, რომ „სხვადასხვაგვაროვანი ნაწილების გამაერთიანებელი საწყისი უნდა იყოს „არა შიში და ძალადობა, არამედ სიყვარული და თანაგრძნობა“ (ჭავჭავაძე №432).

დავით აღმაშენებლის მიერ სხვა ერის ქვეშევრდომებისადმი გამოვლენილი სიყვარულისა და თანაგრძნობის ჩვენებით ილიამ, თითქოს, ამხილა იმპერიალისტური რუსეთის ძალადობრივი და დამდუპველი პოლიტიკა.

ილია ჭავჭავაძე ახდენს-რა დავით აღმაშენებლის, როგორც მეფისა და დიდი პიროვნების ღვაწლის განზოგადებას და შეფასებას, მიიჩნევს, რომ რამდენადაც ხშირია ასეთ დიდბუნებოვან კაცთა არსებობის მაგალითი

„რომელსამე ერის ისტორიაში, მით უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლებლობის აწყვისათვის“, ამიტომ ფიქრობს, რომ „ამისთანა მომქმედნი... დაუგიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა პსურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი“

მისეული წერილებიც, მიძღვნილი დიდებული მეფის ხსოვნის დღისადმი, ამ მიზანს ემსახურებოდა.

ქართველ წმინდანთა შორის ბრწყინავს თამარ მეფის კურთხეული და ნათელი სახე. მწერალი თამარს ქართველთა დედად და მშობლად სახავს. მისი მოთხოვნის „გლახის ნაამბობის“ მოქმედი გმირი, მღვდელი ასე აფასებს თამარის ეპოქას: „მზეს თუ ოდესმე საქართველო გაუნათებია და გაუთბია, იმის დროს ყოფილა, სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია, გულს სიმტკიცე, მკლავს სიმაგრე, ეგ დალოცვილის მეფის თამარის დედობის დროს მომხდარა!..

ის დედა იყო, ჩვენ შვილები... დედაკაცი იყო, კურთხეულ არს სახელი მისი! – და დედაბობად კი შეექმნა ჩვენს ქვეყანას!“ (ჭავჭავაძე 1988: 161)

მართალია, ამას ამბობს ეპიკური ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი, მაგრამ როგორც ლირიკული თხზულებებიდან ირკვევა, ასეთია თვით მწერლის აზრიც.

პოემა „აჩრდილის“ ადრეულ ვარიანტშიც შექებულია თამარ მეფე. „ქართველთ დიდება, ქართველთ სახელი“ და ადწერილია მისი ღვაწლი კავკასიის ხალხთა შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეში:

...

„თამარო დიდო! ველურ ხალხშია

პირველ დათესე ქრისტისა მცნება“

(ჭავჭავაძე 1987: 463)

თამარ მეფის მეოხებით მთიელი წარმართები ეზიარნენ წმინდა, ღვთიურ ჭეშმარიტებას, მშვიდობის, სიყვარულის, ერთობისა და მმობის მქადაგებელ მოძღვრებას, რამაც შეცვალა მათი ცხოვრების წესი და მიუვალ ხეობებში, სადაც ადრე „ძმა ძმას ებრძოდა“, თამარის დროს და მას შემდეგაც კარგა ხანს, ქრისტიანული ლოცვა ისმოდა.

„აჩრდილის“ ამავე ვარიანტში (თავი XXX) ისმის ავტორის გულისტკივილი აწ უკვე „მტვრად გარდაქმნილი“, „თავის დენაში შეუენებული“ ახოვანი ცხოვრებისა და ერის მდგომარეობის გამო:

...

„ნუთუ ეს ხალხი რომელთ დაპბადეს  
დავით, დიმიტრი, დიდი თამარი

„ნუთუ ეს ხალხი აღარა აღზდგეს?“

ამაღლებულსა და დაცემულს შორის კონტრასტის საჩვენებლად, დავითისა და დიმიტრის გვერდით, თან ფრაზის ბოლოში, კულმინაციურ ადგილას თამარს იხსენიებს.

თამარის ხატება ასევე იკვეთება ლექსში „ბაზალეთის ტბა“, რომელიც ხალხური თქმულების საფუძველზეა შექმნილი. ტბის ფსკერზე, დაუმჭკნარი წალკოტის შუაგულში, თამარ მეფის მიერ ოქროს აკვნის ჩადგმა ლეგენდებში არ გვხვდება, ის მთლიანად ილიას ჩანაფიქრია. ამით მწერალი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ისტორიის კონკრეტულ მონაკვეთზე და გამოხატავს თავის დამოკიდებულებას მისდამი. ილიას განსაკუთრებით ეძვირფასება თამარის ეპოქა, დედოფლის ხელით ტბის ფსკერზე ჩადგმული აკვანი – მონატრებაა წარსული დიდებისა, აკვანში მწოდიარე ყრმა ერის სულიერი ადდგომა-განახლების სიმბოლოდ არის მოაზრებული, მადლით ცხებული საზრდო, რომლითაც უნდა აღზარდოს „სახელდებულმა დედამ“ ყრმა – ქრისტიანული მოძღვრებაა, ერთადერთი გზა და პირობა ერის ხსნისა და აღორძინებისათვის.

მიუხედავად გულსაკლავი რეალობისა, ილია მუდამ დვთის მსახოებელი იყო და ქვეყნის ხსნის იმედს მის ისტორიულ წიაღში არსებულ დიდბუნებოვან გმირთა და წმინდანთა სიმრავლის გამო, უფლის ყოვლადმოწყალებასთან ერთად ერის პოტენციურ შესაძლებლობებზეც ამყარებდა.

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ისტორიული პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“, სადაც ქვეყნისათვის თავგანწირული გმირის, წმინდა მეფის სახეა წარმოჩენილი (ჭავჭავაძე 1987: 228).

XIII საუკუნეში ისტორიულმა ბედუკულმართობამ ქართველთა მეფე დიმიტრი სასტიკი არჩევანის წინაშე დაყენა: ან ურდოში უნდა ხლებოდა დამპყრობელს და სასჯელი მიეღო, ან არა და მტერს უნდა შებმოდა უთანასწორო ბრძოლაში, რასაც უამრავი მსხვერპლი მოჰყვებოდა.

„წავალ – მომკლავს და არ წავალ –

ამიოხერებს ქვეყანასა“, — ფიქრობდა მეფე და ჰერიავდა იმის წარმოდგენაც კი, რომ მრავალ სისასტიკესთან ერთად გაბოროტებული მომხვდური „საყდრებსა და მონასტრებსა

„დააქცევს, მიანგ-მოანგრევს,  
ხატებს, მამათ სალოცავსა  
წამურტლავს და შეგვიგინებს“

მეფე დიმიტრიმ დარბაზი მოიწვია სათათბიროდ, რჩევას დაეკითხა დიდებულებს, სპასალარსა და ქვეშევრდომებს. გვირგვინოსანს გაცნობიერებული პქონდა მეფობის წესი და რიგი, თავისი მოვალეობა და ამის გამო უდიდესს პასუხისმგებლობას გრძნობდა. მიუხედავად დარბაზის სასტიკი წინააღმდეგობისა, დიმიტრიმ კისრად იდო „მძიმე საზღაური“ მეფობისა და გადაწყვიტა, თავისი სიცოცხლე საკუთარი ნებითვე შეეწირა ერისათვის:

. . .

„რაც მომივა, მომივიდეს  
მე იმისთვის არ ვინალვლო,  
თქვენ ჭირს დაგხსნით... დეა, ვიქმნე  
თქვენი ჭირის სანაცვალო“

დიმიტრი თავგანწირვისა და მოყვასისათვის თავდადებისათვის მხოლოდ თვალცრემლიანმა მდგდელმთავარმა აკურთხა:

„ვსტირ და გირჩევ დვოის სახელით  
ხორცი დასთმო სულისათვის,  
უკვდავება არ დაჰკარგო  
წუთის-სოფლის გულისათვის!“

მეფემ მზაობა გამოთქვა მსხვერპლითი მსახურებისათვის და შეუდგა გოლგოთის გზას. მას თვალწინ ედგა მაცხოვრის კაცთათვის თავდადების მაგალითი და ამით ძალმოცემული ევედრებოდა ყოვლისშემძლე უფალს:

„ვით ძირ ყველა, ისე ჩემით,  
ერი ჩემი დაიხსენი“

პოემის ფინალში, სიკვდილით დასჯის სცენის წინ, ავტორი ყურადღებას ამახვილებს მეფის შინაგან ბრძოლაზე, სულიერ წინააღმდეგობაზე: სასიკვდილო განაჩენის მომლოდინე, ნაცემ-ნაგვემი და ნაწამები მეფე, ქვეშევრდომთა შეძრწუნებული სახეების დანახვისას ჯალათის წინაშე შეკრთება, როგორც ყველა ხორციელი, მოაგონდება სახლი, კარი, ქვეყანა და თვისი ერი, თითქოს გატყდება კიდეც, მაგრამ წამიერ სისუსტეს ხორცისას კვლავ მისი სულის სიმტკიცე სძლებს და ვაჟკაცურად მიეგებება სიკვდილს.

„ეჰა, გატყდა რკინის გული,  
 მეფე მაგითი იძლია!  
 ამას კი ვედარ გაუძლო,  
 აქ კი ხორცმა სულსა სძლია!...  
 მობრუნდა და ორსავ თვალზე  
 ავნესით ხელი მიიფარა...  
 ვეზირს უთხრა: – „დამისევნი!...  
 რაც გადამხდა, ისიც კმარა!...  
 სთქვა და თქმული თვით შევზარდა...  
 სახელი არ წაიხდინა...  
 – „პა ჯალათო!“ – დაიძახა  
 და კისერი გაიწვდინა“

(ჭავჭავაძე 1987: 254)

სიცოცხლის ბოლო წუთებში „ხორციელი გულისთქმისა და სულიერი სიმტკიცის საოცრად შთამბეჭდავი ჭიდილის ჩვენებით ავტორმა საუკეთესოდ წარმოაჩინა მეფის მოქმედების – მისი არჩევანის სირთულეც და მნიშვნელობაც. სამშობლოს სიყვარულს აქ საფუძვლად უდევს მოყვასის სიყვარული, სარწმუნოებრივი მოვალეობა ერის წინაშე და ქრისტიანული ზნეობა. მეფის სიტყვებში: „ვით ძით ყველა, ისე ჩემით ერი ჩემი დაისევნი“, ჩანს ზრუნვა მშობელი ქვეყნის, საკუთარი ხალხის არა მხოლოდ ხორციელ გადარჩენაზე, არამედ მათი სულის ხსნაზედაც.

ძე ღვთისამ კაცობრიობა დაიხსნა სწორედ სულიერი სიკვდილისაგან. ამასვე შეეწირა ტარიგად ჩვენი ერის პატიოსანი მწყემსიც – თავდადებულად წოდებული მეფე დიმიტრი. მან ერს სწორედ სულისათვის ხორცის გაწირვის მაგალითი მისცა“ (ნინიძე 1997: 50).

ნებისმიერი თხზულების წაკითხვის შემდეგ ადამიანს უჩნდება კითხვა, რამდენად აქტუალურია ნაწარმოებში დასმული პრობლემა იმ პერიოდისათვის. პოემის გამოსვლისთანავე საზოგადოებაში გაჩენილი რეაქცია მოწმობს, (იხ. გ. თუმანიშვილის, ს. ხუნდაძის წერილებში) თუ რაოდენ დაშორებული იყო იმდროინდელი ქართველობა წმინდა მეფის დირსებებს (ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში 1957: 239) და რაოდენ საჭირო იყო მისთვის ამ მაგალითის შეხსენება.

ავტორის ჩანაფიქრს სწორად ხედავდა ალექსანდრე ხახანაშვილი, რომელიც წერდა: „წარსულის დიდებული სურათის დახატვით (ილია) ცდილობს ჩაუნერგოს საზოგადოებას სიყვარული მამულისადმი და სულით გამხნევება იმ დროს, როდესაც საქვეყნო საქმისათვის სამსახური ათვალისწუნებული და მივიწყებული იყო“ (ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში 1957: 311).

გმირობას დიმიტრი მეფისას სიწმინდის შარავანდედი ადგას. მსხვერპლშეწირვის უნარი – იყო და არის გზა ხსნისა, ღირსეულ წინაპართაგან ქართველთათვის გაკვალული, ღვთიური მადლის მოსაპოვებლად და დაცემული ვინაობის აღსადგენად.

ერთ-ერთ გამორჩეულ მეფესა და წმინდანს, ლუარსაბს უძღვნის ილია ჭავჭავაძე მოსახსენებელ დღისათვის მიძღვნილ წერილს 1886 წლის 21 ივნისს (ჭავჭავაძე 1957: 186)

ქართლის მეფე ლუარსაბი მოტყუებით ტყვედ ჩაიგდო შაპ-აბასმა და ქრისტეს რჯულის უარყოფა შესთავაზა. შორს დაიჭირა მეფემ თავი, „მეუფისა და ღვთისა მიერ ჩემისა ნათელ-მიღებიეს და მის მიმართ დამიძს სასოება ჩემი და თვინიერ მისსა სხვა დმერთი არავინ ვიციო“ (ჭავჭავაძე 1957: 186).

ხელ-ფეხ-შეკრული მეფე შვიდი წელიწადი დამწყვდეული პყავდათ ციხეში და ცდილობდნენ, გაემაჰმადიანებინათ, მაგრამ ვერ შეძლეს.

რა ნახა შაპ-აბასმა სიმტკიცე ლუარსაბ მეფისა და ვეღარა გააწყო-რა, ბრძანა სიკვდილი მისი. მეფემ ღვთისმშობლის ხატს შეავედრა თავისი სული, ითხოვა დედა-ღვთისაგან შეწევნა წამების მძიმე წუთებში და მეოხება სიკვდილის შემდგომ: „შენ მომეც შეწევნა წამებასა ჩემისა ამის და შემრთვ წმიდათა მოწამეთა შენთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა, ძესა და წმიდასა სულსა“

ჯალათებმა მშვილდის საბეჭით დაახრჩვეს მეფე 1622 წლის 21 ივნისს. ილია ჭავჭავაძე ლუარსაბის ღვაწლს განაზოგადებს რწმენის ხარისხზე და სარწმუნოებრივ სიმტკიცეზე მსჯელობით: „მხოლოდ დიდ- ბუნებიანთა კაცოა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და მას ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება და, თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თვისიცა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უღირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე“.

მეფე ლუარსაბი გმირია, რომელმაც თქვა: „რა მადლია თავი გადავირჩინო და ჩემი ქვეყანა მტერს ავაოხებინო“... და წამებულის გვირგვინით შეიმოსა სახელოვანი თავი. სიმართლისათვის ჯვარცმის უნარი გამორჩეულ და დიდბუნებოვან კაცთა თვისებაა, თუმცა საქართველოს ისტორიაში ასეთი ადამიანები იშვიათობას არ წარმოადგენდენ; ამიტომაც მოიაზრებდა ილია ქართველი ერის ისტორიას, როგორც დიდბულ ტაძარს, „საცა უწირავს ერთიან სულს ერისას და ადუმართავს ერს თავის დიდბუნებოვან კაცთა უწმინდესი ხატნი და ზედ წაუწერია დიდთა საქმეთა მოთხოვბა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი“ (ჭავჭავაძე 1957: 203)

ამ ტაძარში არაერთხელ აღსრულებულა ქართველთაგან მაცხოვრის ანდერძი მოყვასისათვის თავდადებისა. „ერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანი სულის წირვა, ეგ თავის დიდბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, პგულოვანდება“. ამ დირსებათა პატრონი ერი, თუკი მას ახსოვს ისტორია, „არ დაუვარდება, არ დაუძაბუნდება არავითარ ზედმოსულს უბედურებასა და განსაცდელსა“, მუდამ თვალწინ იყოლიებს თავის სახელოვან კაცთა და მის მიბაძვას ცცდება, – წერდა ილია.

მაგრამ კიდევ გვინდა დავუბრუნდეთ იმ რეალობას, რომელშიც ეს ნაწარმოები იწერებოდა და იმ კონტრასტს, რომელიც მწერალმა წმინდა ლუარსაბ წამებულისა და მხტვრული პერსონაჟის ლუარსაბ თათქარიძის დაპირისპირებით შექმნა. ეს კონტრასტი კი აშკარად შეგნებულად იყო მოფიქრებული, რადგან მოთხოვბის პირველ ვარიანტში ლუარსაბის მეუღლეს ქეთვანი ერქვა – ქართველთა სათაყვანებელი, დიდმოწამე დედოფლის სახელი. ლუარსაბი და მისი მეუღლე სახელოვან წინაპართაგან განსხვავებით სარწმუნოების მხოლოდ სიტყვით მაღიარებელნი არიან და არა საქმით. ისინი მთლიანად ხორციელ ცხოვრებაზე და ხორციელ საზრუნავზე არიან ორიენტირებულნი და მოკლებულ არიან სულის საოხად ხორცის მსხვერპლად შეწირვის უნარს, ეს პარალელი, რომელიც ერთი შეხედვით, შეიძლება უხერხელი მოგვეჩენოს, დიდი შინაარსისა და ტკიფილის მატარებელია...

ილია ჭავჭავაძეს წმინდა გიორგისადმი სპეციალური პუბლიცისტური წერილი არ მიუძღვნია, მაგრამ მისდამი და გიორგობის დღესასწაულისადმი მწერლის დამოკიდებულება სრულყოფილად ჩანს მის ერთ მინაწერში, რომელიც რვეულის გარეკანზე გაუკეთებია „გიორგობა! გიორგობა! გიორგობა!“

მხატვრულ პროზაში კი წმინდა გიორგის ცხოვრების სემინისტენციები ვრცლად არის განხილული მარიამ ნინიძის წიგნში „მხატვრულ სახეთა სისტემა და რელიგიური დისკურსი „ოთარაანთ ქვრივში” (ნინიძე 2005).

გარდა იმისა, რომ ილიამ არა ერთი წერილი და მხატვრული ნაწარმოები მიუძღვნა უკვე წმინდანად შერაცხილ თანამემამულებს, მას ის საოცარი ნიჭიც აღმოაჩნდა, რომ თავის თანამედროვე ლირსეულ ადამიანებშიც – დაქნახა ის ლირსებები, სულისკვეთება და ქრისტიანული სათხოებები, რომელსაც ადამიანები უფალთან მიჰყავს და წარუვალი გვირგვინით მოსავს.

ასეთები იყვნენ იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), რომლებიც ქართულმა ეკლესიამ გამორჩეული ლვაწლმოსილების გამო წმინდანებად შერაცხა.

უდიდესი სითბოთი, სიყვარულითა და გულისტკივილითაა გაჯერებული ილია ჭავჭავაძის სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს (1896წ.).

მწერალი განსვენებული მღვდელმთავრის ცხოვრების თითეულ წამს მოძღვრებას უწოდებს, ხოლო მთელს მის ცხოვრებას – სკოლას „მაღალ სათხოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა“

გაბრიელ ეპისკოპოსის აღმატებულებას, გამორჩეულობასა და მნიშვნელობას სხვათა მრავალთა სამღვდელოთა თუ საეროთა შორის ილია ხსნიდა იმ განსაკუთრებული თვისებით, რასაც მეცნიერებისა და სარწმუნოების ერთმანეთში მორიგება და მოთავსება ერქვა: „განსვენებული ღრმად მიწევნილი მეცნიერი იყო და იმდენადვე ღრმად მორწმუნეცა... ეს იყო ის, რას ბევრსა პგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა... იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა... ეს არის ის, რასც სიბრძნეს ეძახიან და რის გარეთ მსახურება თვისი მსახურებად არ მიაჩნდა, ლვაწლი ლვაწლად, მადლი მადლად“. (ჭავჭავაძე 1955: 252)

ილია ქებათა-ქებას უძღვნის მღვდელმთავარს, რომლის ბაგითაც ღმერთი მეტყველებდა, რომლის მადლიანი და მაკურთხეველი მარჯვენაც მუდამ გაწვდილი იყო დავრდომილთა შემწეობისა და დაცემულის აღდგენისათვის, რომელიც ქრისტეს ჯვრით ხელში თავგამეტებით იდგა ჩვენი ენის მწედ და მფარველად.

ამ საოცარ ადამიანს სიბრძნესთან ერთად უამრავი სიკეთე ჰქონდა მომადლებული დგომისაგან. ილია ამბობდა: „თუ დიდები სანატრელია, ამა, ისწავენ გზანი დიდების შოვნისანი!“ და მიაჩნდა, რომ „დიდხანს და დიდხანს იქნებიან საქმენი მისნი ჩვენდა საოხად“.

მეორე დირსეული ადამიანი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ერის გაჯანსაღებაში, იყო ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე.

1898 წელს გაზ. „ცნობის ფურცელში“ ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა „სიტყვა მიმართული ეპისკოპოს ალექსანდრესადმი,“ სადაც ის წუხილს გამოოქვამდა ზნეობრივი ფასეულობებისაგან გაძარცვული, დაცემული ყოფის გამო: „უდონობა ქვეყნისა მარტო უფულობა და უქონლობა კი არ არის, როგორც ახლა ბევრსა პგონია, არამედ უფრო ისა, როცა სათხოებანი, კეთილმომქმედი, მაღალ-ზნეობის კაცი არა პყავს. სიმაგრე ქვეყნისა, ქვეყნის ძალ-დონე, ერის შემნახველი და გამდიდებელი ქვითკირი ადამიანის ცხოვრებისა მარტო სათხოებაა და სათხოებანი კაცი პქმნის წუთისოფელს ტაძრად, სადაც დმერთს ადიდებენ, და სამოთხედ, საცა ბედნიერება ადამიანსა პსადგურობს“.

წერილის ავტორი ეპისკოპოსის ცხოვრებას სათხოების მაგალითად მიიჩნევს: „თქვენი სიცოცხლე მთელი განუწყვეტელი სათხოებაა, სათხოება რომლის მაგალითს მარტო იმ მადლით ცხებულ მღვდელ-მონაზვნებს შორის ვპოულობთ, რომელიც ერთს დროს ყოფილან ჩვენში ჩვენდა საბედნიეროდ და ეხლა, ჩვენდა საუბედუროდ აღარ არიან“

ილიას თანამედროვე, XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს ცნობილი მღვდელმთავარი, ალექსანდრე ოქროპირიძე ჯერ აფხაზეთის, შემდეგ გურია-სამეგრელოს გაერთიანებული ეპარქიების ეპისკოპოსი იყო; ის აფხაზეთის მეორე მოციქულად იქნა სახელდებული და ენიო აღუწერელი ღვწლი მიუძღვის საქართველოში ქრისტიანობის დაცვა-გავრცელების საქმეში. მისი ძალისხმევით აფხაზეთში ჩამოსახლებული ჩრდილო-კავკასიელი მაპმადიანი მოსახლეობა, რომელიც ძირძველ ქართულ მიწა-წყალზე დამკვიდრდა, XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის გაქრისტიანდა, რაც უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო როგორც რელიგიური, ასევე ეროვნული თვალსაზრისით.

ილია ჭავჭავაძე გამოარჩევს-რა, მღვდელმთავრის დგაწლსა და სამსახურს, რომელიც „ღმერთს დმრთისას აძლევდა და ქვეყანას ქვეყნისას“, ასე მიმართავს მას: „თქვენ აღგვიდგინეთ ჩვენი დავიწყებულნი წმინდანნი შიო მღვიმელი და იოანე ზედაზნელი ... თქვენ გწამთ, რომ ადამიანის მხსნელი მისი რჯული და

სარწმუნოებაა და ამ გზაზე დვაწლ-მოსილობისათვის არა დაგიზოგიათ-რა. ამისდა მოწმად თქვენს მიერ აღდგენილი მონასტრებია, ეს ნაშთი ჩვენის სულიერად ზე-ადსავლობისა... თქვენი მადლით ცხებული მარჯვენა ყვალგან მიიგიწვდენიათ, საცა კი თქვენის ქვეყნის, თქვენი ერის საკეთილოდ საქმე რამ აჩენილა. არ არის არც ერთი საერთო საქველმოქმედო საქმე ქართველობისა, რომ თქვენი უხვი წვლილი არ ერიოს, თქვენი ლოცვა-კურთხევა წინ არ უძღვდეს, თავს არ დასტრიალებდეს“...

წერილის ამ მონაკვეთში ავტორი სრულყოფილად უყრის თავს ამ უდიდესი მოღვაწის, უსათნოების ადამიანისა და გამოჩენილი მღვდელმთავრის დამსახურებას დვთისა და ქვეყნის წინაშე: „ქვეყანას ემსახურებოდით დმრთისათვის და დმერთს ადიდებდით ქვეყნისათვის, რადგან დმერთი არის სიყვარული და სიყვარული მხსნელია ქვეყნისა“.

სამწუხაროდ, მეუფე ალექსანდრეს სამსახური შეუმჩნეველი არ დარჩენია რუსეთის შოვინისტურად განწყობილ სამღვდელოებასაც. XX საუკუნის დასაწყისისათვის ის სამწყსოს ჩამოაშორეს, ფაქტიურად ეპარქიიდან გააძევეს და იძულებული გახადეს, მის მიერ აღდგენილ შიო-მღვიმის მონასტერს შეკედლებოდა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იმყოფებოდა და მონასტრის ტერიტორიას მხოლოდ ერთხელ, თავისი სულიერი შვილის, ილია ჭავჭავაძის დასაფლავებისას განეშორა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ 2007 წელს კიდევ ერთი გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ილიას თანამედროვე და თანამებრძოლი, დიმიტრი ყიფიანი შეირაცხა წმინდანად.

დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების არაერთ მნიშვნელოვან მოვლენასა თუ პროცესთან.

1886 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის ლექტორის ჩუდეცის მკვლელობისათვის ეგზარქოსმა პავლემ (ლებედევი) ქართველი ერი ამბიონიდან დასწუევლა. ამის გამო დიმიტრი ყიფიანმა ეგზარქოსს დეპეშა გაუგზავნა, სადაც შეუვალი პირდაპირობით სთხოვა ქვეყნის დატოვება: „თქვენი დირსების გადარჩენა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ შერცხვენილი დაუყოვნებლივ განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდამ“.

ამის გამო დიმიტრი ყიფიანი თანამდებობიდან გადააყენეს და სტავროპოლში გადასახლეს, სადაც, იმავე წელს, ვერაგულად მოკლეს.

1887 წლის 30 ოქტომბერს ილია ჭავჭავაძე გაზეთ „ივერიაში“ დ. ყიფიანის შესახებ წერდა: „იგი იყო გულთასრული კაცი. . . იგი იყო კაცი დიდ-ხასიათისა . . . იგი იყო კაცი, რომელსაც ცხოვრების საგზლად ერთი საჭირნახულო მცნება ჰქონდა:

„სჯობს ტყუილით ქვე ყოფნასა,  
ზე სიმართლით ავიბარგო“

(ჭავჭავაძე 1991: 394)

ილიამ დიმიტრი ყიფიანის ლგაწლსა და ცხოვრების მაგალითზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა მადლისმქმნელი პიროვნების კონცეფცია: „ყოველი კაცი ბედნიერებისთვის იღწვის, მაგრამ ყოველ კაცს მიჩნეული არა აქვს თავის საკუთარ ბედნიერებად სხვისი ბედნიერება. . . . ამ გაერთებისთვის დიდი ხიდის გადებაა საჭირო და ამას დიდი დონე უნდა სულისა, დიდი შეძლება გულისა და ყველა კაცს არ მოეკითხება. . . .

ეს ისეთი ძნელი გასადები ხიდია, ეს ისეთი მძიმე და ეკლიანი გზაა, რომ თითოეული ბიჯი ლგაწლია და მსხვერპლი, და რადგანაც ლგაწლია, რადგანაც სხვერპლია, ამიტომაც მადლია, და რადგანაც მადლია, ამიტომაც გულთა მიმზიდველია, გამმსჭვალავია გაოცებამდე, გაკვირვებამდე. ამისთანა კაცი მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმაც კი ჰგრძნობს, თუმცა არა ჰხედავს. . .

როცა ამისთანა კაცი სამუდამოდ მიდის, თითქო ჩემი და თქვენი წილხვდომილი სინათლე მზისა თან მიაქვსო, თითქო თითოეული ჩვენთვანი ჰგრძნობს, რომ თან ჩემი, თქვენი ნაწილი, ჩემი, თქვენი ბედნიერება წაიღო“.

(ჭავჭავაძე 1991: 398)

დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაში თითქმის მთელმა საჭართველომ მიიღო მონაწილეობა. ის გოლოვინის პროსპექტზე, მეფისნაცვლის სასახლესთან ხალხმრავალ საპროტესტო დემონსტრაციაში გადაიზარდა. მასში მონაწილეობას ღებულობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები. სამგლოვიარო პროცესიამ, რომელსაც წინ მიუძღვდა ქართველი სამღვდელოება ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე) წინამდოღობით, გაარღვია უანდარმერიის კორდონი და მამადავითის კალთას მიაბარა სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილის ნეშთი.

კეთილმორწმუნე და ქვეყნისმოყვარე წინაპართა ხსოვნა და ერისათვის მათი ლგაწლის შეხსენება არის ერთ-ერთი გზა წარსულ სულიერ სიმაღლეებთან მიახლებისა და კავშირის აღდგენისა.

წმინდანთა ღვაწლისადმი მიძღვნილი პუბლიცისტური წერილები და  
მხატვრული თხზულებები ორგანული ნაწილია ჭავჭავაძის დრმად სულიერი  
შემოქმედებისა, რომლის საფუძვლიანი გაცნობით, ცხოვრებასა და  
მოღვაწეობაზე დაყრდნობით, იქმნება კიდევ ერთი წმინდანის სახე – თავად  
ავტორისა.

## თავი II. უფლის „ქმნილებათა გვირგვინი“

### ქრისტიანული ზნეობა

ქრისტიანის მთავარი საზრუნავი სულთე ზრუნვა, მისი განწმენდა-ამაღლებაა. ილია ჭავჭავაძის თქმით, ადამიანის სულიერი ამაღლება მჯიდრო კავშირშია ზნე-ხასიათის წვრთნასთან: „ზნე-ხასიათის წვრთნა ზრდაა შინაგანის კაცისა, თუ ეგრე ეთქმის. რადგანაც შინაგანობა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა, მისი სულიერი ბუნებაა, მაშასადამე წვრთნა ზნე-ხასიათისა ზრდაა, გარკვევაა მისის სულიერის ვინაობისა, სულიერის ბუნებისა, ანუ, უკეთ ვსოდეთ, მისის კაცობისა, ადამიანობისა.“ (ჭავჭავაძე 1955: 296)

ზნეობისა და სულის წვრთნა საჭიროა არა მარტო ცალკე ადამიანის გადარჩენისათვის, არამედ აუცილებელია მთელი ერის მერმისისათვის. ერთ-ერთ სარედაქციო წერილში ილია აღნიშნავს, რომ „ერს, რომელსაც დღეგრძელობა და მერმისი ჰსურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს: სათნოება დარგოს და ახაროს თავის გულში, თავის ოჯახში. ამისათვის საჭიროა ზნეობის ამაღლება და გაწმენდა.“ (გაზ. „ივერია“ 16 აპრილი, 1887წ.)

გამორჩეული ზნეობისა და განათლების ადამიანისაგან ილია განსაკუთრებით ბევრს ითხოვს – მუდმივ სიფხიზლეს, ლვაწლსა და დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას. მისი აზრით, ყოველი კეთილი საქმე აწყდება წინააღმდეგობას, მაგრამ მისმა მიმდევარმა ამის გამო ფარ-ხმალი არ უნდა დაყაროს, რადგან რჩეულთა ძალისხმევაზე ხშირად არის დამოკიდებული მათი მიმდევარი ერის, მათი მიმდევარი საზოგადოების ცხოვრების წესი: „ვინ უნდა გაუკაფოს გზა ცხოვრებისა აზრს, რწმენას, ჭეშმარიტებას, თუ არა იმათ, ვინც ამ აზრის, რწმენის, ჭეშმარიტების მქონებელი და მატარებელია. განა ამათგან ფრთების ჩამოყრა და საქმისაგან გაცლა საკადრისია, როცა ცხოვრება პირველ შეტევაზედ არ უთმობს ადგილსა და გზას! . . . ასეთი სუკლმოკლე და ხელმოკლე როდია გულითადი რწმენა, რომ თუ პირველ მისვლაზედ ვერ გაიტანა, დადუნდეს და უდონობის მშვილდი ძირს დადოს. ეგ იმისთანა უკანდაუხეველი დონეა, რომლის ძალითაც ადამიანის მნეობა და გამრჯელობა

ამოდენად პმატულობს, რამდენადაც უმაგრდება წინ ზღუდე მის მიერ გასარღვევი“ (ჭავჭავაძე 2006: 462).

ილიას პუბლიცისტიკაში გვხვდება ძალიან მოკლე, სხარტი დეფინიცია ქრისტიანულ-ზნეობრივი პრინციპებისა: „ქრისტიანობა მმობაა და ურთიერთის სიყვარული...“ „ქრისტე ღმერთი სდევნიდა მცემელს და ამხნევებდა გვემულს“ (ივერია 1897 №72).

თავისუფლების ცნებაც ილიასთან დათიურ ჭეშმარიტებასა და ამაღლებულ ზნეობას უკავშირდება. ბოროტის მკეთებელი ცოდვის ტყვეობაშია, სულიერად თავისუფალი ადამიანი კი ბორკილდადებულიც რომ იყოს, მაინც თავისუფალია.

მაცხოვარი ბრძანებს: „და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ. . . რამეთუ ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდვას, მონას არს იგი ცოდვისას“ (ახალი ადთქუმან 2003: იოვანე 8. 32-34).

თავისუფლების ჭეშმარიტ მნიშვნელობად მწერალი სიკეთის მორჩილებას მიიჩნევს. იგი წერს: „რა არის... ზნეობა-გაწვრთნილობა, რომ თავისუფლების ჭეშმარიტი მნიშვნელობა ვერ გამოარკვევინოს ადამიანსა, იმოდენა დონე არ მისცეს სულისა, რომ ადამიანი მის მადალ მნიშვნელობას არ ასწვდეს და ბოროტის ქმნის თავისუფლებას სიკეთის ყმობა არ არჩევინოს“ (ჭავჭავაძე 1996: 329) ან კიდევ: „თავისუფლება ადამიანისა სხვა არა არის რა, რომ ბოროტისათვის სრულიად შეკრული იყოს და სიკეთისათვის უხვად გზა-გახსნილი.“ (გაზ. „ივერია“ №74. 1887წ.).

ილია ჭავჭავაძისათვის დიდი სოციალური უფლების მქონე ადამიანიც არ არის თავისუფალი, თუ იგი ცოდვის მონას. გავიხსენოთ პოეტის სიტყვები „აჩრდილიდან“:

. . .  
„ ... ქვა არის ბატონის გული  
ვერ დაარბილებს მას შებრალება  
ვერა განჰკურნოს მან მონის წყლული,  
ვინც მონებას თვით ემორჩილება“

(ჭავჭავაძე 1987: 187)

დიდბუნებოვანი კაცის თვისებად ილია ასახელებს სულგრძელობას, ყოველთა შემწყნარებლობასა და მიმტეველობას. მისი თქმით: „მტრობა, ძულება,

ჯავრი, „შურისძიება შორს არის“ ასეთი ადამიანისაგან, „მისი ნათელი სული არ იკარებს იმ ჭუჭყსა, იმ უანგსა“ (ჭავჭავაძე 1987: 355).

ქრისტიანული ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხურია სინანული და აღსარება. მწერალი თვლის, რომ ქრისტიანი მუდამ უნდა ფიქრობდეს თავის ცოდვებზე. ყურადღებით უნდა ჩხრეპდეს არა მარტო საქციელს, არამედ გულის სიღრმესაც და თხრიდეს მასში სარეველებს – აღკვეთდეს უკეთურ საქმეებსა და ბოროტ გულისთქმებს.

ილიას თქმით, ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს „თავის წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ პსურს, ქრისტიანული წესი აღასრულოს და დრო სინანულისა ტყუილუბრალოდ არ გააქარწყლოს“ (ჭავჭავაძე 2005: 221).

მისი თანამედროვე საზოგადოების ცოდვა-მადლი მწერალმა არაერთ მხატვრულ გმირთა სახეში წარმოაჩინა. მაგრამ ზოგ ნაწარმოებში ერთგვარ კრებით პერსონაჟად გამოიყვანა თვითონ ხალხი – მასად ქცეული საზოგადოება, რომელიც მეტწილად გულგრილობასა და უსიყვარულობას ამჟღავნებს.

მოთხოვბის „სარჩობელაზედ“ მოქმედი გმირი, უმცროსი ძმა გულისტკივილით ამბობს: „გამოვედით ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედამიწაზედ უპუროდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, უთვისტომოდ. ჩვენ ყველასათვის უცხო ვიყავით, ყველანი – ჩვენთვის... პატარები ვიყავით. ყველა ხედავდა, რომ თვალნათლივ გვძარცვავდნენ, არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიდო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად“ (ჭავჭავაძე 1988: 236). ობოლი ძმების ცოდვა ამ ბრძოდ ქცეულ, გულგრილ საზოგადოებას აწევს კისერზე.

იმავე მოთხოვბაში ადამიანის ჩამოხრხობის მაყურებელი ადამიანების შესახებ, ამჯერად, უკვე თვით ავტორი ამბობს: „დაირღვა ხალხის გროვა, დაიშალა და გაიშალა მინდორზედ. ყველამ თავის სახლისაკენ გასწია სრულიად კმაყოფილმა, რომ ეს სამარცხვინო და გულის ამაზრზენი თამაშა პნახა“ (ჭავჭავაძე 1988: 233).

„ოთარაანთ ქვრივში“ ქვრივის ცხედართან თავშეყრილი ხალხი ფუსფუსებს და ქოთქოთებს ყურგამახვილებული, რომ რაიმე ახალი ჭორი გაიგონოს. ავტორის თქმით კი, ამდენ ხალხში დამტირებელი არავინ იყო, გული ჭეშმარიტად არავის შესტკიოდა: „გაიბა ლაპარაკი... მითქმა-მოთქმაში დავიწყებოდათ, რომ მკვდარს პატრონობა რამ უნდა. ყველას ის ეხარბებოდა, –

ერთი გავიგო, ვინ რას ამბობს, – და საცა ჯგუფს დაინახავდა, ან ლაპარაკის ხათხათს ყურს მოჰკრავდა, იქ გარბოდა და მიეშურებოდა“ (ჭავჭავაძე 1988: 312).

ქართული ანდაზა: „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო“ – ეს დამოკიდებულება, რომელიც ძალზე შორს არის ქრისტიანული ზნეობისაგან, მოყვასის სიყვარულისა და თავდადებისაგან, ილიას, როგორც ჩანს, მისი თანამედროვე საზოგადოების დამახასიათებელ თვისებად მიაჩნდა. სტატიაში „სოფლის უფროსის არჩევანი“ (1877წ.) ის წერდა: „გულგრილები ვართ სხვისი უბედურების დანახვაზედ, სხვისი ჭირი ჩვენს საკუთარ ჭირად არ მიგვაჩნია, დავიწყებული გვაქვს ურთიერთობის კავშირი, იმასა სცემენ – მე ხომ არაო, ვიძახით და ამით ვინუგეშებო ჩვენს გაქსუებულ თავსა“.

ბრბოდქცეული საზოგადოების ფენომენის შესწავლა ილიას მიზანი არ არის, მაგრამ მის ნაწერებში არაერთხელ შევხდებით გამოთქმას „ჩემო რაოო“? – და ამ მინიშნებით საზგასმულია საზოგადოების თვისება, რომლიც გულგრილობაში, სხვისი ჭირის გაუზიარობლობასა და შეუწყნარებლობაში მდგომარეობს.

ილიას აზრით, ყველა კეთილი საქმე დვთიური მადლითაა ცხებული. „გლახის ნაამბობის“ გმირს, მდვდელს, იგი ათქმევინებს, რომ მადალი ზნეობის ადამიანი ყოველთვის ფიქრობს არა საკუთარ თავზე, არამედ – მოყვასზე. „ხომ უნდა მოვკვდე დღესა თუ ხვალე, ის არა სჯობია დვთისა და ... კაცის სამსახურში ამომივიდეს სული ...“ (ჭავჭავაძე 1988: 171)

თვადადება, საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვა ქრისტიანისათვის უწმინდესი მოვალეობაა: „ყველაფერი საღმრთოა, ჩემო ძმაო, რაც კაცის გულს გაუთბია, თვითონ დამწვარა, ზღაპრისა არ იყოს, სანთელსავით და სხვისთვის კი გაუნათებია. კაცი ის არის ... რომელიც თავის გონების ნამუშევარს, გულის სიკეთეს ხიდად გასდებს, რომ თუ არ თვითონ, სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს. იმ ხიდს ზედ ამჩნევია დვთის მადლი, მაშინ ყველაფერი საღმრთოა“ (ჭავჭავაძე 1988: 161).

ამ აზრის გამოძახილს გპოულობთ პოემაშიც – „მეფე დიმიტრი თავდადებული“

...

„რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,  
რაც ვართ, ის ნუდარ ვიქნებით ...  
დმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც

გზად და ხიდად გავედებით.  
წინა კაცი უკანასი  
ხიდიაო, ნათქომია  
დღეის ვაგლახს ამით დასძლვს,  
ვინცა ხვალისა მდომია.  
ტყუილია სულთქმა, უში,  
კაცი უნდა კაცად იყვეს  
სანთელსავით თვით დაიწვას  
და სხვას კი გზას უნათვიდეს.“

(ჭავჭავაძე 1987:229)

ილიას აზრით, მის თანადროულ საზოგადოებას ძალიან აკლდა საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება და მოვალეობის გრძნობა. ეს თვისებები ქრისტიანულ სათნოებებში პირდაპირ დასახელებული არ არის, მაგრამ ადამიანის ხასიათის წვრთნას და სრულყოფას უწყობს ხელს. „გლახის ნაამბობში“ მდვდელი არიგებს გაბრიელს: „შენს საქმეზედ იყავ ბეჯითი, გულმოდგინე, ერთგული, რომ დმერთიც მადლობელი იყოს და კაციც: რასაც ვიკისრებთ, ის უნდა ავასრულოთ კიდეც... არა კაცი იმოდენა სიკეთეს არ მოგცემს, რამოდენადაც შენის ვალის ასრულება“ (ჭავჭავაძე 1988: 153).

საზოგადოების მიმართ მოვალეობის შესახებ ვრცლად არის ნათქვამი ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში. მოყვასის ინტერესებისადმი პატივისცემის და საზოგადოების წინაშე მოვალეობის გათვალისწინებით, ადამიანი, რომელიც სულიერების კანონს გადაუხვევს, არაფრად აგდებს და ბოროტად იყენებს თავის სიძლიერეს, ნადირივით იქცევა. ამგვარი საზოგადოება „შავის ტყის ნადირთა გროვას“ ემსგავსება, „საცა ვინც ძლიერია, მართალიც ის არის“ (ჭავჭავაძე 2006: 307).

ხშირად ადამიანები კმაყოფილდებიან იმით, რომ სხვაზე უკეთესები არიან. მათ ამგვარ დამოკიდებულებას ილია კრიტიკულად უყურებს, რადგან მისი აზრით, ის, ვისაც დმერთმა მოუწოდა „ვით მამა ზეცის იყავ შენც სრული,“ ორიენტაციას სხვა, მასსავით ცოდვილ ადამიანზე არ უნდა აკეთებდეს და არ უნდა კმაყოფილდებოდეს მარტო იმით, რომ „ჩვენ ვჯობივართ ჩვენზედ ცუდებს“. ეს აზრი სრულყოფილად არის ასახული ერთ-ერთ საახლწლო წერილში, სადაც ვკითხულობთ: მაცხოვარმა „აღამაღლა ღირსება და პატივი ადამიანისა იქამდე, სადამდინაც მის და მოსვლამდე ვერ მიმწვდარიყო ადამიანის შეშინებული

გონება და გაუდვიძებელი გრძნობა. „ვით მამა ზეცისა იყავ შენ სრულიო“ უმოძღვრა კაცს და ამით გვამცნო, რომ კაცი შემძლებელ არს აღსვლად დვთაების სისრულემდე. რაოდენი დიდებაა და პატივი კაცის ბუნების ამ ექვს სიტყვაში, დვთისა ბაგეთაგან წარმოთქმულში!... იღვაწე და დვთის სისრულემდე შენც შეგიძლიან ახვიდე და მიახწიოო“ (ჭავჭავაძე 1953: 376).

ადამიანის ზნეობაზე ზრუნვა „კაცთა კრებულის“ ღირსებაა, მაღალზნეობრივი საზოგადოება ქვეყნის სიძლიერის საწინდარია, რადგან სახელმწიფო მხრიდან მორალურ საზოგადოებას ემყარება.

ილია ალექსანდრე ეპისკოპოსისადმი მიმართულ წერილში საუბრობს ერის სულიერი წინსვლისათვის სათნოების მნიშვნელობის შესახებ. „სიმაგრე ქვეყნისა, ქვეყნის ძალ-დონე, ერის შემნახველი და გამამდიდრებელი ქვითკირი ადამიანის ცხოვრებისა მარტო სათნოებაა და მარტო სათნოებიანი კაცი ქმნის ამ წუთისოფელს ტაძრად, სადაც დმერთს ადიდებენ, და სამოთხედ, საცა ბედნიერება ადამიანისა ჰსადგურობს“ (ცნობის ფურცელი 1898: №337)

„ოთარაანთ ქვრივში“ ვკითხულობთ: „ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი. ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგზედ და ტყვიასავით მძიმეა, ზოგი მადლს და ბუმბულსავით სუბუქია“

ადამიანის მოვალეობაა ცოდვისა და მადლის ერთმანეთისაგან გამორჩევა და მადლის გზის არჩევა. ილიას თქმით, ადამიანს ერთიც და მეორეც უჭირს. ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში ვკითხულობთ: „ადამიანის უბედურება დღემდე იმაში ყოფილა და დღესაც იმაშია, რომ ვერ მიუგნია, რა არის ცოდვა და რა არის მადლი: რას ჰქვიან კეთილი და რას ჰქვიან ბოროტი?“ (ჭავჭავაძე 2005: 222)

ადამიანები ზოგჯერ ზღვარს ცოდვასა და მადლს შორის ხელოვნურად შლიან, რომ ზნეობრივი კანონით შეზღუდულები არ იყვნენ და ისეთი გზა აირჩიონ, რომელიც მათთვის ხელსაყრელია და არა ის, რომელსაც ზნეობრივი კანონი კარნახობს. ასეთები ხშირად მადლს – ცოდვას არქმევენ და ცოდვას – მადლს, ან ერთმანეთის ნიდაბს აფარებენ. ეს პრობლემა ძალზე მწვავედ ჩანს ილიას სიტყვებში: „...ეხლანდეულს დროს რადაც ხიფათი შეემთხვა... ყველაფერი აირივ-დაირივა, ტყუილი და მართალი ვეღარავის გაურჩევია, ქვენა გრძნობანი სულ ზენა გრძნობათა ადგილას გამეუფდნენ, ცოდვამ-მადლის პირბადე ჩამოიფარა, ყალბი ხალასად გადის და ნაძირალა თავანკარად, თითქო ჭკუის და

გულის ადებ-მიცემობაში აღარ იშოვება საწყაო ცოდვისა და მადლისა, ტუშილისა და მართალისა“ (ჭავჭავაძე 1991: 451).

რა გასაკვირია, რომ ამ არეულ-დარეულობაში ადამიანს გაუჭირდეს ცოდვის გარჩევა. მწერალიც ამისთვისაა მოწოდებული, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას და ყველაფერი ერთად-ერთი და უცვალებელი საღვთო ზნეობრივი კანონით გაზომოს.

დვთიური ჭეშმარიტებით გონიერი-გაუნათლებელ ადამიანებს უჭირთ ხოლმე მადლის დანახვა. მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივში“ ნაჩვენები სოფლელებივით მათ შეიძლება შეამჩნიონ, რომ ხანდახან რაღაც გამორჩეულ შემთხვევასთან აქვთ საქმე (გიორგის მაგალითი), მაგრამ მადლის ჭეშმარიტ ფასეულობას ვერ აცნობიერებენ.

თანასოფლელები გიორგის შესახებ ამბობენ, ეს კაცი ან გიუია ან დვთისაგან მოგზავნილიო და მისი ოჯახის მიმართაც მუდამ გაორებული დამოკიდებულება აქვთ: „მაგათში ან დიდი ცოდო ტრიალებს, ან დიდი მადლი. აქ სხვა ნიშანწყალია“ (ჭავჭავაძე 1988: 259). გიორგის საქციელი არაერთხელ გაჰკვირვებიათ არჩილსა და კესოსაც: „ბევრი რამ არის ჩემო პორაციო, ამ ქვეყნიერობაში იმისთანა საიდუმლო, რომელიც სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ ჩვენს ფილოსოფოსებსაო“ — ეტყოდა ხოლმე არჩილი თავის დას პამლეტის სიტყვებს, როცა გიორგიზედ ჩამოუვარდებოდათ ლაპარაკი“ და მათთვის „გამოუცვნელს გამოცანას“ ამით მოუღებდნენ ხოლმე ბოლოს.

ილია წერდა: „კარგის გასაგონებლად კაცი მომზადებული უნდა იყვეს, გონიერი უნდა პქონდეს გახსნილი, განათლებული, თორემა ბნელის გონიერი ბნელაში კაცი რას დაინახამს!“ (ჭავჭავაძე 1991: 73)

ცოდვისა და მადლის, კეთილისა და ბოროტის გარჩევის შესაძლებლობა ადამიანს თავისუფალი ნების მინიჭებამ და არჩევანის უფლებამ მოუტანა. ადამიანის გარდა ეს ზნეობრივი კანონი სხვას არავის მოეთხოვება. ეს არის წყალობაც და მოვალეობაც: „კეთილი და ბოროტი, ცოდვა და მადლი მარტო ადამიანის გულისხმის საქმეა. უტყვის ბუნების წინაშე არ არსებობს ეგ განსხვავება. ადამიანის გარეთ ცოდვა და მადლი არ არის, და რადგან ადამიანი ყველგან ადამიანია, რაც ერთგან და ერთისათვის ცოდვაა და ბოროტი, მეორესათვის ცოდვა და ბოროტი უნდა იყოს ყველგან, ყოველთვის და ყველა შემთხვევაში. ჩვენ ვხედავთ, და დღემუდამ მაგალითებით ვრწმუნდებით, რომ ეს ასე არ არის. რატომ? „რატომაო?“ საქმე იმაშია, რომ მაგ „რატომს“ ჯერ

აქამომამდე ადამიანმა გულდაჯერებული პასუხი ვერ მოუპოვა“ (ჭავჭავაძე 2005: 223).

ადამიანისადმი ღვთისგან მინიჭებული ეს უკიდეგანო უფლება-მოვალეობა არაჩვეულებრივად არის გაანალიზებული ილიას სარედაქციო წერილში, სადაც ის მიმოიხილავს ერთ-ერთი იტალიელი ჰუმანისტის სიტყვებს, იმის შესახებ, თუ რას უბრენა ღმერთი პირველ კაცს: „მე შენთვის, ადამიანო, არავითარი სამუდამო ბინა და სადგური არ მომიცია, არავითარი სამუდამო და უცვალებელი საქმე არ ამიჩენია. ეს იმისათვის, რომ საცა შენ გიამოს, იქ იცხოვრო, რაც გინდოდეს ის საქმე გაიჩინო. მე შენ არც სასიკვდილოდ გამიჩენიხარ, არც უკვდავად დამინიშნიხარ, ეს იმისთვის, რომ შენ თვითონ იყო შენის თავის მკეთებელი და ისეთი სახე მიიღო, როგორც შენ თვითონა გსურს: შენ შეგიძლია პირუტყვამდინაც ძირს ჩამოხვიდე და ანგელოზამდინაც ზე-ახვიდე“ (გაზ. „ივერია“ 1888წ. №95)

ციტირების ბოლოს ილია ასე აანალიზებს გამონათქვამს: „კაცმა რომ ჩაიხედოს ამ სტრიქონებში და ამასთან უნარიც ჰქონდეს, გამოსარკვევი გამოარკვიოს და დასანახავი დაინახოს, ჩვენთან ერთად იტყვის, რომ ამაზე მარტივად და ამაზე ნათლად ძნელია კაცმა გამოსთქვას—და როგორც ადამიანის არსებობის საგანი, ისე ადამიანი ღირსება“...

## **ლირიკულ ნაწარმოებებში განვენილი მსოფლმხედველობრივი მრწამსი**

მსოფლმხედველობა ის ამოსავალი წერტილია, რომლიდანაც ადამიანი ჭვრებს მთელს სამყაროს და აღიქვამს ყოველივეს. ამდენად, მის ნააზრებს, ნათქვამს თუ ნაწერს, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სწორედ მსოფლმხედველობა. ეს ჩანს იქაც, სადაც ლაპარაკია უშუალოდ მრწამსთან დაკავშირებულ საკითხებზე და იქაც, სადაც საუბრის თემა სულ სხვაა.

მწერლის მსოფლმხედველობა აირეკლება მთელ მის შემოქმედებაში, მაგრამ ეს არაერთგვაროვნად ხდება. ეპოსში იგი გაივლის მხატვრული წარმოსახვის პლასტებს და იცვლის იერს, რეალისტურ პროზასა და ლირიკაში კი პირდაპირ აისახება. ჩვენ ხელთა გვაქვს ილია ჭავჭავაძის რამდენიმე ათეული ლირიკული ლექსი, ასობით პუბლიცისტური სტატია და პირადი წერილი. იმისათვის, რომ ჩვენი წარმოდგენა მწერლის მრწამსზე ობიექტური იყოს, მთავარ საყრდენად ლირიკა და რეალისტური პროზა უნდა ავირჩიოთ, რათა თვალი მივადევნოთ მის ნაფიქრ-ნააზრებს და განცდილს.

პუბლიცისტიკა უამრავ მასალას მოიცავს და ვრცლად გვექნება განხილული თითოეულ თავსა და ქვეთაგვი, დასაწყისისთვის კი შევეხებით მხოლოდ ლირიკას. აკაკი ბაქრაძე აღნიშნავს, რომ „ილიას ლირიკის სქემა პგავს ბიბლიის ავტორების სქემას“ (ბაქრაძე 1984: 75).

მწერლის სულიერი სამყაროს აღსაქმელად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რევაზ თვარაძე ლირიკას. გალაკტიონისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ სტატიაში იგი წერს, რომ საჭიროა „ლექსებიდანაც გამოვხედოთ ფაქტებსა და მოვლენებს, გარემოს, ესე იგი მათ შემქმნელსავე დავესესხოთ მზერას და, თუ შეიძლება ასე ითქვას, სულის ბიოგრაფიაც მოვინიშნოთ“ (თვარაძე 1972: 9).

ქრისტიანობის უმთავრესი მცნება სიყვარულია. როდესაც მოციქულები ეკითხებიან მაცხოვარს, რომელი არის უმთავრესი მცნებაო, მაცხოვარი პასუხობს: „შეიყუარო უფალი დმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი და

პირველი მცნებას.“ და მეორე, მსგავსი ამისი: „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა  
თავი თქვენი“ (ახალი აღთქმა 2003: მათე, 22.37- 39) –ანუ, უმთავრესია  
სიყვარულის მცნება.

ვნახოთ, რას წერს სიყვარულზე ილია ჭავჭავაძე:

. . .

„– კაცო, გიყვარდეს“ –  
ცათ შთამომძახეს,  
როს მათ დამბადეს.  
ყველგან ეს სიტყვა  
ლამპრად წინ მიმუვა  
და ქვეყნად ჩემს სვლას  
პსცემდა წმინდა ნათელს  
მისთვის გეტყვი ძმას:  
შენცა გიყვარდეს!“

(ჭავჭავაძე 1987: 54)

ამ ლექსში ჩანს არა მარტო სიყვარულისადმი მისი დამოკიდებულება, არამედ ამ ძალის საწყისი, შთამაგონებელიც. ლექსში გვხვდება ისეთი მეტაფორებიც, რომლებიც ალუზიურად შესაძლოა ქრისტიანულ სიმბოლოებს უკავშირდებოდეს: როგორც ვიცით, წმიდა წერილში ღმერთს არა აქვს ერთი სახელი, ერთდროულად მოიხსენიება, როგორც „სიყვარული“, „სიტყვა“, და „წმიდა ნათელიც“. ყოველ ადამიანს კი ცხოვრების სავალ გზაზე წინ უნდა უძღვდეს ანთებული „ლამპარი“ („ათი ქალწულის იგავი“ (ახალი აღთქმა 2003: მათე, 25. 1).

ახალგაზრდობის წლებში დაწერილ ამ პატარა ლექსში ირეკლება ავტორის სულიერი სამყარო, რომლის შთამაგონებელიც თავად უფალია; აქვე იკვეთება საყოველთაო სიყვარულის გრძნობით გასხივოსნებული მისი სავალი გზა და მკაფიოდ ჩამოყალიბებული ქრისტიანული მრწამსიც.

ლექსში „ლოცვა“ პოეტი ღვთისგან არ ითხოვს არც სიმდიდრეს, არც დიდებას, არამედ მხოლოდ ერთადეკრის – სულის განათლებას და სიყვარულს:

„ მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა,  
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ შენ წინა;

არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,  
არ მინდა ამით შევურაცხველ მე ლოცვა წმინდა..

არამედ მწყურს მე, განმინათლეს ცით ჩემი სული,  
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენოს გული,  
რომ მტრთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,  
გთხოვდე: „შეუნდე, – არ იციან, დმერთო, რას იქმან!“

(ჭავჭავაძე 1987: 57)

ილიას ეს ლექსი საუფლო ლოცვის ქარგაზეა აგებული და მის სხვადასხვა მუხლებს ეხმიანება.

ლექსის დასაწყისი და ბოლო ფრაზები: „მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა“ და „შეუნდე, – არ იციან, დმერთო, რას იქმან!“ – ამავე ლოცვის შემდეგი მუხლების პირდაპირი გამოძახილია:

„მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა“ (მთ.6.9); “მომიტევენ ჩუენ თანა-ნადები ჩუენი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანა-მდებთა მათ ჩუენთა“ (ახალი აღთქმაB 2003: მათე.6.12)

ამ ლექსით ილიამ 21 წლის ასაკში (1858წ.) იწინასწარმეტყველა თავისი ცხოვრების ადსასრული და ითხოვა დვთისგან მტრის შენდობა, ჯვარცმული მაცხოვრის უკანასკნელი სიტყვებით:

„შეუნდე, – არ იციან, დმერთო, რას იქმან!“

იგივე სათაურის მქონე მეორე ლექსშიც („ოდეს დემონი“...), ლირიკული გმირი აქაც, საუფლო ლოცვის მსგავსად, თავდაპირველად ითხოვს დვთისგან, რომ განარიდოს დაბრკოლება და საცდური:

...

„ ნუ მანდობ, დმერთო, ბედისა ტრიალს,  
ნუ დამაწაფებ დემონის ფიალს,  
და უკეთუ არს შესაძლებელი,  
მე განმარიდენ იგი სასმელი!“

(ჭავჭავაძე 1987: 62)

ეს სტრიქონებიც ეხმიანება საუფლო ლოცვის სიტყვებს: – „და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა“ (ახალი აღთქმაB 2003: მათე. 6.13)

პოეტი გრძნობს უზენაესის განგებულებას და კვლავ ლოცვის დარად („იყავნ ნება შენი“), საბოლოოდ, მაინც დვთის ნებას მინდობილი რჩება:

„მარამ თუ, დმერთო, შენს დვთაებას სურს,

რათა გამოცდა მით პქონდეს ჩემს სულს,  
განკქრენ შენ ხმასთან სურვილი ჩემნი  
და იყავ ნება, უფალო, შენი! “

უნდა ითქვას, რომ ილიას ეს ლექსი რემინისცენციად მაცხოვრის ლოცვისა გეთსემანიის ბაღში: „მამაო ჩემო, უპეტუ ვერ შესაძლებელ არს სასუმელი ესე თანაწარსვლად ჩემდა, რამთამცა არა შევსუ იგი, იყავ ნებავ შენი“ (ახალი აღთქუმავ 2003: მათე.26.42).

ორივე ლექსში, ერთნაირი სათაურით „ლოცვა“, ისმის თავისი მომავალი ტანჯვის მცოდნე კაცის გულის ფეთქვა, ნათლად იკითხება ავტორის მრწამსი და მსხვერპლითი მსახურებისთვის მისი მზაობაც.

ადამიანის უმაღლეს დანიშნულებას ეხება ილიას ლექსი „როდემდის“. მასში გულისტკივილია გამოხატული იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანმა არ იცის სიცოცხლის ფასი, არ უფრთხილდება დვთისგან მონიჭებულ ამ ნიჭს, უქმად ფლანგავს დროს და ამაოებას მისცემია. ავიწყდება, რომ იგი ხატებაა დვთისა და მისგან მტვრით შექმნილი ხორცის გარდა მომადლებული აქვს უკვდავი სული, რომელსაც ვალად სდევს, მარად ისწრაფოდეს დვთაებრივი სრულყოფისაკენ:

...

„როდემდის უნდა ჩვენ არ ვსცნობდეთ სიცოცხლის ფასსა?

როდემდის არ ვსცემთ დვთიურს ნიჭსა დირსსა თაყვანსა?

მის ყოველ წუთსა სიფრთხილითა რატომ არ ვხარჯავთ

და მის აქ ყოფნას ამაოებად რისოვისა ვსახავთ?

ძრწოდე, სულელო! ნუთუ ქრისტის არ სცნობ სიტყვათა,

ნუთუ შენს თავსა, მტვრითა შექმნილს, ჰედავ კვლავ მტვრათა

და შენს სიცოცხლეს, ამ უკვდავ ნიჭს – მტვრის თანამგზავრად?

რომ მარტო მისოვის იგი არ გაქვს, ქრისტემ სოქვა ცხადად ...

ნუთუ არ იცი, რას გამცნებდა ლმერთი ჯვარცმული,

როს ბძანა: „ვითა მამა ზეცის, იყავ შენც სრული“

(ჭავჭავაძე 1987: 61)

სახარებისეული ფრაზა „ვითა მამა ზეცის, იყავ შენც სრული“, რომლითაც მთავრდება ეს ლექსი, ილიას მხატვრულ ნაწარმოებებში და პუბლიცისტურ წერილებში მრავალგზისაა გამოყენებული, რადგან მას პოეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ლექსში „ციურნი ხმები“ ჩანს, საითკენ არის მიმართული ლირიკული გმირის ყურადღება. ეს არის იდუმალი, საკვირველი, ციური ხმები, მათგან იღებს იგი შთაგონებას და სულიერ საზრდოს:

„ ... მეც ქვეყნის ხმითა,  
ხმით ცოდვილითა,  
მათ ვაძლევ ბანსა,  
და მშვიდობასა,  
აღტაცებასა  
ჰგრძნობს ჩემი გული,  
და შევჭრებ ცასა  
განცვიფრებული.“

(ჭავჭავაძე 1987: 81)

ცისადმი, დვთისადმი მწერლის დამოკიდებულება ნათლად ჩანს ლექსში „პოეტი“, სადაც ვკითხულობთ, რომ პოეტი ქვეყნად ზეციური განგებულებითაა მოვლენილი, „ცის დანიშნულია“; მას გულში დვთის საკურთხევლის ცეცხლი უნთია და დმერთან ლაპარაკობს, რათა ერს წარუძღვეს წინ.

...

„მისთვის არ ვმდერ, რომ ვიმდერო,  
ვით ფრინველმა გარეგანმა;  
არამარტო ტკბილ ხმათათვის  
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,  
მიწიერი ზეციერსა ;  
დმერთან მისთვის ვლაპარაკობ,  
რომ წარვუძღვე წინა ერსა“

რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი თანამედროვე საზოგადოების ერთეული წარმომადგენლების მხრიდან ამ ლექსთან დაკავშირებით გამოითქვა უმართებულო და, ერთგვარად, მკრეხელური აზრიც, რომ, თითქოს, ადამიანი, რომელიც იტყვის, „დმერთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“, – ან გიუია და ან თვითმარქია (კაკაბაძე 2005: 3).

თანამედროვე მკვლევარი, ასეთი განაცხადით, მწერლის ნააზრევის განსჯისა და გარკვევის ნაცვლად, ტენდენციურად, მხოლოდ საკუთარი აზრების ქადაგებას ახდენს; მაგრამ ილიას ამ ფრაზაში ქრისტიანული თვალსაზრისით არაფერი ჩანს შეუსაბამო და არაჯანსაღი. პირიქით, – „ყველა ადამიანი მიმართავს დმერთს, ვინც მისაღმი ლოცულობს და ყველა ისმენს დკოს სიტყვას, ვინც წმიდა წერილს კითხულობს.“ (ნინიძე 2005: 4)

ადამიანის დანიშნულებასა და სულის უკვდავებას ეხება უსათაურო ლექსი („უსულდგმულო ცხოვრება“), სადაც პოეტი მიჯნავს ადამიანში წარმავალსა და მარადიულს, ხორცსა და სულს და სულის მარადიულობის წყაროდ საქმეს ასახელებს:

...

„უსულდგმულო ცხოვრება  
ცის ნიჭად ნუ გგონია , –  
იგი მიწის ყოფილა,  
რასაც ბოლო ჰქონია!“

ფრაზით: „... ვინც კარგის საქმით  
აღნიშნავს თავის დროსა!  
ის აქავ ეწაფება

უკვდავების წყაროსა!. . .“ – ავტორი კვლავ სახარებას ეხმიანება, სადაც მაცხოვარი ამბობს: „ხოლო რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მე მივსცე მას, არდარა სწყუროდის უკუნისამდე, არამედ წყალი რომელი მე მივსცე მას, იქმნეს მის შორის წყაროს წყლის, რომელი ვიდოდის ცხორებად საუკუნოდ“ (ახალი აღთქუმავ 2003: იოვანე. 4-14), – აქ ზეციური, მარადიული ცხოვრებაა ნაგულისხმევი. სულის უკვდავების სათავე ლექსში პირდაპირ არის გაცხადებული. პოეტი ამბობს:

„ცხოვრებას აცისკროვნებს  
სული საქმით მეტყველი,  
და ის უბოლო არის,  
ვით სულის, შთამბერველი.“

მაცხოვარი ლექსში იხსენიება, როგორც უბოლო, მარადიული, როგორც „სულის შთამბერველი“. ეს წმიდა წერილისეული ჭეშმარიტებაა: „და შექმნა

უფალმან დმერთმან კაცი, მტუერისა მიმღებელმან ქვეყნისაგან, შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა და იქმნა კაცი სულად ცხოველად.“ (შესაქმისავ. 11.7)

ლექსში „ჩემი თარიარალი“ პოეტი ქადაგებს თანასწორობას, ძმობასა და სიყვარულს:

„ამა სოფლისა ცხოვრება  
განყოფით არ იპოვება.  
ვინცა ძმობით არ ყოფილან,  
მათ მოხვედრიათ მონება.“

(ჭავჭავაძე 1987: 74).

ავტორი შეგვახსენებს, რომ ლვთისათვის ყველა ადამიანი თანაბრად საყვარელია და საზრუნველი:

„მონება კაცთ არ შეშვენით  
ქრისტეა ამის მოწამე“, – ამიტომაც  
მიმართავს მკითხველს და შთააგონებს ქრისტიანულ სამსახურს: „ვემსხვერპლოთ  
ქრისტის მცნებასა“.

ლექსში „ქართვლის დედას“, ილია ყრმის აღმზრდელს მოუწოდებს თავისი დანიშნულებისა და „საღმრთო ვალის“ გაცნობიერებისაკენ:

„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,  
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას“.

ლირიკულ პოემაში „აჩრდილიც“ მყინვარზე მდგომი მოხუცი ქვეყნის განახლების საწყისს მცნების ნათლით ზე-აღზიდვა-განახლებაში ხედავს.

საინტერესოა ილიას ლექსიც „სიზმარი“. იგი თავისი შინაარსით წმიდა წერილისეულ მეორედ მოსვლის უამს მოგვაგონებს, რომელიც ითანე მახარებლის „გამოცხადებასა“ და სახარების სხვადასხვა ადგილებშია აღწერილი. ლექსი აღეგორიული ხასიათისაა და მასში ქვეყნის საშინელი მოოხრების სურათია დახატული: „ბნელი უფსკრული“, „ჯოჯოხეთის სიწყვდიადე“, „რისხვა წყევლისა, შეჩვენების და განგდებისა“, „გრიგალთა, ცეცხლთა, წყალთა, ხმელთა ერთად მოდენა“.

ლექსის ტაქტები:

„კაცებს დემონნიც ურთიერთსა კბილთ ხორცს პგლეჯდნენ

და სამარცხევინო სიმხთალით კბილთ აკრაჭუნებდნენ“. – აშკარად ეხმიანება სახარებისეულ ციტატას: „მუნ იყოს ტირილი და ღრჭენავ კბილთავ“ (ახალი აღთქუმავ 2003: მათე.24, 51).

უკანასკნელი სტროფი კი:

„უველა ელოდდა, განუშლიდა ხელებს სიკვდილსა,  
იწვევდა, როგორც უკანასკნელს ნუგეშს შთომილსა,  
მაგრამ სიკვდილიც იქ თვის მეხთა არ აღვიძებდა  
და იმა ქვეყნებს ლვთის რისხვასა მიანებებდა!“. . .

(ჭავჭავაძე 1987: 56)

უნდა უკავშირდებოდეს „გამოცხადების“ შემდეგ ადგილს: „მათ დღეთა შინა ეძიებდნენ კაცნი სიკუდილსა და ვერ პოონ და ჰსუროდის მოკუდომად და ივლტოდის მათგან სიკუდილი“ (ახალი აღთქუმავ 2003: გამოცხ. 9.6)

როგორც ვხედავთ, ლექსში აშკარა ალუზიებია იოანე მახარებლის „გამოცხადებასთან“, რომელშიც უფლის სამსჯავროა აღწერილი.

„განუწყვეტელი ფიქრი ამ უამზე, მისი მუდმივი მოლოდინი ქრისტიანული სიფხიზლის ნიშანია... ლირიკულ ლექსში ამ წინასწარმეტყველების მხოლოდ ავტორისეული შთაბეჭდილებაა ნაჩვენები. რეალურად ეს თემა ამოუწურავი, ადამიანის გონებისათვის ბოლომდე მიუწვდომელი და ენით დაუტევნელია. როგორც ჩანს, ამიტომ არ ცდილობს ავტორი წარმოსახული სურათის მტკიცებას და აძლევს ფრთხილ სათაურს – „სიზმარი“ (ნინიძე 1997: 61).

სამწუხაროდ, მწერლის სიცოცხლეშივე ბევრს არასწორად ესმოდა მისი. მოშურნები და ცილისმწამებლებიც მრავლად პყავდა, მაგრამ ილია, როგორც ჰეშმარიტი ქრისტიანი, არასოდეს ეძებდა იოლ გზებს და წინააღმდეგობისას არასოდეს წარიკვეთავდა იმედს. საოცარი შეუპოვრობით ცდილობდა ხალხში „წმინდა სიტყვის“ უშიშრად მოფენას და ირგვლივ მყოფთაგან ყველასაც რომ მიეტოვებინა, იგი მაინც სასოებით იტყოდა:

„თუ კაცმა ვერ ცნო ჩვენი გული ხომ იცის ღმერთმა,  
რომ წმინდა არის განძრახვა და სურვილი ჩვენი“.

(ჭავჭავაძე 1987: 120)

ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლების ცნობილი მოვლენის, მამათა და შვილთა პაექტობისას, გრიგოლ ორბელიანის ბრალდებას, თითქოს, ახალი თაობა მხოლოდ გონებას სცემდა თაყვანს და ღმერთს უარყოფდა, ილიამ ბეზღობა და ცილისმება დაარქვა. მის ლექსში „პასუხის პასუხი“ ჩანს, რომ

როგორც მამათა, ისე შვილთა თაობა ერთსა და იმავე ღმერთს სცემს თაყვანს, მაგრამ ქრისტიანული ზნეობა და ადამიანის მოვალეობა ცოტა განსხვავებულად ესმით.

ძველი თაობის გარეგნული აღმსარებლობის მიღმა ხშირად პასიურობა და შემგუებლობა იმაღებოდა. ახალი თაობის მკაცრი ტონი და შეურიგებლობა კი მხერვალე გულით იყო განპირობებული. შეიძლება მათი გამოხატვის ფორმა ზოგჯერ ზომიერებას სცილდებოდა, მაგრამ ეს გამოწვეული იყო მხოლოდ მათი ახალგაზრდობით და არა ურწმუნობით, ან უკეთურებით...

ლექსში „პასუხის პასუხი“ ილია მაცხოვარს იხსენებს ძლიერთ დამბმელად, უძლურთ ამხსნელად, ორგულობისა და ორპირობის დამცემლად.

...

„ხოლო გვწამს ღმერთი —  
უქმთა წარმწყმედი,  
ტვირთმიმეთა და მაშვრალთა მხსნელი,  
ღმერთი ტანჯულთა,

ღმერთი ჩაგრულთა,  
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი.“

(ჭავჭავაძე 1987: 143)

პოეტის პატარა ლექსები სათაურით „დამაკვირდი“ სარწმუნოებრივ ბალავარზე ამოზრდილი ერთგვარი ქრისტიანული სწავლებებია, რომლებიც მოგვიწოდებენ სიკეთისკენ, სიყვარულისკენ, შეწყალების და ნამუსიანობისკენ:

...

„კაცად მასინ ხარ საქები,  
თუ ეს წესი წესად დარგვ:  
ყოველ დღესა შენს თავს ჰყითხო, —  
აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?“

(ჭავჭავაძე 1987: 155)

...

„სიკეთით სძლიე შენს მტერსა,  
ერიდე სისხლით ზღვევასა:“

...

„რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“

„ვაჟაცად იგი მიქია, ვინცა უბედურთ მხსნელია.“

„კეთილი ფარად უფარე  
შენთვის ბოროტის მდომსაო  
მადლისა წყაროს ასმევდე  
ცოდვის გუბეში მდგომსაო“

გარდა იმისა, რომ პოეტის ნაწერებში აირევლება მისი მრწამსი, აქ უხვად გვხვდება წმიდა წერილისეული ლექსიკა, ფრაზეოლოგია და შედარებებიც. მაგალითად, ლექსში „კიდევ გამოცანები“ გამოყენებულია სახარებისეული ფრაზა:

„ . . . და ვით თქმულა მიანებოთ  
მკვდარნი დაფვლად მისთა მკვდართა“ (ჭავჭავაძე 1987: 140).

იხ. ახალი აღთქუმავ 2003: (მათე. 8.22). „შენ მომდევდი მე და აცადენ მკვდარნი დაფვლად თქმითა მკვდართა“.

როგორც პოეზიაში, ასევე პროზასა და პუბლიცისტიკაშიც, ილია ხშირად იყენებს ფრაზებსა და მინიშნებებს წმიდა წერილიდან.

სახარებისეული ციტატის საფუძველზეა შექმნილი ცნობილი პუბლიცისტური წერილის „ქვათა დაღადი“ სათაურიც. იგი ასე იკითხება: „ხოლო იქსო მიუგო და პრქუა მათ: გეტყვი თქუენ, დაღათუ ესენი დუმდნენ ქვანი დაღადებდენვე“ (ახალი აღთქუმავ 2003: ლუკა 19.40).

პოემა „აჩრდილის“ თავდაპირველ ვარიანტს ეპიგრაფად ჰქონდა წამდლარებული სიტყვები დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნიდან: „აღზდექ უფალო ღმერთო ჩემო, და აღმართე ხელი შენი და ნუ დაივიწყებ გლახაკთა შენთა სრულიად!“ (ფსალმუნი II. 32).

შესაძლოა, ეს უშუალოდ არ ირეკლავდეს პოეტის მსოფლმხედველობას, მაგრამ შემთხვევითი არ არის, რომ პარალელებისათვის, შედარებებისათვის, სათაურისა თუ სიტყვის შერჩევის დროსაც იგი მეტწილად წმიდა წერილს მიმართავს. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა თავად მწერლის აზრი, რომელსაც ის ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში გამოთქვამდა: „უეჭველია, ძრიელ გონიერად იქცევა ისა, ვინც მუდამ უამს კითხულობს საღმრთო წერილსა. იმის წამკითხავი ორნაირად არის სარგებელში, პირველად: შეისწავებს ღვთის

ვედრებას და ომდენსაც მომეტებულად კითხულობს, იმდენად მკვიდრად დაინერგება იმის გულში სარწმუნოება ქრისტესი” (ჭავჭავაძე 1991: 79).

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით მემკვიდრეობაში ლირიკული ნაწილი არც ისე დიდი მოცულობისაა (თითქმის ნახევარი ტომი), მაგრამ სიწმინდითა და საფვთო მაღლით აღბეჭდილი ეს ლექსები ყველაზე ნათლად ირეპლავენ ავტორის მართლმადიდებლურ მსოფლმხედველობასა და მრწამსს.

## მხატვრული თხზულება, თემა, ეპოქა და ლიტერატურული კრიტიკა (პოემა „განდეგილის“ მიხედვით)

პოემა „განდეგილის“ შექმნიდან დღემდე დიდი დრო გავიდა. ბევრი სტატია და გამოკვლევა დაიწერა, მრავალი საყურადღებო შეხედულება გამოითქვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში დღესაც აზრთა დიდი სხვადასხვაობაა პოემის გარშემო.

ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებაზე, მის მნიშვნელობაზე ქართული ლიტერატურის ისტორიაში უკვე არავინ კამათობს. ის ჭეშმარიტად მიჩნეულია უბადლო ლიტერატურულ ქმნილებად, მაგრამ ყოველთვის ასე არ იყო.

ილიას არც ერთ თხზულებას, არ შეხვედრიან მისი თანამედროვეები ისე უარყოფითად, როგორც „განდეგილს“:

შედარებით ლოიალური იყო იონა მეუნარგია, რომელმაც 1883 წელს გაზეთ „პავპაზის“ 53-ე ნომერში გამოაქვეყნა პირველი კრიტიკული წერილი რუსულ ენაზე. მან ნაწარმოები კეთილმოსურნის პოზიციიდან განიხილა, ეჭვებთან და შენიშვნებთან ერთად აღნიშნა პოემის იდეური და მხატვრული ლირებულებაც.

სხვებმა კი პოემა თითქმის ერთსულოვნად მიიჩნიეს სუსტ ნაწარმოებად. 1883 წელს გაზეთ „შრომის“ №18-ში ესტატე ბოსლეველი წერდა: „ილიას კალამმა უმტყუნა, უაზრო თხზულება დაგვიწერაო“, „ილია ცხოვრებას შესწყრა, მის კარგსა და ავს გვერდი აუქციაო“.

კრიტიკოსებისა და მკვლევარების აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა პოემის დედააზრის გაგება, ილიას მხატვრული ჩანაფიქრი და დამოკიდებულება განხილული საკითხისადმი. კრიტიკული აზრი ამ მხრივ მრავალჯერ შეიცვალა.

ბევრი პარადოქსული თვალსაზრისი დაიბადა პოემის გამოქვეყნებისთანავე. კრიტიკოსმა დავით სოსლანმა თავის „თავის საკვირაო მასლაათში“ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მან პოემა „განდეგილი“ შეაფასა როგორც ილიას კალმიდან გამოსული ყველაზე უსუსური ქმნილება „როგორც შინაარსით, ისე გარეგანი ფორმით“.

კრიტიკოსმა პოემა ცხოვრებიდან გაქცევის მოწოდებად, დროისათვის შეუფერებელ მოვლენად, უსაგნოდ და უმიზნოდ მიიჩნია. ამ შეფასებიდანაც ჩანს, თუ როგორი გაუგებარი აღმოჩნდა ილიას პოემის თემა და იდეური მიზანდასახულება მისი თანამედროვე კრიტიკული აზრისათვის.

შინააღმდეგობის მიზეზი ნათელია: მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული ლიტერატურული კრიტიკა ყურადღებას ამახვილებდა სოციალურ ტიპაჟზე, გარემოსა და ხასიათებზე. უმთავრესი – გმირთა სულიერი სახე და პრობლემები, ცოდვა-მადლის ქრისტიანული შეფასება ყურადღების მიღმა რჩებოდა.

პოემა „განდეგილთან“ დაკავშირებით პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ ასკეტი ბერი არ იყო ტიპური სახე და მკვლევარები მკითხველებთან ერთად გაუგებრობაში მოექცნენ.

თავად ილია 90-იანი წლების ბოლოს სტატიაში „კრიტიკა სანათურია ლიტერატურისა“ წერდა: „ჩვენებური კრიტიკაც იმ საფეხურზეა, რაზეც საზოგადოება, რომელსაც მარტო ერთადერთ საწყაოდ ის სახელმძღვანელო აზრი აქვს, რომ „კაცია და გუნებაო“... თუ სადმე ეხლა კრიტიკის ხმა ისმის ჩვენში, ეს ხმა იქიდამ გამოდის, საცა „კაცია და გუნებაო“ პბუდობს. მე ასე მინდა, ასე მეამება უფრო პლაპარაკობს ჩვენში, ვიდრე განკითხულის ნაწერის საქები თუ საწუნი“ – ამით მწერალი თავისი თანამედროვე კრიტიკოსების თვისებაზე მიანიშნებდა, რომლებიც ნაცვლად მწერლის ნააზრევის განსჯისა და გარკვევისა, პუბლიკაციებში საკუთარი აზრების ქადაგებას ახდენენ მხოლოდ.

„განდეგილში“ თითოეული მკვლევარი თავისი მრწამსის შესატყვის მოვლენას ხედავდა (დ. კეზელი, ე. ბოსლეველი, დ. სოსლანი და სხვები), რადგან ისინი თავად მიიჩნევდნენ განდეგილობას ცხოვრებისაგან განდგომად და უაზრო პასიურობად, ვერ წარმოედგინათ, რომ „კაკო ყაჩაღში“, მათი აზრით, შურისძიების მქადაგებელი მწერალი ქრისტიანულ ასკეტიზმს უდიდეს დვაწლად თვლიდა.

ალბათ, სწორედ მათდა საპასუხოდ დაწერა ილიამ: განა ბერ-მონაზვნები იმიტომ მიდიოდნენ მონასტერში, რომ ხელ-ფეხის განძრევა ეზარებოდათო?(ჭავჭავაძე 1991: 371)

ნაწარმოების ანალიზისისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს კრიტიკოსის დამოკიდებულება თხზულებაში განხილული თემისა და პრობლემებისადმი, ჩვენს შემთხვევაში – ქრისტიანული ასკეტიზმისადმი.

მე-19 საუკუნეში საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალურობა დაკარგული პქონდა, ქართულ ტაძრებში მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვა და ქადაგება აკრძალული იყო, რამაც სულიერება სავალალოდ დააკნინა. ჩვენი საზოგადოება მთლიანად მატერიალურზე იყო ორიენტირებული და არა სულიერზე, ამიტომ ასკეტური დვაწლი მათთვის, როგორც ჩანს, ძალზე შორეული და გაუგებარი აღმოჩნდა.

პოემის გმირის, ასკეტი ბერის სახე ვერ მოერგო XIX საუკუნის 80-იანი წლების ლიტერატურული აზროვნების მეთოდსა და სტილს და, ამდენად, აუხსენელი დარჩა ნაწარმოების ფილოსოფიური პრობლემატიკა და მცდარად იქნა გაგებული ავტორის იდეური მიზანდასახულება.

წლებს წლები ენაცვლებოდა. XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის დასაწყისი დიდი ეპოქალური ცვლილებებით გამოირჩეოდა. III დასის ჩამოყალიბებამ საქართველოში უარყო „ოერგდალეულთა“ ფასეულობანი და 80-იანი წლების ხალხოსნურ იდეებს ჩაუნაცვლა მარქსისტული და რევოლუციური იდეები. ყოველივე ამან დასაბამი მისცა ახალ ერას ქართული ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიაში. ახალმა აზროვნებამ კი ძველის გადაფასება მოითხოვა.

1907 წელს მოხდა წიწამურის ტრაგედია, რომელიც „სიმბოლური დასრულება იყო წარსული საუკუნის მწერლობისა“ (გალაკტიონი)

ახლადჩამოყალიბებულმა პროლეტმწერლობამ და, შესაბამისად, რაპულმა კრიტიკამ ლოზუნგით „ჩვენი ეგნატე – მათი ილია“ დაიწყო გააფორებული

ბრძოლა ქართველი კლასიკოსების გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას მემკვიდრეობის „არასასარგებლო და მავნე ზეგავლენისაგან“ თავის დასახელებლად. იბეჭდებოდა წერილები და წიგნები, რომელთა ავტორებიც ხალხის მტრებად აცხადებდნენ არა მარტო ქართველ კლასიკოსებს (განსაკუთრებით ი. ჭავჭავაძეს), არამედ მათი შემოქმედების მკვლევარებსაც კი. ამას მოწმობს ის მძაფრი პოლემიკა, რომელიც გაიშალა კ. აბაშიძის, ვ. კოტეტიშვილის, ს. დანელიას, შ. ნუცუბიძისა და სხვათა წინააღმდეგ.

ილიას წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ მწერლის სიცოცხლეშივე დაიწყო და თანმიმდევრულად გაგრძელდა მისი სიკვდილის შემდეგაც. ამ ბრძოლას სათავეში ედგა ფილიპე მახარაძე, რომელმაც გამოიყენა რა თავისი პოლიტიკური ავტორიტეტი, შემოიკრიბა ლიტერატორთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელიც კრიტიკული განსჯის ობიექტად აქცევდა ილია ჭავჭავაძის როგორც მხატვრულ მემკვიდრეობას, ასევე მის პირად ცხოვრებას. შედეგად – ილია, როგორც პიროვნება („თავადი, გლეხების სისხლით გულგაპოხილი“) და როგორც მწერალი („ჯანდაბას მისი კალმის მოსმანი“) (ნაროშვილი 1932: 3), – უარყოფილი იქნა.

კრიტიკულ აზრს ხშირად განაპირობებს კრიტიკოსის დამოკიდებულება არა მხოლოდ თხზულების თემისა და პრობლემებისადმი, არამედ თვით ავტორისადმიც. ამ პერიოდის ლიტერატურული კრიტიკისათვის ილიას თხზულებები მიუღებელი აღმოჩნდა თავად მწერლის პიროვნებისადმი დაპირისპირების გამოც.

რევოლუციური იდეების სამსახურმა პროლეტმწერლობას ბევრი უაზრობა და უზნეობა დააწერინა, მთლიანად მოაშლევინა წარსულის მემკვიდრეობა, კრიტიკას ჩაუკლა ყოველგვარი ინტერესი მხატვრული აზროვნების, მწერლური ჩანაფიქრის აღქმისა და კვლევა-ძიების მიმართ. გამეფებული პრინციპი, „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია“, თავისთავად უკვე იყო ცენზურა, შეუბრალებელი და სასტიკი, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა ყოველგვარი ანტისაბჭოური სულისკვეთების გამუღავნების წინააღმდეგ.

როცა ბატონობდა ათეიზმი, ინგრეოდა ეკლესია-მონასტრები, ფეხქვეშ ითელებოდა ეროვნულობა და სულიერება, დიდი გმირობა იყო საჭირო იმისათვის, რომ ყოველივე ამას დაპირისპირებოდი. ამიტომ არ შეიძლება, ძალიან მკაცრი ვიყოთ იმ პერიოდის ლიტერატურული მოღვაწეებისადმი. კომუნისტური ტერორის წლებში, როცა მიმდინარეობდა მასობრივი რეპრესიები და ბრძოლა

ეროვნული გენოფონდის წინააღმდეგ, თითოეულ მოაზროვნები ავტოცენზორი სახლობდა, ითრგუნებოდა ყოველგვარი აზრი, არ იწერებოდა და არც დაიბეჭდებოდა გაბატონებული იდეოლოგიისათვის მიუღებელი არავითარი მასალა.

დრო თავზარდამცემი შიშის საცეცებით შეიქრა ლიტერატორთა ცნობიერებაში, ამან, რა თქმა უნდა, კნინი გახადა ლიტერატურული კრიტიკა და დაასუსტა მისი შესაძლებლობანი.

კრიტიკის უარყოფითი დამოკიდებულება წარსულის მემკვიდრეობის, ქართველი მოაზროვნებისა და, კონკრეტულად, ილიასაძმი, ეპოქის მსახურალი ხელითაა დაღდასმული და აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, XX საუკუნის 20-30-იანი წლების ლიტერატურული კრიტიკა ვერ იქნებოდა დაინტერესებული ილიას მემკვიდრეობის ლირებულების შეფასებით და მით უფრო პოემა „განდეგილის“, როგორც მხატვრული ქმნილების ობიექტური ანალიზით.

ეს გამოხატულებაა ეპოქის ცნობიერებისა, რომელსაც მართავდა სისახტიკა და თავის დინებაში ითრევდა ყველას. ასე აღმოჩნდა მწერლობა, ლიტერატურული კრიტიკა და საზოგადოებრივი აზრი ჩაძირდებოდა დროის მორევში.

არსებობს ერთი თავისებურებაც: ყოველი ეპოქა ცდილობს დაინახოს მწერლის შემოქმედებაში ის, რაც მის ცნობიერებასა და იდეოლოგიას შეესაბამება. ალბათ, ამ საჭიროებამ მოიტანა ილიას სახელის რეაბილიტაციაც. 1937 წელს დიდი ხელისუფალის ერთი დირექტივით დაიწყო სტერეოტიპის მსხვრევა და ხალხის მტრად შერაცხული, ლაფში ამოსვრილი და უარყოფილი სახელის განდიდება. იმავე წელს მთელმა ქვეყანამ უდიდესი ზეიმით აღნიშნა ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილე.

მწერლის რეაბილიტაცია მოხდა, მაგრამ ისევ მიზანდასახულად, იმ განზრახვით, რომ მისთვის მიეწერათ პოლიტიკურად ხელსაყრელი იდეები და გამოეყენებინათ ილია ჭავჭავაძის სახელი და ავტორიტეტი საკუთარი იდეოლოგიის განსამტკიცებლად.

დღევანდელი გადასახედიდან წარსულის შეცდომები იოლი აღსაქმელია. „დრომ ამგვარი მემკვიდრეობა და დიდაღი კრიტიკული ლიტერატურა გულისტკივილით მოსაგონარ წარსულად აქცია“ (ნიკოლეიშვილი 1994: 90); თუმცა ყოველივე ამას უკვალოდ არ ჩაუვლია. მიუხედავად იმისა, რომ ილიას შემოქმედების კვლევას დიდი ადგილი დაეთმო, მისი თხზულებები კვლავ

შეიტანეს სასკოლო სახელმძღვანელოებში და საქებარ სიტყვებსაც არ იშურებდნენ, მაინც, არსებითად, XX საუკუნის 40-50-იანი წლების კრიტიკული აზროვნება მემკვიდრე და გამგრძელებელი იყო რაპელების გაკვალული გზისა.

კრიტიკაში გამეფებული მრავალწლიანი ვაკუუმის შემდეგ პოემა „განდეგილი“ კვლავ იქცა მკვლევართა განსაკუთრებული ინტერესისა და მსჯელობის საგნად.

ამჯერად ის ერთხმად იქნა აღიარებული უბადლო მხატვრულ ქმნილებად. დაეძებნა ანალოგია-პარალელები მსოფლიო ლიტერატურის ძეგლებს შორის, მაგრამ კრიტიკას არ უცდია მოვლენათა შორის დაფარული დედა-აზრის წაკითხვა, მწერლის მხატვრული ჩანაფიქრის ახსნა. მან უურადღება გაამახვილა პერსონაჟის განსაკუთრებულობაზე, ბერობაზე და ასკეტიზმის შინაარსისაკენ მიმართა კვლევა-ძიება.

„განდეგილის“ იდეურ შინაარსში ასკეტიზმის საკითხი შეუმჩნევალი არ დარჩენია ლიტერატურისმცოდნეობას XX საუკუნის მე-2 ნახევარშიც. ეს საკითხი დღემდე შემორჩა ლიტერატურულ კრიტიკას. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ის, ილია ასკეტიზმს უარყოფდა თუ აღიარებდა.

ქართული ლიტერატურის მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ბერის სულიერი ბრძოლის ჩვენებით ი. ჭავჭავაძემ მცდარი მსოფლმხედველობის საფუძველზე მდგარი ადამიანის ტრაგედია დაგვიხატა და მოგვცა ასკეტიზმის, როგორც რელიგიური მოვლენის მძაფრი კრიტიკა.

ასკეტიზმის კრიტიკის დებულება სარწმუნოდ იქნა მიწნეული და გარკვეული წლების განმავლობაში (80-იან წლებამდე) ყველა მკვლევარი და კრიტიკოსი ამ აზრს იზიარებდა: კ. აბაშიძე, ა. მახარაძე, შ. რადიანი, გ. ზანდუკელი, ალ. ბარამიძე, პ. ინგოროვა, ვ. კოტეტიშვილი, გ. ჯიბლაძე, დ. გამეზარდაშვილი და სხვები.

„განდეგილის“ საფუძვლიან კვლევას სათავე კიტა აბაშიძემ დაუდო. ცნობილი კრიტიკოსი, „განდეგილის“ მიხედვით, პოემის ავტორის „მორალურ ფილოსოფიას“ ასე აყალიბებდა: „ყოველი კაცი, რომელიც ცხოვრებას გაურბის და ზურგს აქცევს მას, განდეგილივით დაისჯება და მის დამსჯელად ამ შემთხვევაში თვით ცხოვრება გამოვა“ (აბაშიძე 1962).

შ. რადიანის აზრით, „განდეგილის ცხოვრება განყენებული, უაზრო და უშინაარსო ცხოვრებაა და ამისთანა ცხოვრება ი. ჭავჭავაძეს არ მოსწონს“ (რადიანი 1962: 351);

„განდეგილის“ დამარცხებით ი. ჭავჭავაძემ უარყო ასკეტიზმი და ამასთან ერთად ადამიანის მიერ პირად ბედნიერებაზე განკერძოებულად, საზოგადოებისაგან განდგომილად ზრუნვის იდეა“ (გაჩეჩილაძე 1975: 205).

„სიცოცხლე იმარჯვებს სიკვდილზე – ასეთია იდეათა ის სამყარო, რომლითაც შთაგონებულია „განდეგილი“ (ინგოროვა 1975: 125) – ფორმულირება მეტად ეფექტურია და ფაქტობრივი დასაბუთების მხრივ მყარ ნიადაგზე ვერ დგას, რადგან ასკეტიზმის, როგორც რელიგიური მოვლენის გმობა და ძაგება პოემაში არ არის. მწყემსი ქალის სიტყვები: „აქ (ბეთლემში) სიკვდილია, იქ კი (ქვეყნად) სიცოცხლე, აქ ჭირია და იქ კი ლხინია“ - არის ლიტერატურული პერსონაჟის თვალთახედვა, რომელიც აბსოლუტურად უპირისპირდება პოემის ავტორის შეხედულებას, ბერ-მონაზვნურ ღვაწლზე, რწმენისა და ლოცვის მნიშვნელობაზე.

სამწუხაროდ, არც ერთ კრიტიკოსსა თუ მკვლევარს არ უცდია განდეგილობის არსის ახსნა ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე და ამის მიზეზიც ეპოქის ცნობიერებით განპირობებული ლიტერატურული აზროვნების თავისებურებებში უნდა ვეძიოთ.

ლიტერატურული კვლევის მეთოდის, სოციალისტური რეალიზმის პრინციპები ათეისტური იდეებით საზრდოობდა და ამდენად, ბუნებრივია, რომ მათ მიერ ილიას პოემის გმირის მარცხი საზოგადოებრივი ცხოვრების გამარჯვებისა და რელიგიის უმწეობის დადასტურებად იქნა მიჩნეული.

დღეისათვის არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს ის ფაქტი, რომ საბჭოურ პერიოდში, გარკვეული სოციალური დაკვეთის გამო, ნაწარმოების ანალიზი ხდებოდა წინასწარ შემუშავებული, დროის მოთხოვნის შესაბამისი მოდელით და რომ წლების განმავლობაში ქართული მწერლობა და ლიტერატურული კრიტიკა პოლიტიკური ვითარების სამსახურში იდგა.

შეიძლება იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სხვაგვარად ფიქრობდნენ და აფასებდნენ ყოველივეს, მაგრამ მათი აზრი ჩვენამდე ვერ მოაღწევდა, რადგან ცენზურა არ დაუშვებდა განსხვავებული აზრის პუბლიკაციას. ამის დასტურია ის, რომ ამავე პერიოდის ქართულ ემიგრანტულ პრესაში (რომელიც თავისუფალი იყო ამგვარი შეზღუდვისაგან) რელიგიური ასკეტით ილიას ნაწერების განხილვები აქა-იქ ჩნდებოდა.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ჩნდება პირველი ცდები პოემის იდეური შინაარსის გახსნისა და განდეგილობის

არსის განმარტებისა ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე, რაც მთლიანად უგულვებელყოფილი იყო მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის 30-70-იანი წლების ქართული ლიტერატურული აზროვნების მიერ.

„განდეგილის“ კვლევას შრომები უძლვნეს უ. ობოლაძემ, პ, რატიანმა, თ. ჭილაძემ, აკ. ბაქრაძემ, გ. კალანდარიშვილმა, ნ. გოგოჭურმა, 6. გრიგალაშვილმა და სხვებმა.

ი. ბეროშვილს, სხვა მკვლევარებისაგან განსხვავებით, მიაჩნია, რომ „განდეგილის“ ლაიტმოტივია რწმენის უძლეველობის პრობლემა: „განკაცებულ ადამიანს უნდა ჰქონდეს ღრმა რწმენა. თუ ამაღლდა და ამას მიაღწია, თუნდაც ისეთ ადგილას დასახლდეს, „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწივნი ვერ შეხებიან“ -- მაინც ბედნიერად იგრძნობს თავს, რადგან სრულქმნილება კაცის სულისა რწმენის უძლეველობაში იქმნება“ (ბეროშვილი 1989: 25).

კრიტიკოსი აკაკი ბაქრაძე უარყოფს თეორიას „განდეგილში“ ასკეტიზმის კრიტიკის შესახებ და მწირის მარცხს მიიჩნევს ტრაგედიად, ხოლო ქრისტიანობას ილიას შემოქმედებაში პიროვნებისა და ერის მხსნელ მოძღვრებად: „განდეგილში“ ილიას გამოყენებული აქვს ცოდვით დაცემის კლასიკური სიუჟეტი, მაგრამ დაცემა ამჯერად გამოწვეულია რწმენის დალატით. ამდენად „განდეგილი“ რწმენის ტრაგედიაა. რწმენის დალატი კი შედეგია ადამიანის გაორებისა და ნებისყოფის სისუსტისა“ (ბაქრაძე 1992: 91).

როგორც ვხედავთ, დასკვნები რადიკალურად შეიცვალა და ეს არც არის გასაკვირი. ჯერ კიდევ 50-იან წლებში მეცნიერმა ვახტანგ კოტეტიშვილმა ილია ჭავჭავაძის პიროვნებისა და შემოქმედების წაკითხვა მისი სიღრმისა და იდუმალების გამო თაობების საქმედ მიიჩნია: „ყოველი დიდი პიროვნება რაღაც საიდუმლოების ბეჭდით გვეჩვენება, რომლის გამოცნობასაც თაობები უნდებიან; ასევე აუხსნელ პიროვნებად რჩება ი. ჭავჭავაძე, რადგან ის, რაც სთქვა, კიდევ არ არის ის, რისი თქმაც შეეძლო“ (კოტეტიშვილი 1959: 367).

დიდი მეცნიერის ამ განაცხადს ადასტურებს საზოგადოებრივი, მეცნიერული და კრიტიკული აზრიც, რომელიც ილიას შემოქმედებისა და კონკრეტულად „განდეგილის“ გარშემო თაობებთან ერთად იცვლებოდა საქართველოში.

ის კრიტერიუმები და მეთოდები, რომლითაც ხელმძღვანელობდა სოციალისტური რეალიზმი, დროთა განმავლობაში ძირფესვიანად შეიცვალა, რასაც მოჰყვა ლირებულებათა გადაფასება.

თანამედროვე კრიტიკაში გაჩნდა აზრი, რომ მწერალს პოემაში ჩაქსოვილი აქვს არა ასკეტიზმის კრიტიკის იდეა, არამედ დღემდე შეუსწავლელი თეოლოგიურ-ფილოსოფიური აზრები და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ილია ქრისტიანულ გარემოში დაიბადა და აღიზარდა, საღვთო სჯულს ანბანთან ერთად სწავლობდა და მისი შემოქმედება და ნააზრევი არ ხასიათდება ათეისტური იდეებითა და ტენდენციებით.

ბოლო წლებში ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში იმატა შრომებმა, სადაც ი. ჭავჭავაძის შემოქმედების და, კონკრეტულად, პოემა „განდეგილის“ პრობლემატიკა განხილულულია მწერლის მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით და ახსნილია ქრისტიანული ასპექტით (ჩხაიძე 1999), (მეტრეველი 1993). (ნინიძე 2000).

მნელია, ჩაწვდე ილიას ნააზრევის სიღრმეს, მაგრამ თუ გვინდა, რომ ამ გზაზე ნაბიჯი მაინც გადავდგათ, უნდა ვიყოთ ობიექტურები და ყური ვუგდოთ არა დროის მოთხოვნებს, არამედ ვეძიოთ თვით მწერლის პოზიცია და მხატვრული ჩანაფიქრი.

„განდეგილის“ სწორად წაკითხვისათვის მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ილიას 1887 წელს გამოქვეყნებულ წერილს „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“, სადაც ავტორი თავის პოზიციას ასკეტიზმთან მიმართებაში მკვეთრად აყალიბებს განდეგილი მამის, სვიმონ მესვეტესთან დაკავშირებით: „სვიმონ მესვეტე სვეტზედ ავიდა და იქ მიეცა გახრწილებას სულის საოხად; და ნუთუ ეს სიხარმაცით მოუვიდა და ქვეყანას იმიტომ მოერიდა, რომ ქვეყანა ხელ-ფეხის მოძრაობას, გარჯასა და მუშაობას პოთხოულობდა და სვეტზედ-კი შეეძლო უძრავად დებულიყო. ამისთანა ამბავს სხვა მიზეზი აქვს, რომელიც თავს იმაღავს ადამიანის მრავალფერ ბუნებაში“ (ჭავჭავაძე 1991: 371).

მწერალმა თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ასე გამოხატა, მომდევნო ფრაზით კი იმაზეც მიგვანიშნა, რომ ამგვარი დვაწლის მნიშვნელობა ბევრს არ ესმის: „...რამდენადაც ეს ფარულნი მიზეზი შორს არიან უბრალო სიკვდილის შვილთა თვალთათვის, იმდენად მათი პოვნა და მიგნება ხვედრია მარტო იმისთანა კაცებისა, როგორიც რუსთაველია და სხვანი“.

ლიტერატურული კრიტიკის მიმოხილვაშ სწორედ ეს დაგვანახა, მკვლევარნი და კრიტიკოსნი იღიას „განდეგილს“ ყოველთვის აფასებდნენ მათი ეპოქის, ცნობიერებისა და მსოფლმხედველობის გადასახედიდან და მოვლენებსაც თავიანთი მრწამსის შესაბამისად და შესატყვისად ხატავდნენ. ვიდრე მეცნიერთა საკვლევი პოზიცია არ დაუახლოვდა ავტორისას, პოემის იდეური შინაარსი არ გაიხსნა. ამის გამო, ათეული წლების განმავლობაში, მეცნიერთა მიერ მწერლის ჩანაფიქრის დეფინიცია უპირისპირდებოდა იღიას ცხოვრებისეულ მრწამსს.

თუკი მდაბალი, მიწიერი სამყაროდან განვხვით და ღვთის სამსახურს, მისთვის თავის შეწირვას და ასკეტური ცხოვრების წესს უარყოფითად ჩავთვლით და ცხოვრებისაგან განდგომად მივიჩნევთ, მაშინ უნდა უარვყოთ ოდითგან დღემდე უამრავ ბერ-მონაზონთა, წმინდა მამათა, მრავალ მოწამეთა მარტვილობა და ღვაწლი ღვთისა და ერის წინაშე – ღმერთთან მოსაუბრე პოეტი ამ სამზერიდან არასოდეს იყერებოდა.

პოემის მოქმედი გმირის, განდეგილი ბერის მარცხი პირვნული ცოდვის შედეგია და არა იმისი, რომ მან განდეგილური ცხოვრების წესი აირჩია.

იღია დიდი თანაგრძნობით ხატავს პოემის მთავარი პერსონაჟის მხატვრულ სახეს, რომელმაც ბერობის ყველაზე მძიმე ჯვარი იტვირთა – განდეგილური ცხოვრების წესი აირჩია და მყინვარის მიდამოებში ოდესდაც გაუქმებულ ტაძარს შეეკედლა.

მონასტრის სენაკში დღედაღმი ლოცვით, მარხვით, ღვთისადმი ღაღადებითა და სულისათვის ხორცის შეწირვით მწირმა მადლმოსილებსაც მიაღწია და ღვთისაგან მოვლენილი სასწაულით, მზის სხივზე დაყრდნობილი ლოცვანით ყოველდღე შეიმოწმებდა თვის სიწმინდეს.

წმიდა მამები გვმოძღვრავენ, რომ „ბერობა ყოველდღე სიკვდილია ქრისტესთვის და ჯვარცმაა სამარადისო“ (წმ. ალექსი ბერი 2003: 51). ეს მუდმივი სიფხიზლე და შინაგანი ბრძოლაა.

პოემის გმირი ერთადერთი ადამიანია, რომელმაც წუთისოფლის შურსა და მტრობას, ღალატსა და ძულებას მისგან განდგომა არჩია, საიქო ცხოვრებისათვის სააქაოს დათმობა განიზრახა და „რყვნას და წაწყმედას“ განშორებული ბეთლემის მონასტერს შეუკედლა. გაუქმებულ ღვთის ტაძარს შეხიზნული ამ „სხვა მსოფლიოშიც“ ის მარტოდმარტო და მოწეული განსაცდელის ჟამს მლოცველიც ერთადერთია, წარწყმედისაგან ქვეყნის ხსნას

რომ ევედრება უფალს. ძლიერმა საცდურებელმა, მძაფრმა სულიერმა ბრძოლებმა და ბერის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა მისი სასოწარკვეთა გამოიწვიეს, რაც გახდა კიდეც მწირის დაღუპვის მიზეზი.

ცნობილია, რომ სადაც მეტი სიწმიდეა, იქ უფრო გააფთრებით იბრძვის ბოროტი და პოემიდან ვიგებთ, რომ ეშმაკის მანქანებითა და მაცდურებით, მძაფრი სულიერი ბრძოლების შედეგად ბერი მარცხდება, მისი დაცემის შემდეგ კი „უწინდელ დროში დვთისა მოსავთა“ მიერ გამოქვაბული მონასტერი კვლავ ცარიელდება.

ილია მკითხველს სულიერი სიფხიზლისაკენ მოუწოდებს, რადგანაც იცის, რომ ხორცისა და სულის, ცოდვისა და მადლის ჭიდილი ადამიანში მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება და რა სულიერ სიმაღლეებსაც არ უნდა მიაღწიოს მან, დაცემისაგან დაზღვეული არასოდეს არის.

მხატვრულ ნაწარმოებში მწერალს თავისი მთავარი სათქმელი სახე-სიმბოლოებითა და მხატვრული ხერხებით აქვს გადმოცემული. „ნაწარმოებში სიმბოლურად ასახული დაცემა ამაღლებულისა, დვთივმონიჭებული მაღლის დაკარგვა ილიასათვის ის რეალობაა, რომელსაც იგი ხედავს, დანარჩენი კი ლეგენდად ქცეული პარალელია. ... ის აწმყოზე წარსულის თვალით გვალით გვახედებს და ამ ფონზე წარმოგვიჩენს მომავალს.“ (ნინიძე 1997: 158).

„... თუ არ დვთის ღირსი სხვა ვერვინ თურმე

იმ წმინდა ადგილს ვერ შეეხება“, – ვკითხულობთ ნაწარმოებში და პოემის ფინალში ქარის ქმუილთან ერთად ისმის გლოვის ხმაც, უჩვეულო სიწმინდით გამორჩეული, იმ ჟამისთვის ერთადერთი „დვთის ღირსი“ ადამიანის დაღუპვისა და ძველი სალოცავის დაცარიელების გამო...

დღევანდელი გადასახედიდან ჩვენთვის ხელახლა ცნაურდება ძველი აღთქმის ისტორიიდან უფლის გამოცხადების ეპიზოდი, რომელშიც ის აბრაამს ცოდვაში ჩაძირული სოდომის შეწყალებას პპირდება შიგ მცხოვრები თუნდაც ათი მართალი ადამიანის პოვნის შემთხვევაში: „არ დავდუპავ იმ ათის გულისათვის“ (დაბ.თ.18-32).

ყველასათვის ცნობილია, თუ რითი დამთავრდა ბიბლიური ქალაქის ისტორია, რადგან მასში ის ათი მართალი ადამიანიც არ აღმოჩნდა...

მწერალმა პოემის ფინალში დაცარიელებული და გაუდაბურებული ბეთლემის ჩვენებით – კი ბევრი რამ თქვა მისი თანამედროვე ცხოვრების შესახებ. ბეთლემის გაპარტახებით სულიერად გაპარტახებული საქართველოს

სურათია გამოხატული. მიზეზი კონკრეტულია — ადრე ბერების ლოცვითი დგაწლით განათებული ქვეყანა აწმუოში ამ დგაწლის გარეშე იყო დარჩენილი.

წმიდა მამათა ლოცვის ნაცვლად, გამომფრთხალი ნადირის ღმუილის ამარა დარჩენილი უძველესი ქართული სალოცავი ილიას სატკივარი და წუხილია, რომელიც, სამწუხაროდ, ცოტას თუ ესმის.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ჯერ კიდევ არსებობს ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები განდეგილობისადმი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებასთან დაკავშირებით.

პოემის ავტორის სარწმუნოებრივ მსოფლმხედველობასა და ცხოვრების წესზე დაყრდნობით საჭიროა, საბოლოოდ გაკეთდეს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა.

ლიტერატურისმცოდნეობაში მიმდინარეობს შეუქცევადი პროცესი დირებულებათა გადაფასებისა და ლიტერატურული კრიტიკაც სწორ გზას დაადგა, მაგრამ ის დღესაც ვალში რჩება ჩვენი დიდი წინაპრის წინაშე.

ილიას შემოქმედებას ამოუწურავი შესაძლებლობები გააჩნია, რადგან სულისა და ხორცის ჭიდილი, რომელიც „განდეგილში“ მთავარი დილემაა, ყველა დროის პრობლემა იყო და იქნება, მიუხედავად იმისა, ცნობს ამას საზოგადოება თუ არა.

ქრისტიანობა ილიას მრწამსისა და მხატვრული შემოქმედების განმსაზღვრელი მოძღვრებაა. მწერალი ჩვენზე უსაზღვროდ მაღლა დგას. ილიამდე ამაღლება ჭეშმარიტებამდე ამაღლების ტოლფასია. ჭეშმარიტება რწმენის გასაღებია; ამ გასაღებთან მიახლება კი უამისა და დროის საქმეა.

## მხატვრული პერსონაჟები ქრისტიანული ზნეობის გადასახედიდან

რამდენადაც იღია ჭავჭავაძის შემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს ეპიკური ჟანრი წარმოადგენს, რომელშიც მწერლის ჩანაფიქრი მეტწილად გმირთა სახეების წარმოჩენით რეალიზდება, ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ თუ რა ზნეობრივი გადასახედიდან უყურებს და აფასებს მწერალი ამ პერსონაჟებს. ეპიკური თხზულებების გმირთა სახეების შესწავლის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ თითოეული მათგანის ცხოვრება ქრისტიანული მორალის კუთხით არის შეფასებული. — აქედან გამომდინარე, სწორედ ეს არის ავტორის საჭვრეტი პოზიცია.

იღია ჭავჭავაძის მოთხრობის „კაცია-ადამიანის“?! გმირები განსახოვნებაა ადამიანის დაცემისა და ქრისტიანული არსისაგან დაცლისა. მწერალი არაჩვეულებრივად წარმოგვიჩენს მათ სულჩამქვდარ სხეულს, მათ ორიენტაციას ხორცზე და არა სულზე. მოთხრობის გმირების მთავარი საზრუნავი ხორციელი საზრდელის მიღება, ჭამა და სმაა. ღმერთსაც მადლობას ამისთვის სწირავენ. ლუარსაბი საზრდელის დამთავრების შემდეგ მადლობას უხდის უფალს: „გმადლობ შენ, უფალო, რათა განმაძლე მე“ (ჭავჭავაძე 1988: 51), მაგრამ ლოცვაში არსებული სიტყვები „და ნუ მომაკლებ ზეცისა შენსა სასუფეველსა“— ავიწყდება. ეს შემთხვევითი არაა, რადგან იგი არ ითხოვს ზეციურ სასუფეველს და იმდღევანდელი დღითა და ფიზიკური სიმაძღვითაც სავსებით კმაყოფილია.

იღიას არცერთი სხვა მოთხრობის გმირი იმდენს არ ლაპარაკობს ბიბლიურ თემებზე, რამდენსაც ლუარსაბი და დარეჯანი, მაგრამ ეს ფაქტი ავტორს გამოყენებული აქვს მათი სულიერი სიცარიელის საჩვენებლად. მთავარია არა ის, რომ ისინი ამ თემებზე ლაპარაკობენ. არამედ ის, თუ რას ამბობენ. საუბრების შინაარსი მათი აბსოლუტური უვიცობისა და თან თვითდაჯერებულობის დამადასტურებელია.

დარეჯანს გაგონილი აქვს, რომ იყო ვინმე ბიბლიური იაკობი და არ იცის, მის შესახებ სხვა არაფერი, მაგრამ როდესაც ლუარსაბი ეკითხება თუ „ვინ იყო“, არცოდნის აღიარებას ისევ „მოჭორებას არჩევს“ და პასუხობს: „წირვა-ლოცვაზედ მაინც არ გაგიგია?.. აბრაამის მძახლის განაყოფის შვილი იყოო“... (ჭავჭავაძე 1988: 107).

„კაცია ადამიანის?!“ კითხვისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მწერლის ფარული ირონია. ლუარსაბის ოჯახში, გაქონილ ქაღალდაკრულ ფანჯარაზე,

ნემსით დაჩხვლებილ ჯვრებისა და ნემსითვე გაკეთებულ სხვადასხვა წარწერების შესახებ (მაგ. „დათვი ხეზე როგორ გავა, იავნანინაო“) ილია წერს: „ეს კი ქალის საქმე უნდა იყოს! მოსწყენია დავითნის კითხვა, გულზე რაღაც სევდა მოსწოლია და გონების გასართავად და უგემურ დღის დასალევად მიმჯდარა ფანჯარასთან, ამოუძვრია გულის ქინძისთვი და მიუყვია ხელი ამ მართლა-და გონების გასართველ საქმისთვის“ (ჭავჭავაძე 1988: 36)

რა თქმა უნდა, მწერალი კი არ ამართლებს იმ უსაქმო ადამიანს და „დავითნის“ მნიშვნელობას კი არ აკნინებს, არამედ გვიჩვენებს საიდან სადამდე ეცემა „დვთის ქმნილებათა გვირგვინი“, რომელსაც დვთისაგან მინიჭებული თავისუფალი ნებით შეუძლია ანგელოზამდეც ზე-აღსვლა და პირუტყვამდეც დადაბლება.

რა უნდა ვთქვათ იმ სოფელზეც, სადაც დარეჯანი სოლომონის სიბრძნის საუკეთესო მცოდნედ ითვლება. რძალი ელისაბედი მის შესახებ ნიშნისმოგებით ამბობს: „სოლომონ ბრძენის წიგნს რომ ჩაბულბულებდა ხოლმე და კუდიანობდა, ეგ იმან ჩასცხო თავშია: ღმერთმა მაგათზედ გული აიყარა, ეხლა აღარა ეშველებათ-რა“ – აქ ქვეტექსტში იკითხება, რომ, თითქოს, დარეჯანს უშვილობა წმიდა წერილის კითხვამ მოუტანა.

„კაცია-ადამიანის“?! გმირები ვერ გარკვეულან, სად არის ლოცვა და სად – შელოცვა, სად – რწმენა და სად – ცრურწმენა, ამიტომაცაა, რომ ელისაბედი სოლომონ ბრძენის წიგნის კითხვასა და კუდიანობას ერთად მოიხსენიებს.

კითხავის რჩევით რომ დადიან ეკლესიაში და შესაწირს იღებენ, – ესეც უმეცრებისა და ცოდვა-მადლის გაურჩევლობის დადასტურებაა.

ლუარსაბი ერთი შეხედვით უწყინარი და უცოდველია. თავად ამბობს: „წირვა-ლოცვას მე არ ვაკლდებოდი, კაცი მე არ მამიკლავს და კაცისთვის მე არ მამიპარავს“ – და ეს ფაქტობრივად მართლაც ასეა, მაგრამ ეს ცოდვები მის გულში ფარულად არის დაბუდებული.

მართალია, კაცი არ მოუკლავს, მაგრამ გულით კი იოლად იმეტებს ადამიანს: „დავითსამც თვალიმც ამოსთხრიაო“ – ამბობს ის. „ცოდო არ არის... დავითი ცოცხალი იყოსო“ – ამას ამბობს ძმაზე; სახარებაში კი ვკითხულობთ: „ყოველსა, რომელსა სტულდეს ძმავ თქსი, იგი კაცის მკვლელი არს“ (ახალი აღთქმა 2003: იოვანე3.15)

მართალია, ლუარსაბს არ მოუპარავს, მაგრამ გულში ნატრობს ადამიანის პირველცოდვის განმეორებას და აკრძალული ხის ნაყოფის მოპარვას თან იმაზე

ზრუნავს, რომ არავინ გაიგოს: „ნეტავი მე მამეპარა... არ შევატყობინებდი: ჩავყლაპავდი და მუცელს ხომ ვერ გამიჭრიდნენ“

მართალია, მას არ უმრუშია, მაგრამ არა იმიტომ, რომ ვინმესკენ თვალი არ გაქცევია. მეზობლის ლამაზი პატარძლის შეხედვისას „ლუარსაბმა დააკრაჭუნა კიდეც თავისებურად კბილები სიამოვნების ნიშნად, მითამ-და სამაცდუროდ გაიღიმა“. სახარებაში ვკითხულობთ: „ყოველნი, რომელნი ქედვიდეს დედაკაცსა გულის თქუმად მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თქსესა“ (ახალი აღთქუმავ 2003: მთ.5.28).

ლუარსაბი სიძვა-მრუშობას კი არ გმობს, არამედ მისი გახმაურების ეშინია მხოლოდ. მეზობლის, ნიკოლოზის მრუშობის შესახებ ის ამბობს: „განა უწინ კი არ იყო მაგისთანა ამბები, ხორციელები არ იყვნენ თუ? მაგრამ სულ უწინ დაფარული იყო. ისე დაიჭერდნენ საქმეს, რომ ხორციელ ადამიანს არ გააგებინებდნენ, ბევრი მაგისთანაები მომხდარა უწინაც, მაგრამ აბა ერთი შეგიტყვიათ რამე? სულ ისე ჩუმად და გონიერად იცოდნენ უწინ ყველაფერი“ (ჭავჭავაძე 1988: 64).

ლუარსაბი და დარეჯანი, თითქოს, ერთმანეთის მოყვარული ცოლ-ქმარი ჩანს, მაგრამ გავიხსენოთ, თუ როგორ განრისხდება ლუარსაბი, როცა დაესიზმრება, რომ თვითონ მოკვდა და დარეჯანი საფლავში არ ჩაყვა. მას არა თუ ზოგადად მოყვასი, თვით დარეჯანიც არ უყვარს ჭეშმარიტი სიყვარულით. „თუ მე არ ვიქნები, ქვეყანა თუნდა ძირიანად ამოვარდნილა... ქვა ქვაზედ ნუ იქნება“ – ამბობს ის და საკუთარი სიცოცხლის გარეშე ქვეყნის არსებობა საჭიროდ არ მიაჩნია...

ლუარსაბი თავისი უნიათობის გამო ვერავის მოტყუებას ვერ ახერხებს, მაგრამ ამის სურვილი კი აქვს. გავიხსენოთ ბუზების ეპიზოდი, სადაც ის თავის კნეინას ეჯიბრება ბუზების რაოდენობის გამოცნობაში და როცა დარწმუნდება, რომ მისი ანგარიში მცდარია, უცებ გადადის დარეჯანის აზრზე და ამტკიცებს თავის უცდომელობას. არც თავის მოურავთან გაუდის თავადს ტყუილები. ცბიერი დათო მაშინვე მიუხვდება, თუ რატომ ცდილობს მისი ბატონი იმ ხმის გავრცელებას, რომ ბატონ-ყმობის გადავარდნა ტყუილია. ილია შენიშნავს, „ვინ იცის, გულში როგორ ეცინებოდა ამ პირმოთნე ყმასა“ (ჭავჭავაძე 1988: 69).

ლუარსაბი უქნარაა – ის თავისი შრომით საზრდოს არ შოულობს, მაგრამ ბაქი-ბუქობს და თავს იტყუებს, ვითომ ეს ასე არის. ის ტიპური სახეა ბიბლიური ფარისევლისა, რომელიც გარეგანად ცდილობს რჯულის

აღმსარებლად გამოჩნდეს, მაგრამ სინამდვილეში არსი დაკარგული აქვს. მისი სიზმრისეული ლოცვა აშკარა გამოძახილია სახარებისეული ფარისევლური ლოცვისა, სადაც ის ცდილობს საკუთარი თავის განდიდებას და მოყვასის, საკუთარი მმის დაკნინება-დაბეზღებას. „ღმერთ! – რა დაგიშავე შე დალოცვილო, რომ შვილს არ მაძლევ? მიბძანე და აკი თელეთს გიახელ სალოცავადა, თორმეტაბაზიანი ცხვარი დაგიკალ, ორი აბაზის წმინდა სანთელი დაგინთე. სხვა რა ვქნა? წირვა-ლოცვას უამისოდაც არ ვაკლდებოდი, მარხვა მე არ გამიტეხია, ყოველ წელიწადს წმინდა ზიარება მიმიღია და აღსარება მითქვამს. აბა ჩვენ მღვდელსა ჰქითხე, თუ მე ცოდვა მიქნია რამე. დავითის ლუქმად გინდა გამხადო?! რაც იმას ქვეყანაზე ცოდვა ჩაუდენია, ვინ მოსთვლის“? (ჭავჭავაძე 1988: 108)

ლუარსაბი თავის ცოდვებს თავადაც ვერ აცნობიერებს, ამიტომ ჭირს კიდეც მათი დანახვა, მაგრამ იღიას დამოკიდებულება ლუარსაბისადმი და შეიძლება ითქვას, რომ მოთხოვობის ყველა გმირისადმი, პირდაპირ და ცალსახად იკითხება ავტორის სიტყვებში: „მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით, რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია, ესეც კარგია: უარარაობას ეგა სჯობია. მაგრამ ახლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექმნა ის კი გიქმნია?... წირვა-ლოცვას არ ვაკლდებოდო. რა გამოვიდა! იქ ყოველთვის გსმენია ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს სიტყვა: „ვით მამა ზეცისა, იყავ შენც სრულიო“ აბა, ერთს წამს შენს სიცოცხლეში მაგისთვის სცდილხარ?“ (ჭავჭავაძე 1988: 74)

ის, რომ ცოდვის არქმნა ქრისტიანული ზნეობის მიხედვით ადამიანისათვის საკმარისი არ არის, არაერთგზისაა აღნიშნული იღია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაშიც. ერთგან ვკითხულობთ: „ბოროტის უქმნელობა კი არ იზიდავს, კი არ გამსჭვალავს ადამიანის გულსა, არამედ ქმნა მადლისა... ჭეშმარიტი კაცობა არქონა ცოდვისა კი არ არის, არამედ ქონა მადლისა. კაცურის კაცობის ნიშანი minimum-ი სათნოება კი არ არის, რომელიც არცოდვის საზღვარია, არამედ maximum-ი, რომელიც მადლის სამფლობელოა და საუფლისწულო.“ (ჭავჭავაძე 1991: 397)

სხვაგან ვკითხულობთ: „ორი ერთნაირი სათნოება ქვეყანაზე ადამიანის ღირსების აღმნიშვნელი: ერთი უქმი, რომლესაც მოსდევს არ სქმნა ბოროტისა, მეორე მომქმედი, რომელსაც მოსდევს ქმნა კეთილისა. პირველი მაგდენი ვერაფერი დგაწლია. სადიდებელი კაცისა მეორე სათნოებაა“ (ივერია 1898: №103).

„დიდი მანძილია ბოროტის არქემნასა და კეთილის ქმნას შორის. ერთმანეთს არაფერში ჰგვანან. ბოროტის არაქმნა იგია, რომ სიკეთე მიანიჭო, სიკეთე უყო. საკამაო არ არის, რომ კაცი არ უნდა მოჰკლა, უნდა აცოცხლო კიდეც, – საკმაო არ არის არა გამოსწირო რა, უნდა მართალს მოუწყავდე კიდეც; საკმაო არ არის არა გული გითქმოდეს მოძმის კეთილისათვის, უნდა გიხაროდეს, მხიარულობდე კიდეც, უნდა შველოდე, ხელს უწყობდე, საკმაო არ არის არყოფა ბოროტისა, უნდა კეთილის ყოფა, – საკმაო არ არის ბოროტისათვის ხელ-ფეხი შეიკრა, უნდა სიკეთისათვის ხელ-ფეხი გაშალო, ამოქმედო“ (ივერია 1887: №70).

მოთხრობა „კაცია-ადამიანის?!“ გმირები ილიას მკაფიოდა პყავს დახატული და თან წინასიტყვაობის მიხედვით, „შენ ათასსა ჰგევხარ და ათასი შენა“ (ჭავჭავაძე 1988: 575), – ავტორი პირდაპირ გვუბნება, რომ საზოგადო ჭირზე წერს და რომ ლუარსაბობა (ჭეშმარიტი კაცობისა და ადამიანობის პრობლემა) ჩვენი ერის ერთ-ერთი ტკივილი იყო.

საინტერესოა გმირთა ზნეობაზე დაკვირვება „გლახის ნაამბობის“ მიხედვითაც. მოთხრობის გმირი, ბატონიშვილი დათიკო არის სახე ადამიანისა, რომელიც არაფერს ღვთიურს ახლოს არ იკარებს. მოთხრობის პირველი ვარიანტის მიხედვით, იგი ხელიდან აგდებინებს გაბრიელს „ვეფხისტყაოსანს“ და ირონიულად ამბობს: „მეორე სახარებაც ეგა ყოფილაო“.

მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟი, მღვდელი გულისტკივილთ აღნიშნავს, რომ ეს ყმაწვილი კაცი ვერ მოიკარა, ბოლოს თავად ეახლება მას და კარგა ხანს უქადაგებს, მაგრამ ოთახიდან გამოსული სიტყვებით: „სწყუროდის წყალსა ვინ დაღვრის კაცი უშმაგო, ცნობილი“ – მიგვანიშნებს, რომ მან ღვთის სიტყვა, ეს მაცოცხლებელი წყარო დაღვარა.

ბევრად უფრო საინტერესოა გაბრიელის სახე. იგი, როგორც ჩაგრული, მკითხველში ერთგვარ სიმპათიას იწვევს, მაგრამ მწერალი ახერხებს, რომ უფრო ღრმად ჩაგვახედოს მის სულში.

გაბრიელის პრობლემა მარტო ის კი არ არის, რომ ის ქმაა, არამედ ის, რომ ის სულითაც მონაა. გაბრიელს არ ესმის თაისი, როგორც ადამიანის, როგორც კაცის უმაღლესი დანიშნულება. მზად არის, ფეხები დაუკოცნოს ყველას, ვინც მისადმი სიკეთეს გამოიჩენს და ვერ ხედავს, რომ ამ სიკეთის წყარო ის ჩამდენი ადამიანი კი არ არის, არამედ – დმერთი. როდესაც მღვდელი უუბნება მას, შენი მშველელი ცაშია, მე კი მისი ცოდვილი მსახური ვარო,

გაბრიელი მიუგებს, „შენ დვთის მსახური იყავ და მე კი შენი ვიქნებიო“ (ჭავჭავაძე 1988: 157).

ის ვერ წვდება მაღალ სულიერ სიმაღლებს, ხედავს მხოლოდ ამქვეყნიურ სიკეთესა და ბოროტებას, ვერ გრძნობს დვთის განგებულებას. მას არა აქვს ის ადამიანური ღირსება, რომელიც არ დაკმაყოფილდებოდა იმით, „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“ და რომელიც მოინდომებდა ღვთაებრივი ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვას. ეს სწრაფვა კი, ილიას თქმით, ყველას მოეთხოვება: „გრძნობა ადამიანის ღირსებისა აღიარებულია საქვეყნოდ დიდსა და მცირეშიც, მდიდარსა და გლახაგშიც, ბატონსა და ყმაშიც, თავადსა და გლეხშიც. ყველგან იგი კაცსა პხედავს და კაცსა პსცემს პატივსა“ (ჭავჭავაძე 1991: 224)

ჩაგრულობა ყოველთვის არ ნიშნავს სიმართლეს. მართალია, ილია ბევრს წერდა სოციალურ უსამართლობაზე, მაგრამ მისთვის ყველა გლეხი მართალი და ყველა თავადი ბოროტი არ ყოფილა. ლამაზისეული არაფრითაა დარეჯანზე უკეთესი და მოურავი გიტოც, რომელიც შეპირებული ჩოხის სანაცვლოდ თავისნაირ გლეხის ოჯახს დაუფიქრებლად აუბედურებს, – არაფრითაა უკეთესი ხორციელ ვნებებს აყოლილ დათიკოზე.

ილია თავის ნაწერებში გვასწავლის, რომ ადამიანის თვითშეფასება ხშირად არ არის სანდო და რომ სიტყვა და საქმე ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვევა. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს, ვითომდა, „დვთის მოყვარული და მადიდებელი“ გაბრიელი ყველას სწირავს, ვინც მას უყვარდა. მათგან პირველია მამა, რომელსაც ძალიან სჭირდებოდა მოხუცებულობაში შვილის გვერდში ამოდგომა, მან კი ბატონის კარზე, დათიკოსთან ყოფნა არჩია დედინაცვალთან და მოხუც მშობელთან ერთად ცხოვრებას. გაჯავრებული და გულაყრილი გაბრუნდა მამამისი შინ და ერთ წელიწადში გარდაიცვალა კიდეც შვილის უნახავად. გაბროს თავისი საქციელი შემდგომში სანაწებელი გაუხდა.

სანამ დათიკო სხვებს აუბედურებდა, გაბრიელს, როგორც მის მარჯვენა ხელს, ეს არ ეხებოდა; წინააღმდეგობას არ უწევდა იმ მოტივით, რომ უყვარდა ბატონი, მაგრამ, როგორც კი დათიკო მას გზაზე გადაედობა, მაშინვე გამოიმეტა მოსაკლავად.

მას, ვითომ-და, ძალიან უყვარდა თამრო, მაგრამ ცოდვის მორევში ჩაძირულ და გაუბედურებულ ქალს, რომლის ერთად-ერთი იმუდი და გამკითხავი გაბრიელი-და იყო, ხელი ჰკრა და გველის წიწილივით ისე მოიშორა გულიდან, რომ არც უფიქრია მის დახმარებაზე. მაშინ არ უგვრძვნია სინდისის ქენჯნა და

არც დალოცვილი მდგდლის შეგონება გახსენებია: „როცა . . . ადამიანს პირს არიდებ, მითამ ქრისტე ღმერთისთვის მოგირიდებია პირი“ (ჭავჭავაძე 1988: 173).

როდესაც მდგდელმა გაბროს დვთის სიტყვა უქადაგა (უფლისა და ტალანტების იგავი. მთ. 25.15-30), იქვე განუმარტა: „ღმერთმა ყველას გონება და გული, სიკეთის შეძლება დაგვირიგა, ზოგს, მართალია, ცოტა, ზოგს ბევრი, მაგრამ ბევრს ბევრი მოეკითხება, ცოტას – ცოტა. იმისათვის კი არ დაგვირიგა, რომ იმ ზარმაც მონასავით კიდობანში ან მიწაში დაგმალოთ, — იმისათვის, რომ ბევრი გაჭირვებულია ქვეყანაზედ, უნდა გავცეო, რომ მოვიგოთ რამე, თორებ ხელცარიელები დავრჩებით, როცა ღმერთი მოგვაკითხავს ... ის დვთის მადლი, რომელიც ყოველ კაცსა თავდაპირველადვე ჩაგვსახებია, ჩვენთვის დაკარგულია, თუ სიკეთე არ მოვაგებინეთ“ (ჭავჭავაძე 1988: 163)

მოძღვარმა ერთადერთი რამ მოსთხოვა გაბრიელს, რაც ჩემგან მიიღე, ის სხვას გადაეციო. ამოდენა მოთხოვბაში ერთი პატარა დეტალიც არ ჩანს, რომ მას ვინმესთვის რამე სიკეთე გაეკეთებინოს; პირიქით, გაბრიელმა პირველ საჭირო შემთხვევისთანავე ისარგებლა და გაძარცვა ადამიანი, რადგან ცხენი და ქამარ-ხანჯალი სჭირდებოდა. როდესაც ტყეში გაბოროტებული ნადირივით იმალებოდა, გულში კაცის-კვლის ფიქრჩასახული, რამდენიმე ადამიანი მაშინაც გაძარცვა და თავისი საქციელი ასე გაამართლა: „ღმერთო, ხომ შენც იცი, არც ერთისათვის იმაზედ მეტი არ წამირთმევია, რაც მე თითონ მიჭირდა“ (ჭავჭავაძე 1988:212).

გაბრიელს თითქოს უყვარს ღმერთი, ხშირადაც ახსენებს და იმოდენა კრძალვა აქვს მისადმი, რომ მწოლიარე ზიარებას არ აკადრებს მის „მხსნელსა და მაცხოვარს“, მაგრამ სინამდვილეში უპირისპირდება ახალი აღთქმით მოტანილ უფლის უმთავრეს მცნებას: „გიყვარდეთ მტერნი თქუენნი“ (ახალი აღთქუმავ 2003: მათე 5.44).

იგი ამბობს: „ის დალოცვილი მდგდელი ხშირად მარიგებდა ხოლმე, რომ მტერსაც პატივობა უნდაო. მეც ვამბობ, მაგრამ მაგას მარტო ენა ამბობს და გულში კი სხვა ბალდამი ტრიალებს. ღმერთო, შეგცოდე, მაგრამ შენგან გაჩენილს ადამიანსა მარტო შენი სახე თუ მისცემია, თორემ გული კი – არა, სულ ტყუილია! მაინც ადამიანს მტერი არ შეჰყვარებია...“

დათიკოს ავკაცობასთან დაკავშირებით ის ფიქრობს: „მაშ ღვთის სამართალმა არ უნდა გაიღვიძოსო“ და ჰგონია, რომ მისი მოკვლით თავად აღასრულებს დვთის ნებასა და სამართალს.

მოხუცი პეპია სიკვდილის წინ ფიცს ადებინებს გაბრიელს, რომ კაცს მოკლავს უზიარებლად: „თუ თამრო ნამუსწარომეული ნახო, შემომფიცე, რომ იმის დამდუპველს მზეს დაუბნელებ! შემომფიცე, რომ ისე უზიარებლად და შეუნდობარს მოკლავ, როგორც მე ვკვდები!“ — აქ ხაზი უნდა გაესვას ერთ რამეს — უზიარებლობის მოთხოვნას. აქედან ჩანს, რომ პეპიას დათიკოს სიკვდილი იმიტომ კი არ უნდა, რომ მან სხვებიც არ გააუბედუროს, არამედ იმიტომ, რომ ბოროტი და სამაგიეროს მიგება უნდა მისთვის, — ეს არის ცალსახა შურისძიება.

უფალი კი გვასწავლის: „ნუ თავით თმსით შურსა ეძიებთ, საყუარელნო, . . . რამეთუ წერილ არს: „ჩემი არს შურისგებავ და მე მივაგო“ (ახალი აღთქუმავ 2003: პრომ.12.19).

გაბრიელი ფიცით აღუთქვამს პეპიას დათიკოს უზიარებლად სიკვდილს, კისრად იდებს სასიკვდინე ცოდვის ჩადენას და ამით არდგევს უფლის მცნებასა და სწავლებას: „ნუ პფუცავთ ყოვლითურთ“ (ახალი აღთქუმავ 2003: მათე 5.54) და „არა კაც-კლა“ (ახალი აღთქუმავ 2003: მათე 5.21).

შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ გაბრიელი თავადაც უზიარებელი კვდება, რადგან, როგორც სახარებიდან ვიცით: „რავცა-იგი სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს“ (ახალი აღთქუმავ 2003: გალატელთა 6.7), ამდენად, მასაც იმავე საწყაულით მიეგო, რითაც სხვას მიუზღდავდა.

წმიდა ზიარების შესახებ უფალი გვამცნობს: „ხოლო რომელი ჭამდეს წორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებავ საუკუნოვ, და მე აღვადგინო იგი უკანავსკნელსა მას დღესა“ (ახალი აღთქუმავ 2003: იოვანე 6.54).

გაბრიელი, თითქოს, ასეთი მარადიული ცხოვრებისათვის ემზადებოდა ბავშვობიდანვე. მის ცხოვრებაში მღვდლის გამოჩენა და მოძღვრის მეშვეობით წმიდა სიტყვასთან მისი ზიარება წინასწარი შემზადება იყო მოსალოდნელი განსაცდელებისათვის, რათა „სხვანაირად გულგამთბარს“, დიდი რწმენით, უფლისა და კაცის სიყვარულით, შეძლებოდა მართალ გზაზე სიარული და ბოლომდე კაცად დარჩენა.

„მე ყმაწვილობიდანვე სხვა მზემ დამკრა და სხვანაირად გამიობო გული: მაგრამ ჟამმა მიმუხოლა და კაცმა არ მიპატივა . . .“ — ასე აფასებს ის თავის ქმედებას და ცდება, რადგან პგავს იმ ადამიანს, რომელმაც სიხარულით მიიღო ღვთის სიტყვა, შეითვისა და შეიყვარა კიდეც, მაგრამ მალევე,

დაბრკოლებისთანავე დაკარგა მოპოვებული მადლი. სწორედ მასზეა ნათქვამი მაცხოვრის სიტყვები: „ხოლო რომელი-იგი კლდოვანსა ზედა დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუან იგი ისმინის და მეყსეულად სიხარულით მიიღის იგი. ხოლო ძირი არა აქუნ გულსა თქსსა, არამედ საწუთო არნ. და რაუამს არნ ჭირი ანუ დევნაან სიტყვასა მისოდს, მეყსეულად დაპბრკოლდის იგი“ (ახალი აღთქუმაა 2003: მათე 13. 20-21).

გაბრიელის ზედაპირული რწმენა და ღვთის მცნებების ასევე ზედაპირული შეგნება ცხოვრებისეული წინააღმდეგობის შემთხვევისთანავე დაიმსხვრა. ის ბოროტებამ დააბრკოლა და სიკეთისაკენ სწრაფვის სურვილი დაუკარგა. დათიკოს ავკაცობამ უფრო დიდი ბოროტება დაბადა მის გულში, სიყვარულს სიძულვილი ჩაუნაცვლა, შენდობასა და პატიებას – კაცის კვლისა და შურისძიების წყურვილი, შესაბამისად, მან არასწორად იცხოვრა და ბევრი ცოდვაც აიკიდა...

სიკვდილის წინ, ღვთის განგებით, მას საზიარებლად სწორედ ის მდგდელი მოევლინება, რომლის ხელშიაც გაბრო, „როგორც სანთელი“, აინთო და რომელმაც ასწავლა, თუ როგორ ეცხოვრა.

„შეწუხებული მდგდლის სიტყვაზე, თუ რამ მოიყვანა ამ დღემდინ, ის პასუხობს: „იმ ცეცხლმა, რომელიც ღვთისაგან გულში გვინთია, როგორც შენ ერთხელ მიბმანე. მე ასე მგონია და სხვისა არ ვიცი“ ...

„მე ასე მგონია“ – ამბობს გაბრიელი და სწორედ აქ ცდება კიდევ ერთხელ ისე, როგორც ბევრგან სხვაგან, რადგან, როცა მას ბავშვობაში მდგდელი კაცის გულში ღვთისგან ანთებულ ცეცხლზე ესაუბრებოდა, ასე არიგებდა: „დმერთს შენთვის გონება, გული მოუცია, ავარჯიშე სანამ სიცოცხლე შეგწევს. გონება გზას გაგინათლებს, გული – გაგითბობს. ყველას გულში, – ბატონია თუ ყმა, მე ვარ თუ შენა – ღვთისგან ანთებული ცეცხლი ანთია; ის ცეცხლი არ უნდა გავაქროთ, თუ რომ გვინდა პირნათლად შევეყაროთ ჩვენს გამჩენსა. ის ცეცხლი მეც, შენც და სხვასაცა ხანდისხან იმისთანა საქმეს გვაქმნევინებს, რომ ქვეყანას აკვირვებს ... რაც შეგვეძლოს ჩვენც ისა ვქმნათ, დმერთიც ჩვენგან იმასა ითხოვს და კაციცა“.

„ღვთისგან ანთებულ ცეცხლში“ სათხოება, სიკეთე და სიყვარული იგულისხმებოდა; გაბრიელს კი გონება შურისძიების წყურვილმა დაუბინდა, გული კაცის – კვლის ფიქრმა დაულპო, ჩადენილმა ცოდვამ დაამძიმა და სიკვდილის წინ დაგლახავებული, სიკეთისაგან განძარცვული, (უგუნური ხუთი

ქალწულივით ახალი აღთქუმაB 2003: მათე 25, 1-13) ჩამქრალი ლამპრით, კეთილი საქმეების გარეშე შეხვდა თავის „მხსნელსა და მაცხოვარს“.

მდგდლის „ხელში ანთებული სანთელი“, მის ხელშივე გაქრა აქვითინებული და მიწაზე პირქვე დამხობილი. „საცოდავსა მაინც ზიარების მიღება არ დასცალდა“ – აღნიშნავს მოთხოვბის ბოლოს ავტორი დანანებით.

პეპია, თამრო, გაბრიელი ერთი შეხედვით კეთილშობილი, უბრალო ადამიანები არიან, მაგრამ ისინი ვერ უძლებენ წუთისოფლის საცდურს და ხდებიან არა მხოლოდ რეალობის მსხვერპლი, არამედ თავადაც ცოდვილნი.

ილია ჭავჭავაძის ეპიკური გმირები ადვილი აღსაქმელი არ არის, მათი გარეგანი კეთილმსახურებისა და უცოდველობის მიღმა ცოდვით და ლვარძლით სავსე გული იმალება. ამის კიდევ ერთი დასტურია პეტრეს სახე მოთხოვბაში „სარჩობელაზედ“.

ჩვენ სრული უფლება გვაქვს, მოხუცის საქციელი ქრისტიანული მორალის კუთხით განვიხილოთ, რადგან ის თავად იქადის დიდ ქრისტიანობას. მოხუცი მეურმე გზად შეხვედრილ გაჭირვებაში ჩავარდნილ, ობოლ ძმებს ეუბნება: „ეს ქვეყანა საქრისტიანო საქართველოა. . . პურსაც გაჭმევთ, დვინოსაც დაგალევინებთ და კაი ქეიფსაც გაგაწევინებთ. ვაი, ავგაცს, რომ თქვენი ცოდვა აუდია, თორემ თქვენ რა გიჭირო?“ (ჭავჭავაძე 1988: 226), მაგრამ პეტრეს სათხოება, ილიასეული ფრაზა რომ ვიხმაროთ, ისეთივე „ფეხმოკლე“ აღმოჩნდება, როგორც გაბრიელის კეთილმსახურება. როგორც კი მის სიკეთეს ბოროტებით უპასუხებენ და გულუხვი მასპინძლობის საპასუხოდ ჯიბეებს დააჭრიან, იგი უარს ამბობს სათხოებაზე, სიკეთეზე და „თავის მშვილდს“ (სიკეთეს) ძირს დებს.

შეურაცხეყოფილ მეურმეს საკუთარი დაცინვის შიში უფრო აშვოთებს, ვიდრე იმ ბიჭების ბედი, რომელთაც სიკეთე უყო და როგორც ქრისტიანი, ერთხელაც არ გაიფიქრებს, თუ რა დიდ ცოდვაში ჩაიგდეს თბოლმა ძმებმა თავი.

ვნახოთ, რას წერს ილია ამაგვარი ზედაპირული სიკეთის შესახებ: „ეგ რომ მართალი იერიში გულითადის რწმენისა ყოფილიყო, პირველ სამარცხ შემთხვევაშივე კი არ დაიშვებდა ფრთებს, არამედ უფრო გაძლიერდებოდა. ასეთი სულმოკლე და ხელმოკლე როდია გულითადი რწმენა, რომ თუ პირველ მისევაზედ ვერ გაიტანა, დადუნდეს და უდონობის მშვილდი ძირს დადოს“ (გაზ. „ივერია“ 1887წ. 7 აგვისტო).

იღიას აზრით, ქრისტიანი ადამიანი ქრისტეს მხედარი უნდა იყოს, მუდმივ სიფხიზლეში მყოფი და სათნოებით შეიარაღებული.

პეტრე ხარბი არ არის, ის ფულს არ მისტირის: „სამი და ათი შაური, ... საგალალო ეგ კი არი, მაგას ვინ ჩივის. ეგ სირცხვილი როგორდა ვჭამო, როგორ! უსუსურმა ბავშვმა გამქურდა. ვისაც ვეტყვი დამცინებს, ჯალაბსაც კი სიცილად არ ვეყოფი, მეზობლები ჯავრით გამხეოჲენ. ბიჭო, მძინარეს ჯიბეები დამაჭრეს!...“

როცა ადამიანს დაცინვის შიში ასე გაძლიერებული აქვს, – ეს ამპარტავნების ნიშანია. შედეგი კი ისაა, რომ კეთილი მეურმე ამბობს: „არა შვილო, ეხლა ჩემი მშვილდი ძირს უნდა დავდო“.

რას ნიშნავს იღიას ეს ფრაზა? – აქ წყდება თხრობა და ოთხი წლის შემდეგ რაც ხდება, ის არის ნაჩვენები ნაწარმოებში.

სიკეთისაგან განძარცული პეტრე ოთხი წლის შემდეგ სულ სხვაგვარად გამოიყურება. უწინდელზე უფრო მობერებული (თუმცა, რაც სიფათი შეემთხვა, მას მერე მეურმეობაზე ხელი აედო), იმავე თავმომწონებით, „ყეინსავით გამოჭიმული“ ზის დვინით სავსე რუმბზე და ქალაქს მიეშურება წისქვილის ქვების საყიდლად.

ავლაბრის მოედანზე, ქვეყნის ამბების შესატყობად გასული, ყურს მოჰკრავს, რომ მახათას მთაზე კაცს ჩამოახრჩობენო. გული ძალიან გაუწევს იქითკენ: „ბევრი ვაი-ვაგლახი მინახავს ჩემს სიცოცხლეში ... მოდი, ერთი ესეცა ვნახოო“ ...

მართალია, მას ეჭვი უჩნდება, არ სჯერა, რომ ადამიანს მართლა ჩამოახრჩობენ, თვალთმაქცობა და ჯამბაზობა პგონია ყოველივე. გაურკვეველი კითხვები დუღს მის სულში: „კატა ხო არ არის, აიღო და ჩამოჰკიდო; რაც უნდა იყოს დვთის სული, ადამიანია!“ – ფიქრობს ის, მაგრამ კითხვისა რცხვენია და ხმას არ იღებს: „ერთი გული ეუბნებოდა, მოდი, ვიკითხავ რა ამბავია, მეორე კი ეუბნებოდა, სირცხვილია, დამცინებენო“ (ჭავჭავაძე 1988: 231).

პეტრე ერთი გაფიქრება იმასაც კი იფიქრებს, რომ ამდენი ხალხი მოედანზე მხოლოდ იმისთვისაა თავმოყრილი, რომ მის სოფლელობას დასცინონ და გააბრიყვონ.

მოთხობაში არაერთგზის ხაზგასმული დაცინვის შიში მეურმის ფარული ამპარტავნების ნიშანია. „... აქაოდა სოფლელიაო, მალე მოტყუვდებაო, ვთქვათ, რომ მოვტყუვდი, მითამ რაო? თამაშას ხომ ვნახავ ... დვთის წინაშე კი, იქავ რომ

მცოდნოდა თვალთმაქცობას ითამაშებდნენ, იქნება არც წამოვსულიყავ, აი! პაი, პაი, კაცის გული მალია, მალია ცოდვის საქმეზედ. კაცის დარჩობის სანახავად გამოუქნელ მოზვერასავით კი გამომიწია და! ...

ამ პატარა გულში ამოდენა ცოდვა და მადლი ტრიალებს“ (ჭავჭავაძე 1988: 229).

მას შემდეგ, რაც ყმაწვილს ჩამოახრჩობენ, კვლავ გაურკვევლობაში რჩება მოხუცი. მასში ჩამოხრჩობილისადმი თანაგრძნობა და მოსალოდნელი დაცინვის შიში კვლავ ერთმანეთს ეჯახებიან. ბრბოში გარეული, შეფიქრიანებული, მაგრამ მაინც ხმაგაკმენდილი, მიბარბაცებს ის ავლაბრის ბაკებისაკენ და როგორც მწერალი ამბობს, „მარტო იმის დარღი ჰქონდა, შეეტყო რაში ტყუვდება: იმაში რომ ეს მართალი თვალთმაქცობაა თუ ტყუილი ჩამორჩობა, თუ მართალი ჩამორჩობა. მაინც კი მალიან უნდოდა შეეტყო მართალი“.

პეტრე, რომელსაც საქმით ცუდი, თითქოს, არაფერი ჩაუდენია, უმცროსმა ძმამ მოთხოვნის ბოლოს, მისი პირით, თვით ჯალათების გვერდით დააყენა, რადგან მან თავის გულში გამოუტანა ყმაწვილს განაჩენი იმით, რომ უსიტყვოდ დაესწრო მის ჩამოხრჩობას.

მართალია, მოხუცს ბოლომდე ვერ გაეგო ტყუილ-მართალი, მაგრამ იმის შიშით, არ დამცინონო, არ იკითხა, თუ რა ხდებოდა. ავტორის სიტყვებით: „სწორედ გითხრათ . . . მართალი კი ტყუილი რომ გამომდგარიყო, ეგ არაფერი; მაგას როგორდაც უფრო ადვილად ჰყაბულობდა ჩვენი პეტრე... პირველში მოტყუებას უფრო თაკილობდა მისი გული“ (ჭავჭავაძე 1988: 233). – ეს უკვე აშკარა უსიყვარულობაა. პეტრეც ისეთივე მოჩვენებითი ქრისტიანია, როგორც ბევრი სხვა. მის გულში ისეა გაბატონებული ამპარტავნება, რომ მოყვასისათვის ადგილი არ რჩება. მას საკუთარი დაცინვის უფრო ეშინია, ვიდრე მოყვასის სიკვდილს.

მოთხოვნის მხატვრული პერსონაჟის, სიკვდილმისჯილი უფროსი ძმის (ბეჭანის) ცოდვიანობა იოლი აღსაქმელია. მისნაირებს ცხოვრებაში იოლად შევიცნობთ ხოლმე, მაგრამ მწერალი ცდილობს ისეთი რთული პიროვნების სულის ხვეულებშიც ჩაგვახედოს, როგორიც პეტრე და უმცროსი ძმაა, სადაც ცოდვასა და მადლს შორის ჭიდილი ბოლომდე გრძელდება.

ცოდვის გზაზე დგას უმცროსი ძმაც. მიუხედავად იმისა, რომ ის, ბეჭანთან შედარებით, ბუნებით უფრო კეთილშობილია, ხასიათის სიმტკიცე აკლია და

ყველა ცოდვაში ადვილად ებმება. ხდება ქურდობის, ძარცვის, კაცის კვლის მონაწილე.

ავტორმა ამ პერსონაჟს სახელი შეგნებულად არ შეურჩია, რადგან მას სწორედ „უმცროსი ძმა“ უნდა ერქვას. მას საკუთარი ნება არ გააჩნია, უფროსი ძმის მორჩილია (არ უნდოდა, ეთაკილებოდა პეტრესთვის ჯიბეების დაჭრა, მაგრამ ძმას წინააღმდეგობა ვერ გაუწია).

ის შეიძლება სიკეთესაც დაემორჩილოს და მადლის გზაზეც გავიდეს, მაგრამ უსულგულო გარემოში ამას ვეღარსად ხედავს. მეტიც, პეტრესადმი მიწერილი წერილიდან ვგებულობთ, რომ პირველი სიკეთე, რომელიც მან ცხოვრებაში ნახა – მოხუცი მეურმესი იყო: „შენმა გულკეთილობამ კინაღამ მადლის შუქი არ ჩააწვდინა ჩემს ბნელ გულამდი, კინაღამ შენმა გულკეთილობამ არ მომინადირა“.

მოხუცისაგან გამოჩენილი გულკეთილობა, „როგორც ნაცრის ქვეშ შენახული ნადგერდალი“, ისე დვიოდა მის გულში. მადლის ერთი პატარა ძარღვიც ტოკავდა, მაგრამ ეს ძარღვიც ჩასწყდა სახრჩობელაზედ, როცა, მოულოდნელად, იმოდენა ხალხში, სეირის მაყურებლად მდგარი ნაცნობი მეურმე შენიშნა: „თქვენ იდექით და სეირს უყურებდით, მე კი ვუყურებდი და ვიწოდი ... ერთი პატარა ძარღვი კიდევ მქონდა გულში და ისიც დღეს სარჩობელაზედ ჩამწყდა. ამით სამუდამოდ მოვწყდი ქვეყანასა, როგორც წინადვე მოტეხილი ტოტი, უკანასკნელ ძაფზედა დაკიდებული“ (ჭავჭავაძე 1988: 239), – ასე იქცა უმცროსი ძმის წარმოსახვაში სიკეთით გამორჩეული ერთადერთი ადამიანი, პეტრე, მკვლელობის თანამონაწილედ.

სამწუხაროდ, უმცროს ძმაშიც საბოლოოდ ცოდვა იმარჯვებს. პეტრესადმი მიწერილი წერილიდან ვიგებთ, რომ მან ნაძარცვი თანხა ერთი ათად დაუბრუნა უკან მეურმეს, ბრალი დასდო გულქვაობაში და სიტყვებით: „თუ როდისმე ჩემი ნახვა მოიწადინო, მოდი და მეც ჩემ ძმასავით სარჩობელაზედ მნახე“, – თავის თავს თვითონვე გამოუტანა განაჩენი.

საზარელ სანახაობაზე დასწრებით და სეირის ყურებით, პეტრემ, ჩამომხრჩვალი ყმაწვილის უმცროს ძმას სიკეთის არსებობის იმედი დაუკარგა და ამით მისი სულიერი მოკვდინების უნებლიერ მონაწილეც გახდა.

ნაწარმოების ბოლოს, ილიამ, უმცროსი ძმის პირით ამხილა მოხუცი მეურმე და მას ცოდვილ ადამიანთა შორის მიუჩინა ადგილი: „განა შენ კი

ამხანაგი არა ხარ ჩემი მამინაცვალისა! განა შენ არ დამირჩე ერთადერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე!“

პეტრეს ცივი ოფლი ასხამს. მე შუაში ვარო! – იძახის კვნესით.

მთავარი ღერძი ნაწარმოებისა მწერლისეულ ბოლო ფრაზაშია ჩატეული: „მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს?“ – ამ რიტორიკული შეკითხვით ილია საფიქრალ-სააზროვნოს მკითხველს უტოვებს და სათანადო მსჯავრის გამოტანასაც მას მიანდობს.

მოთხოვბაში ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ დეტალსაც: ხიფათის შემთხვევიდან ოთხი წლის შემდეგ, პეტრე, უკვე როგორც ყოფილი მეურმე, დვინით სავსე რუმბზე ზის და ქარავანთან ერთად მიეშურება ქალაქისაკენ, ამჯერად – წისქვილის ქვების საყიდლად.

როგორც ვხედავთ, ეს ავტორისეული წინასწარი მინიშნებაა, რადგან პეტრესნაირ ადამიანს, რომელსაც, ვითომ, პირდაპირი ცოდვა არ ჩაუდენია, მაგრამ მოყვასი დააბრკოლა, ეხება მაცხოვრის სიტყვები: „რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთაგანი მორწმუნეთავ ჩემდა მომართ, უმჯობეს არს მისა გამო-თუმცა იბა ქედსსა მისსა წისქელის ქვავ ვირით საფქველი და შთავარდეს ზღუასა“ (ახალი აღთქვემა 2003: მარკ.9,42)

„პეტრესნაირ გმირს, რომელიც აბრკოლებს ყმას სიკეთის მიმართ, სასჯელი ელის – ამიტომ აქვს გამზადებული „წისქვილის ქვები“ (ნინიძე 1997: 150).

გმირთა სურათებში მსგავსი სულიერი წიაღსვლებით ილია ცდილობდა ქართველობისათვის თავისი თავი სარკეში დაენახვებინა; დაგვხმარებოდა, რომ მსგავსი მიდრეკილებანი საკუთარ თავშიც აღმოგვეჩინა, დავფიქრებულიყავით, ჩვენც პეტრესავით მარტო სიტყვით ხომ არ ვიქადდით ქრისტიანობას და უმცროს ძმასავით მიწაში ხომ არ ვფლავთ ჩვენს კეთილშობილ ბუნებას.

ქართულ ლიტერატურულ აზროვნებაში წლების მანძილზე დადებით გმირებად მოიაზრებოდნენ პოემა „კაკო ყაჩაღის“ პერსონაჟები კაკო და ზაქრო, როგორც ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი გმირები, სიმამაცისა და გაბედულების ნიმუშები.

პოემის ავტორის თქმით, მეურმემ, რომელმაც ყაჩაღ ბლაჭიაშვილისაკენ მიმავალი გზა ასწავლა ზაქროს, შეურით გააყოლა თვალი გულაღრენილ და თავზეხელაღებულ ჭაბუკს და მისი ბედი ინატრა:

„...თითქოს შენატრდა იმას მეურმე,

ახ, ნეტავი შენ! – წაიდუდუნა“

(ჭავჭავაძე 1987:210)

მაგრამ ნაწარმოების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მწერლის თვალთახედვა მეურმისას არ ემთხვევა.

კაკომ და ზაქრომ თავიანთი ქმედებით (ბატონის მოკვლა და ტყეში გაქცევა) ფიზიკური თავისუფლება (და ისიც პირობითი) ზნეობრივი კომპრომისების ხარჯზე მოიპოვეს. ისინი ტყის ლაღი შვილები გახდნენ, მაგრამ, ამასთანავე, ცოდვის მონებიც: „არა კაც პკლა“ (ახალი ალთქუმავ 2003: მათე, 14.2), – უფლის მცნებაა.

მხატვრულ ნაწარმოებში ყველა წვრილმანი შემოქმედის ჩანაფიქრს ემსახურება. ამიტომ, ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ ზაქროს ქმედებამ მისი მამა ფიზიკურად ვერ გადაარჩინა. მან მხოლოდ მამის სიკვდილის შემდეგ მოკლა „თავისთავის და სხვის წამწყმენდელი“, გულქვა ბატონი და ამდენად, ბოროტებაში ხელიც ვერ შეუშალა. ამბობს კიდეც თავად:

„ . . . მე მაგ სიკვდილმა  
გულის ჭრილობა არ გამიმთელა,  
მამის გულისთვის გაწირულ შვილმა  
მამას ვერაფრით ვეღარ უშველა“

(ჭავჭავაძე 1987: 226).

არც ის არის შემთხვევითი, რომ ყაჩაღების თავისუფლებაც შეზღუდულია და მოჩვენებითი. ქმადშეფიცულებს კურდღელსავით სძინავთ და თავისუფლების სიმბოლოს, მათ კაზმმოუხდელ ცხენს, ტყის მოშრიალე ფოთლებიც კი მოსვენებას უფრთხობს.

მწერლის დამოკიდებულება ამ გმირთა საქციელისადმი ყველაზე კარგად ჩანს ეპილოგში, სადაც ნათქვამია, რომ მათ ცეცხლმოდებულ გულში ჩირქი და ბალდამი დუღდა.

„ამ ორის გულში რა ბალდამიც დუღდა,  
წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა“

ბალდამი – ხრწნაზე მიმანიშნებელია და საგსებით შორს არის მადლისმიერი სიწმინდისაგან.

ილია ჭავჭავაძეს არ შეუქმნია მხოლოდ უარყოფით გმირთა გალერეა, მისი თქმით, ჩვენი ცხოვრების გუბეში ლაფისა და ლექის გარდა აქა-იქ

მარგალიტებიც ბრწყინავდა; პოემაში „დედა და შვილი“ („ქართვლის დედის“ თავდაპირველი ვარიანტი) მან გვიჩვენა მამულის მოყვარე დედა-შვილის სახე. სიუჟეტი ააგო ისეთნაირად, რომ ორივე გმირი დააყენა არჩევანის წინაშე: „მამული თუ დედა“ და „მამული თუ შვილი“; ორივე მათგანმა არჩევანი მამულზე გააკეთა – ეს მამულისთვის თავდადებაა. მართალია, ამ შემთხვევაში ადამიანი თმობს არა საკუთარ თავს, არამედ მოყვასს, მაგრამ ეს შეიძლება უფრო დიდი მსხვერპლია, კიდრე პირველი.

...

„მართლა, მამული! . . . ის დედაზეც უმაღლესია! . . .

მაშ, წადი, შვილო! . . . ის ბუნების სამღვთო წესია!

(ჭავჭავაძე 1987: 491).

დედისათვის შვილი უფრო ძნელი გასამატებელია და შვილისათვის დედა, ვიდრე საკუთარი თავი.

...

„მშვიდობით, დედავ! ხედავ, შენს შვილს უხმობს მამული,

როგორც მე შენი, ისე ჩემი სომე სიყვარული“.

დვთისნიერ ადამიანთა მთელ ოჯახს ვხედავთ მოთხოვნაში „ოთარაანთ ქვრივი“. ისინი ქრისტიანული სათხოების მატარებელნი არიან. მაგრამ, ამასთანავე, ადასრულებენ დვთის მცნებებს და სიკეთეს ყოველთვის გულის სიღრმეში, ფარულად ატარებენ.

ოთარაანთ ქვრივი დვთის მოშიში და მვედრებელია. მას ძილში წამოსცდება უფლის სახელი: „ღმერთო, მიხსენ, ღმერთო, მიხსენო“ (ჭავჭავაძე 1988: 265), მაგრამ როდესაც შვილი ეკითხება, რაზე ლოცულობდიო, მასაც კი უმაღავს და უარყოფს. თითქოს, ამით ასრულებს მაცხოვრისეულ შეგონებას: „დაპ{აშ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად; და მამავ შენი რომელი პხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“ (ახალი აღთქმავ 2003: მათე 6-6).

ავტორის თქმით, იგი საუკეთესო დვინოს ასმევს გლახაკს, მაგრამ ეუბნება, წუმპე-ნაძირალაა, მაინც გადასაღვრელიათ: „ნუ გეგონების კი, რომ მადლს გიშვრებოდე რასმე... ამ ქვევრში რადაც წუმპე ნაძირალა დამრჩა, მაინც გადასაღვრელია და ბარემ შენ ჩასცეცხლეო“ (ჭავჭავაძე 1988: 244). საქალამნე ტყავს ყიდულობს გლახასათვის და მედუქნესთან ტყუის, რომ მართებდა მისი... ამით იგი აღასრულებს უფლის სწავლებას: „რაჟამს პყოფდე ქველის საქმესა, ნუ

სცნობნ მარცხენავ შენი, რასა იქმოდის მარჯვენავ შენი“ (ახალი აღთქუმავ 2003: მათე 6-3).

ოთარაანთ ოჯახი შრომისმოყვარება, მზესთან ერთად დგებიან და ყველაფერს გულმოდგინედ აკეთებენ, ამიტომაც მათ კარ-მიდამოში საოცარი წესრიგია. სახენავ–სათესი და სარჩო საბადებელიც საკმარისად აქვთ.

„ოფლითა პირისა შენითა სჭამდე პურსა შენსა“ (შესაქმისავ , III.19).

თავად ქვრივი დედაკაცი სხვა ქვრივ-დატაკთა განმკითხველი და შემწყნარებელია; ალბათ, იშვიათია ადამიანი, თავის შემოსავალში იმთავითვე პქონდეს გამოყოფილი თანხა დარიბთა განსაკითხად, მას ინახავდეს ოჯახისთვის საჭირო თანხასთან ერთად და ორივეს ერთნაირად ხარჯავდეს.

ეს არის, ფაქტობრივად, გამოხატულება იმისა, რომ ქვრივი ზრუნავს მოყვასზე, როგორც საქუთარ თავზე. ამ ოჯახს თანაბრად შესტკივა გული როგორც თავისაზე, ისე სხვისაზე; ისინი არ აქცევენ ყურადღებას, ვისი ვენახი ფუჭდება, ვისი პირუტყვი შიმშილობს, ერთნაირად ზრუნავენ მათზე.

ამის გამო ხშირად ირგვლივ მყოფებისაგან ხიფათიც შემთხვევიათ (კამეჩების ეპიზოდი და ჩხუბი ომარაანთ მოჯამაგირესთან); თანასოფლელები გიორგის კიცხავდნენ კიდეც, „რა უნდა, სხვის საქმეში რად ერევაო“ (ჭავჭავაძე 1988: 254), „... ეს კაცი ან გიუია, ან ერთი ღვთის ნიშანია მაგის თავზეო ... მაგრამ ოთარაშვილების ასეთი ხასიათი განპირობებული იყო მხოლოდ სიმართლის სიყვარულით, რომელსაც სძულდა ყოველგვარი უკეთურება, ბოროტება და უსამართლობა, მიუხედავად იმისა, ეხებოდა იგი მათ, თუ არა. „გლახის ნაამბობის“ გმირებისაგან განსხვავდით, მათთვის სულერთია, ბოროტება მათკენ არის მიმართული თუ სხვისკენ. იმთავითვე იღებენ ზომებს მის შესაკავებლად – ამის სათავეც მოყვასისა და სიმართლის სიყვარულია.

„ოთარაანთ ქვრივის“ გმირები ხშირად ამხელებ ბოროტებას, ამას აკეთებენ არა ქვეცნობიერი სიამოვნებისათვის, არამედ ბოროტების გამოსწორების მიზნით.

ქვრივის ერთ-ერთ ნიშნადობლივი თვისება არის მხილება, პირში მოქმედობა, რაც ილიას აზრით, პატიოსნებისა და კეთილგანწყობის ნიშანია და არა გულგრილობისა და უსიყვარულობის. მის ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ ვკითხულობთ: „ყველანი ერთმანეთის შეცდომას გულგრილად ვუყურებთ... ყურს უკან კი ვლაპარაკობთ ერთმანეთის ცუდზედა, და კარგს მოქმედებაზე პირში თქმას კი ვერიდებით“. სხვაგან ილია წერს: „ – არა, მოვალეობა გაქვსთ, როგორც ჩემს მოყვასსა, ძმასა

და ნათესავსა, რომა როდესაც დაინახოთ ჩემში ბოროტება, უნდა სცდილობდეთ აღმოფხვრათ ჩემში ის ბოროტება... შეგშენით თქვენა გაჩუმება მაშინ, თუ ცხადად ჰქედამთ ჩემს შეცდომასა“? (ჭავჭავაძე 1991: 72).

მოთხოვთ გმირების – არჩილისა და კესოს თვისებათაგან ყველაზე ნიშანდობლივია ჭეშმარიტების ძიების წყურვილი. კეთილგონიერი და განათლებული თავადიშვილები ცდილობენ გლეხებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის დამყარებას. აკვირდებიან სოფელს, მაცხოვრებლებს, მოვლენებს, მსჯელობენ მათ შესახებ და ფრთხილი დასკვნებიც გამოაქვთ: „სიცოცხლეში ხშირად არ მოგვევლინება იმისთანა რამ, რომ ჭკვა გვასწავლოს, თვალი აგვიხილოს. . . ჩვენისთანებს იმოდენა ლონეც არა აქვს, რომ თვალის ახილების ტკივილს გაუძლოს“ (ჭავჭავაძე 1988: 305).

მათ შესწევთ უნარი, ეძებონ საკუთარ თავში შეცდომა, ცოდვა, აღიარონ იგი და აღმოფხვრან. სურვილით: „მივიდეთ და გამოვარჩიოთ იგი“ (იგავი ღვარძლზე) (ახალი აღთქუმავ 2003: მათე 13.24-30) – ისინი გვიან, მაგრამ მაინც აღწევენ შედეგს.

სამწუხაროდ, იმავეს ვერ ვიტყვით სოფელ წაბლიანის მაცხოვრებლებზე. თანასოფლელი გლეხობა ოთარაანთ ოჯახის ქმედებას სახელს ვერ არქმევს, ვერ არჩევს ცოდვაა თუ მადლი და იოლად უვლის გვერდს, კითხვას უპასუხოდ ტოვებს. არჩილი და კესო კი, როდესაც უჩნდებათ კითხვა, ქვრივის სიტყვებზე: „წინდახედული მხილებაა თუ წინდაუხედავი კადნიერება?“ – ორივე დამოუკიდებლად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქვრივის მწარე სიტყვები მისი კადნიერებით კი არ არის გამოწვეული, არამედ მხილების სურვილით, რომლის მიღმაც ქვრივი ქალის კეთილშობილი ბუნება იდგა.

ქვრივი დედაკაცი მუდამ მადლის ქმნას ეშურება, რადგან იცის, კეთილი საქმეების მქონე ადამიანს მადლი ბეჭვის ხიდით კუპრის ზღვაზეც კი გადაატარებს: „მადლი მხრებში შეგიჯდება და გადაგატარებსო; კაი კაცს არ ჩაუწყდებაო“ ის ამბობს: „ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი. ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგზე და ტყვიასავით მძიმეა, ზოგი მადლს და ბუმბულსავით სუბუქია“ (ჭავჭავაძე 1991: 266) – ამ სიტყვებში ნათლად ჩანს მისი მრწამსი, რამაც განსაზღვრა ამ ოჯახის ცხოვრების წესი და არსებობის მიზანი.

ილია ჭავჭავაძე ეტიმოლოგიურადაც და შინაარსითაც ერთმანეთთან აკავშირებს სიტყვებს „ცოდო“ და „ცოდვა,“ „საბრალო“ და „ბრალული“ –

ამასაც დრმა სარწმუნოებრივი ფესვები აქვს. ადამიანი, რომელიც ამქვეყნად ცოდვას სჩადის, ყველაზე საცოდავია. იმიტომ, რომ აქ თუ არა, უფალთან მოელის შესაბამისი სასჯელი.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, თერგი „მგზავრის წერილებში“ ილიას თანადროული საქართველოს სახეა და მას ასე მიმართავს ავტორი: „ცოდვა ხარ და ცოდოს შვებიო“, მოთხოვობის „სარჩობელაზედ“ ეპილოგში ვკითხულობთ, რომ ის ადამიანიც კი (პეტრე), რომელსაც, თითქოსდა, არაფერი აშკარა ცოდვა არ ჩაუდენია, მაინც ცოდვილია, ბრალეულია, იმიტომ რომ გული აქვს განუწმენდელი. „ოთარაანთ ქვრივის“ ეპილოგშიც ჩანს, რომ ყველა ადამიანი ცოდოა. მაგრამ „სხვა ვინ არ არის ცოდო“? (ჭავჭავაძე 1988: 314) – კითხულობს ავტორი.

ილიამ იცის, რომ აბსოლუტურად დადებითი და აბსოლუტურად უარყოფითი გმირები არ არსებობს, რომ ცოდვა, მეტ-ნაკლებად, ყველა ადამიანსა აქვს, მაგრამ ნაკლებად ცოდვილი ადამიანები, რატომდაც, წუთისოფელს არ უყვარს და წუთისოფელში ცოდონი არიან. ამქვეყნად მრავლისშემცოდენი კი გალადებულნი და გაამაყებულნი მომავალში მოელიან სასჯელს.

ორი უფლის მონება შეუძლებელია. ადამიანს ან წუთისოფელი უნდა ჰყავდეს მამად ან უფალი. ოთარაანთ ქვრივისნაირებისათვის წუთისოფელი მამინაცვალია, რადგან ისინი ზეციურ მამას აღიარებენ.

მაცხოვრის მიერ მოტანილი ახალი მცნების, მტრის სიყვარულის აღსრულების განსახიერებაა ილიას მოთხოვობა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის“ მთავარი გმირი.

ხმალშემართულ მტერს ნიკოლოზი თავგანწირვით ებრძვის, მაგრამ როდესაც მას ძირს დაცემულს და განიარაღებულს ნახავს, მიმტევებლობის გრძნობა უჩნდება და ათავისუფლებს. ამგვარი ქმედებით ნიკოლოზი მოწინააღმდეგეს ბოროტებისგანაც განაიარაღებს და მასში საპასუხო რეაქციას იწვევს, აღძრავს პატივისცემის გრძნობას. სიტყვებზე: „შენი თავი შენის გაუკაცობისათვის მიპატივებია. ცოდვაა შენი გაფუჭება. წადი და ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცესო“ (ჭავჭავაძე 1988: 320), მოწინააღმდეგე პასუხობს: „მეც სიცოხლეს თუ ვისგანვე ვიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგანაო“. მტრის გულში გაჩენილი პატივისცემა იმის საწინდარია, რომ იგი ისევე დაუნდობელი გეღარ იქნება სხვის მიმართ.

ილიას აზრით, ქრისტიანი კაცი მტრის მიმართაც ასეთი უნდა იყოს, რადგან ნათქვამია: „კეთილშობილ და დიდსულოვან მტრებს ერთმანეთის შიში კი არა, ერთმანეთის პატივისცემა აქვთ“ (ჭავჭავაძე 2005: 336).

ილიას მხატვრული თხზულებები ადვილი აღსაქმელი არ არის. ისინი ზედაპირულადაც კარგად იკითხება და ამიტომაც ჭირს სიღრმისეულ პლანში მათი წვდომა.

მოთხოვობების გმირთა თვითშეფასებები (პეტრე, გაბრიელი, კაკო, ზაქრო, ლუარსაბი ...) სანდო არ არის, მათ პგონიათ, რომ თვითონ არიან მართლები („მე რა შუაში ვარ“ – (პეტრე), „აქამდე იმ ცეცხლმა მომიყვანა, რომელიც ყველას გულში გვინთიაო“ – (გაბრო) და ა.შ.).

რაც შეეხება ქმედებას, – მათ ძნელად თუ შეედავები, ხოლო „დკთის წინაშე კი რომ ითქვას,“ – ავტორმა მაშინ გვითხრა, როცა მათ გულში ჩაგვახდა.

ამბობს კიდევ ერთ-ერთი მოთხოვობის პერსონაჟი: „დმერთი გულთამხილავია: მინამ საქმეს სასწორზე დადებდეს, ჯერ გულში ჩახედავს ადამიანს“ (ჭავჭავაძე 1988: 239).

მართალია, ჩვენ დაკვირვებისათვის მხოლოდ ზედაპირი გვეძლევა, ზედაპირზე აღბეჭდილი ნიშნები, მაგრამ ნაწარმოებებს ფორმასთან ერთად არსიც, შინაარსიც გააჩნიათ და ზედაპირთან ერთად სიღრმეც; თან თუ ილიას შეგონებას გავითვალისწინებთ, „სულს ადევნე გულისყური და არ ხორცსა, აზრსა და არა ამბავსა“, მივხვდებით, რომ მთავარია არა ნაწარმოებით გადმოცემული ამბავი, არამედ გაცილებით უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი ქვეტექსტი, სადაც იკვეთება თავად ავტორის პოზიცია, შემოქმედებითი ჩანაფიქრი და მწერლური მიზანიც: დაგვანახოს უფლის „ქმნილებათა გვირგვინის“, ადამიანის ნაკლულევანი და ცოდო-მადლით აღსავსე სული.

### თავი III. სარწმუნოების არსი და მისი მიმართება სხვა ღირებულებებთან

#### ქრისტიანული დღესასწაულები

ქრისტიანული დღესასწაულების აღნიშვნა საეკლესიო დგომისმსახურების მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ გზით ყოველწლიურად ხდება განახლება სიხარულისა. ილია ჭავჭავაძე, როგორც ამ სიხარულის თანაზიარი და თანაგანმცდელი, საგანგებო სტატიებით ეხმიანებოდა ბრწყინვალე დღესასწაულებს: ადდგომას, ქრისტეშობას, ნინოობას და სხვადასხვა წმინდანთა ხსენების დღეებს. მას არა ერთი საგანგებო წერილი აქვს მიძღვნილი ქრისტიანული დღესასწაულებისადმი, რომლებშიც ვრცლად ეხება მათ არსეა და მნიშვნელობას. ამ სტატიებში ყველაზე კარგად ჩანს ავტორის მრწამსი.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთი წერილი არ შედიოდა მწერლის თხზულებათა კრებულებში და ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი არ იყო (რამდენიმე წერილი პირველად იბეჭდება აკადემიურ გამოცემათა ოცტომეულში), რის გამოც კრიტიკოსთა ანალიზის ობიექტი დღემდე არ გამხდარა. ამდენად, შევეცდებით, ვრცლად და დაწვრილებით შევეხოთ მათ.

1887 წელს, გაზეთ „ივერიის“ №272-ში ილია ჭავჭავაძე ქრისტეშობისადმი მიძღვნილი წერილით დღესასწაულს ულოცავდა ქართველ საზოგადოებას: „მოგილოცავთ წმინდა დღეს ქრისტეს შობისას. მოგილოცავთ იმიტომ კი არა, რომ ეს დიდებული დღე შეგიძლიათ გაატაროთ უქმად, მოგილოცავთ იმიტომ კი არა, რომ ეს დღე უქმობის დღედ მიგვაჩნია, არამედ— იმიტომ რომ ამ დღესთან ერთად მოეფინა ქვეყნიერობას ნათელი ჭეშმარიტებისა და ხორცისგან ძლეული სული აღმობრწყინდა მთელის თავის საოცარის მშვენიერებითა.“

წერილში ილია ცდილობს იმ სიყვარულის და მადლის წარმოჩენას, რომელიც „ძე კაცისად მოვლენილმა“ დმერთმა თავისი შობით მოუტანა კაცობრიობას: „აი, რით არის სასიხარულო კურთხეული და მისალოცავი ეს დიდებული დღე, ეს დიდებული დღესასწაული უბიშოდ შობილისა, რომელმაც კაცომყვარეობასა და ურთიერთის სიყვარულზედ ააშენა თავისი დიდებული მოძღვრება კაცთა ხსნისა და მაცხოვრობისა.“

იღია ამ წერილში სწვდება ქრისტიანობის სიღრმისეულ არსეს, მის მნიშვნელობას ადამიანებისათვის, მიიჩნევს, რომ დღესასწაულის სიხარულმა არა მარტო გარეგანი ზეიმის ფორმით უნდა ჰქოვოს გამოხატულება საზოგადოებაში, არამედ ღრმად სულიერი კუთხითაც. ადამიანმა უნდა შეძლოს და თვალი მიაწვდინოს გულში ჩასახულ ყოვლადმხსნელ სიყვარულამდე და აძლიეროს ის მოქმედებისა და მოღვაწეობისათვის. სტატიაში გკითხულობთ „დღევანდელი დღე არის შრომისა, დღე თავის თავის განკითხვისა. აქ სული და გული ადამიანისა უნდა პასუხს აძლევდეს იმ ყოვლად მოწყალე მსაჯულსა, რომელსაც მოძმეოთ სიყვარული პქვიან და რომელიც ასე უანგაროდ სტირის მტირალთან, პხარობს მოლხინართან, იტანჯვის ტანჯულთან, პურს აწვდის მშიერსა; წყალს აწვდის მწყურვალსა, პმოსავს შიშველ-ტიტველსა, ოფლსა სწმენდს მაშვალსა, ნუგეჭს სცემს სნეულსა და დავრდომილსა, პპატრონობს ობოლსა, ასულმდგარებს დევნულთა სიმართლისათვის და ათბობს და ანათებს ქვეყნიერობას ხსნისა და ცხონებისათვის.“ – ამ სტრიქონებში სარწმუნოების არსი და ქრისტიანისთვის საღვაწელი აზრია ნაჩვენები. მწერალი მიიჩნევს, რომ ქრისტეშობა „მისალოცავია და ჭეშმარიტად სადიდებელი მარტო იმისთვის, ვინც გაგებით, ცოდნით, სულით და გულით“ აცნობიერებს მის მნიშვნელობას.

წერილი მთავრდება მაცხოვრის შობის ტროპარით – მისი სადიდებელით. „...მზეო სიმართლისაო, რომელი აღმოუბრწყინდი მაღლით აღმოსავლეთით, უფალო, დიდება შენდა.“

ქრისტეშობის სიხარული იღვრება იღიას მიერ 1886 წელს დაწერილ საახალწლო წერილიდანაც, რომელიც შედარებით ნაცნობია ჩვენი საზოგადოებისათვის. იგი წერს: „ჩვენ გვესმის, რა ადვილად გამოსაცნობიც არის, რისთვისაც გვიხარიან იქსომ ქრისტეს შობის დღე; გვესმის ეს დიდი დღე რისთვის არის დიდი, რისთვის არის ყოველ-წლივ სიხარულით და მილოცვით მისაგებებლი, რისთვის არის სადღესასწაულო დიდს და პატარასათვის. ამ დღეს დაიბადა სიკვდილთა სიკვდილის დამთრგუნველი და ცხოვრების მომნიჭებელი მაცხოვარი ქვეყნისა, ღმერთი ყოვლადმოწყალებისა და ყოვლად მსხელის სიყვარულისა“ (ჭავჭავაძე 1953: 376)

ავტორი ახალი წლისა და ქრისტეშობის მოლოცვასთან ერთად საუკეთესო სურვილებს უყრის თავს. იგი დვთიური გრძნობებისგან დაცლილ საზღადოებას ურთიერთის სიყვარულს, ერთურთის ნდობას, პატივისცემას, მხნეობას, სიკეთის ქმნისათვის სწრაფვას შთააგონებს მკითხველს და წმიდა წერილისეული

შეგონებით მოძღვრავს მას: „ვიმხნეოთ ერთად-ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია. მაშ „მხნე იყავ და გაძლიერდი...“ აი ჩვენი საახალწლო მილოცვა, ჩვენი საახალწლო ნატვრა“ (ჭავჭავაძე 1953: 379).

ბალზე საინტერესოა ილია ჭავჭავაძის სააღდგომო სტატიებიც, დაბეჭდილი გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე (1886, 1887, 1888წ.წ.), რომლებიც მთლიანად წმინდა წერილისეული მცნებებითა და სწავლებებით არის გაჯერებული. საცნაურია, რომ თავად ილიას განსაკუთრებულად უყვარდა ქრისტეს აღდგომის დღესასწაული. ალექსანდრე ყიფშიძის მოგონების მიხედვით, მწერლის ახლობლებს ჩვეულებად პქონიათ ილიასთან თავშეურა „აღდგომის მისაგებებლად“. საერთო აზრის მქონე ადამიანების ერთად ყოფნა და ერთურთის სიახლოვე მათ შორის კიდევ უფრო აძლიერებდა ქრისტეს აღდგომის დღესასწაულის სიხარულს.

1887 წლის გაზ. „ივერიის“ №70-ში დაიბეჭდა ილიას ვრცელი წერილი, რომელიც ასევე აღდგომის დღესასწაულს ეძღვნება. იგი სადღესასწაულო მილოცვითი ფუნქციის გარდა გამოიჩევა უდიდესი შემცნებითი მნიშვნელობითაც.

მწერალი აღნიშნავს, რომ ქრისტეს აღდგომის დღეს „მთელის ქვეყნის ქრისტიანობა პგალობს დიდებულს საგალობელს ქრისტეს აღზდეგისას. დიდი და პატარა სიხარულით პდაღადებს: ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მომნიჭებელი“. ილია კითხულობს, თუ რით მოგვანიჭა ქვეყანაზე მოვლინებულმა ღმერთმა ცხოვრება და იქვე პასუხობს კიდეც, რომ „მკვდრეთით აღზდგა ქრისტე და აღადგინა კაცთა მხენელი მოძღვრება, თავისი ახალი, ცხოვრების მომნიჭებელი აღთქმა“ (ივერია 1887: №70).

სტატიაში ლაპარაკია ძველსა და ახალ აღთქმას შორის განსხვავებაზე, ახალი აღთქმის უპირატესობაზე. იმაზე, რომ „ძველი აღთქმა ხორცის უვნებლობისათვის ფარი იყო, ახალი აღთქმა კი სულის აღდგომისათვის საცხოვარი ღონეა.“ წერილის მიხედვით ვიგებთ, რომ ძველი მოძღვრებისაგან განდიდებულ და გაპატივებულ ხორცს, რომელსაც „კბილი კბილის წილ პშიოდა და თვალი თვალის წილ“ მოკვდინებული პყავდა სული, რომელიც მხოლოდ სიყვარულის სხივით თბება, ყვავის, ცოცხლობს და სულდგმულობს. „აი ეს მკვდარი სული აღსდგა მკვდრეთით ქრისტეს აღდგომითა. რა საცხოვარი ძალი იყო ესოდენ ძლიერი, რომ მკვდარი სული მკვდრეთით აღადგინა? ეს იყო და

არის მარტო ერთი მცნება, რომელიც ფესვად გაედგა, საძირკვლად დაედგა მთელს მშვენიერს, დიდებულს, მართლადა ცხოვრების მომნიჭებელს მოძღვრებას ქრისტეს „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ – წერდა ილია.

უველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება კი ის იყო, რომ ახალი ადოქტორი ადამიანები უფლისგან იქნენ მოწოდებული სიკეთის ქმნისაკენ. „ნუ იქმ ბოროტსა – მცნებაა ძველისა, პქმენ კეთილი, მცნებაა ახლისა და ამით განირჩევა ძველი აღთქმა ახლისაგან“, – წერდა ილია და ის ბოროტის არქმნას და კეთილის ქმნას შორის დიდ მანძილს ხედავდა. ამ ზეაღსვლას ის ქრისტეს აღდგომას უკავშირებდა და ახალი ადოქტორის სიმაღლემდე, მაცხოვრის მოძღვრებამდე მუდმივ სწრაფვას ადამიანთათვის აუცილებლად მიიჩნევდა.

ამ წერილში სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ავტორი ყურადღებას ამახვილებს დღესასწაულის დროზეც, გაზაფხულის ჟამზე, შენიშნავს, „თითქო იგავია, თითქო განგებ არის ასე მომხდარი, რომ თვალითაც დავინახოთ ის, რასაცა გულითა ვგრძნობთ, გონებით ვხედავთ.“ პირველ ხანს გაზაფხულისას, მაშინ, როცა ზამთრისაგან გაყინული და განძარცვული ბუნება სიცოცხლისათვის იღვიძებს ახალი ცხოვრებისა და ხელახლა აყვავებისათვის, სწორედ მაშინ დგება აღდგომის დღესასწაული.

ილია ყურადღებას აქცევს არამც თუ დროს წლისას, არამედ საათსაც. აღდგომა ხდება დღისა და ღამის გასაყარზე. მწერალი ამბობს, რომ „როცა პირველად ამოვიტყვით ხოლმე „ქრისტე აღზდგაო“ – ეს საათიც კი მიგვანიშნებს, ... ბნელი უნდა განშორდეს ნათელსა, ნათელმა უნდა იმეფოს, იხელმწიფოს“. სავსებით ცხადია, რომ აქ ჩვეულებრივ სინათლე-სიბნელე კი არა, სულიერ წყვდიადსა და ნათელზეა ლაპარაკი.

წერილის ბოლოს მწერალი აღნიშნავს, რომ „მოძღვრება ქრისტესი იგივე განთიადი იყო, იგივე გაზაფხული კაცობრიობის ცხოვრებისათვის (ივერია 1887: №70).

საყურადღებოა წმ. ილია მართლის სხვა სარედაქციო წერილიც, სათაურით „ქრისტე აღსდგა“. აქ ავტორი მკითხველთათვის აღდგომის დღესასწაულის მიღოცვას უფლის ცხოვრების მაგალითის ჩვენებით და მისი სწავლებებისა და მცნებების შეხსენებით ახდენს. მკვდრეთით აღდგომილმა მე კაცისამ ადამიანებისადმი უდიდესი სიყვარულის გამო თავისი სისხლი და ხორცი გაიღო, შიმშილი, წყურვილი, სნეულყოფა და პყრობილება თავისად მიითვალა და

ნუგეშისმცემლად მოევლინა „სასოწარკვეთილს კაცობრიობას ამ სიტყვით: ნუ გეშინიან, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“ (ჭავჭავაძე 2005: 544).

წერილში ცოცხლდება უფლის ცხოვრებისა და ჯვარცმის ისტორია, მაგრამ ყველა ეპიზოდი შერჩეულია იმგვარად, რომ ხაზგასმულ იქნას ღვთის მიერ ნაწყალობევი ნიჭი და უნარი მტერთათვის დანაშაულის მიტევებისა. ჯვარცმულმა მაცხოვარმა „ნამეტნაობისაგან მოწყალებისა, სიბრალულისა და შეწყალებისა“ სოქვა მტერთათვის: „მიუტევე, მამაო, რამეთუ არ იციან, რასა იქმან“ (ჭავჭავაძე 2005: 546).

შენდობა და მიტევება იყო ის უმაღლესი კაცომოუვარული თვისება, რომლის შედეგადაც მაცხოვარმა „სიკვდილით სიკვდილით დასთრგუნა“, „აღსდგა მკვდრეთით“ და კაცობრიობას ახალი ცხოვრება მიანიჭა. ილია ამ წერილით ცდილობს გარეგნული მსახურებით გამოხატული რწმენის შინაგანი არსი უფრო დია, ნათელი და ახლობელი გახადოს მისი თანამედროვეებისათვის.

აღდგომის დღესასწაულს ეძღვნება გაზ „ივერიაში“ (№87, 1888წ.) დაბეჭდილი ილიას კიდევ ერთი წერილი.

საგაზეთო რელიგიურ-სადდესაწაულო წერილების დანიშნულება არის ქრისტემიერი სიხარულისა და მადლის განახლება და მოფენა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ილია სადდესასწაულო რელიგიური წერილებით, თითქოს, ყოველწიურად ახსენებს საზოგადოებას ჩვენი სარწმუნოების ისტორიას, არსესა და მნიშვნელობას მოსეს რჯულიდან მოყოლებულს – მაცხოვრის აღდგომამდე.

უხვი სახარებისეული ციტირებით, ლოგიკური წიაღსვლებით, მაცხოვრის სწავლებებით და შეგონებებით, ავტორი არა მარტო ულოცავს მკითხველებს დღესასწაულს და განაახლებს აღდგომის მადლს, არამედ ყველაზე უპირატესის, უფლის ცხოვრების მაგალითით უჩვენებს თითოეულ ქართველს გზას, რომელზედაც უნდა იაროს ყველა ჭეშმარიტმა ქრისტიანმა.

წერილში ციტირებულია მაცხოვრის სიტყვები „მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება...“, „მე ვარ ნათელი სოფლისა, რომელი შემომიდგეს მე არა ვიდოდეს ბნელსა...“, „იყვარებოდეთ ურთიერთარს, ვითარცა მე შეგიყვარეთ თქვენ...“, „ყოველი, რომელი გინდეს თქვენ, რათა გიყოს კაცთა, ეგრეცა თქვენ ჰყავთ მათდა მიმართ...“, „შევედით იწროისაგან ბჭისა, რამეთუ კრცელ არს ბჭე და ფართო არს გზა, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად...“, „რომელმა არ აღიღოს ჯვარი თვისი და არ შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს...“ და ა.შ.

სახარებიდან წმიდა ილია მართლის მიერ მოხმობილ მაცხოვრის ამ სწავლებებში ჩანს მთელი არსება და ბუნება ყოვლადმხსნელი მოძღვრებისა. ამ სწავლებით თვითვე გვამცნობს თავის თავს ცხოველმყოფელი „მართალი“ და მოგვიწოდებს მასთან ყოფნისაკენ.

ილია აღნიშნავს: „მართალი“ „ერთადეთი წყაროა ცხოვრებისა და ვისაც სურს დაეწაფოს ამ უკვდავ წყაროს ცხოვრებისას, მან უნდა დასთმოს ყოველისფერი და შეუდგეს მას ... ღმერთს წყალობა ნებავს და არა მსხვერპლი, სინანული და არა მსჯავრი, ... სიყვარული და არა ბულება... სიცოცხლე და არა სიკვდილი...“

მწერალი მოგვიწოდებს: „იწამეთ და შეუდექით „მართალსა“, რამეთუ იგი მართლა უკვდავი წყაროა კაცთა ცხოვრებისა და ყოვლადშემძლებელია და ხსნად ცხოვნებად კაცთა“ (გაზ „ივერია“ №87, 1888წ.).

ილიამ იცის, რომ „ვიწროა გზა მართლისა,“ რომელსაც მიჰყავს ადამიანი „საცხოვნებლად, საცოცხლებლად,“ ისიც იცის, რომ „ძნელია ამის ქმნა“ და ამ გზაზე სიარული, მაგრამ თვლის რომ „მარტო ძნელად საქმნელია საქებ-სადიდებელი მოქმედისათვის.“

ამ წერილებში ბევრი რამის ამოკითხვა შეიძლება, მაგრამ მთავარი და განმსაზღვრელი ისაა, რომ ყველა ფრაზა მწერლის გულიდან ამოთქმულია, მისი მრწამსის გამოხატველია და ამჟღავნებს ავტორის დამოკიდებულებას არა მხოლოდ ქრისტიანული დღესასწაულებისადმი, არამედ თვით ქრისტიანული მრწამსისადმი.

## ეროვნება და სარწმუნოება

ქრისტიანული სარწმუნოება თავისი არსით საყოველთაო სიყვარულის მქადაგებელია, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს, ეს უპირისპირდებოდეს სიყვარულის ისეთ კონკრეტულ გამოხატულებას, როგორიცაა, მაგალითად, სამშობლოს სიყვარული.

ადამიანური სიყვარულისთვის არსებობს ეტაპები, რომელთა გავლითაც იგი უახლოდება იდეალს, ანუ სრულყოფილების გარკვეულ საფეხურს. ერთ-ერთი ამ საფეხურთაგანია სიყვარული ყოველივე მშობლიურისადმი, საკუთარი თავის, თავის ტომისა და ნათესავის, მშობლიური ოჯახის, ენისა და სამშობლოსადმი. შეუძლებელია ყველას შეყვარება თუ შენი არ გიყვარს, შეუძლებელია უხილავის სიყვარული, როცა ხილული არ გიყვარს. ზეციურ სასუფელამდე გზა ამ ბილიკებით მიდის, სამშობლოს სიყვარულიც აქედან იღებს სათავეს.

ჯერ კიდევ მგელი აღთქმის ისტორიიდანაა ცნობილი, თუ როგორ ევედრებოდა მოსე უფალს საკუთარი ხალხის გადარჩენას: „და აწ მი-თუ-უტევებ ცოდვათა მათთა, მიუტევენ, უკათუ არა, აღმი-ოცე მეცა წიგნისა მისგან, რომელსა დამწერე“ (გამოსვლათაB , XXXII. 32) – საკუთარი თავის გაწირვით გამოითხოვდა წინასწარმეტყველი უფლისაგან პატიებას თავისი ხალხისა. როგორც ვიცით, ღმერთმა შეისმინა მოსეს ვედრება და ერი არ გაწყვიტა მთლიანად.

ამ მხრივ საგულისხმო ცნობებია ახალ აღთქმაშიც: მოციქულები სამყაროს მასწავლებელები იყვნენ, მაგრამ „ერების მოციქულად“ წოდებული პავლე, გულმტკივნეული საკუთარი სისხლისა და ხორცის, საკუთარი ძმების უკათურების გამო, თავად ითხოვდა შეჩვენებას უფლისაგან: „რამეთუ ვილოცევდ მე შეჩუენებულ-ყოფად თავსა ჩემსა ქრისტესაგან ძმათა ჩემთათვის და ნათესავთა ჩემთა {ორციელად“ (ახალი აღთქმაB 2003: რომ.9-3), – მოციქულს ამ სიტყვებში უდიდესი თავგანწირვა და თავდადება ჩანს თავისი ერისადმი.

ილია ჭავჭავაძე პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“ ქართველთა მეფეს ასე ალაპარაკებს:

...

“ღმერთო, ღმერთო!... თვალწინ მიდგა  
დიდტანჯული მე მე შენი...

ვით ძით ყველა, ისეც ჩემით  
ერი ჩემი დაიხსენი” (ჭავჭავაძე 1987: .251), – ქართველი  
გვირგვინოსანი საკუთარი სიცოცხლის თავგანწირვის ფასად ერის ხსნას  
ითხოვდა მამაზეციერისაგან.

ღმერთი ქვეყნიერების შემქმნელია და მფარველიც, მას კაცობრიობა  
თავისი მცნებებით ხსნისაკენ მიჰყავს. იმის მიხედვით, თუ როგორი ზნეობრივი  
თვისებების მატარებელია ერი – ხდება მისი გამორჩევა.

სიკეთე, სიყვარული, შენდობა, მიტევება მოყვასისა და ქვეყნისადმი,  
თავდადება, თავგანწირვა – ეს ის უმაღლესი ფასეულობებია, რომელიც უფალმა  
ადამიანებს უბოძა. ქართველ ერს ქრისტესათვის ჯვარცმულ ერს უწოდებდნენ  
მუდამ მისი თავგამომეტებული ლვაწლის, სარწმუნოებრივი სიმტკიცისა და  
ქვეყნის ძლიერებისათვის დაღვრილი სისხლის გამო.

ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოში ეროვნულობა და სარწმუნოება  
ხშირად გაიგივებული იყო. ერთი მეორესაც გულისხმობდა, აუცილებლად, და  
იგი იყო ის მაცხოვნებელი გზა, რომელიც იცავდა ერს და ატარებდა საუკუნეთა  
ქარტეხილებში. სარწმუნოების დაცვით ქართველი თავის ეროვნებას  
ინარჩუნებდა და სიცოცხლის გაწირვით მსხვერპლად ეწირებოდა ჭეშმარიტებას.  
ილია (გაზ. „ივერიის“ №9-ში წერდა: „რომ ქართველი და ქრისტიანი ერთი და  
იმავე მნიშვნელობის სიტყვები იყვენენ, მთელს ამიერკავკასიაში ამბობდნენ  
გაქრისტიანების ნაცვლად – გაქართველდაო“ (ივერია 1888: №9).

ნათელდებულმა ქართველთა წინაპარმა ქრისტეს სჯულს შეუერთა  
ძველისგან ყოველივე ის, რაც კი რამ ძვირფასი იყო ადამიანისათვის: მამული და  
ეროვნება „ეს სამი ერთმანეთის ლირსი საგანი ისე ჩაიწნენ, ისე ჩაიქსოვნენ  
ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად  
გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა – რჯულის დაცვად.“

ამ სიტყვებს ადასტურებს პოეტის ერთი ლირიკული ლექსიც „ნანა“,  
რომელშიც ვკითხულობთ, თუ როგორ შთააგონებს დედა აკვანში მწოლიარე  
პაწაწინა ყრმას ღვთიურ დანიშნულებას, სამშობლოს სიყვარულს და მისთვის  
მსხვერპლად შეწირვის ვალს.

„ადსრულდები ღიმილით,  
რომ მამულს არ უმტყუნე  
და შენ შენი სიკვდილით  
მის სიკვდილი დათრგუნე

. . .

მამულს მიგცა ზეცამა  
და ოუ ზედ დააკვდები  
ნუგეშ იცის დედამა  
რომ კაცი კაცად კვდები”

(ჭავჭავაძე 1987: 84)

უფლის სიყვარული მუდამ კვებავდა და ასაზრდოებდა ქართველის სულს, ღმერთი იყო მისი სასიცოცხლო ენერგია და ხსნა; ღმერთს არა ერთხელ გადაურჩენია ჩვენი ხალხი დაღუპვისაგან, მოსპობისაგან, რადგანაც იგი მისი განსაკუთრებული მადლისა და მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა.

ილია პოემა „აჩრდილში“ ერისადმი გამოვლენილ დვთის განსაკუთრებულ წყალობას ასე გვამცნობს:

„... ქართველის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო,  
რამდენს ვაებას შენსა თავზედ გადაუვლია!  
ჯვარცმულის დვთისთვის, თვით ჯვარცმულო და წამებულო,  
ეპლიანს გზაზედ შენებრ სხვასა რომელს უვლია?  
სხვა რომელია, რომ ათას წელთ ბრძოლა მედგარი  
გამოვლოს და სრულად მტკრად არ აღგვილიყოს?  
შენ ხარ! მარტო შენ!... მაგალითი სხვა არსად არი...  
რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შეძლებიყოს.”

(ჭავჭავაძე 1987: 193)

მწერალი მამულიშვილებზე საუბრისას განსაკუთრებით გამოყოფს მათ დაუღალავსა და შეუპოვარ ბრძოლას მამულისა და რჯულისათვის. მუდამ ხმალამოწვდილი ქართველი „მამულისა და რჯულისთვის... იბრძოდა

ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მას ანაცვალა.“

განუწყვეტელმა შემოტევებმა და უმაგალითო თავდადებამ დვთის წყალობასთან ერთად განაპირობა ქვეყნის არსებობის შენარჩუნება.

პოემაში ილია მოძალადე მტრისაგან თავდასახსნელად აღმდგარი ერის შესახებ აღფრთვანებით წედა:

„მართალი არის ხმალი ზღვევისა  
როს ხელს კიდებს მას მამულის ტრფობა.“

შეიძლება, შეუსაბამოდაც გვეჩვენოს ეს სტრიქონები, მაშინ, როცა ღმერთმა ადამიანს ცნებად მისცა – „არა კაც კლა”, მაგრამ ქრისტიანობა

არასოდეს კრძალავდა თავდაცვით ომებს... ჩვენს ისტორიაში ბევრი მაგალითია იმისა, თუ როგორ დაიცვეს წმინდა მოწამეებმა ჯერ ბრძოლის ველზე საკუთარი სამშობლო, ხოლო შემდეგ სარწმუნოებისათვის დადეს თავი.

თორნიკე ერისთავის (იოანე თორნიკ-ყოფილი) მაგალითიც საკმარისია მამულის მსახურებისა და მისთვის თავდადების დასტურად.

მართლმადიდებელი ეკლესია ქრისტიანის წმინდა მოვალეობად მიიჩნევდა სამშობლოს სიყვარულს. სასულიერო პირები ბრძოლის წინ ლაშქარს ლოცავდნენ და ლვთის სახელითა და წმინდა ჯვრით ხელში წინაც მიუძღვდნენ. სარწმუნოებისა და ქვეყნისთვის თავდადება ხშირად წმინდანთა კანონიზაციის ერთ-ერთი მიზეზიც გამხდარა. საქართველოს ისტორიაში, ვფიქრობთ, არც არის ისეთი წმინდანი, ღრმად – მორწმუნეობასთან ერთად გულმხურვალე მამულიშვილიც რომ არ იყოს. ქართველი მეფეების ვახტანგის, დავით აღმაშენებლის, თამარის, დემეტრეს, არგვეთის მთავრების – დავითისა და კონსტანტინეს, მრავალი მდვდელმთავრის, სასულიერო თუ საერო პირის თავგანწირვა ამ ნიშნითაც ფასდება.

ილია აღნიშნავდა, რომ ქართველი ერის სასახელოდ, ჩვენს ისტორიაში ძალზე „ბევრი ყოფილან სიმართლისათვის წამებულნი და ამიტომაც არიან წმიდათა შორის შერიცხულნი“ (ჭავჭავაძე 1991: 581), მწერლის თქმით, მათ სიმტკიცეს განსაზღვრავდა მათი არსების წიაღში დაბუდებული ორი უძლიერესი გრძნობა: „დიდი მამულიშვილური სიყვარული და ღრმა სარწმუნოება“.

ქართველ ბერ-მონაზონთა მოღვაწობა, გარდა ქვეყნისათვის გულმხურვალე ლოცვისა, იმაშიც გამოიხატებოდა, რომ ლიტერატურული თუ მთარგმნელობითი საქმიანობით ისინი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის ზრუნავდნენ. საქართველოში თუ საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ მონასტრებში გაშლილი საგანმანათლებლო მოღვაწეობა სამშობლოს სიყვარულის და მასზე ზრუნვის გამოხატულება იყო.

ილია ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ წერილებში არაერთხელ შეხებია ამ თემას. სასულიერო წოდების დამსახურებად თვლიდა მწერალი ერის სულიერი ძალ-ღონის შეკვრას და მისი ერთი მიმართულებით კონცენტრირებას. ქრისტიანულისა და ეროვნულის ერთმანეთთან შერწყმას სამღვდელოების მიერ მოხდენილ, აუხსნელ, იშვიათ, მაგრამ მაინც „ქართულ სასწაულს“ უწოდებდა: „...სამღვდელოებამ მოახდინა ის სასწაული, რომ მთელი სულიერი და ხორციელი ძალ-ღონე ერისა მარტო სარწმუნოებაზედ მიაქცია. ბუნებრივი სიყვარული

სამშობლოსი, მამულის, გვარ-ტომობისა – ყოველი ეს სარწმუნოებას ქვეშ დაუყენა, ყოველივე ეს მას დაუმორჩილა და თუ ქართველი ღვრიდა სისხლს, მარტო სარწმუნოების სახელითა ღვრიდა, რამდენადაც სარწმუნოებაში ხედავდა იგი თავის სამშობლოსაც, თავის მამულსა, თავის გვარ-ტომობას, თავის ეროვნებას, თავის „ქართველობას“ (ჭავჭავაძე 2005: 20). ასე ჩასახა ქართველობამ თავისი სული და გული ქრისტიანობაში, გადაუჯაჭვა ერთმანეთს ეროვნება და სარწმუნოება და ეკლესიის კურთხევითა და წინამდოღობით ქრისტეს ჯვარი სისხლისღვრით და შეუმწიკვლელად გამოატარა საუკუნეებს.

ქართველი ერის სულიერ და ხორციელ ცხოვრებას ქრისტიანული სარწმუნოება კვებავდა, მართლმადიდებელი ეკლესია კი ყოველთვის ეროვნული იდეოლოგიის მესამირკვლე იყო.

შუა საუკუნეების იდეოლოგიური ფორმულის მიხედვით „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“ (მერჩულე 1986: 111). ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაც სარწმუნოებამ განაპირობა, რადგან საქართველო იყო იქ, სადაც ქართული ენით წირვა-ლოცვა აღესრულებოდა. ამ ფორმულაშიც ეროვნებისა და სარწმუნოების თანხვედრაა და მთლიანობა ქართულ ენასთან ერთად.

ქველი აღთქმის (საეკლესიო მოძღვრების) მიხედვით ცნობილია, რომ მამულის, ენისა და სარწმუნოების ქონაზე ერები ღმერთმა აკურთხა. ტომების გაყოფის შემდეგ უფალმა განთესა ადამის ძენი და დაუდგინა საზღვრები ანგელოზთა რიცხვის მიხედვით – ადამიანს განუსაზღვრა სამშობლო საზღვრებითურთ; უფრო მოგვიანებით მოხდა ერთ ენაზე მოლაპარაკე კაცობრიობის ენების აღრევა (ბაბილონის გოდოლი) და ეროვნებებად დაყოფა – აქ უფალმა ადამიანს ეროვნებასთან ერთად ენაც განუსაზღვრა. სულთმოფენობის ჟამს ელეონის მთაზე შეკრებილ მოციქულებზე ცეცხლოვანი ენებით გადმოსული სულიწმინდის მადლი იყო კურთხევა იმ ერებისა, რომელთაც უნდა მიეღოთ ქრისტეს ნათელი – ჭეშმარიტი სარწმუნოება.

ილია ჭავჭავაძე თავის თაობას ასე მიმართავდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამ-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც ვერ ვუპატრონებო რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“ (ჭავჭავაძე 1991: 30)

მამული, ენა და სარწმუნოება იყო უფლისგან მონიჭებული საუნჯე კაცოათვის, „მამული“ – საცხოვრებლად, „ენა“ – გასანმარტებლად და

„სარწმუნოება“ – გასანათლებლად. სარედაქციო წერილში ეს ტერმინები: „მამული“, „ენა“ და „სარწმუნოება“, სწორედ, წმიდა წერილისეული თანამიმდევრულობითაა დალაგებული და თან გრადაციის პრიციპით მიემართება უმდაბლესიდან – უმაღლესისაკენ.

მწერალი თითოეული მათგანის დაცვისა და განმტკიცებისათვის იბრძოდა. მის შემოქმედებაში ერთნაირი ტკივილით არის აღწერილი ქვეყნის დაპყრობა, ენის აკრძალვა და სარწმუნოებასთან ბრძოლა (მაგ. „აჩრდილიდან“ და პუბლიცისტიდან).

ილია ჭავჭავაძის პირადი წერილებიდან ცნობილია, თუ რამდენი იმუშავა მწერალმა „აჩრდილის“ ისტორიულ ნაწილზე. იგი ცდილობდა სათქმელი ისეთი ფორმით გადმოეცა, რომ ცენზურას არ აეკრძალა, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა. ჩვენთვის დღემდე უცნობია დაუბეჭდავი XXII და XXIII თავების შინაარსი.

ისტორიკოსებს კამათი აქვთ იმის თაობაზე და ვერ გადაუწყვეტიათ, ალექსანდრე მაკედონელი, საერთოდ, იყო თუ არა საქართველოში შემოჭრილი, უტყუარი საბუთები ამის შესახებ არ არსებობს. ამიტომ ცხადია, რომ ილია ჭავჭავაძეს ვერ ეცოდინებოდა ამ ისედაც საეჭვო ფაქტის დეტალები. ის, რასაც პოეტი „აჩრდილში“ ალექსანდრე მაკედონელის შესახებ წერს, აშკარა ალეგორიაა, რომელშიც რეალურად რუსეთი იგულისხმება და რომელშიც აირეკლება ილიას დროინდელ საქართველოსათვის აქტუალური საკითხები.

„დაგიპყრო“, „შეგირყია დიდი ცხოვრების სამკვიდრო ბჭენი“, „სძულდა ქვეყანა, რომელიცა მას ეპყრა ხელთა, სძულდა თვით ერიც, მის სიკეთე, ნიჭიერება...“

„მთელს საქართველოს თავის ფერხთა ქვეშ მჩვარებრ ჰქელავდა“,

...

„თვით ერის ენას – მაგ ერის განძს – იგი სდევნიდა“...

„სძაგდა ყოველი, რაშიც იყო ერის დირსება,

რაშიც ერი თვისთა ნიჭთა იყო მსახველი“.

ცხადია, რომ ალექსანდრე მაკედონელის ეპოქასთან მიმართებით ილია ქრისტიანული სარწმუნოების შერყევაზე ან მის დევნაზე ვერ ისაუბრებდა, მაგრამ ამის შესახებ ვრცლად აქვს საუბარი პუბლიცისტურ წერილებში.

მუდმივი ძალადობითა და ყოველი მხრიდან ურიცხვი მტრით შეწუხებული ქართველობა ფეხზე წამოდგომისთანავე ამ სამი საუნჯის განმტკიცებას იწყებდა:

მამულის შემოერთებას, ენის სტატუსის აღდგენასა და ეკლესია-მონასტრების მშენებლობას.

## მეცნიერება და სარწმუნოება

ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში წერდა: „ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი სიმდიდრე ჩაუდგა და ადამიანს უანდერძა: გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდან ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო“ (ჭავჭავაძე 2005: 172). მწერლის გამონათქვამი მთლიანად ეფუძნება ბიბლიურ სწავლებას იმის შესახებ, რომ ღმერთმა შექმნა ცა და ქუეყანა და ყველაფერი, რაც მასზედ არის. „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცას და ქუეყანას“ (დაბ.I.I) ნათელი და ბნელი, წყალი და ხმელეთი, მცენარეები, მნათობნი, ცხოველები და ფრინველები და ეს ყოველივე ადამიანის სამსახურში ჩააყენა. ყოველივე ამის გამო წმიდა ილია მართალი ადამიანს „ქმნილებათა გვირგვინსაც“ უწოდებს.

ადამიანს უნდა სცოდნოდა, რა და როგორ მოქმედა ყოველივე, ამისათვის მას გონიერებაც პქონდა მომადლებული, ისეთივე დვთაებრივი ნიჭი, როგორიც აზრი და სიტყვა.

პუბლიცისტურ წერილში „აი ისტორია“ ვკითხულობთ: „გონება ადამიანისა იმ თვისებისაა, რომ რა ხარისხზედაც გინდა იდგეს კაცი, ველურია თუ განათლებული, – ყოველთვის წინ უდგას ამ მრავალფერ ქვეყანაში ჭირვეული საკითხი: საიდამ რაა და როგორ?“ (ჭავჭავაძე 1955: 116) ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ადამიანის გონება დასაბამიდან იკვლევდა სამყაროს, ილტვოდა შეცნობისაკენ, ცოდნის შეძენისა და სრულქმნისაკენ. გონება არასოდეს კმაყოფილდებოდა მისთვის ცნობილი მატერიალური სამყაროთი, ადამიანში არსებული ზნეობრივი კანონის ძიებით მიისწრაფოდა იდეალისა და სრულყოფისაკენ.

1897 წლის გან. „ივერიის“ №75-ში ი.ჭავჭაძე წერდა: „მთელი დიდება კაცობრიობისა ცოდნის საქმეა, ... იმ ცოდნისა, რომელიც ადამიანს ჰშველის მთელი უკვდავი ბუნება თავისდა საბედნიეროდ დაიმორჩილოს და იძიოს და გამოისახოს სხივოსანი სახე ჭეშმარიტებისა, მშვენიერებისა და სათნოებისა სულისათვის, ესე იგი, სრულქმნას ადამიანი სულითა და ხორცითა.“

როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, ილია ცოდნას სიკეთის შემქმნელად, ადამიანის სრულმქმნელად და ჭეშმარიტებამდე მიმუვანებლად თვლის. მაცხოვრის მოწოდებაც ხომ ასეთი იყო: „იყავით სრულყოფილნი, ვითარცა მამაზეციერი თქვენი სრულყოფილ არს.“

რამდენადაც, ღმერთი იყო და არის ყოველივეს არსების მიზეზი და პირობა, ამდენად, მხოლოდ უფლის სიყვარული იყო ის ერთადერთი გზა, რომელსაც ადამიანი ჭეშმარიტების შეცნობამდე მიჰყავდა; მხოლოდ ღვთის სიყვარული ანიჭებდა შემეცნებას იმ მადლს, რომელიც ადამიანის გონებას სიკეთის სამსახურში აყენებდა. სხვა მხრივ, როგორც ილია თვლიდა, ცოდნა „ცოდვა-მადლიანი“ საქმე იყო, როგორც „ორპირი მახვილი,“ დიდ სიკეთესთან ერთად დიდი ბოროტების მოხდენაც შეეძლო; „ჯოჯოხეთის მანქანის (საომარი ტექნიკა) შემქმნელიც“ მცოდნე კაცი იყოო, – წერდა მწერალი საგაზეთო სტატიაში (ივერია 1897: №75) და იქვე დასძენდა: „ცოდნა რომ ბოროტად გამოსაყენებელი არ იყოს, ჩვენ გვგონია, კარგა დიდი წილი იგი ავაცობისა აღარ ააშფოთებდა მშვიდობას ქვეყნისას და კაცთა ცხოვრებისას“. – ამ სიტყვებიდან ნათელი ხდება, თუ რამდენად საშიშად მიიჩნევდა ილია ცოდნას ღვთის რწმენისა და სიყვარულის გარეშე.

როგორც ამბობენ, არსებობს ორი დიდი წიგნი ღმერთის შესახებ: ბიბლია და ბუნება. სასურველია, ადამიანმა იცოდეს ორივე წიგნის სწორი კითხვა; ამისათვის კი რწმენა და ცოდნაა საჭირო, რათა მათი ურთიერთშევსებით ჩამოყალიბდეს სული ღვთისმოყვარე და კაცომოყვარე ადამიანისა.

ილია ცოდნას „ღვთისმიერ წინამდღოლს“ უწოდებს დედამიწაზე, და ამბობს, რომ უამისოდ დედამიწა ასე უხვად თავის გულს არ გადაგვიშლიდა და არ მოგვაბარებდა, ამიტომაც ადარებს სანთელს, განუმეორებელს იმ თვისებით, რომ „ერთ სანთელზე რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს არც ალი დააკლდება და არც სინათლე და არც სიცხოველე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგან ერთის მაგივრად ათასი სხვა სანთელი დაიწყებს ლაპლაპს“. სინათლე გამომდინარეობს ღვთისაგან, როგორც ამას ამბობს იოანე ღვთისმეტყველი თავის

სახარებაში: „ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი მას ვერ ეწია“ (ახალი აღთქუმავ 2003: იოვანე 1,5). ცოდნაც, შესაბამისად, დვთისაგან უძლევა ადამიანს. ოდონდ გარკვეული თანამიმდევრულობით და განსაზღვრულობით.

მეცნიერება დვთის საიდუმლოებებს ხსნის თეორიულად აღმოჩენილი კანონების საფუძველზე, მანამ, სანამ ამის ნებას თავად უფალი რთავს. დიდი ხანია მკვლევარებმა მეტად საინტერესო კანონზომიერება აღმოაჩინეს: მეცნიერულ აღმოჩენებთან და პროგრესთან ერთად იზრდება აუხსნელ საიდუმლოებათა რაოდენობა და პასუხაუცემელ კითხვათა რიცხვი სულ უფრო მატულობს. მიზეზი ამისა კი ისაა, რომ ადამიანთა გონება, რაც არ უნდა განვითარებული იყოს, მაინც უძლეურია და შეზღუდული აბსოლუტურთან შედარებით. კაცის გონებამ რომ ყველაფრის ცოდნა დაიტიოს, მაშინ ადამიანი კი არა, დმერთი იქნებოდა; შექმნილი კი არასდროსაა შემოქმედზე მეტი.

მწერალი ცოდნაზე საუბრისას აღნიშნავდა, რომ დვთის ხატად შექმნილ არსებას, ადამიანს მხოლოდ განათლებისა და ზნეობა-გაწვრთნილობის შედეგად შეუძლია თავისი მაღალი მნიშვნელობის შეცნობა და გამორკვევა. ეს იყო მისი აზრით ცოდნის უმაღლესი დანიშნულება. ერთგან მწერალი აღნიშნავდა: „რა არის იგი სწავლა, განათლება, რომა თავისუფლების ჭეშმარიტი მნიშვნელობაც ვერ გამოარკვევინოს ადამიანსა, იმოდენა დონე არ მისცეს სულსა, რომ ადამიანი მის მაღალ მნიშვნელობას ასწვდეს და ბოროტის ქმნის თავისუფლებას სიკეთის ყმობა არ არჩევინოს“ (ჭავჭავაძე 1953: 135).

კეთილისა და ბოროტის გარჩევის შესაძლებლობის მიხედვით, როგორც ვხედავთ, მწერალი ცოდნას სარწმუნოებისაგან დაშორებულად არ მოიაზრებდა; პირიქით, მის ჭეშმარიტ საფუძვლად დვთის სიყვარულს მიიჩნევდა. ის თვლიდა, რომ უფლისგან მომადლებული ნიჭი ცოდნისა და მეცნიერებისა ადამიანს მხოლოდ სიკეთისა და ჭეშმარიტების სამსახურში უნდა ჩაეყენებინა. კაცი წერისოფლის გზაზე, „ამ ზღვაზედ სიარულს გამარჯვებით“ მხოლოდ მაშინ შეძლებდა, თუკი ექნებოდა სწავლითა და ცოდნით განწმენდილნი „თვალი ზე ცისა და ქვეყნის საიდუმლოთა მხედველად, ყურნი ზესკნელისა და ქვესკნელის უცნაურ ხმათა მსმენელად, ხელნი ცისა და ქვეყნის მაჯისცემის შემატყობრად და ენა ყოველ ამის აღმომთქმელ და მთარგმნელად“ (ჭავჭავაძე 1953: 91).

ამქვეყნიურ მოვლენებს ადამიანი გონებით შეიმუცნებს. სამეცნიერო კვლევები ცდისმიერი შედეგების ანალიზს და კანოზომიერებათა გონისმიერ ასესნას ემყარება, მაგრამ რაც შეეხება რწმენისმიერ საკითხებს, დვთის

არსებობას, მის ყველგანმყოფობას და ქრისტიანულ საიდუმლოებებს, – აქ მწერალი იზიარებს არსებულ მოსაზრებას იმის თაობაზედ, რომ ცისა და ცის იქით არსებულის წვდომა მხოლოდ გონებით შეუძლებელია. „ცასა თუ ცას იქით, სწორედ იმისთანა ადგილებია მაძებარ გონებისათვის, რომ თუ არ ირწმუნე, ვერას დაინახავ“ (ჭავჭავაძე 1991: 540).

ამქვეყნიურისა და ზეციურის შემეცნება – ორივე დვთის შემწეობით ხდება, მაგრამ მათი მიღწევის გზები სხვადასხვაა. ამიტომ ცოდნისა და სარწმუნოების დაშორიშორება შეუძლებელია; ადამიანის გონება არ არის ყოვლისშემძლე, იგი საზღვარდადებულია; რწმენა ებმარება და ავსებს გონებას იმ შემთხვევაში, როცა მას ვერ ძალუდს მისწვდეს ამა თუ იმ ჭეშმარიტებას, განსაკუთრებით არამიწიერს...

ილია ჭავჭავაძე წერდა: „ქვეყანა, ბატონებო, სავსეა ხილულითა და არახილულითა ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალთათვის... ერთის ბრძენისა არ იყოს, „ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, და ზოგი კი იმისთანა, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთა სწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება და მეორესაც საცნაურად ორსავ გზით, და მით უფრო, რაც ადამიანი თვალ-ახილულია და გონება-გადვიძებული. ნება-უნებლიერ ამ დროს სამფლობელოში დადის მოუსვენრად გონება და გული ადამიანისა... ამ ორს სამფლობელოთა შორის შემაერთავ ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთისოფელში“ (ჭავჭავაძე 1955: 252).

ამ იშვიათობის მიზეზად ილია მის თანამედროვეობაში არსებულ ტენდენციას მიიჩნევდა, რომლის მიხედვითაც ბევრი ფიქრობდა, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელი და მოუთავსებელი იყვნენ.

მეცნიერებისა და სარწმუნოების საკითხმა არასწორი მიმართულება მე-18 საუკუნიდან მიიღო; მას შემდეგ, რაც განვითარდა მსოფლიო აზროვნებაში რაციონალიზმი, რომელმაც ფორმულით „ვაზროვნებ, – ე.ი. – ვარსებობ“ (დეკარტე) წამოაყენა პრეტენზია გონების ავტონომიის შესახებ. გონება სამყაროს, ცხოვრებისა და საზოგადოების გარდაქმნის თავდებად მიიჩნია, ხოლო გარდაქმნის საშუალებად – განათლება. რაციონალიზმს კვებავდა დეიზმი – მოძღვრება, რომელიც აწარმოებდა გადაფასებას და ბრძოლას რელიგიასთან მეცნიერების დამოუკიდებლობისათვის. ის თვლიდა დმურთს სამყაროს შემქმნელად და მიზეზად, მაგრამ უარყოფდა მის შემდგომ ჩარევას ამქვეყნიურ

ცხოვრებაში. ასეთ შემთხვევაში სახარება გვასწავლის: „უფალმან უწყის ზრახვანი ბრძენთანი, რამეთუ არიან ამაო“ (ახალი აღთქუმავ 2003: I კორ.3-20).

„ილიაზე, რელიგიის გაგებისას, სათანადო გავლენა მოახდინა მისი დროის პოზიტივისტურმა ფილოსოფიამ, რომელიც მეცნიერებას და რელიგიას ერთმანეთისაგან კი არ თიშავდა, არამედ მათ ერთი მოვლენის ორ მხარედ მიიჩნევდა, რომელთაგანაც მეცნიერება ეფუძნება ცდისეულ ცოდნას, რელიგია კი იმას, რაც ცდისეულის მიღმაა“ (ბადრიძე 1987: 45).

ილია ჭავჭავაძეს მეცნიერება დვთის სიყვარულის და მორჩილების გარეშე ჭეშმარიტებად არ მიაჩნდა. ის თვლიდა, რომ მეცნიერებისა და სარწმუნოების ერთმანეთში მორიგება, ერთმანეთში მოთავსება შეუბლალავად და დაუმონებლად იყო სიბრძნე, მაგრამ როგორც ყველგან და ყოველთვის – ძალზე იშვიათი. „ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორიც ნიუტონი და სხვანი მისებრი, ერთსა და იმავე დროს დვთისა და ბუნებისმეტყველნი.“

წერილი, რომელშიც ილია ამ მოსაზრებებს აყალიბებდა, ეძღვნებოდა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის (ქიქოძე) გარდაცვალებას. ყველასათვის ცნობილია, რომ წმიდა მღვდელმთავარი თავგანწირული დვთისმსახური და ამასთანავე დრმად განსწავლული მეცნიერი იყო.

ილია წერდა, რომ ძნელი საპოვნელი იყო თუნდაც მაგალითიც კი, რომ სახელოვან მღვდელმთავარს მეცნიერება გაეწირა სარწმუნოებისათვის და სარწმუნოება – მეცნიერებისათვის, პირიქით, „იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა“ და აღნიშნავდა, რომ „მთელი სიბრძნე ამაშია გამოსახულიო“ (ჭავჭავაძე 1955: 253).

სარწმუნოებისა და მეცნიერების თანხვედრა წმიდა წერილშიც გვხვდება. უფალი მოუწოდებს ადამიანს: „მეცნიერება ეძიე ხმითა დიდითა ... და ვითარცა საუნჯესა გამოიკვლევდე მას“ (იგავ. 2,4); მოციქულიც გვმოძღვრავს: „...და თქუენცა ესევე მოსწრაფებაი ყოვლითურთ მოიპოვეთ და ჰყავთ სარწმუნოებასა შინა თქუენსა სათნოებავ, და სათნოებასა შინა – მეცნიერებავ, და მეცნიერებასა შინა მარხვავ, ... მოთმინებავ, ... დვთისმსახურებავ, ძმათმოყვრებავ ... და სიყვარული. რამეთუ ესე, რაჟამს იყო თქუენ თანა და-გარდაგემატოს, არა უქმად, არცა უნაყოფოდ პოვნეთ უფლისა ჩუენის იესუ ქრისტეს მეცნიერებასა“ (ახალი აღთქუმავ 2003: II კორ.1-8).

როგორც ვხედავთ, უფლის მიერ ნამცნებ მოძღვრებაშივე დევს დარიგება მეცნიერების დაუფლებისაკენ, რადგან ისინი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. ღმერთთან ურთიერთობის გარეშე ადამიანის გონებას არ შეუძლია პპოვოს კრიტერიუმები უმაღლეს ფასეულობათა და ლვთის მიერ შექმნილ სამყაროს იდუმაღლებათა განსაზღვრისათვის.

ცა და ქვეყანა, წყალი და ხმელეთი, ქვესკნელი, ცეცხლი, მნათობები, დრო და ჟამი, და ხორციელი თვალისათვის უხილავი სამყარო „უფსკრული სიბრძნითაა“ შექმნილი. ადამიანი კი კვლავ შემოქმედის მიერ მონიჭებული ნიჭით ცდილობს ამის ახსნას. როგორც ილია ამბობს, ღმერთს ადამიანისთვის ხორციელი თვალის გარდა მონიჭებული აქვს გონების თვალიც „და თუ ეს თვალი კაცს კარგად უჭრის, ქვეყანაზედ არა დაემაღლება რა...“ (ჭავჭავაძე 2006: 406).

შესანიშნავი მათემატიკოსი, ელექტროდინამიკის მკვლევარი ამპერი ერთ-ერთ თავის წერილში უწევდა ახალგაზრდა სწავლულს: „უფრთხილდი მარტო მეცნიერების შესწავლას, როგორც ამას აკეთებდი წინათ. ისწავლე, გამოიკვლიე ამქვეყნიური კანონები ერთი თვალით, მეორე კი დაუცხომლად მიაპყარ საუკუნო ნათელს, ერთი ხელით გამოიძიე ბუნება, მეორეთი კი, როგორც ბავშვს კალთა, გეპყრას ბოლო დვთის სამოსელისა“.

მეცნიერება და სარწმუნოება – ორივ ჭეშმარიტებაა და მათი დაპირისპირება შეუძლებელია, მათი განცალკევება და ერთმანეთისაგან ჩამოშორება ორივეს სიკვდილს ნიშნავს. მეცნიერება იმდენადაა გამარჯვებული, რამდენადაც ისწრაფვის ჭეშმარიტებისაკენ, ხოლო სარწმუნოება აყვავებულია, როცა ადამიანის მეცნიერული დასკვნები კი არ ეწინააღმდეგება, არამედ განამტკიცებს მას.

ისეთი დიდი მეცნიერი, როგორიც იყო კლიმენტი ალექსანდრიელი, აღნიშნავდა, რომ პირველადია რწმენა და ცოდნა მხოლოდ სარწმუნოებაზე უნდა იყოს დაფუძნებული. „მორწმუნე ადამიანი არის მონა დვთისა, ხოლო მორწმუნე განათლებული ადამიანი არის მეგობარი დვთისა“ – წერდა ის. ნეტარი მამის მოძღვრების მიხედვით დასტურდება, რომ არ არის საკმარისი, ადამიანი იყოს მხოლოდ მორწმუნე, მას, აუცილებლად, ცოდნაც უნდა ჰქონდეს, რადგან „რწმენითია ცოდნა და მცოდნეობითია რწმენა“.

საქართველოს მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეცნიერების საფუძველი სარწმუნოების წიაღში ჩაისახა და სარწმუნოებრივი ფესვებით

იკვებებოდა მუდამ. ქართული ეკლესიის ისტორიაშიაც ბევრი მაგალითია ამის დასტურად, რომ სწავლა, განათლება, მეცნიერება, კულტურა და ხელოვნებაც ეკლესიის წიაღიძან ამოიზარდა. ეკლესია-მონასტრები იქცნენ ძველთაგანვე სასწავლო-საგანმანათლებლო კერებად – ფაზისის, იყალთოს, გელათის აკადემიები, სამხრეთ საქართველოსა და საბერძნეთის სამონასტრო კომპლექსები; ლრმად განსწავლული სასულიერო იერარქიით, რომლებიც ერთსა და იმავე დროს იუვნენ მეცნიერებიც, მწიგნობრებიც და დიდი ღვთისმეტყველნიც.

ილია ჭავჭავაძე სასულიერო ფენაზე საუბრისას აღნიშნავდა, რომ მათ უფლისაგან ვალად სდებოდათ ადამიანთა „სულის აღზრდანი“ (ჭავჭავაძე 1987: 90); სულის აღზრდა კი განათლების გარეშე შეუძლებელი იყო.

მწერალმა იცოდა, რომ განათლება დიდი ფარ-ხმალი იყო, ძლიერი ძალ-დონე საერთოდ და „ქრისტეს ჯვრის ერის წინაშე მტვირთველთათვის განსაკუთრებით.“ ამიტომაც, ხაზგასმულად აღნიშნავდა სასულიეროთა დვაწლს: „მეცნიერებამ და მწიგნობრობამ მათის მეოხებით გაიდგა ფეხი. უკეთესნი წარმომადგენლები ერთსა და მეორეშიც სამდვდელო პირნი იყვნენ...“ „დაუჯერებელ, თავგამომეტებულ მსხვერპლსა და დვაწლს ვერ დასდებდა ერი, თუ წინ არ გაუძღვებოდა მცოდინარი, განვითარებული და განათლებული სამდვდელოება.“ (ჭავჭავაძე 2005: 20).

ცოდნასა და განათლებაზე მსჯელობისას ილიას მხედველობიდან არ გამოჰქმდა სკოლის დანიშნულებაც. „მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედიაო“ (ჭავჭავაძე 1952: 476) – წერდა ის და საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაშიც სკოლას ეკლესიას ადარებდა და მას უთანაბრებდა. გაზ. „ივერიის“ 18 ივნისის ნომერში (1887) ის წერდა, რომ სკოლა და ეკლესია უძღვებოდნენ და წინ სწევდნენ „უწმინდაესს საქმეს“: „ჭეშმარიტება, რომელსაც საცნაურად ხდის ცოდნა და რომელსაც გზას უკაფავს სკოლა, დმერთი, რომელსაც კაცის გულში სახავს სარწმუნოება, ეს ორი იმისთანა საგანია, ურომლისოდაც წარმოუდგენელია კაცთა საზოგადოების არსებობაო,“ – ამბობდა მწერალი.

ნიშნადობლივია, რომ „გლახის ნაამბობში“ მდვდელი ერთდროულად მასწავლებლად და სულიერ მწვრთნელად გვევლინება. იგი გაბრიელს არა მხოლოდ ანბანს და წიგნის კითხვას ასწავლის, არამედ ქრისტიანულ ზეობრივ ღირებულებებსაც: რა არის მოყვასის სიყვარული და თავდადება, რამდენად მნიშვნელოვანია მოწყალება, რა მოეთხოვება ადამიანს, როგორც ღვთის ხატებას და მსგავსებას, რით უნდა გამოვხატოთ მადლიერება მოყვასისადმი და სხვ...

მდგდელი მოწოდებულია, რომ მთლიანად ამქვეყნიურ საზრუნავზე ორიენტირებული ადამიანები დათისკენ მიახედოს, სასოება მასზე დაამყარებინოს და იმედი ჩაუსახოს.

ასევე საგულისხმოა, რომ ეტიუდში „უცნაური ამბავი“ უჩვეულო ბუნების ძქონე ყრმის, პატიკოს, აღმზრდელი სოლომანი „პატიოსანი მდგდლის შვილია.“ ამ დეტალს მოთხოვთ სიუჟეტის განვითარებისათვის რაიმე დატვირთვა არა აქვს, მაგრამ, როგორც ჩანს, ილიასათვის სოლომანის მსგავსი სულიერი მწვრთნელები „პატიოსან მოძღვართა“ შთამომავლებად ასოცირდებოდა.

ადამიანის გონება ვერასოდეს ჩასწვდება დათის არსეს და მის ცხოველმყოფელი ძალის გამოვლინებას. კაცობრიობის განვითარების განმავლობაში დაგროვილი ცოდნაც უძლურია ამის ასახსნელად; გონიერი ადამიანი მუდამ გრძნობს თავის უძლურებას, ამიტომაც გონებასა და გულში იტოვებს ადგილს როგორც ცოდნის, ისე რწმენისათვის.

მე-8 საუკუნის წმინდა მამა იოანე დამასკელი დმერთს მზეს ადარებდა. მზე, ნათელი და სითბო – სამივე ერთად არის მზე და „უკეთუ მზის დისკოს შევადარებთ მამა დმერთს, ნათელს – ძეს და სითბოს – სულიწმიდას, შევძლებთ წარმოვიდგინოთ წმიდა სამება, რომელიც არის ამავე დროს ერთი დმერთი“ (საქ. ეკლესიის კალენდარი 1990: 18).

წმიდა მამის განმარტების მოხმობა გვაფიქრებინა გაზ. „ივერიის“ №72-ში (1897წ.) დაბეჭდილ სტატიაში ამოკითხულმა ფრაზამ, რომლის მიხედვითაც ილია განათლებას ადარებს მზეს „რომელიც ისე არ ანათებს, რომ იმავე დროს არ ათბობს, და ისე არ ათბობს, რომ არ ანათოს.“ ამ გამონათქვამს აშკარად ეტყობა დამასკელისეული შედარების ცოდნა და წინააღმდეგობრივიც არაფერია, რადგან განათლება, ილისეული გაგებით, ცოდნის შეძენას, ანუ მეცნიერების მონაპოვართა დაუფლებასა და ზნეობის წვრთნას გულისხმობას. მეცნიერული ცოდნა არის დათისგან შექმნილი სამყაროს კანონზომიერებათა კვლევის შედეგი. ასევე დმერთს უკავშირდება უფლის მცნებებზე და სულიერ სწავლებაზე დამყარებული ზნეობაც.

„მეცნიერება“ სწორედ ასეთი მნიშვნელობით არის გამოყენებული შობის ტროპარშიც: „შობამან შენმან ქრისტე დმერთო, აღმოუბრწყინვა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა...“

„ნათელი მეცნიერებისა“ – თავად დმერთია, შემოქმედი ჩვენი, რომლისგანაც მომდინარეობს ყველა ნიჭი და ამაღლებული უნარი კაცისა.

...და ეს ნათელი, სიტყვად თუ ლექსად გარდაქმნილი, ისეთი სიტყვამეცნიერი და ღვთივგანბრძნობილი ადამიანის მიერ, როგორც იყო წმიდა ილია მართალი, მზის სხივებივით განვრცობილი და გაშლილი, უკანვა მიერთმევა „გით თავის დასაბამს“.

## თავი IV. დროის ტკივილი – რწმენის დაკარგვა და სიწმინდეთა დესაკრალიზება

### სულისა და ხორცის ჭიდილი

ადამიანის მთელი ცხოვრება სულისა და ხორცის, მადლისა და ცოდვის ჭიდილია და პიროვნების სულიერი სიმაღლე განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ცდილობს და ახერხებს ის პირველის გამარჯვებას.

წმიდა ილია მართალი, როგორც ჩანს, ბევრს ფიქრობდა ამ საკითხებზე, რადგან პუბლიცისტურ წერილებში ხშირად გვხვდება მათზე საუბარი.

1899 წელს გაზეთ „ივერიის“ № 64-ში ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის მდგომარეობას ასე წარმოაჩენდა: „სულით დაბალი, ჭკუაგონებით ჩლუნგნი, ზნეობადაცემულნი, სულელნი, უსწავლელნი, გაუნათლებელნი, გადატაკებულნი, ფლიდნი, პირისგამტეხნი, მხდალნი, ლაქარნი – აი ჩვენის სულიერ და ხორციელ ავლა-დიდების სურათი“.

დიდი ტკივილი და წუხილი იკითხება საუკუნის დასასრულს დაწერილ ამ სტრიქონებში. იგრძნობა ჭირისუფლობა დაჩაგრულ და პატივაყრილ ერისადმი, რომელიც დროთა ბედუკულმართობამ ათასწლოვან ქარტეხილებს ომებითა და სისხლის დვრით გამოატარა და დასუსტებული, დავარდნილი დატოვა ახალი საუკუნის კარიბჭესთან.

მწერლის თქმით, „ხალხს და ერს მხოლოდ ხორციელი ცხოვრების ნატვრა ჰქონდა, მხოლოდ იმაზე ჰყიქრობდა, რომ უნდა გავფრთხილდე, თორემ სულს ხომ აღარა ვჩივი, ხორცითაც არ დავიღუპოვო“ (ჭავჭავაძე 2005: 159).

ფასეულობები აირია, აქტიურობა დადლილობით შეიცვალა, ზნეობრივი ნორმები დაირღვა, ერი იმდენად დაეცა და დავაგლახდა, რომ ხორციელი სიცოცხლისა და კუჭის გარდა არაფერს დაეძებდა. ასეთ დროს შეუძლებელი იყო იდეაზე, სულზე, თავგანწირვაზე და საქვეუნო საქმეებზე ფიქრიც-კი, არც არაფერი შეინიშნებოდა ამგვარი, აღარავის ახსოვდა გამოვლილი გზა, ძველი და სახელოვანი წარსული, რომ „ქვეყანას ჰყოლია ხალხისთვის და მამულისთვის მხედე მუშაქი, ... აღარავის ახსოვდა მაშინ, რომ საზოგადოებრივი ასაპარეზი იყო დიდ სამსხვერპლოდ გადაქცეული და ამ სამსხვერპლოზედ იკვლოდნენ და იწირვიდნენ ძენი მამულისადმი, რომ ეს უკანასკნელნი მათსავით ძვირად

არ აფასებდნენ თავიანთ თაგს, თვითონ ხორცსა და ამ ხორცის მხოლოდ ხორციელ არსებობას“. (ჭავჭავაძე 2005: 160)

დროთა ბრუნვამ ბევრი ზიანი მოუტანა ქართველობას, ილია თვლიდა, რომ „ერს ერთი სული, ერთი გული აქვს, ხოლო ხორცი იმდენი, რამდენიც ცალკე ადამიანია“ (ჭავჭავაძე 2005: 238). მისი ყურადღება ყოველთვის იმ ერთობლივი სულისკენ იყო მიმართული. წერილში „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“ იგი წერდა: „ადამიანი ხატებაა დვთაებისა განა ხორცითა? ადამიანს ხორცის გარდა ერთი რამ სხვა მოპმადლებია, რომლითაც იგი ადამიანობს, ვით კერძო მდგომისა. ის ერთი – სული და გულია, უჭირნობლობის ნიჭით და ღონით დალოცვილი. . . შესაძლოა, ხორცი დაბერდეს, დაუმლურდეს, სული და გული კი ისევ ჰყვაოდეს, ზეგარდმო მადლით შუქმოფენილი და მრავალფერად გადაშლილი, თუ ადამიანი საკადრისად უპატრონებს, ადამიანურად მოუგლის, ხორცს არ გაალახვინებს“

ხორცთან ერთად სულის დაბერებისა და დაუმლურებისა ეშინოდა მწერალს, ამიტომაც აფხიზლებდა დღედაღამ ერს, რათა სულიერად გამოფხიზლებულსა და გაძლიერებულს „ფარიც ხელთ ჰქონოდა მტერთა მოსაგერად და ხმალიც სატევრად“

ამაო იყო მისი ცდა და სურვილი, ქართველთა სულმა ვერ შეძლო დროზე მბრძანებლობა და ჟამთან ერთად მისი მხნეობა ჩაკვდა, ყოველივე აღიხოცა, გაქრა და ქართველი დარჩა უსაგნოდ, მარტო, სულით ობოლი და სასომიხდილი. „ქვეყანა . . . თათქარიძეებით გაიგსო, რუსეთუმეებმა დაამშვენეს ჩვენი ცხოვრება და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზი“

ქვეყნის გულშემატკივარი მწერალი გულს მაინც არ იტეხდა და ამ მდგომარეობას ასე ხსნდა: „ამგვარი გაჭირვებული დრო დადგება ხოლმე ერისათვის ხანგრძლივის და დიდი ხნის მდელვარე ცხოვრების შემდეგ. იშვიათად მიჩვენებოთ ერს, რომ როდისმე მაინც ესევ, ამგვარადვე არ გასჭირვებოდეს, როგორც ჩვენს ქვეყანას“ (ჭავჭავაძე 2005: 159).

1879 წელს „შინაურ მიმოხილვაში“ ილია წერდა: „ქართველი კაცი როგორდაც, ნებით თუ უნებურად კუთხეში მიეგდო, მიწვა და მიიძინა, როგორდაც ყველაფერზე გული აიყარაო, ყველაფერზედ იმედი გადაიწყვიტაო, ყველაფერზედ ხელი აიღოო, ერთის სიტყვით ზნეობითად მოკვდაო. ამ ყოფამ ყოველმხრივ დაგაუძლურა ჩვენ, გონებით, ზნეობით, თვალად, ტანად დავპატარავდით და მივიღივენით“ (ჭავჭავაძე 1997: 302).

ეს წერილი ნათლად წარმოგვიჩენს, რომ „ძილი“ ზნეობრივ და სულიერ დაკნინებას ნიშნავს; იმავეზეა საუბარი ლექსშიც „ელეგია“:

„ოხ, დმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,

როსდა გვედირსოს ჩვენ გაღვიძება“

ილიას მიაჩნია, რომ უარესის უკეთესით შესაცვლელად და საქაეყნო საქმის წარსამართავად ამ მარტივი ჭეშმარიტების არდავიწყებაა საჭირო: „ადამიანის, ანუ, უკეთ ვსოქვაო, ერის ცხოვრების წყობა მეტად ხლართული ქსელია, მეტად რთული საგანია და ამასთანაც ყოველს მის მოვლენას თავის გვამსა და აგებულებაშივე აქვს ანუ სენი ჭკნობისა, ანუ ძალი აღყვავების განგრძობისათვის. პირველს გადაყენება უნდა ცხოვრების გზიდამ და მეორეს—ხელის შეწყობა და დამაბრკოლებელთა მიზეზთა აცილება“; (ჭავჭავაძე 2005: 271).

ვისაც რიგიანად სვლა უნდა წარმატების გზაზე, ვისაც კეთილის სურვილის კეთილად განხორციელება აქვს განზრახვად, მან პირველი ნაბიჯის გადადგმა იქიდან უნდა დაიწყოს, სადაც ფეხი აუდგია თვითონ ადამიანთა ცხოვრებასთ — ფიქრობდა წერილის ავტორი და ეძებდა იმ დამაბრკოლებელ მიზეზებს, რამაც ქვეყანა დააკნინა და გადაგვარებამდე მიიყვანა.

წარმატებისა თუ წარუმატებლობის სათავეს ილია თავად ერის სულიერ და ხორციელ აგებულებაში, „ჩვეულებებსა და განწყობილებაში“, ერის „საკუთარ ცხოვრებასა და ისტორიულ მსვლელობაში“ ხედავდა და თავის პუბლიცისტურ წერილებში, მხატვრულ ქმნილებებსა თუ ზეპირ გამოსვლებში ცდილობდა გამოერკვია, საიდან წამოვიდა ჩვენი ერი, რა გზა გაიარა და რომელ წერტილზე იყო გაჩერებული.

ზნეობრივი დაქვეითების და დაცემის საწყისად მწერალი XIX საუკუნეს თვლიდა, იმ პერიოდს, როდესაც ბრძოლებში გამონაცადი, გარეშე მტრებისაგან იავარქმნილი და დაუძლეურებული საქართველო 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე მიენდო ერთმორწმუნე რუსეთს, როგორც სულიერად მონათესავე ქვეყანას.

ძალიან მალე გაცხადდა, თუ როგორ სარგებლობდა „მფარველი“ ქვეყანა ამ ნდობით.

ქართველობამ ათსწლეულების მანძილზე თავის მხრებზე გადაიტანა მაპმადიანთა ურდოების, არაბების, მონღოლების, სპარსელ-თურქების და

კავკასიელი მთიელების „შემოსევები; „ხორცი გასწირა სულისთვის“ ეროვნულობის, სახელმწიფოებრიობისა და სარწმუნოების დასაცავად და შეურყებელად შეინარჩუნა კიდეც, ვიდრე მე-19 საუკუნის დასაწყისამდე.

ჩვენდა საუბედუროდ, მოყვარედ მოვლინებულმა „უფროსმა ძმამ“ ყველა ეს ფასეულობა ჩუმად, უსისხლოდ და უომრად აღხოცა და წაშალა. რუსეთმა ჯერ საერო მმართველობა – მონარქია და მირონცხებული მეფობა გააუქმა, ხოლო შემდეგ სასულიეროც – ეკლესიის ავტოკეფალურობა.

ადრე ერის ცხოვრება მონარქისა და ეკლესიის ურთიერთშეთანხმებით იმართებოდა მუდამ, მტერთა ძლევა ჯვრით აღესრულებოდა, ეროვნება და სარწმუნოება საქართველოში განუყოფელი იყო. ჯერ სახელმწიფოებრიობის, ხოლო შემდეგ ავტოკეფალურობის გაუქმებით მოიშალა ის ქვაპუთხედი, რომელზედაც დამყარებული იყო ქართველი ერის ძლიერება და კეთილდღეობა.

მე-19 საუკუნეში ერთმორწმუნე რუსეთის იმპერია ანადგურებდა ყოველივე ქართულს, ეწეოდა გარუსების პოლიტიკას და ნებსით თუ უნებლივდ აშორებდა ხალხს ეკლესიისაგან.

პუბლიცისტურ წერილში „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“ ილია წერდა: „ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა, ხმლიან მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევინარჩუნეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ, . . . ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო რა. შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული – კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს სხვანი დაეპატრონებიან“ (ჭავჭავაძე 1955: 14), – აკი დაეპატრონენ კიდეც...

ამ მოვლენებს არაჩვეულებრივად ეხმიანება ილიას ლექსი „რა ვიყავით, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“

„მერე, როცა დაქსაქსულნი

უცხო ხალხმა ხელთა გვიგდო,

ქართვლის ბედი ბურთსავითა

სათამაშოდ წინ გაიგდო, –

რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

— ჩვენც ყაბახზედ ვაჟპაცურად

ვჯირითობდით, ვბურთაობდით!

(ჭავჭავაძე 1987: 125)

იგივე განწყობილება ჩანს ლერმონტოვის „მწირის“ ერთი სტროფის ილიასეულ (ვერ დავარქმევთ თარგმანს) ინტერპრეტაციაში.

„მას აქეთ რაცა კურთხევა დვთისა,  
მოეცა ტანჯულს ივერიის ერს,  
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა,  
ღმერთმა იმ რუსესა ასკეცად მისცეს.“

(ჭავჭავაძე 1953: 46)

დაირღვა ქართველთა ჭეშმარიტი უფლებები, ქართული სამეფო კარი უცხოეთში გაიხიზნა, მირონცხებული მეფის ნაცვალად მეფისნაცვალი დაინიშნა, რუსულმა სასულიერო კოლეგიუმმა მიიტაცა ჩვენი საკათალიკოსო ტახტი და ეგზარქოსების მთელი პლეადა წლების განმავლობაში მწყემსმთავრობის ნაცვლად ძარცვავდა ქართულ ეკლესია-მონასტრებს, ანადგურებდა უძველეს კულტურულ მემკვიდრეობას და სდევნიდა მშობლიურ ენას.

იმპერატორ ნიკოლოზ I-ის დროს „სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად“ საქართველოში დაასახლეს გერმანელები, რუსი სექტანტები, მოლოკები, მეშაბათენი, დუხობორები, ბაპტისტები და სხვანი. რისთვის ხდებოდა ეს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს არ კეთდებოდა ქართველი ხალხის სასარგებლოდ. „რუსულმა ბიუროკრატიამ ქართული სისხლით მორწყულ მიწაზე, რომელიც თავისუფლებისათვისა და მართლმადიდებლობის სარწმუნოების დასაცავად დადგარეს ქართველთა წინაპრებმა და მოწამეთა ძვლებითაა გაპოხირებული, 150 000-ზე მეტი მწვალებელი და არამართლმადიდებელი დაასახლა და ეს ისე, რომ არც ერთი მათგანი არ მოუქცევია“ (დურნოვო 1907: 9).

თითქოს მშვიდობა იყო, არსად ჩანდა მოძალადე და ამკლები, მაგრამ იყო კიდევ უარესი, შინაური, მოუგერიებელი და ფარული მტერი, რომელიც ძალზე გამრავლდა და ჩუმად დრღნიდა ერის სასიცოცხლო ძარღვს. ამ შინაური მტრისაგან იღუპებოდა საქართველო.

არსებულ საცენტურო პირობებში იღია ამ საკითხთან დაკავშირებულ ყველა გულისტკივილს დაუფარავად და აშკარად ვერ გამოთქვამდა, მაგრამ მის მხატვრულ ნაწერებშიც და თარგმანებშიც არაერთგან არის მინიშნება რუსეთის თვითმპყრობელური პოლიტიკის სავალალო შედეგებზე.

ის, რომ რუსეთის პოლიტიკას საქართველოში ზნეობრივი თვალსაზრისით უარყოფითი შედეგები მოჰქონდა, კარგად ჩანს „მგზავრის წერილებში“, სადაც რუსი ოფიცერი გვევლინება საქართველოში „იზლერის ბაღის“ ანუ უზნეო ყოფის და „ბუზების ბიზნესის“ – ანუ უკეთური საქმეების დამკვიდრების ინიციატორად.

იღია ქართველების წინ უზარმაზარ უფსკრულს ხედავდა, გრძნობდა შიგ გადაჩეხვისა და დაღუპვის საშიშროებას და ამიტომაც არისხებდა განგაშის ზარებს: „ქრისტე ლმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუდედეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავწირეთ, ცოლ-შვილი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ამ ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს – სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით. ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს“! (ჭავჭავაძე 1958: 12).

სამწუხაროდ, ხსნა არსაიდან ჩანდა.

მე-19 საუკუნეში, ისე როგორც არასდროს, სხვაზე მინდობის, უმოქმედობის და მრავალი მიზეზის გამო, ქართველი ერი დადგა ეროვნული და სარწმუნოებრივი გადაგვარების საშიშროების წინაშე. ქართველობა, ვაჟკაცობა, თავდადება, გმირობა, ღირსება, ერთგულება, პატიოსნება, სარწმუნება – უხმარ ფასეულობებად იქცა. მოხდა ღირებულებათა დევალვაცია; რუსეთთან კავშირს

საქართველომ შესწირა თავისი ოცსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობა და თხუთმეტსაუკუნოვანი ეკლესიურობა.

სულიერი გადაგვარება ხორციელი დაღუპვის წინაპირობასაც ქმნიდა, ილიას სიტყვით რომ ვთქვათ, ეს იყო ნიშანი „ერის სულიოთ და ხორციო მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისცა“.

## ეკლესიისა და სასულიერო განათლების მდგომარეობა

ილია ჭავჭავაძე ჩვენი ერის უბედურების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სულიერი ცხოვრებისა და თავად სასულიერო საქმის გაუკულმართებას მიიჩნევდა. ჭეშმარიტი მართლმადიდებელი და წმიდა ეკლესიის ქომაგი მწერალი თავის პუბლიცისტურ წერილებსა და მხატვრულ შემოქმედებაში არაერთხელ შეხებია ამ მტკიცნეულ პრობლემას. ისეთი თემები, როგორიცაა სასულიერო წოდების დვაწლი, დანიშნულება და მოვალეობა, ეგზარქოსების საკითხი, ეკლესიური რეფორმები და სემინარის მდგომარეობა, არაერთხელ გამხდარა ილიას კრიტიკული და გულმტკიცნეული მსჯელობის საგანი.

„დიდი ყურადღების მიქცევა უნდა ჩვენს სასულიერო საქმეს. . . აქ უსათუოდ წამალი რამ უნდა დაედოს, თორემ ერს ლამის ქანცი გაუწყდესო“ – წერდა ის 1881 წელს „შინაურ მიმოხილვაში“ (ჭავჭავაძე 1997: 506) და დიდ სიფრთხილესთან ერთად ტაქტიანობასაც იჩენდა ამ საკითხების მიმართ.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, ქვეყნის ანექსიის შედეგად საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია დაკარგა და „რწმენაში პირველწოდებული“ ქვეყანა რუსეთთან შეერთების შემდეგ მმართველი სინოდის „ახალი წამოწყებებისა“ და რეფორმების ტყვეობაში აღმოჩნდა.

საქართველოს ეკლესიის გამგებლად ეგზარქოსები დაინიშნა, რომლებსაც არც ძალა შესწევდათ და არც სურვილი მოსდგამდათ ქართველი პატრიარქების მსგავსად ერისათვის ეღვაწათ. პირიქით, ისინი ვერ ეგუებოდნენ ქართველი

სამდგდელოების ხალხთან სიახლოვეს, ამიტომაც გააუქმეს საქართველოში 25 სამდგდელმთავრო კათედრა, უამრავი ეკლესია-მონასტერი დახურეს, ხოლო მოქმედ ტაძრებში აკრძალეს ქართულად დვოისმსახურება.

ჩვენი სასულიერო წოდება მეტად გამოუვალ მდგომარეობაში მოექცა, ამის გამო სამდგდელოების უმრავლესობამ თანდათანობით შეწყვიტა მდგდელმთავრებისადმი მორჩილება, ეკლესიისადმი ერთგულება, თანდათანობით დასუსტდა და თავი დაანება მრევლზე ზრუნვას.

საქართველოში „რეფორმების“ შედეგად ისეთი სამდგდელო კადრები მზადდებოდა, რომელთა დიდი ნაწილიც თავიანთი უდირსი საქციელით აბრკოლებდა ხალხს.

ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთ თავის პუბლიცისტურ სტატიაში წერდა: „დღეს სამდგდელოებას თითქმის დავიწყებული აქვს ჩვენის უწინდელის სამდგდელოების ლვაწლი საქართველოს ეკლესიისა და ქვეყნისათვის. დღეს ყოველი საკუთარის სტომაქისათვისდა იღწვის და საკუთარი სარგებლობის დევნაშია გართული“ (ჭავჭავაძე 1997: 171).

ჩვენი ტრადიციის მიხედვით, საქართველოში ყოველთვის დიდ პატივს სცემდნენ სასულიერო წოდებას, რომელიც თავის თავში მუდამ ადამიანის საუკეთესო სულიერ საწყისებს განასახიერებდა. ჩვენი მწყემსმთავრები და მამები ყოველთვის მზად იყვნენ ხალხისათვის მოთმინების, უბიწოების, სიკეთისა და თავგანწირვის მაგალითი ენგენებინათ. ამიტომაც იყო დიდი კრძალვა, მოწიწება და სიყვარული მათ მიმართ. სამდგდელოება ჭირში თუ ლხინში გვერდით ედგა ხალხს, ომებში ლოცვა-კურთხევით მიუძღვდა წინ და ევნებოდა სამშობლოსა და რწმენისათვის.

მდგდლობა მოვალეობად უფრო ადიქმებოდა, ვიდრე უპირატესობად, მაგრამ მაინც ბევრი იყო მდგდლობის მსურველი. წმ.ილია მართალი 1888 წელს გაზეთ „ივერიის“ №9-ში წერდა: „უწინ სასულიერო წოდებაში შესვლა და ყოფნა დიდ პატივად და დიდ დირსებად მიაჩნდათ, დიდი გვარიშვილი, მეფეთა ოჯახისანი და ძენიც – კი ბედნიერად რაცხდნენ თავს, თუკი ედირსებოდნენ სასულიერო წოდების კაცად გახდომას, სასულიეროში შესვლას და სამსახურსა. ყველამ იცოდა, რა მძიმეა ჯვარი ქრისტესი, ჯვარი მამულისა და ეროვნებისა და სახელიც მოღვაწისა ამ სიმძიმეში იყო. ეს სიმძიმე აპატიოსნებდა დვაწლსა, ეს

ტვირთი ასხივოსნებდა სამსახურსა და ამ პატიოსნებასა და სხივოსნობაში იყო თავ-მოწონებაც და ჯილდოცა მოღვაწისა.“

1888 წლისათვის ძალზე დროული იყო საზოგადოებისა და თავად სამღვდელოებისათვის ამის შესხება, რადგან ბევრს დავიწყებოდა წინაპართა დვაწლი, დაპკარგვოდა ერთგულება და სარწმუნოება და თავიანთი დანიშნულების განცდა დვთისა და ერის წინაშე...

სარწმუნოება და რჯული, ეროვნებასთან შეერთებული და შესისხლხორცებული მუდამ იყო შეულეწელი ფარი ქართველი ხალხისათვის. ეს კარგად იცოდნენ ძველ დროს და სამღვდელოება ქადაგებას იქითკენ მიმართავდა, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გაეპატიოსნებინა და სარწმუნოებამდე აემაღლებინა. მწერალი აღნიშნავდა: „ამაში პპოულობდა უწინდელი სამღვდელოება თავის სულიერსა და ხორციელ ღონეს, თავის ძლიერებას; ამით გაამაგრა ამ პატარა ქვეყანაში სარწმუნოება ქრისტესი“ და ეს მაშინ, როცა გარშემო შემოხვეული ვეშაპი-მტრები ცდილობდნენ ქრისტიანობა ძირიანად ამოეგდოთ. „მამული და ეროვნება მიაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული მამულსა და ეროვნობას და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაიმდლვარა წინ, ათას ხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრით გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა.

ამ სამთა უწმინდესთა საგანთა შეერთებამ ასწია ჩვენი სამღვდელოება და დააყენა იმ მაღალ ხარისხზედ, სადაც ყოველი ბიჭი დვაწლია და სამსახური ქვეყნის წინაშე“ (ივერია 1888: №9).

ჩვენი მამა-პაპის სამღვდელოებაზე ითქმოდა, რომ დვთის მსახური კაცი იყო ქვეყნისა და ერის მსახური, ჭირში მეშველი, უკეთესი მამა, გულშემატკივარი დამრიგებელი, მაღალი ზნეობის მაგალითი; გამკითხავი ყოველის ბოროტისა და უკეთურობისა, უშიშარი მქადაგებელი ჭეშმარიტებისა და სიმართლისა, თავდადებული და თავგამომეტებული სჯულისა და ერისათვის. „ჩვენი ისტორია სავსეა სახელოვანის მოღვაწეობითა იმ ნეტარხსენებული სამღვდელოებისა“ – წერდა ილია და თავის მხატვრულ ქმნილებაში, ისტორიულ პოემა „მუფა დიმიტრი თავდადებულში“ სწორედ ასეთი სასულიერო პირის სახე დაგვიხატა.

XVII საუკუნეში, ქართველთა მეფის, დიმიტრის გადაწყვეტილება, მონღოლთა ურდოში წასვლით მტრის აოხრებისაგან გადაერჩინა ქვეყანა, მხოლოდ მდვდელმთავარმა შეიწყნარა.

იცოდა რა, რომ „მოყვასისთვის თავდადება

ქრისტე ღმერთის ანდერძია“, – სათათბირო კრებაზე, დარბაზის, სპასალარის, ხალხისა და თავისი დიდი პირადი ტკივილის მიუხედავად, მან ერთადერთმა აკურთხა ქართველთა მეფე თავდადებისა და თავგანწირვისათვის:

„ვსტირ და გირჩევ ღვთის სახელით,

ხორცი დასთმო სულისათვის,

უკვდავება არ დაპარგო

წუთის-სოფლის გულისათვის“

(ჭავჭავაძე 1987: 238)

„წავიდნენ ის მამა-პაპანი და თან გაჟყვნენ ის სახელოვანი ღვთის მსახურნიცა, რომელთაც საქართველოს გაქრისტიანების დღიდან ამ საუკუნის დასაწყისამდე ხელთ ეპყრათ“ ქართველ მონარქებთან ერთად, ჩვენი ქვეყნის სიმტკიცე, სიწმინდე და ძლიერება (ჭავჭავაძე 1997: 171), – ასე აფასებდა ილია ძველი დროის სამღვდელოების სამსახურს და შენატროდა წარსულს, გულშეძრული იმ რეალობით, რომელიც დასადგურებული იყო მის ქვეყანაში.

XIX საუკუნეში, ქართული ეკლესიის მწყემსმთავრებად დანიშნულ ეგზარქოსებს ასი წლის მანძილზე არაფერი უკეთებიათ სასიკეთო ქართული ეკლესიისა და ხალხისათვის, ისინი უცხონი იყვნენ, არ ესმოდათ მრევლის ენა, ზექ-ჩვეულება, საქართველოში ჩამოსვლამდე თითქმის არაფერი იცოდნენ ამ ქვეყანაზე. ილია გულისტკივილით შენიშნავდა: „ჩვენს სსოვნაში ერთი მოხელე არ ვიცი, რომ აქაურობის ცოტაოდენი ცოდნა ჰქონოდეს და ამ ცოდნით აღჭურვილი შესდგომოდეს მისადმი მინდობილს თანამდებობის აღსრულებას. . . უმრავლესობა ყოვლად უცოდინარი არიან აქაურობისაო. . .“ (ჭავჭავაძე 2005: 14)

ეგზარქოსების „მოღვაწეობა“ ჩვენს ქვეყანაში და მათი დაუდალავი „მუშაკობა“ და ქართული ეკლესია-მონასტრების სიწმინდეების ძარცვა-რბევით გამოიხატებოდა. დოქტორი ერისთავ-შერვაშიძე თავის წიგნში „სამახსოვრი

ჩანაწერები“ ქართველი ხალხის გასაჭიროებული ამბობს: „ჩვენს წმიდათაწმინდა სალოცავებს, რომლებსაც ქართველი ხალხი გარდასულ დროთა განმავლობაში მთელი თავისი არსებით უფრთხილდებოდა და იცავდა, ამჟამად მოურიდებლად, დღისით, მზისით ურცხვად ძარცვავენ. ჩვენი ტაძრები, საუკუნეთა მსვლელობის მხილველნი, დღეს მბარცველთა საკუთრებად ქცეულან; ხოლო გაუკაცრიელებულ მონასტრებში თანდათან წყვდიადი იმპიდირებს. ისინი უბირი რუსი ბერებისაგან ხდებიან შებილწულნი. ვინ არიან დამტაცებელნი? რუსი ეგზარქოსები! ეგზარქოს ევსების დროს გაძარცვეს საქართველოს თითქმის ყველა მონასტრები. მონასტრებიდან, – ამბობს ქართული ეკლესიის ქომაგი, ზემოხსენებული ავტორი, – გატაცებულია წმინდა საგანძურო, რომელიც გადაურჩა თურქოსმალოთა შემოსევას, თუმცა მარტო ამით როდი შემოიფარგლა შინაური მტრის მოქმედება. მან როგორც ურწმუნოების და ათეიზმის განსახიერებამ, ქართველი ხალხის ცნობიერებაში ეკლესიისადმი უპატივცემლობის ჩანერგვა იწყო. თავის აგრესიულად განწყობილ მოქმედებაში იგი ისეთი აგრესიული გახდა, რომ დაუფარავად აუკრძალა ხალხს წინაპართა ეკლესიებსა და მონასტრებში სიარული“ (დურნოვო 1907: 9).

ცნობილია, რომ რუსი იერარქები დანიშნვის დღიდან დევნიდნენ ადგილობრივ მდგდელმთავრებს, ავიწროებდნენ მათ და აშორებდნენ ხალხს, ხშირად აქვეითებდნენ და ასახლებდნენ კიდეც... ქვეყანას კი ისე უყურებდნენ, როგორც მათთვის საძარცვავად მიცემულ ოლქს. საუკუნის დასწყისიდანვე ეგზარქოსები თეოფილაქტე, ევგენი ბაჟენოვი, ისიდორე, ევსები ილინსკი, პავლე და სხვები დაკავებული იყვნენ მონასტერეთა და საგანეთა გაპარტახებით, განხორციელების, შემოსავლების, ხატების, მიტრების ძარცვით, სამონასტრო მიწების გაყიდვით, ქართული ხელნაწერებისა და უძველესი წიგნების საქართველოდან გატანითა და განადგურებით.

შედარებით კეთილი სახელი დატოვეს იოანემ, მოსემ და იოანნიკემ, მაგრამ ეს მცირეოდენი გამონაკლისია.

მიუხედავად მათი „გულმოდგინე მუშაკობისა“, ეგზარქოსები ძალზე სწრაფად იცვლებოდნენ საქართველოში. „რატომ ილტვიან ეგზარქოსები საქართლოდან? რა არის მიზეზი?“ – უკითხავს ყოვლადსამდგდელო კირინისათვის პრფ. ნ. ნ. გლუბოვსკის და მართალი პასუხის მიუღია: იმიტომ რომ მათ არ ჰქონდათ კავშირი სამწყსოსთან, არ შეეძლოთ შეგუება მათთან,

თანაც მათ მდიდარი რუსული ეპარქიებიც აცდუნებდნენ“ (დურნოვო 1907: 50) – ეს სრული სიმართლე იყო; არც ერთ მათგანს კეთილი კვალი საქართველოში არ დაუტოვებია და მათ ხშირ ცვლას ჩვენში სასიკეთო ძვრები არასოდეს მოჰყოლია.

მდგდელმთავრების ცვლილებას იღია ჭავჭავაძე პერიოდულ პრესაში ასე ეხმიანებოდა: „ძველის წასვლა იმიტომ გვიხარიან, რომ ერთგვარ განწყობილებაში, ძნელად, ძალიან ძნელად მოხდება ხოლმე, მოხელეს თავის სულიერ ძალ-ღონე ზედგამოჭრილი თანამდებობა ეჭიროს, თავის შესაფერის ადგილას იჯდეს: ტყუილად დედამიწას ამბიმებს და ადგილი დახაფრული აქვს. . . ამიტომაც მოხელეს, როცა დვთის მადლით, აიბარგება, დიდის სიმოვნებით მივაძახებთ ხოლმე: „გზა მშვიდობისა! ღმერთმა აქეთ ნუ მოგახედოხო“. დავლოცავთ და მიდის კუდაკრეფილი!

. . . სრულებითაც არ გვინახავს, რომ მოხელე ამ ლოცვა-კურთხევით არ გაეცილებინოთ“ (ჭავჭავაძე 2005: 12).

1879 წელს გაზ. „ივერიაში“ (№1) დაიბეჭდა იღიას ძალზე საინტერესო წერილი, რომელიც ახალი ეგზარქოსის იოანნიკეს დანიშნვას იუწყებოდა. ეგზარქოსმა იოანნიკემ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შედარებით კეთილი სახელი დატოვა საქართველოში, რადგან თავი ეკლესია-მონასტრების ძარცვით არ გამოუჩენია.

წერილში აგტორი მიანიშნებდა, რომ ბოლო დროს სასულიერო წოდებაშიც მოხდა სანუგეშო ცვლილებები და რომ მათი მიზეზი იყო ახალი ეგზარქოსი ყოვლად სამდგდელო იოანნიკე. „სასულიერო წოდებასთან დაახლობელმა პირებმა დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ამ რვა თვის განმავლობაშიც კი დაეტყო მაღალ წოდებას კეთილი გაგლენა უფროსის მშვიდის და მაღალ-პატიოსანის ხასიათისა. იმ შურმა, უთანხმოებამ, ერთმანეთის ბეზღობამ, ჭორიკანობამ, რომელთაც ამ უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში ღრმად მოიღეს ფესვები, აშკარად თურმე იკლო. სამაგიეროდ უწინდებური ძმური პატივისცემა, ურთიერთობა და სიყვარული იღვიძეს თურმე სულიერ წოდებაში. ასეც უნდა იყოს. სამდგდელოების კეთილგანწყობა მეტად დიდი რამ არის იმ ღვაწლისათვის, რომელიც ვალად პდევს სამდგდელოებას დვთისა და კაცის წინაშე“ (ჭავჭავაძე 1997: 259).

ავტორის ეს იმედი და სიხარული მაღევე შეიცვალა, ილიას სურვილი, იოანნიკე ჩვენს ხალხს მართლადა მწყემსად შექმნდა – გაცრუვდა, ნაადარევი გამოდგა მისი შექება და „ტკბილმა იმედებმა ჩაილურის წყალი დალიეს!“. . .

1881 წლის 1 იანვრის „შინაური მიმოხილვის მაგიერში“ თავის ამ განწყობაზე ილია ასე საუბრობს: „რა იმედით ვიყავით ადვილნი, როცა. . . განათლების მოთავედ ახალდანიშნული იყო ბატონი იანოვსკი და სამდგდელოების წინამძღვრად ყოვლადუსამდგდელოესი იოანნიკა. რა სიხარულით, რა იმედებით მივეგებენით ამ დანიშვნასა ჩვენ „ტვირთმმიმენი და დამაშვრალნი“. მადლობა დმერთსაო, ვიძახდით გულში.

გვეგონა, რომ ბ-ნის ნევეროვისა და ნეტარხსენებულ ეგსარხოსის ევსევის სისტემები დაწუნებულ იქმნენ უმაღლეს მთავრობისაგანო და ახალნი კაცნი მოიწვიესო. გვეგონა და გვიხაროდა, გვიხაროდა და გვეგონა! პირველ ხანში ჩვენს ადრეულ სიხარულს თითქო საბუთებიც მოეცა, ბოლოს კი, – ვაი, შენს მტერს! – ისევ შეჩვეული ჭირი გვანატრინეს. გამოვიდა, რომ სისტემა იგივეა და მარტო ხერხია სხვა. . . დმერთო გვიხსენ!“ (ჭავჭავაძე 1997: 422).

სისტემა მართლაც იგივე იყო, ხერხები იცვლებოდა შიგადაშიგ, ხან შემსუბუქდებოდა, ხანაც გაუსაძლისი ხდებოდა. ქვეყნისათვის, მისი მომავლისათვის სასიკეთოდ არაფერი იძროდა, პირიქით, თანდათანობით აიკრძალა ქართულად ლვთისმსახურება და სკოლებში ქართულ ენაზე სწავლება. ეს იყო ბევრი უბედურების, უკეთურებისა და ცოდვით დაცემის სათავე.

დაიხურა არაერთი ქართული მონასტერი, რომლებიც დროთა განმავლობაში გაპარტახდა და ნანგრევებად იქცა, თვით საქართველოს განმანათლებლის სავანე, ბოდბის მონასტერი რუსებმა დაიკავეს და ლვთის დიდება ქართულ ენაზე აკრძალეს. ამას თუ გულისხმობდა მწერალი, როცა ქართველებს წმ.ნინოს მონასტრისადმი გულგრილობას საყვედურობდა და თვლიდა, რომ „ბევრი. . . რამ არის საკითხავი ჩვენში, მაგრამ პასუხს სირცხვილი გარეთ არ უშვებს...“ (ჭავჭავაძე 2005: 276).

1882 წელს საქართველოში ეგზარქოსად დაინიშნა ყოვლადუსამდგდელოესი პავლე. ილია ამ დანიშვნას იმედებით არ შეხვედრია. ურნალ „ივერიის“ №10-ში დაბეჭდილი სტატია ახალი მწყემსთავრის დანიშვნას ეხება, უფრო კონკრეტულად, იმ მიზეზების გარკვევას, რამაც დააქვეითა ჩვენი

სამდგდელოების ყოფა და იმ საშუალებების ძიებას, რომელსაც შეეძლო მისი ამ მდგომარეობიდან თავდახსნა.

ილია ირონიულად შენიშნავდა: „ეს არის გასაკვირალი, – ახლის მოსვლა რაღად გვიხარიან. . . ამ სიხარულს არავითარი საბუთი არ მიუძღვის იმის მეტი, რომ ვფიქრობთ: „იქნება გვიპრალოს დმურთმა და გამოსადეგი კაცი დაჯდეს უხეიროს მაგიერათო“ (ჭავჭავაძე 2005: 13).

მან იცოდა, რომ ეს „იქნება“ მარტო დაჩაგრული გულის ძრახვა იყო, უფრო ნატვრასა პგავდა, ვიდრე საბუთსა და ასკვნიდა: „აი, ახლის მოსვლა, სწორედ იმიტომ გვიხარიან, რომ გზა ეხსნება მაგ ნატვრას, ნატვრის მიზეზი გვეძლევაო“.

წერილში ავტორი სარკაზმულ დამოკიდებულებას გამოხატავს უძლური, სხვის მაყურებლად გამხდარი, თვითმოქმედების უნარს მოკლებული ერისადმი: „ნატვრაცა და იმედიც ყოველთვის გაგვცრუებია, მაგრამ მაინც ჩვენ ჩვენსას არ ვიშლით. რას იზამ? ადამიანი ისეა შექმნილი, რომ ნატვრისა და იმედის მადა მით უფრო ეხსნება, რაც უფრო პირში ჩალაგამოვლებული რჩებაო“.

მწერალი ყურადღებით ადეგნებდა გულისყურს მდგდელმთავარ პავლეს იმ სურვილით, რომ მის პირველ სიტყვასა თუ საქციელში დაენახა, თუ რა გეგმა ჰქონდა მას მოქმედებისათვის. ილიას სურდა, რომ ეს ეგზარქოსი მაინც ყოფილიყო „შორს ზოგიერთებზედ“ და მას ეზრუნა ერში სარწმუნოების დრმად ჩანერგაზე, მისი მადლის მოფენაზე ხალხში და არაფერი გაერია სარწმუნოების საქმეში თვინიერ სარწმუნოებისა.

ცნობილია, რომ ეგზარქოს პავლეს თავის მობრძანების დღეს, სვეტიცხოვლობისას, მცხეთის ტაძარში მიბრძანებით გამოუხატავს პატივისცემა ერის მიმართ და ტაძარში წარმოუთქვამს თავისი „გრძნობიერი, განათლებული, გულმტკივნეული და მშვენიერი სიტყვა: „რუსეთმა შემოიერთა ერნიო და იფარავს მათ სარწმუნოებას, მათ ჩვეულებასა და ენასაო“.

ილიას უნდოდა, რომ ეგზარქოსის სიტყვაში გამოხატული განწყობილება გულწრფელი და ნამდვილი ყოფილიყო, „დმერთმა ქმნას აგრე იყოსო“ – წერდა ის „შინაურ მიმოხილვაში“ და ამ სიტყვით შეგულიანებული აყალიბებდა იმ მოსაზრებებს, რომლისთვისაც ახალდანიშნულ იერარქს უნდა მიექცია

უფრადლება, თუკი მის გულში ნამდვილად იდო განზრახვა რწმენის გაძლიერებისა და ქართული ეკლესიის აღორძინებისა.

სამდგდელოების სავალალო მდგომარეობა, მათი განათლებისა და ზნეობრივი ამაღლებისათვის ზრუნვა, სემინარიებში წესრიგი და სწავლების დონის ამაღლება, ქართული ენისა და ერის ზნეჩვეულებების პატივისცემა, სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის დანერგვა – ეს იყო ერთობლიობა ყველა იმ პრობლემური საკითხებისა, რომლებიც თავმოყრილი იყო ამ წერილში და რომელთა იგნორირებამაც დასცა სარწმუნოება, ეკლესიის ავტორიტეტი და გააქრო ის მოწიმებული პატივისცემა სამდგდელოებისადმი, რომელიც ჩვენს ერს ოდესდაც გააჩნდა.

პირველი საკითხი, რომელშიც იღია ეგზარქოსს არ ეთანხმებოდა, იყო საკითხი მდგდელთა განათლების შესახებ.

ეგზარქოსი საეკლესიო საქმეში ზნეობას განათლებაზე უპირატესად თვლიდა და ასეც განმარტავდა: „თვითონ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ცხადად გვიჩვენა უპირატესობა კეთილის ცხოვრებისა მსოფლიო სიბრძნეზედა, აღირჩია რა თვისთა თანამშრომლად უმეცარნი, რომელთაც ჰსძლიეს მწიგნობარნი – ქრისტეს მეუფების მტერნი. ოდონდ მოძღვართა საქართველოს ეკლესიისათა იცხოვონ ჭეშმარიტის ქრისტიანულის ცხოვრებითა და მცირედის ცოდნითაც სასარგებლონი იქნებიან თავიანთი ეკლესიისთვისაო“ (ჭავჭავაძე 2005: 19).

ზნეობის უპირატესობაში, თავისთავად, საკამათო არაფერი იყო, მაგრამ ამ განაცხადით ახალი ეგზარქოსი გამოხატავდა თავის შემწყნარებლობას სამდგდელოების უგიცობისადმი, რაც სასულიერო ფენის წინსვლა-განვითარებას უთუოდ შეუშლიდა ხელს.

იღია ჭავჭავაძე მწერლობის მოვალეობიდან და „რწმენად გადაქცეული აზრიდან“ გამომდინარე ეკამათებოდა ეგზარქოსს: „მართალია, იესო ქრისტემ თავის მოწაფებად აირჩივა მარტივნი და უმეცარნი, მაგრამ ვიდრე თვით არ გაანათლა, თავის დიდებულის მოძღვრებითა, იგინი არ გაგზავნა საქადაგებლად და ერის საწვრთნელად, ნურავინ იტყვის, რომ გაუნათლებელმა, განუვითარებელმა მოძღვარმა ჭეშმარიტი მოძღვრება გაუწიოს ერს...თუ ჩვენმა ეკლესიამ ჩვენამდე თავის სიწმიდით მოაღწია, ეგ იმის წყალობით მოხდა, რომ

უწინდელი სამდვდელოება ჩვენი გაცილებით მაღლა იდგა ეხლანდელზედ განვითარებით, განათლებით და ცოდნითა, რაც იმ დროს შეეფერებოდა“.

სამდვდელოთა დაცემის პირველ მიზეზად ილია მათ გაუნათლებლობას მიიჩნევდა: „უცოდინრობა სამდვდელოებისა. . . სათავეა ყოველის უკეთურებისა, ავზნეობისა, ბოროტმოქმედებისა. ამ სენისაგან წარმომდგარია ჩვენი სამდვდელოების ყოველივე ნაკლოვანება და ის სამწუხარო გარემოება, რომ ჩვენი ერი მდვდელს უყურებს არა ისე, როგორც თავის ხელმძღვანელს, მოძღვარს ჭირსა თუ ლხინში, არა ისე, როგორც მწვრთნელსა და დამრიგებელს, ქრისტიანული ცხოვრების გზის მაჩვენებელს, არამედ როგორც უსარგებლო და მცონარე არსებას...“ (ჭავჭავაძე 2005: 21)

მდვდელმთავარს, თავად „გონიერსა და განათლებულს“, უნდა სცოდნოდა თუ რა მნიშვნელოვანი იყო ცოდნა და განათლება განსაკუთრებით მდვდელთათვის, ქრისტეს ჯვრის ერის წინაშე მზიდველთათვის. „უცოდინრობა გონების სიბრძავეა, თვალის სიბრძავეზედ უარესი და ბრმა სხვას თვალს ვერ აუხელს, წინ ვერ გაუძღვება“ – შენიშნავდა ილია და ამიტომაც ანამუსებდა ყოვლადუსამდვდელოეს პავლეს: „იმედი გვაქვს, რომ მის მიერ განძრახულს და აღნიშნულს მოქმედების გეგმაში უპირველესი ადგილი ეჭირება ჩვენი სამდვდელოების განათლებისათვის დაუძინარს და მედგარს მეცადინეობასო“.

მოვლენათა განვითარებამ გვიჩვენა, რომ ეგზარქოსის მიზნებში არ შედიოდა საქართველოში სარწმუნოების განმტკიცება და მდვდელობა განათლებისათვის ზრუნვა. თავისი მოღვაწეობის მანძილზე ის გაუგებარი რეფორმებითა და უძველესი ქართული საეკლესიო ხელნაწერების დაწვითა და განადგურებით იყო დაკავებული. ამ სიტყვით „წმინდა“, საქმით „გულმხურვალე“ და საეჭვო ზნეობის ადამიანმა ბოლოს დასწულებლა საქართველო და ამით დაასრულა თავისი „მოღვაწეობა“ ამ ქვეყანაში.

ამასობაში კი ქართულ სემინარიებში, ფაბრიკაციის მეთოდით, ისეთი სამდვდელო კადრები მზადდებოდა, რომელთა მსახურების მაგალითი დიდ საცდურად იქცა მოსახლეობისათვის: ზოგიერთი მატერიალური გამორჩენისათვის იღწვოდა, ზოგი საერთო უფრო დაცემული და მიწიერი მისწრაფებისა იყო, ზოგი საერთოდ ურწმუნოც კი...

ამგვარმა გარემოებამ ისედაც მისუსტებული სარწმუნოებრივი გრძნობა კიდევ უფრო დათრგუნა და შელახა.

ერთადერთ საწვრთნელად სამღვდელოებისა სასულიერო სასწავლებელი რჩებოდა, რომელიც, ილიასა და ქართველ მოღვაწეთა არაერთი მხილების მიუხედავად, კვლავ შურის, მტრობის, ბეზღობის, ათასგვარი ცილისწამებისა და გარუსების მცდელობის ატმოსფეროში ფუნქციონირებდა.

ილია წერდა: „ერთი სხვა უმთავრესი იარა სასულიერო წოდებისა და თავი მიზეზი მისი დაცემულობისა აქამდე ხელუხლებლად არის დარჩენილი – ტფილისის სასულიერო სემინარია და სასულიერო სასწავლებელი... ძველი ენები ისევ ისე ტვინს ულაყებენ და გონებას უხშობენ ყმაწვილებსა... ქართული ენა ისევ ისე იდევნება, როგორც იდევნებოდა გუშინ“ (ჭავჭავაძე 1997: 262).

მწერლის მთავარი ტკივილი აუტანელ სასწავლო რეჟიმთან ერთად სასწავლებლიდან მშობლიური ენის განდევნა იყო.

როგორც ვითარება გვიჩვენებს, მდგომარეობა არც 1881 წლისათვის იყო შეცვლილი: „ჩვენი სამღვდელოება. . . იწვრთნება იმისთანა სემინარიაში, საცა დედა-ენას იმ ერისას, რომელ შორისაც ჩვენმა სემინარიელმა უნდა იმოძღვროს, სემინარიაში ისე ასწავლიან, რომ არ-სწავლება სჯობიან. . . ამისათვის ჩვენი უნო სამღვდელოება უქმია იქ, საცა დიდი შემწეობა ეგრე ადგილი შესაძლებელია. უქმია არამც თუ ერის სწავლა-განათლების საქმეში, არამედ ერის მოძღვრების საქმეშიც. დამუნჯდა ამის გამო ჩვენი ეპლესიების კათედრა, გაუქმდა ყოვლად ძლიერი ქადაგება, წაწყმდა სასოება სარწმუნოებისა და ამის გამკითხველი არავინ არის. თუ სემინარიის მმართველებმა ამ საგანს ასე ყური მოუყრუეს და სემინარიის პროგრამას არა უხერხეს-რა დედაენის სწავლების შესახებ, არამც თუ ჩვენს საქმეს სწავლ-განათლებისას გზა წარემართება, არამედ თვითონ მოძღვრობის საქმეც იქმდის მივა, რომ ჩვენი ერი იძულებული იქნება „პერევოჩიკის“ მეშვეობით გაენდოს ხოლმე თავის მოძღვარსა... „მოძღვრის ფარ-ხმალი ენაა, თუ ენა არ ეცოდინება, უქმია მისი თანამდებობა“ (ჭავჭავაძე 1997: 480).

სამღვდელოების მმართველობა რასაც ფიქრობდა ამის შესახებ – ცხადზე ცხადია. თანდათანობით იძირკვებოდა ქართული ენის სახსენებელი

საქართველოს სასულიერო სასწავლებლებიდან და სინოდის მიერ იმართებოდა ქართველთა გარუსების გეგმაზომიერი პოლიტიკა.

ილია ისევ და ისევ არ წყვეტდა ამ ტკიცილიან საკითხზე მსჯელობას, ხედავდა რა, თუ როგორ ზიანს აყენებდა ქართველი ხალხის რწმენასა და საერთო მდგომარეობას ეკლესიიდან და სასწავლებლებიდან მშობლიური ენის განდევნა. მონდომებით ახსენებდა სასულიერო იერარქებს, რომ ამით კვლავ სარწმუნოების საქმეს ადგებოდა ზიანი: „დედაენა, ჩვენი სამღვდელო და საეკლესიო ისტორია, ჩვენი გონიერისა და გულის გამომეტყველი ლიტერატურა გამოდევნილია სემინარიიდან. ყოველივე ეს ერთად და განსაკუთრებით დედაენა, სხვადასხვა მიზეზით პატივაყრილი, მხოლოდითი, ერთადერთი ღონეა, რომ მოძღვარმა უმოძღვროს ერსა. სხვაგან ძალად ასწავლიან მოძღვარს იმ ენას, საცა უნდა იმოძღვროს და ჩვენში მცოდნესაც ცდილობენ დაავიწყონ. ენის უცოდინარი მოძღვარი უტყვია, მუნჯია ერისათვის და უტყვს, მუნჯს პირუტყვსაც არ ჩააბარებენ ხოლმე, არამც თუ მეტყველსა. . . სარწმუნოება მოძღვრებაა და, მაშასადამე, უენოდ, უსიტყვოდ ვერ დაითესება“ (ჭავჭავაძე 22005: 22-23).

ამის ცხადი მაგალითი უკვე ქვეყანაში მრავლად იყო: სემინარიების კურსადამთავრებულებმა არ იცოდნენ საეკლესიო ტერმინები, რადგანაც საღვთისმეტყველო საგნები რუსულად ისწავლებოდა; უცოდინარ ქართველ მღვდლებს, რომელთა უმრავლესობასაც სემინარიაც არ ჰქონდა დამთავრებული, არ შეეძლოთ თავიანთი სამწყსოს განათლება. სამღვდელოება, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა უძლური იყო ხალხამდე მიეტანა სიტყვა ღვთისა, ძლიერი ქადაგება მანუგეშებლად და მწვრთნელად ერისა. „დაგმუნჯდით იმა სიტყვის გამოთქმისათვის, დავყრუვდით იმა სიტყვის სმენისათვის!“ – გოდებდა ილია. შედეგიც არ აყოვნებდა: წარწყმდა სასოება სარწმუნოებისა და ამის გამკითხველი არავინ ჩანდა.

იმერეთის ეპისკოპოსმა, მეუფე გაბრიელმა, რომელიც ერთ-ერთი უგანათლებულესი იყო მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსთავართა შორის სცადა ქუთაისში გაეხსნათ ქართულენოვანი სემინარია მღვდლის შვილებისათვის, მაგრამ „რაპორტების“, ცილისწამებებისა თუ სხვა მიზეზთა გამო მან ეს ვერ შესძლო. სინოდის კანტორაში ბეზღობა ბეზღობაზე მიდიოდა ქართველი მღვდლებისაგან, ყოვლადსამღვდელომ ძალად გვაკისრებინა სემინარიის ხარჯიო. ირონიულად შენიშნავდა ილია: „ერთი სიტყვით, ყველაფერი

გამოუვა ხელიდამ ეხლანდელს სამღვდელოებას. მქადაგებელნიც არიან, მწერალნიც, თავიანთი აზრების გამომთქმელნიც, თუ გაჭირდა მაბეზღარნიც. აბა, თუ ლმერთი გწამთ, რაღად ეჭირვებათ სემინარია?“ (ჭავჭავაძე 1997: 601).

მწერალი განათლების საჭიროებას არათუ მოძღვრებისათვის, მათი მეუღლებისათვისაც აუცილებლად მიიჩნევდა: „ქალების უმეცრებას აქვს მეტად ცუდი ზემოქმედება სასულიერო წოდების მამრობით სქესზე“ – წერდა ის. მისი სიტყვებით, საქართველოში ვერ მოიძებნებოდა ორი-სამი მღვდელიც კი, ვისაც ნასწავლი ცოლები ეყოლებოდათ. „ფოფოდიებში“ ძნელად შეხვდებოდით ხეირიანად წერა-კითხვის მცოდნებაც კი. ეს უმეცრება მღვდელს გონებას უმდაბლებდა და ჩქარა ავიწყებდა სემინარიაში მიღებულ „ნაგლეჯებს განათლებისას“.

„მღვდლისათვის ოჯახი დიდი რამ არის – წერდა ილია, – ოჯახი დღემუდამ საზრდოს აწვდიდეს მის სულსა და გულსა რათა გონებითის და ზნეობითის ახალის ძალით შემოსოს ბოროტან, მაცდურებასთან, უსამართლობათან საბრძოლველად. ამის მომქმედი ოჯახში ცოლია მღვდლისა, რომელიც მართლა-და მეუღლედ მოწვეულია იმ დიდის დვაწლისათვის, რომლის მძიმე უღელიც მღვდელს აწევს კისრად. გონებადახშული ქალი ვერ გაუწევს მღვდელს ამ მძიმე უღელს და თუ დღეს ჩვენი სამღვდელოება დაცემულია, ამისი თუ არ პირველი, უმთავრესი მიზეზი მაინც ის არის, რომ სამღვდელოთა წოდების ქალი განათლებას მოკლებული არაინ“ (ჭავჭავაძე 1997: 260).

ტკივილს ტკივილი ემატებოდა, სამღვდელოთა მდგომარეობა სულ უფრო უნუგეშო ხდებოდა. ყოველი საკუთარი სარგებლობის დევნაში იყო გართული, ყოველი საკუთარი სტომაქისათვის იღწვოდა.

ილია კვლავაც აფხიზლებდა მათ, ახსენებდა მიგიწყებულ მოვალეობებსა და დანიშნულებას: „ჭირია თუ ლხინი, ვიბდებით თუ ვიხოცებით, მღვდელი იქ პირველი უნდა იყოს. პირველი იმით კი არა, რომ ტაბლას მიაძღეს, არამედ ნუგეშისცემითა, ლოცვითა, კურთხევითა, ბოროტის დევნითა, სიმართლის აღდგენითა, კეთილის მოფენითა...“

ქალიან მრავალფეროვანია სარწმუნოებრივ საკითხებთან დაკავშირებით ილიას შეხედულებების ამსახველი მასალები. პუბლიცისტურ წერილებში ავტორი გამოკვეთილად აყალიბებს თავის ნააზრევს, ცალსახაა და ნეგატიური

მისი განწყობილება თავის თანამედროვე სასულიერო წოდებისა და მათი მსახურების ხარისხისადმი.

ურწმუნო, ზნეობით ღირსებას მოკლებული, უმოქმედო და უცოდინარი, საკუთარ და ერის წარსულთან გაუცხოებული და აზრით დატაკი სასულიერო წოდება ერის ძალ-ღონებს ვერ შეძრავდა, ვერ აამაღლებდა, წინ ვერ გაუძლვებოდა. ამ მტკიცნეულ თემას ილიამ ვერც მხატვრულ ნაწარმოებებში აუარა გვერდი.

პოემა „აჩრდილში“, სადაც ერის სულიერი და ხორცეული დაცემის სურათია აღწერილი, სასულიერო პირთა უმოქმედობასა და უდონობას ილია ასე გადმოგვცემს:

...

„აგრა მღვდელნიც – ერთა მამანი  
რომელთ ქრისტესგან ვალად სდებიათ  
ამა ერისა სულის აღზრდანი,  
რარიგ გულ-ხელი დაუკრეფიათ!  
სად არის სიტყვა დიდის სწავლისა  
სიყვარულის და სიმართლისა,  
რომ მათ ბაგეთგან არ მომდინარეობს  
და ერს დაცემულს არ აღამაღლებს?  
სად არის იგი მღაღადებელი  
ქვეყნის ხსნისათვის ჭეშმარიტება?  
სად არის იგი ბიწის მდევნელი  
ჯვარცმულის ღმერთის მაღალი მცნება?“

(ჭავჭავაძე 1987: 190)

როგორც ვხედავთ, პოემის ამ მონაკვეთში ნათლად ჩანს, თუ როგორ განიცდის მწერალი ღვთისმსახურთა სულიერ მიძინებასა და მათ მიერ საღვთო მცნებათა დავიწყებას.

გაუდაბურების შემზარავი სურათია აღწერილი პოემა „განდეგილის“ ფინალშიც. მაცდური, რყვნილი და წაწყმედილი დროისაგან სიწმინდით გამორჩეული ადამიანი, გაუქმებულ დვთის ტაძარს შეკედლებული, ქვეყნის ხსნისა და გადარჩენისათვის მღოცველი, ერთადერთი ასკეტი ბერი მძაფრი სულიერი ბრძოლების შედეგად დამარცხდა და დაიღუპა. ქართველთა უწმინდესი სალოცავი, ბეთლემის მონასტერი, ადგილი, სადაც უძველესი დროიდან ჩვენს წმინდა მამებს

„ . . . უდიდებიათ

ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების.

იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ

მსხვეპლი ქებისა და ღადადების“ — საბოლოოდ  
დაცარიელდა.

მწერლის ჩანაფიქრით, ქარის ქშუილისა და გამომფრთხალი ნადირის ამარა დარჩენილი, გაუდაბურებული სალოცავის ჩვენებას უნდა შეეძრა მკითხველი და გამოეფხიზლებინა.

საუკუნის დასასრულს ჭეშმარიტ სარწმუნოებასთან ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდა და არათუ ბეთლემი გამოცოცხლდა, მწერლის გულისტკივილიც არავის შეუსმენია

მოხდა პირიქით — სიმძლავრემ ავკაცობისა დაადუმა პოეტის ენა და ტყვიით განგმირა ბრძოლით დაღლილი გული.

„ ... და ამით საცნაურ ვიყვნეთ“ (ახალი აღთქუმავ 2003: იოვანე 3-19), — გკითხულობთ იოვანე მოციქულთან და, მართლაც, ბევრი რამ გვეცნაურება. . .

## ზნეობრივი დაცემა

ერის ცხოვრება და მომავალი დიდად არის დამოკიდებული ზეციურ მზრუნველობასა და მფარველობაზე. თავად ზეციური შეწევნა კი დამოკიდებულია ერის ნებელობაზე, ანუ იმ დირექტულებებსა და ფასეულობებზე, რომელიც გამოირჩია მან თავისი არსებობისათვის.

ჩვენი ქვეყანა დასაბამიდან დვთისმშობლის წილხვედრი იყო, ეს ზეციური დიდი წყალობა და ასევე დიდი მოვალეობაც იყო ქართველთათვის, რადგანაც თქმულა, „ვისაც მეტი მიეცეს, იმას მეტი მოეთხოვოს“; ქართველი ერი თავისი არსებობის მანძილზე „ძელი ჭეშმარიტების“ მადლით უფალს ერთგულად და შეურყევლად ემსახურებდა, ამიტომაც შეიძინა ამდენი მოწამე ზეციურმა საქართველომ, შემწედ, მფარველად და მლოცველად ქვეყნისათვის.

„იყავნ, უფალო წყალობას შენი ჩვენ ზედა, ვითარცა ჩვენ გესავთ შენ“ (ფს.32-22), – ასე ლოცულობდნენ თდითგან საქართველოში და წყალობაც უფლისა შესაბამისი იყო მუდამ.

„მეთვრამეტე საუკუნის ვაი-ვაგლახმა და მეცხრამეტის პირველი წლების წეწვა-გლეჯამ ჩვენი ერი მოჰდალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის თავის იმედი დააკარგვინა. როცა შემოხვევა მიეცა, თავი თითქოს მოსვენებას მისცა: გაუყუჩდა და თითქოს ხმამოუდებლად დაემორჩილა ახლად მოვლენილს ბედს და გარემოებას“ (ჭავჭავაძე 1991: 527), – წერდა ილია პუბლიცისტურ წერილში. ის გულამდე უწვდენდა თვალს ცხოვრებას საუკუნისას და ამჩნევდა, რომ ამ სვენების ხანშიაც დაპნათოდა ჩვენს ცხოვრებას შუქი ჯერ კიდევ ჩამავალი მზისა და გამოყოლილნი და გულში ჩარჩენილნი ანდერძნი კვლავაც ასულდებდნენ მას.

ქამთა სიავემ თანდათანობით ესეც მიანავლა. „სვენებაში“ ჩაფლულმა და ჩაძირულმა ერმა თითქმის ისე გალია საუკუნე, რომ თავი ვერ დააღწია უმოქმედობის ჭაობს, ზურგი შეაქცია წარსულ ანდერძთა დაღადებას და ჯაჭვი „ცხოვრების ზედმიყოლებისა“ გაწყვიტა. ყველაფერი შეიცვალა. ილია წერდა: „...რაკი წარსულსა და აწმეოს შორის დედამიწა გაირღვა, წარსულ ანდერძთან ერთად ყველაფერი დავკარგეთ. ისიც კი დავივიწყეთ, – ვინა ვართ და რანი ვართ. ამ გარემოებამ ხომ სრულად გაგვიუქმა ჭკუა-გონება, ამოგვიშრო ტვინი,

იმიტომ, რომ საგანი ცხოვრებისა დავკარგეთ ამაოების დავიწყების გამო და ჭკუა-გონებას, სულსა და გულს აღარა ჰქონდა მიზეზი ფრთა გაეშალა. . . ცხოვრება. . . შედგა, თითქო ერთ ადგილას შეიკრა და გაიყინაო“ (ჭავჭავაძე 1997: 528).

შეცვლილ ცხოვრებასთან ერთად ყველაფერი აირიფ-დაირია. ცოდვამ მადლის პირბადე ჩამოიფარა, ტყუილისა და მართლის გარჩევა გამნელდა, ქვენა გრძნობანი ზენა გრძნობათა ადგილას გამეუფლენენ, „საწყაო ცოდვისა და მადლისა, ტყუილისა და მართლისა“ გაქრა და დაიკარგა... ეს ყველაფერი ხდებოდა ყველას თვალშინ და ყველამ შეიწყნარა, ყველა დაემორჩილა ამ საძრას მდგომარეობას, თითქოს ეს განურჩევლობა და არევ-დარევა სიკეთის მომტანი ყოფილიყო.

ილია წერდა: „თითქო კეთილს, მადლს უდონობა შეაჩნდათ და ამის გამო ბოროტს, ტყუილის და ცოდვასდა მივენდენით სრულის იმედით, რომ იგი ჰქმნან კაცის ბედნიერებისათვის, რაც კეთილმა, მადლმა და მართალმა ვერ შეძლესო“ (ჭავჭავაძე 1991: 451).

ცხოვრება „ბოროტის სამეუფოდ“ შეიქმნა; ასეთი ყოფა საზოგადოებისა და ერისათვის დიდი ჭირი იყო. ბოროტ ძრახვათა სიმრავლე მას სასიცოცხლო ძალას აცლიდა და არყევდა. ფაქტია, რომ კედელი მტკიცეა მანამ, ვიდრე იგი სწორად დგას, ხოლო თუ გადაექანა – აუცილებლად დაემხობა და დაინგრევა.

ბუნება კაცისა თუ საზოგადოებისა, ვიდრე ფასეულობაზეა ორიენტირებული, სწორად დგას და მტკიცეა, ცოდვისკენ გადადრეკელი კი იშრიტება და ბოლოს ეცემა კიდევ...

ილია ჭავჭავაძე პუბლიცისტურ წერილში „ყალბი და ნამდვილი“ აღნიშნავდა: „ღრმად დაკვირვება არ არის საჭირო, რომ კაცმა დაინახოს, რომ ადამიანის ჭკუას რაღაცა გაუტყდა, ბუნებური მართულები მოეშალა. . . კაცს ეხლანდელ დროში ვერა გაუგია რა, ვერა გამოურკვევია რა, ხედვით ერთსა ჰქონდავს, სმენით სულ სხვა ესმის. არის ერთი არეულობა.

პარავენ პატიოსნების სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად პატიოსნება და სად მპარაობა?

აბეზღებენ და ცილს სწამებენ გულმტკივნეულობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ცილი და ბეზღი და სად გულმტკივნეულობა?

ჰდალატობენ საქმეს, ჰდალატობენ ერთმანეთსა ერთგულების სახელითა და არავინ ჰკითხულობს სად დალატი და სად ერთგულება?

ათას ამისთანას ჩამოგითვლით, საცა თქმა საქმეს არ ებმის და საქმე თქმას არ ემსგავსება, არ ეთანხმება. ყველაფერი ეს ცარიელის სახელით გადის და სახრავს კი არავინ დაგიდევთ.“ (ჭავჭავაძე 1991: 387)

ხშირად ხდება, რომ უკეთურ საქმეებს მრავალნი იწონებენ, ნაკლს ღირსებად თვლიან, სიცრუეს–სიმართლედ, უღირსებას–ზნეობად და საერთოდ, ყველა მანკიერი თვისების შელამაზება შეიძლება მასთან ახლოს მდგომი სათნოების სახელით.

თითქმის ყველაფერი ნათელია და ილიასაც არ უკვირს, რადგან იცის, რომ „ვიდრე ქვეყანაზე კაცია – ბოროტიც არის და ბოროტი ხომ მითია მარტო სულდგმული, რომ თქმა ერთი აქვს და ქმნა სხვა“ (ჭავჭავაძე 1991: 338), მაგრამ მწერალი წუხს იმის გამო, რომ კეთილის სამეუფოზე, ადამიანის სულზე ბოროტი გაბატონდა, რომ ამ ჭირმა გზა გაიხსნა, მოედანი მოიპოვა და მთელი არსებით, აშკარად, უფერუმარილოდ, უბრძოლველად და უჭირველად დაიბუდა მის თანამედროვე კაცთა ცხოვრებაში. სულმა ხორცს დაუთმო გზა, სინათლემ – სიბნელეს, სიკეთემ – ბოროტებას და ეს უკანასკნელი ფესვებგაშლილი ლადად ბოგინობდა საზოგადოებაში.

ილია თვლიდა, სიპ ქვაზე რომ წყალი განუწყვეტლივ ეწვეთებოდეს, იმასაც გაარღვევსო და ამით ხსნიდა საზოგადოების გადაგვარებას: „მრავალი წელიწადია, ჩვენო დავრდომილო ქვეყანავ, რაც შენს შვილს ერთი ცოცხალი აზრი, ერთი პატიოსანი გრძნობა არ ჩაგარდნია გულში. შენც გადაჩვეულხარ ერთსაც და მეორესაც. . . მერე ისე გადაჩვეულხარ, რომ ნახო კიდეც ცოცხალი აზრი, პატიოსანი გრძნობა, – ვერ იცნობ, ეს კიდევ არაფერი, რომ ვერ იცნო, აიღებ და იმასაც ლაფში გასვრი, იმ მიზეზით რა მიზეზითაც დიდხანს საპყრობილეში დამწყვდეული კაცი, როცა მზეზე გამოვა, თვალებზედ ხელს იფარებს. რადგანაც სინათლე თვალებს სტკენს, – იგი მიჩვეულია და რაც ნათელია, იმას თვალებზედ ხელის აფარებით აბნელებს“ (ჭავჭავაძე 1991: 603).

პუბლიცისტური წერილის ამ სიტყვებს ზუსტად შეესაბამება ლუარსაბის („კაცია-ადამიანი?“) პროტესტი, როცა ავტორს ის წუმპიდან სისუფთავეში ამოყავს, ცდილობს სინამდვილის სარკეში ჩაახედოს და ლაფი ჩამოარეცხინოს:

„—თუ ადამიანი ხარ, მაგ დამპალ გუბეში ბაყაყებთან და ჭიანებულებთან რა გინდა?

— ბიჭოს! მაშ სად უნდა ვიყო?

— კაცებთან, თუ კაცი ხარ.

— კაცები არ არიან, რომ იქ არიან? ათასია ჩემისთანა და ათასზედ მეტიც.... გუბეში რას ქვიან... ჩვენი ცხოვრება ეგაა... თავი დამანებე, სინათლეზედ ნუ გამომოყვანე!“ (ჭავჭავაძე 1988: 574)

მოთხოვთ ავტორს სხვა მიზანი ამოძრავებდა: „კიდევ იმიტომ მინდა ქვეყანას დაგანახვო, რომ ამოტლაპული ხარ გუბეში, რომელსაც შენ სამასხაოდ ცხოვრება ცხოვრება დაგირქმევია: იქნებ შეგრცხვეს ქვეყნისა და გაირეცხო!“

ქართველობა იმ წუმბეში უფრო კარგად გრძნობდა თავს, რადგან არავითარი ძალისხმევა და თავის შეწუხება არ სჭირდებოდა „ცხოვრების“ განგრძობისათვის.

მკვლევარი, ლელა წიქარიშვილი თავის საღისერტაციო ნაშრომში „მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების სახისმეტყველებითი ასპექტები“, საუბრობს იგავური მეტყველების უნიკალურ მოდელზე, „რომელიც ემყარება ერთგვარ კოდს – მართლმადიდებელი ეკლესიის საიდუმლოებებს. მათი ინგერსიული, ანუ – შებდალული სახით წარმოდგენა სიმბოლურად ავლენს თვით ეპოქის უდმერთობას“ (წიქარიშვილი 2004: 17). შემდეგ ავტორი ვრცლად განიხილავს ქრისტიანული საიდუმლოებების დესაკრალიზებულ ასახვას მოთხოვთაში.

ფაქტია, რომ ილიამ ჯერ კიდევ ჯავახიშვილამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე გამოიყენა ეს ხერხი. წარმოგვიჩინა თანამედროვე ლუარსაბი, როგორც დიდი წინაპრის ლუარსაბ წამებულის ანტიპოდი; ოდესდაც სულიერად აყვავებული ბეთლემი აწმყოში დახატა დაცარიელებული სახით, სადაც ნადირიდა ღმუის და ქარი ქმუის; „კაცია-ადამიანის“ გმირების მეტყველებაში წარმოაჩინა წმიდა წერილის დამახინჯებული, დესაკრალიზებული სახე და „დავითნის“ კითხვას თანამედროვეთა საქმიანობაში გაქონილქაღალდიან ფანჯრებზე სისულელების ამოკაწვრა ჩაანაცვლა.

იღიამ მთელი საზოგადოება და ერი პუბლიცისტურ წერილში „შინაურ საქმეთა გამო“ ასე შეაფასა: „ბევრს ჩვენისთანა უსაქმურებს, ყველაფერზე გულაცრუებულებს და ყველაფერზე გულგრილებს რა საქმეები უნდა მოეკითხოს? მთელს აგებულებას თითქო სიმდაბლე დამართნიაო, გართ და კსჭამთ მხოლოდ, ესეც იმ დრომდე, ვიდრე საცოხნელი არ გამოგველევა და ხელიდამ არ გამოგვეცლება ჩვენის უკეთურობით. თუ ოდესმე გული შეგვივარდება რაზედმე, რომ ჩვენს მოძმეს გზა გადავუდობოთ, ორმო გავუთხაროთ და კლდეზედ გადავჩეხოთ სადმე. შური., ერთმანეთის მტერობა, გაუტანლობა, ბეზღობა, ენატანიობა, ერთმანეთის ლანძღვა და თრევა, ადამიანის ლირსების უარყოფა – ამისთანა თვისების პატრონებს რა საქმეები უნდა გამოუვიდეს ხელიდამ? ცხოვრება, რომელსაც ამისთანა ჭია შესჯდომია და ძირს უთხრის, რის მომვლინებელი უნდა იყოს, თუ არ იმისა, რომლის არამც თუ დანახვა, წარმოდგენაც კი საზიზდარია და შესაჩვენებელი“ (ჭავჭავაძე 2005: 297).

ამ პუბლიცისტურ წერილებში, შემზარავ მაგალითებსა და ავტორისეულ შეფასებებში იკითხება დიდი გულისტკივილი და წუხილი, უდიდესი აღმფოთება და შეურიგებლობა ცოდვით დაცემული და ზნეობრივად გადაგვარებული ერის მდგომარეობის გამო.

ცხადი იყო, რომ ქვეყნის ასეთი ვითარება წარწყმედას, დვორის პირიდან აღგვასა და იავარ-ქმნას უქადდა ერს. ამიტომაც, ამ ჭირთა-ჭირის არ-მალვით, მხილებითა და შეჩვენებით ილია ცდილობდა თანამომმეთა გამოფხიზლებას და მათი სასიცოცხლო ძალების დაძვრას. მდგომარეობა მით უფრო იყო შემზარავი, რომ მდიდარი თუ დარიბი, ჩინიანი თუ უჩინო, გლეხი თუ თავადი, –თითქმის ყველა ერთ ქვაბში და ცოდვის მორევში იხარშებოდა.

მწერალი პრივილეგირებულ ფენაზე, ქართველ თავად-აზნაურობაზე, რომელიც წოდებითაც და მოდგმითაც უნდა ყოფილიყო დირსებისა და სიქველის გამომხატველი, ასე წერდა: „დიდკაცობა, როგორც სხვაგან ისე ჩვენში, სწორედ კუბოა, რომელიც გარედან ხავერდით არის მოსილი და ბუზმენტებით გაბრწყინებული, მაგრამ ახსენით ის ბუზმენტები და ახადეთ თავი, შიგ ძვლების და სულის და ხორცის გახრწნილების მეტს ვერას დაინახავთ“.

სამწუხარო იყო, რომ დიდი და სახელოვანი წარსულის მქონე ერი, დვორისაგან დაშორებული და განდგომილი, სულიერად გადარიბებული,

ზნეობრივად და ფიზიკურად დაუძლურებული იდგა გადაგვარების ზღურბლთან. ეს მდგომარეობა იყო ლოგიკური შედეგი საუკუნის დასაწყისში გაკეთებული არჩევანისა, რამაც წარსულსა და მომავალს შორის ხიდი ჩატება, „შედეგს სათავე და დასაბამი მოსწყვიტა“.

ასეთივე სურათი იხატება ილიას მხატვრულ შემოქმედებაშიც, მისი მხატვრული პერსონაჟების უმრავლესობა ზნეობრივად არასრულყოფილია, უმაღლეს ფასულობებთან – რწმენასა და მცნებებთან დაშორებულია, თუ არ სიტყვით, საქმით მაინც.

„იყავით ოქვებ ხრულ, ვითარცა მამავ თქვნი ზუკათავ ხრულ არც“ – მაცხოვრის ამ სიტყვებში ნაჩვენებია გზა მიმავალი ჭეშმარიტებისა და ხსნისაკენ. საკითხავია მხოლოდ ის, თუ როგორ მიაბიჯებს ამ გზაზე ადამიანი ან ერი, შემართულად თუ ბორძიკით, ცოდვისკენ მიიღრიკება თუ მაღლისაკენ. ამისდა მიხედვით ისაზღვრება მისი სასიცოცხლო ენერგია, მისი ზეციური მფარველობა და მომავალი.

„მგზავრის წერილების“ პერსონაჟი, მოხევე ლელთ დუნია, შეცვლილ დროებას ასე გვიხატავს: „აწინა დროება დაიშალის, მებავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გავერვნის, ერთსულობაი დავარდნის, მტრობა-პარვაი გახშირდის.. ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წეს-წყობაი...“ (ჭავჭავაძე 1956: 38).

მოთხოვთ „სარჩობელაზედ“ მოქმედი გმირი, უმცროსი ქმა თავის უბედურებაში საზოგადოებას ადანაშაულებს, რადგან მიიჩნევს, რომ გულგრილობის გამო მას და მის მმას არავინ მიეშველა, არავინ გამოესარჩდა მაშინ, როცა პატარებს ყველას თვალწინ ძარცვავდნენ: „...არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო. . . მინამ ცოცხალი ვარ, ყველას გადაგუხდი და როცა აღარ ვიქნები, იქ ღმერთს გავცეთ ყველამ პასუხი...“(ჭავჭავაძე 1988: 237).

ილია საზოგადოების ღირსებაზე ასე საუბრობდა: „მიზეზი კეთილის ცუდად ახდენისა ჩვენი გულგრილობა და გათვითოეულობა არის. . . სხვისი ჭირი ჩვენს საკუთარ ჭირად არ მიგვაჩნია, დავიწყებული გვაქვს ურთიერთობის კავშირი, იმასა ჰსცემენ, მე ხომ არაო, ვიძახით და ამით ვანუგეშებო ჩვენს

გაქსუებულს თავსა. ის კი არ გვაგონდება, რომ ხვალ შეიძლება ეს დღე მეც  
დამიდგეს და მეშველი არავინ მეყოლება“ (ჭავჭავაძე 1997: 210).

მწარე ლიმილის მომგვრელია ლექსიც „ბედნიერი ერი“ აქ ერთმანეთშია  
არეული ავტორის გულისტკივილი, ირონია და სარკაზმი, რადგან ერის  
მახასიათებლად შემდეგ თვისებებს ხედავს:

. . .

„ყველა უნჯი, ყველა მუნჯი,  
გულჩვილი და ლმობიერი  
თვალაბმული,  
თვალაპრული  
პირს ლაგამი ზომიერი;  
მცირე, დიდი – ყველა ფლიდი  
ცუდლუტი და მანკიერი.

. . .

მტრის არ მცნობი  
მოყვრის მგმობი  
გარეთ მხდალი  
შინ ძლიერი;  
არ რის მქონე,  
არ რის მცოდნე  
უზრუნველი და მშიერი.“

(ჭავჭავაძე 1987: 130)

ლექსის ბოლოს პოეტი ცრემლნარევი რიტორიკით კითხულობს:  
„ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?“

„სჯულისაგან არს გამოცნობავ ცოდვისავ“ (ახალი ადოქუმავ 2003: პრომ. 3-  
20) – გვახსენებს პავლე მოციქული და ილია ჭავჭავაძის მოთხოვა „კაცია-  
ადამიანში“?! საზოგადოების საუკეთესო ნაწილის თვისებებად იგივე

უკეთურებებს ვხედავთ: „უკეთესი ნაწილი „ამა სოფლისა“, თავად-აზნაურობა – გამხდარა ხარბი, გონებადახშული, ჭორიკანა, ანგარებიანი, უსაქმური, ფუქსავატი, შურიანი, ბინძური, გაუტანელი, ცრუმორწმუნე, მუცელლმერთა და სხვა „ლირსეული სამკაულით“ მოკაზმული ფენა.

„შემუსვრავ და უბადრუკებავ არს გზათა მათთა“ (ახალი აღთქვემავ 2003: პრომ.3.16) – გვამცნობს მოციქული წარწყმედის გზაზე მდგართათვის საცნაურ ნიშანს.

მოთხოვთ ბოლოს ილია შენიშნავს: „უფროსთაგანს ქართველის საფლავის ქვას რომ აწერია „შენდობა გვიბრძანეთო!“ – ეხლა მესმის, რისთვისაც აწერია. მაგ შესანდობარს და შესაბრალის ჩვეულებას თავისი აზრი და საფუძველი ჰქონია, მაგრამ არა ვსორგმნი მკითხველო“! (ჭავჭავაძე 1988: 128).

სავარაუდოა, რომ ამ „შესაბრალის ჩვეულებაში“ ილია გამვლელის მიერ ნათქვამ შენდობას გულისხმობდა, რომელიც სასუფევლისკენ მიმავალ გზაზე ცოდვაში ჩაფლული ადამიანისათვის ვერაფერი საგზალი იყო, მხოლოდ უკან მიდევნებული ლამპარის ფუნქციას თუ შეასრულებდა და საუკუნო ცხოვრებაში ცხონებისათვისაც ნაკლებად სანუგეშო იყო.

ილიას მხატვრული თხზულებებიდან წარსულთან დაპირისპირება ყველაზე მეტად ხაზგასმულია პოემა „აჩრდილში“. აგზორმა ამ ნაწარმოებში წარმოაჩინა, თუ როგორ მიმართებაში იყო მისი ერი მარადიულ ზნეობრივ კატეგორიასთან – დგოიურ სახიერებასთან.

## სახე ქვეყნისა და მადლი ცისა

(პოემა „აჩრდილის“ მიხედვით)

ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“ ფილოსოფიური პოემაა. ერთგვარად გამორჩეული სხვა მხატვრული ქმნილებებიდან სიუჟეტის რთული სტრუქტურითა და დასმულ საკითხთა მრავალფეროვნებით.

დღემდე ქართველი მეცნიერები მიიჩნევდნენ, რომ პოემის თემატიკას განსაზღვრავდა ეპოქისათვის (XIX საუკუნის II ნახ.) მნიშვნელოვანი ეროვნული და სოციალური პრობლემები და არც თუ უსაფუძვლოდ, რადგან ნაწარმოების მოქმედება მართლაც იშლება გამწვავებული ეროვნული და სოციალური ვითარების ფონზე, მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირულად ჩანს ასე. არსი ამ მოვლენებისა სულ სხვაა და ის მათი წარმოშობის მიზეზებში უნდა ვეძებოთ. თუკი დავაკვირდებით, სად იკვრება და იხსნება პოემის კვანძი, პრობლემების სათავეებს აღმოვაჩენთ და დასკვნებიც უფრო საფუძვლიანი გახდება.

„აჩრდილის“ რამდენიმე განსხვავებული ტექსტოლოგიური წყარო არსებობს. მისი პირველი ვარიანტი დაწერილია 1858-59 წლებში. შემდეგში ავტორმა არაერთგზის გადაამუშავა იგი და საბოლოო რედაქცია 1872 წელს დაასრულა.

პოემის პირველ ვარიანტს ეპიგრაფიდ წამდვარებული ჰქონდა ნაწყვეტი დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნიდან: „აღზდექ უფალო დმერთო ჩემო, და აღმართე ხელი შენი, და ნუ დაივიწყებ გლახაკთა შენთა სრულიად! . . .“ (ფსალმუნი 9/32)

ეპიგრაფი, ზოგადად მხატვრულ ლიტერატურაში და, კონკრეტულად, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაშიც, მიგვანიშნებს თხზულების ავტორისეულ ინტენციაზე.

დგთის ხსენება, მისადმი სასოების გამოხატვა და ლოცვით აღვლენილი ვედრება საყოველთაო შეწევნისათვის, არის ამ ფრაზაში დატეული ის აზრი, რომელიც შემოსაზღვრავს ავტორის მრწამსს და ნაწარმოების მთელ იდეურ შინაარსს.

თუმცა, ეპიგრაფი ილიას შემდგომში შეუცვლია, მაგრამ შემოქმედებითი განზრახვის ანარეკლი სწორედ ამ ვარიანტის ეპიგრაფში ჩანს. ნაწარმოების საბოლოო რედაქციის ანალიზი კი გვიჩვენებს, რომ ავტორის თავდაპირველ ჩანაფიქრს არსებითი ტრანსფორმაცია არ განუცდია.

მხატვრულ ნაწარმოებებს ლიტერატურათმცოდნები სხვადასხვაგვარად განმარტავენ, მაგრამ უმთავრესი მიზანი იმ ჩანაფიქრის მიგნება და გახსნაა, რაც ავტორს შექმნისას ჰქონდა მოაზრებული. ამისათვის კი ნაწარმოების კვლევის ზედაპირული პლანი არ გამოდგება, რადგან ილიასთან ყოველ დეტალს, ყოველ ფრაზას თავისი დატვირთვა აქვს, აქ ერთნაირად მნიშვნელოვანია ტექსტიც და ქვეტექსტიც.

ეროვნული პრობლემები, სოციალური უსამართლობა, საკუთარ წარსულთან გაუცხოება, გმირული სულის ჩაკვდომა — ეს ყველაფერი თვალშისაცემია და დევს თხზულების ზედაპირზე, მაგრამ თუ მიზნად დავისახავთ, რომ მივყვეთ ავტორის დარიგებას, რომ ნაწარმოების კითხვისას აზრს უნდა მივყვეთ და არა ამბავს, „სულს ვადევნოთ გულისყური და არა ხორცს“, მაშინ გზამკვლევად სწორედ ბიბლიური სახე-სიმბოლოები უნდა გამოვიყენოთ, რათა თხზულების სულიერ საზრისს ჩავწედეთ.

„აჩრდილის“ ლიტერატურული წყაროების კვლევისას მეცნიერები პოულობენ აზრობრივ და დექსიკურ სიახლოვეს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებთან, სასულიერო მწერლობასთან. (მოსია 1984)

თხზულებაში პრობლემა პირველად ჩნდება იქ, სადაც პოემის ლირიკულ გმირს, ერთი მხრივ, მყინვარის რისხვის მომლოდინეს და მეორე მხრივ კი აღმობრწყინებული მზისა და ნათელმოფენილი, მადლიანი დილის შემყურებელები ეჭვები და მათგან გამომდინარე უჩნდება მნიშვნელოვანი კითხვაც — არის თუ არა რეალური პარმონია ცასა და მიწას შორის.

ლირიკულ გმირს ეს ეჭვი თავისი ფხიზელი გონების გამო უჩნდება. შემდეგ მძიმე ფიქრებს, თითქოს, გაუფანტავს დილის სიტკბოებასთან ერთად მოვლენილი „ყოვლადმხსნელი სასოება“. იგი მაცხოვნებელ ნუგეშსა სცემს, „ამა ქვეყნისა სიკეთის რწმენას“ ჩაუსახავს და აფიქრებინებს:

„სად მზის ნათელი ეგრე ბრწყინვალებს  
იქ ძალუმს კაცსაც ბედნიერება“

(ჭავჭავაძე 1987: 183), — მაგრამ, თავისთავად, პრობლემა ამით არ გადაიჭრება.

სიუჟეტის განვითარებასთან ერთად ირკვევა, რომ ლირიკული გმირის ეჭვები სულაც არ იყო უსაფუძვლო. იმედისმომცემი, პარმონიული დილის სურათის ხილვის შემდეგ ავტორი წარმოაჩენს ქვეყნის ცხოვრებას.

დვთის მიერ შექმნილი ბუნების მშვენიერება ადამიანის დამსახურება არ არის, ის უფლის წყალობაა, ადამიანის სახე ჩანს იმაში, თუ როგორ იყენებს ის დვთისგან მონიჭებულ თავისუფალ ნებას და როგორ ცხოვრობს – ცოდვით თუ მადლით.

მშვენიერი დილა, მეტაფორულად რომ ვთქვათ, მარტო ლირიკული გმირისათვის გათენდა, „უცხო ხილვანი“ მხოლოდ მას ეწვია და მყინვარზე მდგარი, ქვეყანასავით მშვიდი, „უძრავი, უხმო, დაფიქრებული“ მოხუცის ხილვის დირსი მხოლოდ ის გახდა.

...

„და მომევლინა მე კაცი დიდი

მყინვარზედ მდგომი მოხუცებული“

მყინვარზე ხელმოჩრდილვით მდგარი თეთრწვერა მოხუცი ყურადღებით გაჰყურებდა შორეთს, სადაც „სრულ საქართველო მოჩანდა“.

ილიას მოესმა მისი ბუბუნა ხმა:

„მარად და ყველგან ,საქართველოვ, მე ვარ შენთანა!...

მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული.

შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარამებანა,

ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული“.

ქვეყნის „თანამდევი უკვდავი სული“ – ქვეყნის მფარველი ანგელოზია, მძლავრი, უსხეულო სული, პიროვნება ანუ გონებაა. „ანგელოზები დვთის განგების იარაღნი და დვთის ნების მაუწყებელნი არიან. ყოველ ქმნილებას თავისი ანგელოზი ჰყავს. მაგ. ეკლესიას, ხალხებს, ოჯახებს და ა. შ. ისინი ეხმარებიან და იცავენ მას“ (ეპისკოპოსი ალექსანდრე: 309)

უკვდავი სული ეხმიანება პოეტის ფიქრებს. მოხუცის საუბარი განამტკიცებს აზრს იმის შესახებ, რომ ქვეყნის იმუამინდელი სახე დაცლილია დვთიური მადლისაგან. წარსულის დიდებული სურათების შემოტანით კი ხაზგასმულია კონტრასტი რეალობასთან: „ეხლა აღგვილა ყველა ესე ვითარცა მტვერი...“, განწირულ თაობას „ტანჯვათ შორის“ დაჰკარგვია რწმენა და დაუგდია ქვეყანა „ვით ტაძარი გაუქმებული“:

„წარვლილთა დღეთა შენთა მახსოვს დიდებულება,

ვიცი, რომ იყავ ერთხელ შენცა მორჭმულ-ძლიერი,  
შენცა გფენია ქვეყნის მადლი – თავისუფლება,  
] ეხლა აღგვილა ყველა ესე, ვითარცა მტვერი...  
და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა,  
განწირულების შთასდგომია მას გულში წყლული,  
მას დაჰკარგვია ტანჯვათ შორის შენდამი რწმენა  
და დაუგდისარ, ვით ტაძარი გაუქმებული“

(ჭავჭავაძე 1987: 184).

მართალია, სრული პარმონია დედამიწაზე არასოდეს ყოფილა და ალბათ, არც იქნება, მაგრამ წარსულსა და აწმყოს შორის გაჩენილი ამ უფსკრულის ჩვენებით ავტორი აშკარად მიგვანიშნებს არსებულსა და სასურველს შორის სხვაობაზე.

შესაძლოა, წარსულიც არ იყოს სრულ პარმონიაში ცასთან, მაგრამ ცისკენ სწრაფვით ხასიათდებოდა („ცის გასარღვევად ამოზიდულა“). საუკუნეთა განმავლობაში არაერთხელ გასჭირვებია ქვეყანას ეკონომიკურად, პოლიტიკურად, სოციალურად; რამდენჯერ მოკლებია ხალხს ლუკმა-პური, მდგარა გადაგვარების ზღურბლთანაც, მაგრამ ღვთისადმი სასოებითა და იმედით აღწევდა თავს სიდუხჭირეს და ვისიც ეიმედებოდა, სწორედ იმას უხმობდა ყველაზე მეტად განსაკვდელის ჟამს. აწმყო კი პირუტყვივით მხოლოდ მიწას დაჰყურებს, მხოლოდ მიწაზე და ცოდვებზეა მიჯაჭვული. გაუფასურებული ყოფა და ტანჯვა, სოციალური და ერუვნული პრობლემებიც სწორედ ამან მოიტანა.

სიუჟეტის უმეტესი ნაწილი ქვეყნის თანამდევი სულის საუბარშია წარმოჩენილი: „რაღა დაპბადავს თქვენში დიდ გრძნობას?“ – კითხულობს იგი და გვიჩვენებს იმ პრობლემებს და ცოდვებს, რომელშიაც ჩაფლულია ქვეყანა:

„აქ არვის – დიდს თუ პატარასა  
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული  
დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა  
ღვთად მოუცია მარტო მამული;“ – ანუ, დაკარგულია  
მამულის სიყვარული; ერი განძარცვულია თავდადების უნარისგან, აღარსადაა  
გმირული სული:

„მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი,  
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ვსტირი?  
იგი აღარ გყავთ... მის მოედანი

ჯაგით აღვხილა, ვერანად ქმნილა,  
გმირის დამბადი დიდი საგანი  
თქვენში სპობილა და წაწყმედილა“.

პრობლემა მხოლოდ გმირის არყოლა კი არ არის, არამედ მისი აღმოშობის უნარის დაკარგვაც, აქ მოიაზრება არა მხოლოდ აწმყოს დეგრადირება, არამედ მომავლის უპერსპექტივობის საშიშროებაც.

ნიშანდობლივია, რომ ქვეყნის სიყვარულის და მისთვის თავდადების უნარის დაკარგვით ხსნის ილია დამოუკიდებლობის დაკარგვასაც:

„თქვენგან გმობილი, უცხოს კალთის ქვეშ,  
ვითა ობოლი, შეფარებულა“ – ამდენად, ეს მწარე ეროვნული სატკივარიც სულიერი უუნარობის ნაყოფია.

ცოდვით დაცემულ საზოგადოებას უდიდეს სასჯელად აწვა სოციალური დიფერენციაცია – ბატონყმობა. ერთი სოციალური ფენის მძიმე ფიზიკური ტვირთი მეორის უსამართლობამ კიდევ უფრო დაამძიმა და გაუსაძლისი გახადა. საკუთარ ვნებებსა და სურვილებს აყოლილი გაბატონებული კლასები გაუკუდმართებულად იყენებენ თავიანთ უფლებებს და ფეხქვეშ თელავენ სხვის დირსებებს; დაჩაგრულებებს კი რწმენა და სასოება არ ჰყოფნით ფეხზე წამოსადგომად, იოლად ვარდებიან საცდურში და სხვისი ძალადობა მათ გულში უფრო დიდ ბოროტებას შობს.

ნაწარმოებში ქვეყნის წახდენის სრული სურათია ნაჩვენები: დიდგაცი – განცხრომაშია, ემა – სასოწარკვეთაში, ვაჭარი – ცბიერებაში, სიტურული და უმანკოება – გარყვნაში, მღვდელი – უქმობაში; მთელი საზოგადოება – ბატონიც და ქმაც, გლეხიც და ინტელიგენტიც, თბილისელიც და მცხეოლელიც – თავიანთი ყალბი, „უფერული და ცარიელი“ ფუჭი და უაზრო ცხოვრებით ცოდვის მონებად არიან ქცეულები; აღარსად არის „მდაღადებელი ქვეყნის ხსნისათვის ჭეშმარიტება,“ აღარსად არის

„ . . . ბიწის მდევნელი

ჯვარცმულის დმერთის მაღალი მცნება.“

შეიძლება ვთქვათ, რომ მთავარი მიზეზი არის არა სოციალური უსამართლობა, არამედ ურწმუნოება. რადგან ყოველივე დვოისაგან მოგვეცა, — ეს არ უნდა დაგვავიწყდეს, და რაც უფრო დაცლილი და გათითოკაცებულია საზოგადოება კაცომოყვარეობის მქადაგებელი რწმენისაგან, სოციალური დიფერენციაცია მისთვის მით უფრო დიდ საცდურად არის ქცეული. ყმები ილიას

მიერ იდეალიდ დასახულ თამარის ეპოქაშიც იყვნენ, მაგრამ ეს სოციალურ ბორკილად არ იყო ქცეული იმიტომ, რომ ქვეყანას მირონცხებული და ღვთის ნების აღმსრულებელი ხელმწიფე მართავდა.

„აჩრდილის“ XIII თავში აშკარად ჩანს, რამ დაუმძიმა უდელი „შრომის შვილს“: იმან, რომ ჯვარცმული ღმერთის მოძღვრება იმუამად ქვეყანას „მარტო სიტყვით უქმით“-და სწამდა, რამაც გაალადა ცოდვა: ჩაგვრა, ძარცვა და რბევა, ეკლის გვირგვინი დაადგა კაცომოყვარეობასა და სათნოებას. გააბატონა თანამემამულეთ შორის ერთმანეთის გაუტანლობა და მოძმის გმობით მტრის ხელშეწყობა.

ერის დაცემა და წარსულთან დაპირისპირება ყველაზე სრულყოფილად აისახა მცხეთის აღწერაში. (თავი XVII)

მცხეთა სახეა საქართველოსი. მთელი ქვეყანა, ისევე როგორც ეს ძველი დედაქალაქი, წარსული „დიდი ცხოვრების“ აკლდამად ქცეულა. ოდესდაც აქ ჩარგულა ქართლის პირველ შვილთაგან „ძირი თავისუფლებისა“, აქ ჰყვაოდა „ხე ცხოვრებისა“, აქ ჩქეფდა „წყარო უკვდავებისა“.

„აგერა მცხეთაც – სავანე გმირთა,  
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების,  
სად პირველ ქართვლის მორჭმულთა შვილთა  
ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების;  
სადაც ჰყვაოდა ხე ცხოვრებისა,  
ქართვლის გულიდამ აღმოცენილი,  
და წყარო იგი წყაროდ შვებისა  
სჩქეფდა იმ გულით გარდმოდენილი;  
სად ის ხე ნაძვის მის სუნნელისა  
ჰყვაოდა ქართვლის წყლულთა კურნებად  
და მის ქვეშ წყარო უკვდავებისა  
სცემდა იაზმას ერის ცხოვნებად;“

(ჭავჭავაძე 1987: 192)

რა თქმა უნდა, ამ მეტაფორულ სახეებში: „თავისუფლება“, „წყარო შვებისა“, „ხე სუნნელისა“, „იაზმა ცხოვრებისა“, „წმინდა ხე“, „ხე ცხოვრებისა“ – ნაგულისხმევია ღვთის მიერ ამ ქალაქის გამორჩევა და მისთვის განსაკუთრებული წყალობის მინიჭება.

დროთა განმავლობაში წყარო დამშრალა, „ხე ცხოვრებისაც“ დამჭკნარა

„ და იგი დედაქალაქი ვრცელი  
აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა“.

„ხე ცხოვრებისა“ დვთაების (ქრისტეს) სიმბოლოდ გამოიყურება... მცხეთის ნაძგი მცხეთის ეკლესიის ბურჯად იქნა გამოყენებული, ხოლო ეკლესია თეოლოგიაში ქრისტეს სხეულადაა აღიარებული. ასე, რომ დიდი ილიაც სასულიერო მწერლობის ტრადიციების გათვალისწინებით „ხე ცხოვრებისას“ სახავს ქრისტეს სიმბოლოდ“ (მოსია 1984: 46).

მცხეთის ეპიზოდი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ პოემის მთავარი პრობლემა იმ სულიერი მადლის, იმ ჭეშმარიტი რწმენის დაკარგვაა, რომელიც წმინდა ნინოსა და ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირდება ჩვენს ქვეყანაში.

„ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი,  
დიდი ცხოვრება მის დაცემულა,  
დღეს იმ ცხოვრების წმიდა ალაგნი  
პირუტყვთა ქელვით შეგინებულა“.

ნაწარმოების კვანძი იკვრება იქ, სადაც დაისმის კითხვა, არის თუ არა ჰარმონია ცასა და ქვეყანას შორის.

იმის ანალიზისას, თუ რა ხდება რეალურად ამ ქვეყანაში, ვხედავთ, რომ აქცენტი ყველგან გაკეთებულია სულიერ დაცემაზე: „დაუგდისართ ვით ტაძარი გაუქმებული“, „ცრემლი ურწმენობის“, „დვთის ნაპერწკალი ზოგჯერა პკროების...“, „თვით ამხობენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ...“, „დმერთო, სად არის აქ სამართლი?“, „ლალვა, შური და მტრობა“, „შეგცოდეს...“, „სად არის სიტყვა დიდის სწავლისა, სიყვარულის და სამართლისა?“, (აწმყოსგან განსხვავებით. ნ.ს.) „ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან კაცომოყვარება და სათნოება“, „დღეს იმ ცხოვრების წმინდა ალაგნი პირუტყვთა ქელვით შეგინებულა“, „ჯვარცმულის ღვთისთვის ჯვარცმულო და წამებულო“ და ა.შ.

გამოსავალი, რომელსაც სახავს ქვეყნის თანამდევი უკვდავი სული, პირდაპირ უკავშირდება ერის სულიერ აღდგენას და აქ მზადდება სიუჟეტის კულმინაციაც:

„ვიდრე ქე შენი არ გაიკვლევს ზოგადს ცხოვრებას  
და, მცნების ნათლით ზეაღზიდულ, ამაღლებული,  
ჭავით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას,  
იმ დრომდე იგი, უიმედო, შეწუხებული,

უქმისა დრტვინვით, გულის წვითა, მწარე ცრემლს დაღვრის,  
მაგრამ არ ირწმენს, წამებულო, შენს აღდგენასა  
და იგი ცრემლი ურწმენობის, გჭვის და ტანჯვის  
ჰდალადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა.“

(ჭავჭავაძე 1987: 184)

პოემის სიუჟეტის განვითარებისას, ქვეყანა, რომელიც ნაწარმოებში არის აღწერილი, ცვლილებას არ განიცდის, ის სტატიკურია და პოემის დასასრულსაც იმავე მდგომარეობაშია, რომელშიც იყო დასაწყისში.

ლირიკულ გმირთან ერთად ჩვენ ვიგებთ მხოლოდ იმას, რომ „მტვრად გარდაქმნილი“ და „თვის დენაში შეყენებული“ ქვეყნის ხსნა ჯერ კიდევ შეიძლება, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ მთელმა საქართველომ დაინახოს ეს გამოსავალი: მცნების ნათლით ამაღლების აუცილებლობა და გააცნობიეროს, რომ ხორციელი აღდგომა სულიერის აღდგენით უნდა დავიწყოთ, რადგან მხოლოდ სულიერი ფასეულობების აღდგენით ხდება შესაძლებელი როგორც ცალკეული პიროვნების, ისე, ზოგადად, ერის აღორძინება.

პოემის მიხედვით ძალა, რომელიც ქვეყნის დასანგრევად შემართულ ყინულებს შეაჩერებს, „წარდვნის მოლოდინს“ და განკითხვის დღეს შეაყოვნებს, არის მუხლმოდრეკილი ლოცვა დვთისა და დვთისმშობლისადმი, რომელსაც მყინვარზე მდგარი საქართველოს უკვდავი სული აღავლენს და ითხოვს შენდობას, შეწევნასა და მეოხებას ტანჯული ხალხისათვის:

„დედავ დვთისაო! ეს ქვეყანა შენი მხვედრია...

შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;

სამდროოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უდვრია

ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!

...

ღმერთო ქლიერო! შენთვის პბრძოდნენ ქართვლისა ძენი,

დასაბამითვე არ იციან, რა არს მშვიდობა...

იკმარე სამდროოდ მათ პატიუნი და სისხლის ძღვენი,

თუ რამ შეგცოდეს, — შეისყიდეს ტანჯვით შენდობა.

მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიყვარული

და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!...

ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,

რათა წარდგნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა! ...“

(ჭავჭავაძე 1987: 1998)

დასტურად შესმენისა, ღვთისა და ღვთისმშობლის მფარგელობისა და წყალობისა, ქვეყანას მსწრაფლ ეფინება ტკბილი იმედის მახარობლად შვიდფერი ცის სარტყელი.

მართალია, ლირიკული გმირი კი ხედავს ცისარტყელას, ძველი აღთქმისეულ ამ სასწაულებრივ ნიშს და ივსება გადარჩენისა და ხსნის იმედით, მაგრამ ქვეყანას, რომელსაც არ გაურკვევია „საზოგადო ცხოვრების დენა“, ჯერ კიდევ არ გაუცნობიერებია თავისი შეცდომები და დაცემის მიზეზები, ვერ გაუვლია ზღვარი კეთილსა და ბოროტს შორის და მცნების ნათლით ვერ ამაღლებულა, – ამით არაფერი შეემატება; მას, მხოლოდ ამით, არასოდეს მიეცემა წამოდგომის უნარი და დარჩება კვლავაც „უქმის დრტვინვით, გულის წვითა“ მწარე ცრემლის მღვრელი.

ქვეყნის აღდგენის რწმენა და გადარჩენის იმედი შეიძლება მოიტანოს მხოლოდ თვით ერის მიერ უმაღლეს ფასეულობებთან, მცნებებთან და რწმენასთან დაბრუნებამ.

მთავარი დანიშნულება ამ ნაწარმოებისა არის ის, რომ რაც ლირიკულმა გმირმა დაინახა, დაანახოს იმ ქვეყანას, რომელიც ამას ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს.

ნაწარმოების ბოლოს ლირიკული გმირი, მისივე თქმით, ერთი ფიქრით, ერთი გულისთქმით არის ანთებული:

„ ამენთო გრძნობა მაღლითა ცეცხლებრ  
ერთ ფიქრს მიეცა გულისთქმა ყველა“

პოემა ისე მთავრდება, რომ ავტორი არ აკონკრეტებს, რას გულისხმობს ამაში, მაგრამ, როგორც ილიას მთელი შემდგომი შემოქმედებიდან ჩანს, ის ერთი ფიქრი არის სურვილი, თავის დაცემულ ქვეყანას აღუდგინოს „ტანჯვათ შორის“ დაკარგული რწმენა, დაანახოს წამოდგომის აუცილებლობა და გახადოს ღვთის ყოვლადმოწყალების ღირსი.

ჩვენდა საგალალოდ, სანამ ჩვენთვის მლოცველი მხოლოდ თანამდევი უკვდავი სულიძე და მის ლოცვას მთელი ერის ლოცვაც არ შეუერთდება, მანამ ცისარტყელა იმედად კი გვექნება, მაგრამ ჩვენ მაინც იმ წუმპეში დავრჩებით, რომლიდანაც ჯერ არ ამოგსულგართ.

### ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის

ეკლესია ის კარიბჭეა, საიდანაც ქართველმა ერმა დაიწყო სულიერი აღმავლობა, ხოლო სახელმწიფომ — ჩამოყალიბება. ილია ჭავჭავაძე როგორც პუბლიცისტურ წერილებში, ისე მხატვრულ ლიტერატურაში არაერთგზის მიმოიხილავს საქართველოს წარსულს და გამოკვეთს ქრისტიანული ეკლესიის როლს ჩვენი ქვეყნის ეროვნული მეობისა სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაში. მწერალი მიიჩნევს, რომ „ქრისტეს რჯულმა“ გამოატარა ჩვენი ერი საუკუნეების ქარცეცხლს და სწორედ ეს მსოფლმხედველობრივი სიმტკიცე და ლვოიური მადლი იყო ჩვენი უმთავრესი საუნჯე XIX საუკუნემდე.

ილიას თქმით, „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს“ (ჭავჭავაძე 1955: 66) და XIX საუკუნის ერთ-ერთი „წყველა-კრულვიანი“ სატკივარი ქართული ეკლესიის უფლებააყრილი მდგომარეობა და, კერძოდ, მისი ავტოკეფალურობის დაკარგვა იყო.

ისტორიული ფაქტებით დასტურდება, რომ ჩვენმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა ანტიოქიის პატრიარქისაგან მიიღო ანტიოქიის კრების დადგენილებით და პირველი კათალიკოსიც (პეტრე) V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის მეფობისას დადგინდა.

დროთა განმავლობაში, ქართველ ერთან ერთობლივად გამოვლილი ჭირ-გარამის გამო, ეკლესიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ბეგრი დოკუმენტი განადგურდა და დაიკარგა, რის გამოც, XIX საუკუნის დასაწყისში, ქართული

სამეფო ხელისუფლების მოშლის შემდეგ, სადაცო გახდა საუკუნეებს გამოტარებული ძველი ივერიის ეკლესიის ავტოკეფალურობის კანონიერება.

იმპერიის სამდგრელოება და სინოდი ამტკიცებდა, რომ „საქართველოს ეკლესიას დამოუკიდებლობა არასოდეს ჰქონია და რომ იგი მუდამ ანტიოქიისა და სხვა საპატრიარქოებს ექვემდებარებოდა“ (თაყაიშვილი 1991: 408).

ამის გამო 1811 წელს, რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, საქართველოდან გაიწვიეს და რუსეთში გადაასახლეს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II, ერეკლე მეფის ძე, და ეგზარქოსად დანიშნეს ვარლაამ ერისთავი, რომელიც ასევე მალე იხმეს რუსეთში.

მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორ პავლე პირველის რესკრიპტში გარკვეულად იყო ნაბრძანები: „არ შეეხოთ ქართული ეკლესიის პრივილეგიას“, ისეთი ძლიერი აღმოჩნდა მისი დამორჩილების სურვილი, რომ გენერალ ტორმასოვისა თუ სხვა სამოქალაქო ჩინოვნიკების განკარგულებით, ყველა კანონიკური წესებისათვის გვერდის ავლით მოხდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობის გაუქმება და ის ძალმომრეობით გადავიდა რუსული სინოდის მმართველობის ქვეშ.

საეკლესიო მმართველობაში მძიმე ვითარება შეიქმნა. რუსი ეგზარქოსების მხრიდან დაიწყო ქართული ეკლესია-მონასტრების ძარცვა და გაპარტახება; ქართულ ენას წაერთვა სახელმწიფო და საეკლესიო ფუნქცია, აიკრძალა ქართულად ღვთისმსახურება და სასულიერო სემინარიებში მშობლიურ ენაზე სწავლება. ყოველივე ამან სარწმუნოებრივი გრძნობის დათრგუნვა და შესუსტება გამოიწვია, რასაც, თანდათანობით, ერში ზნეობის დევალვირებაც მოჰყვა.

ცხადია, რომ ილია გულგრილი ვერ დარჩებოდა ამ მოვლენებისადმი, რადგან სწორედ სარწმუნოებისა და ზნეობის განმტკიცება მიაჩნდა მას საქართველოს აღორძინების საწინდოად. გაზეთ „ივერიაში“ პერიოდულად იბეჭდებოდა არსებული მოვლენებზე მწვავე გამოხმაურებები, მათი მამხილებელი პუბლიცისტური წერილები და ფელეტონები.

„დამუნჯდა ... ჩვენი ეკლესიების კათედრა... წაწყმდა სასოება სარწმუნოებისა...“ – აღნიშნავდა სულშეძრული მწერალი და ამ უკეთურების მიზეზებსაც ხსნიდა: „ამის მიზეზია ზოგიერთის ცრუმიმართულება და ცუდადვე გაგებული ინტერესები ეკლესიისა ცალკედ და სახელმწიფოსი საერთოდ“ (ჭავჭავაძე 2005: 23).

ილია აღმფოთებული იყო იმ სეპარატისტული განწყობითაც, რომელიც იმპერიულ ადმინისტრაციას გააჩნდა. მათი უმრავლესობა რატომდაც თვლიდა, რომ „თუ ერთმა გვარტომობის ერმა მეორე არ ჰყლაპა, ერთობა ერთიანობა სახელმწიფოსი შეუძლებელი“ იყო (ჭავჭავაძე 2005: 370).

1898 წელს მწერალმა წერილით მიმართა სასულიერო სემინარიის რექტორს არქიმანდრიტ სერაფიმეს, იგი ამხელდა სამდვდელოების რუსიფიკატორულ პოლიტიკას, სემინარიაში სწავლების პროცესის სიმახინჯეს და აღნიშნავდა, რომ ის პოლიტიკა, რომელსაც რუსეთის სახელმწიფო და სამდვდელოება აწარმოებდა საქართველოში, თავისი არსით და მიზნებითურთ არასწორი იყო: „გარუსების იდეა, თავისი არსით ანტირელიგიურია, ვინაიდან ამ სახით ის სხვა არაფერია, თუ არა უარყოფა დგთის ნებისა, რომელიც დგთიური მიზნებისათვის სხვადასხვა ტომთა შექმნაში გამოიხატა“ (ჭავჭავაძე ს№432).

ილია, რამდენადაც შეეძლო, ხმას იმაღლებდა სასულიერო სფეროში არსებული უმსგავსობების წინააღმდეგ, რისთვისაც ხშირი უსიამოვნებებიც პქონდა ცენტურასთან. თბილისის სასულიერო სემინარიის გაფიცული სტუდენტებისათვის მხარდაჭერის გამო გაზეთი „ივერია“ რამოდენიმე ხნით დახურეს კიდეც „მთავრობის ზეწოლის შედეგად 1897 წელს გაზეთი „ივერია“ რვა თვის განმავლობაში აღარ გამოსულა. ილიას დიდი ძალისხმევა დასჭირდა გაზეთის გასაახლებლად“ (ბაბულაშვილი 2003: 28).

ქართული სამდვდელოება ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვას არასოდეს შერიგებია. ქართველი სასულიერო პირები ხშირად გამოხატავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას არსებული მმართველობისადმი და დროდადრო სხვადასხვა მოთხოვნებსაც აყენებდნენ. იმდროინდელ პერიოდულ პრესაში ხშირია წერილები, რომლებშიც განმარტებულია ავტოკეფალიის არსი, სიკეთე და მისი აღდგენის აუცილებლობის მნიშვნელობა.

როგორც ილია იტყოდა, „ნებისმიერი საქმე ჭეშმარიტების საკუთარ ჟამს ელოდება“ და თითქოს, „ჟამი დადგაო“, 1905 წელს, საყოველთაო გამოცოცხლების ხანაში ქართველ მღვდელმთავართა ერთმა ჯგუფმა იმპერიულ ადმინისტრაციას წაუყენა მოთხოვნა, რომ აღედგინათ ქართული ეკლესიისათვის უკანონოდ წარომეული უფლებები.

ამ მოთხოვნას უარყოფითად შეხვდა რუსეთის მხარე. საქართველოს ეგზარქოსის ალექსის ბრძანებით რუსის ყაზახებმა დაარბიეს ავტოკეფალიის მოთხოვნით შეკრებილი სასულიერო პირთა ყრილობა.

ილია აღაშვილთა კრების დარბევის ფაქტმა. ბუნებრივია, რომ ის გულგრილი ვერ დარჩებოდა ამ მოვლენებისადმი და ქართველი სამღვდელოების თხოვნით (ეპისკოპოსი კირიონი სN<sup>o</sup>264), აქტიურად ჩაეხა ამ საზოგადოებრივ მოძრაობაში.

1905 წლის ოქტომბერში. წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის სასწავლებლის შენობაში გაიმართა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისადმი მიძღვნილი ყრილობა. ამ კრებაზე კალისტრატე ცინცაძემ, ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით, არგუმენტირებულად დაასაბუთა ავტოკეფალიის კანონიერებისა და მისი აღდგენის აუცილებლოსის საკითხი.

როგორც ვლ. ახმეტელი იგონებს, ამ ყრილიბაზე ილიასათვის სიტყვის თქმა უთხოვიათ, მაგრამ მას ცუდი ჯანმრთელობის გამო უარი განცცხადებია; მხოლოდ გამოხმაურებია მოთხოვნას იმ გამომსვლელებისას, რომლებიც ავტოკეფალიის აღდგენის შემთხვევაში საეკლესიო მიწების დაბრუნებას მოითხოვნენ. ილიას უთქვამს: „თქვენ მოითხოვთ საეკლესიო მამულების აღდგენას. გარეთ კი ხალხი მოითხოვს საეკლესიო და სათავადო მამულების ჩამორთმევას. ამას თავი დაანებეთ. ჩვენი ხალხი მორწმუნება. სარწმუნოების მათაყვანები და მორწმუნე და ღვთის მოსავი ხალხი მუდამ შეინახავს თავის სულიერ მამას“ (ახმეტელი 1986: 154).

მოძრაობა ავტოკეფალიის მოთხოვნით თანდათან გააქტიურდა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად სასულიერო პირებთან, კირიონ და ლეონიდე ეპისკოპოსებთან, დეკანოზ კალისტრატე ცინცაძესთან ერთად ბრძოლაში ჩაებნენ ქართველი მეცნიერები და მოღვაწეები: ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი, ექვთიმე თაყაიშვილი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. მათ გადაწყვიტეს, მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვისათვის ეთხოვათ დახმარება.

კორნელი კაკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ცხუმელი ეპისკოპოსის კირიონის წერილი მღვდელ იოსებ ჩიჯავაძისადმი, რომელშიც ეპისკოპოსი ითხოვს მეფისნაცვალთან დეპუტაციის გაგზავნას გ. დიასამიძის, ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილისა და სხვათა შემადგენლობით, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებზე მოსალაპარაკებლად.

ცნობილია, რომ საქართველოს მეფისნაცვალი ვორონცოვი ერთგვარი ლოიალურობითა და კეთილგანწყობით გამოირჩეოდა ქართველების მიმართ.

ეპისკოპოსი კირიონი დიდი მოიმედე იყო ამ შეხვედრისა, რადგან მიაჩნდა, რომ მეფისნაცვალი გონიერი მმართველი იყო და „საქმის მდგომარეობის“

გაცნობის შემდეგ ქართველთა სატკიგარსაც შეეწეოდა: „ეჭვი არ არის, რომ როგორც კეთილი კაცი, რომელმაც სომხებს დიდი საქმეები გაუკეთა, ეცდება ამ ბოლო დროს ჩვენთვისაც, რათა საქართველოს ეკლესიური კითხვა სასურველად დააბოლაოს. . . ახლა კიდევ საჭიროა მოაგონოს მთავრობას, რომ დაბეჭავებულ ქართველთათვის ერთადერთი ხსნა მხოლოდ მათი ეკლესიის ავტოკეფალია. ამგვარად . . . გვყოს ეს სიკეთე და მაგის სახელს უკვდავყოფს ჩვენი შთამომავლობა“ (ეპისკოპოსი კირიონი ს №264).

როგორც ირკვევა, ილია ჭავჭავაძე მართლაც შეხვედრია მეფისნაცვალს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით. ამას მოწმობს ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებაც, რომელიც ძალზე საყურადღებო ცნობებს იძლევა ამ შეხვედრის შესახებ; მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ამ მოგონებამ, სამწუხაროდ, ჩვენი თანამედროვე საზოგადოების ერთეულ წარმომადგენლებში დაბადა მცდარი და ერთგვარად შეუსაბამო აზრიც იმის თაობაზე, რომ, თითქოს, ილია ჭავჭავაძის მოდვაწეობა რელიგიური კუთხით აქტიურობით არ გამოირჩეოდა და რომ ის გულგრილი იყო ავტოკეფალიისა და, ზოგადად, სარწმუნოებრივი საკითხებისადმი (კაკაბაძე 2005: 3).

შეგნებული მიზეზით საჭიროდ ჩავთვალე ამ მოგონებიდან ვრცელი ამონარიდის მოხმობა.

მხცოვანი მეცნიერი იგონებს: „ჩვენ გვინდოდა, რომ საქართველისთვის ამ საკითხში მხარი დაეჭირა ვორონცოვ-დაშკოვსაც. ვაწყობდით კრებებს, ილიას თანდასწრებით, ვაგროვებდით ცნობებს და ილიას ვაკისრებდით, პირადად მოლაპარაკებოდა ამ საკითხზე ვორონცოვ-დაშკოვს. ილია უარზე იდგა და გვეუბნებოდა, მაგ თქვენი „კეფალიისა“ (ასე უწოდებდა იორნიულად ავტოკეფალიას) არა გამეგება რა და ვინმე სხვა მიგზავნეთო. მაგრამ ჩვენ, რასაკვირველია, არ მოვეშვით და ბოლოს ვაიძულეთ ილია დათანხმებულიყო. თან, რაც შეგვეძლო ვუხსნიდით და ვუმარტავდით საქმის არსს. ბოლოს ილია წავიდა მეფისნაცვალთან. დიდხანს ესაუბრნა მასთან. ვორონცოვ-დაშკოვს ეთქა, დამარწმუნეთ, რომ ეგ ავტოკეფალია სასარგებლო იქნება საქართველოსთვისაც და რუსეთისთვისაც და მაშინ დაგიჭერთ მხარსაო. ილიას ეპასუხნა, მე კი დამარწმუნეს, რომ საჭიროც არის და სასარგებლოცაო. მერმე შექნოდათ მსჯელობა. ბოლოს ილიამ მოგვიტანა ამბავი: „ამ ვორონცოვმა ყველა გარემოება ჩვენზე უკეთ იცის და პირში ბურთი ჩაგვჩარაო; მითხა, ეკლესია დმერთს ეხვეწება ყველა ქრისტიანული ეკლესიის შეერთებას და თქვენ კი არსებული

ერთობის დაშლა გსურთო; განა გაგონილა ერთ მართლმადიდებლურ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა საკათალიკოსო არსებობდესო?“ ეს რომ მოვისმინე, შევეკითხე: „ბატონო ილია, განა არ უთხარით, რომ ბიზანტია ერთი მართლმადიდებელი სახელმწიფო იყო, მაგრამ მასში ოთხი ავტოკეფალური საპატრიარქო არსებობდა: კონსტანტინეპოლისა, იერუსალიმისა, ანტიოქიისა და ალექსანდრიისა მეთქ?“

ამაზე ილია ცოტა შეჩერდა, შემომხედა თვალებში და მიპასუხა: „აკი გითხარით, მაგ თქვენი კეფალიისა არაფერი მესმის და ნუ გამგზავნით მეთქიო?!” (თაყაიშვილი 1991: 409)

ილია ჭავჭავაძის ნაფიქრ-ნამოქმედარზე თვალის გადავლებაც კი საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ მას ზერელე და ირონიული დამოკიდებულება ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხისადმი არასოდეს პქონია. „ხომ გითხარით, თქვენი კეფალიისა არაფერი გამეგბაო“, — ამ სიტყვებში მხოლოდ სინანული და აღიარებაა იმისა, რომ საჭირო ინფორმაციისა და საეკლესიო სამართლის სათანადო ცოდნის არქონის გამო ის ისე ვერ გაუძღვებოდა ამ საქმეს, როგორც სურდა.

ყველასათვის ცნობილია, რომ, როგორც წესი, ილია მუდამ წინასწარ სწავლობდა იმ სფეროს და პრობლემებს, რომელშიც ერეოდა... ისიც ცნობილია, თუ როგორი საგანგებო მზადება დაიწყო მან ამ საკითხში ჩარევისათვის; როგორი გულისხმიერებითა და ყურადღებით ეცნობოდა საეკლესიო ისტორიისა და სამართლის საკითხებს. ამ მხრივ მას დახმარებას უწევდნენ დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, ალექსანდრე ცაგარელი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები.

1905 წელს, პეტერბურგში გამგზავრებამდე, ილიამ სოხოვა კალისტრატე ცინცაძეს, რომ ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე არსებული ყველა სათანადო წერილი და საბუთი გაეცნო მისთვის, გარკვეული რომ ყოფილიყო ყველაფერში.

კალისტრატე ცინცაძე ასე იგონებს ამ შეხვედრას: „დავრჩი თითქმის ორ საათს, რომლის განმავლობაში ილია ჩემს თვალში უფრო და უფრო იზრდებოდა. მისთვის ახალ რასმეს ერთბაშად ითვისებდა და რამდენიმე წუთის შემდეგ საფუძვლიანად იყენებდა ახალი დასკვნებისათვის“

როგორც ჩანს, მწერალს ავტოკეფალიის საკითხი იმ დროისთვის საფუძვლიანად არ ჰქონდა შესწავლილი, ამიტომაც ყოყმანობდა და ერიდებოდა ამ დიდი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას.

რა გამოვიდა ილიასა და მეფისნაცვალის შეხვედრისაგან – ყველასათვის ნათელია. კორონცოვ-დაშკოვს, ცხადია, საგანგებოდ პქონდა ეს საკითხი შესწავლილი, უმაღლ პოლიტიკურ ჭრილში მოაქცია და „საქართველოს ბედკრული ეკლესიის“ საქმესაც ამით არა ეშველა-რა.

ამ შეხვედრის შემდეგ ილია ჭავჭავაძე უფრო დიდი აქტიურობით ჩაება ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში.

აქვთიმე თაყაიშვილის მოგონებით ვიგებთ იმასაც, რომ ქართველი სამდგდელოება და საზოგადოების წარმომადგენლები ხშირად იკრიბებოდნენ ილიასთან ბინაზე. მიუხედავად ცალკეულ ადამიანთა განსხვავებული თვალთახედვისა, ერთობლიობაში ყველანი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას უჭერდნენ მხარს.

ერთ-ერთ ასეთ შეკრებას ესწრებოდნენ იაკობ გოგებაშვილი და ვახტანგ დამბაშიძე, უურნალ „მწყემსის“ რედაქტორის, დეკანოზ დავით დამბაშიძის ვაჟი, რომელიც საეკლესიო საკითხებში კარგად იყო გათვითცნობიერებული. ის განუმარტავდა ილიას, რომ ჩრდილოეთის საპატრიარქოს, ჩვენი, ბევრად უფრო ძველი ეკლესიის გამგებლობის უფლება არ პქონდა. ამ შეკრებაზევე გადაუწყვეტიათ, რომ მოეწყოთ დიდი დემონსტრაცია ავტოკეფალიის მოთხოვნით, ბაირადებითა და პლაკატებით.

საკითხის წამოჭრისთანავე, თუ ვინ უნდა გაძლიერდოდა ამ უჩვეულო დემონსტრაციას წინ, ილიას განუცხადებია: „თუ საჭიროა, მე წაგიძღვებითო“ (თაყაიშვილი 1991: 410).

1905 წლის რევოლუციის შემდგომი მოვლენების სისახტიკის გამო ეს დემონსტრაცია არ განხორციელებულა.

ამავე წლის დეკემბრის თვეში პეტერბურგში ილია შეხვდა სინოდის ობერპროკურორ ობოლენსკის.

ხელნაწერთა ინსტიტუტში (კირიონის ფონდი) დაცული ცხუმელი ეპისკოპოსის, კირიონის პირადი წერილებიდან დასტურდება ილია ჭავჭავაძის აქტიური მონაწილეობა ამ შეხვედრებში.

1906 წლის 2 იანვარს ეპისკოპოსი კირიონი პეტერბურგიდან წერდა მღვდელ იოსებ ჩიჯავაძეს, რომ „საეკლესიო საქმეები კარგ დროს ირჩევა. ახლა აქ არიან საქართველოს უკუთესი წარმომადგენლებიო“ და პირველ რიგში ილია ჭავჭავაძეს ასახელებს. 10 ივნისით დათარიღებულ წერილში უკვე ჩიჯავაძე წერს კირიონს, რომ კრებას, რომელიც იმ დღეს გაიმართა ავტოკეფალიის აღდგენის

საკითხებე თბილისში, ილია ჭავჭავაძე ესწრებოდა. უფრო მოგვიანებით კი, 31 მარტით დათარიღებულ წერილში ჩიჯავაძე ატყობინებს ეპისკოპოსს, რომ „ნამესტნიკთან ყოფილა ი. ჭავჭავაძე, ბევრი ულაპარაკნიათ . . . დაურწმუნებია და ბოლოს ნამესტნიკს უთქვამს, საბჭო მექნება. . . და დასკვნას შემდეგ ლაპარაკისა საბჭოში დავწერო... სხვათა შორის დიდი ბაასი პქონია ჭავჭავაძეს მამულების შესახებ, უთქვამ(ს), ყველა როგორ უსვინდისოთ და ჩუმათ ყიდნენ საეკლესიო მამულებს და სხვა“ (ეპისკოპოსი კირიონი ს.№120).

ილია ჭავჭავაძის პირად საარქივო ფონდში (ჭავჭავაძე ს.№202) დაცულია ილიასავე ხელნაწერი რუსული ტექსტი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობის შესახებ წარმოთქმული მოხსენების ნაწილს. მკვლევარი შ. ბადრიძე ვარაუდობს, რომ „შესაძლოა ეს სიტყვა ილიამ წაიკითხა ვორონცოვ-დაშკოვთან აუდიენციისას, რასაც მოწმობს მიმართვა: „თქვენო ბრწყინვალებავ“. არც ისაა გამორიცხული, რომ ტექსტი იმ სიტყვის ნაწილი იყოს, რომლითაც ილია ჭავჭავაძემ სინოდის ობერ-პროკურორს ად. ობოლენსკის მიმართა.“ (ბადრიძე 1987: 46).

ამ ტექსტიდან დასტურდება, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა ილია საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნას. ის წერს: „თქვენო ბრწყინვალებავ, რუსეთის ფარგლებში ყველა არარუსე (ინოროდეცს) სარწმუნოებრივი მმართველობის საქმეში საკუთარი დამოუკიდებლობა აქვს. სომხები, მუსულმანები, ებრაელები და ა. შ. თავიანთი აღმსარებლობის მმართველობაში თვითთავადნი არიან. მათ აქვთ საკუთარი სასულიერო სასწავლებლები, სადაც სწავლა მშობლიურ ენაზეა და ყოველდღე მშობლიურის სწავლებას დათმობილი აქვს ფართო ადგილი. მათ დამოუკიდებლად მართავს საკუთარი სამღვდელოება. უცნაურია, რომ ამ სიკეთეს მოკლებული არიან მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველები, თითქოს და, სასჯელად მათი მართლმადიდებლობის გამო.

მარტოდენ მართლმადიდებელი ქართველების უუფლებობამ შეიძლება წარმოშვას აზრი, რომ არარუსებისათვის, ეროვნული გაგებით, მართლმადიდებლურ რუსეთში სახეირო არაა მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმსარებლობა. საქმის ასეთი ვითარება შეიძლება აიხსნას მხოლოდ რადაც გაუგებრობით, რომელსაც ამდენი ხანია, მხოლოდ ზიანი მოაქვს მართლმადიდებლობისათვის.

ამგვარი უგნური ვითარების შემდგომი შენარჩუნება, ჩვენი აზრით მიჩნეულ უნდა იქნეს უდიდეს სახელმწიფოებრივ და რელიგიურ შეცდომად.

ამიტომაც, განსახილველად წარმოგიდგენთ შუამდგომლობას, ქართული ეკლესიისათვის მის წიაღში უძველესი დროიდან არსებული ავტოკეფალიის დაბრუნების შესახებ; ვიმედოვნებთ, რომ ამით ვასრულებთ ჩვენს მოქალაქეობრივ ვალს და ვსასოებთ, რომ ამ თხოვნამ თქვენი ბრწყინვალების მხარდაჭერა დაიმსახუროს“ (ჭავჭავაძე ს.№202).

ობერ-პროგურორ ობოლენსკისთან ვიზიტისას ილიას, თითქოს, დაურწმუნებია სინოდის წარმომადგენელი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის აუცილებლობაში; ობოლენსკი შეპაირებია ქართველთა დეპუტაციას, რომ რუსეთის უწმინდესი სინოდი, გამონაკლისის სახით, ეგზარქოსად დანიშნავდა ქართველ მღვდელმთავარს და ამით შესაძლებელი გახდებოდა ყველა პრობლემური საკითხის მოგვარება.

მაგრამ, როგორც ეტყობა, ობოლენსკი დიდად არ თანაუგრძნობდა ავტოკეფალიის იდეას და მან ეს საკითხი განსახილველად რუსეთის სამდგდელოების კრებისათვის გადადო.

ეპისკოპოსი კირიონი პეტერბურგიდან იწერებოდა, რომ დელეგაციამ წამოსვლის წინ ისევ სთხოვა ნამესტნიკს დახმარება და თუ სინოდი ვერ გადაწყვეტდა დადებითად ქართველთათვის საჭირო ამ საკითხს, მაშინ დელეგაციის წევრები დეპუტატის გაგზავნას აპირებდნენ ხელმწიფუ-იმპერატორთან, რათა მისთვის ეთხოვათ დახმარება ამ საქმეში: „ბაჟკირებიც კი პგზავნიან იმპერატორთან დესპანს და ჩვენ როგორ ვერ მოვახერხებთ . . .

ილია ჭავჭავაძემ გზაში ნაცნობებს უთხრა: თავადაზნაურობას მადლობა სურდა გამოეცხადებინა ორივე ეპისკოპოსისათვის ჩვენი საეკლესიო (ავტოკეფალიის) საქმის დაცვის გამო, მაგრამ მთავრობამ ნება არ მისცაო“ (ეპისკოპოსი კირიონი ს.№273).

რუსეთის საეკლესიო სხდომაზე ეპისკოპოსების კირიონისა და ლეონიდეს, ასევე პროფესორების – ალექსანდრე ცაგარელისა და ნიკო მარის მცდელობა, დაესაბუთებინათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობის კანონიერება — უშედეგო აღმოჩნდა.

1906 წლის აპრილში ილია სახელმწიფო სათათბიროს წევრად აირჩიეს. მწერალმა გადაწყვიტა, სათათბიროს სხდომაზე მოხსენებით გაეტანა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი.

1906 წლის ივნისში ილია ჭავჭავაძე ალექსანდრე ცაგარელთან ერთად სწვევია მიტროპოლიტ ანტონის და ხანგრძლივი საუბარი ჰქონია სინოდის თავმჯდომარესთან ქართველთა ეკლესიის თავისუფლების საკითხზე.

სხვადასხვა წყაროებიდან ვიგებთ, რომ „ამ ვიზიტის შემდეგ ილია უფრო არ კვევდა საჭირო მასალებს, რასაკვირველია, მოხსენებისთვის“.

როგორც ჩანს, ამ ვიზიტისას განხილულა ასევე ახლად დანიშნული ეგზარქოსის, ნიკონის საქართველოში ჩამოსვლის საკითხიც.

ცნობილია, რომ 1906 წლის ივლისში, სინოდის დადგენილებით, საქართველოში ეგზარქოსად დანიშნეს ნიკონი. ქართველმა სამღვდელოებამ პეტერბურგში ილიას საპროტესტო დეპეშით აცნობა, რომ ხმა მიეწვდინა ახლად დანიშნული ეგზარქოსისთვის, რათა საქართველოში არ გამომგზავრებულიყო.

ილიას ალექსანდრე ცაგარელთან ერთად უთხოვია მიტროპოლიტ ანტონისათვის: „ეგზარქოსმა თავისი წასვლა საქართველოში ცოტა შეაგვიანოს, მანამდის იქ არეულობა არ დაწყნარდებაო. ამ დროს ილიას თურმე დეპეშა ხელში ეჭირა“.

ეგზარქოსი საქართველოში არ ჩამოსულა. 1906 წელს კი გაზეთი „შრომა“ იტყობინებოდა: „ეგზარქოსად დანიშნული ნიკონი, როგორც გავიგეთ, თბილისში არ ჩამოვა. სახელმწიფო საბჭოს წევრი თავადი ილია ჭავჭავაძე მიტროპოლიტ ანტონისთან იყო. ჭავჭავაძემ დაარწმუნა მიტროპოლიტი არ გამოგზავნონ საქართველოში ეგზარქოსი“ („შრომა“ 1906: №72).

ქართველ სასულიერო პირებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, ყოველი ღონე ეხმარათ საქართველოს ეკლესიის თვითმმართველობის დაუყოვნებლივ აღდგენისათვის. ამ საქმეში სამღვდელოებას უერთდებოდნენ ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები ილია ჭავჭავაძის წინამდღოდნით.

ერის ისტორიული და სულიერი ჭირ-ვარამის მოზიარე მწერალმა ყველაზე კარგად უწყოდა, რომ ქართველი ერის სულიერ და ხორციელ ცხოვრებას მუდამ ქრისტიანული სარწმუნოება კვებავდა, მართლმადიდებელი ეკლესია კი ყოველთვის ეროვნული იდეოლოგიის მესაძირკვლე იყო; ამიტომაც მან ერთმანეთს დაუკავშირა ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის იდეა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი და უკვე როგორც უმაღლესი სათათბიროს წევრმა, განსაკუთრებით გააქტიურა თავისი ძალისხმევა ამ ორი მიმართულებით.

როგორც სხვადასხვა წყაროებიდან ირკვევა, ილია ხშირად ეთათბირებოდა საბჭოს წევრებს და სხვა თანამდებობის პირებს საქართველოს უკლესიის ავტოკეფალიის საკითხებზე. გადაწყვეტილი პქნიდა, მოქმედებინა მოხსენება და სათათბიროს სხდომაზე მსჯელობის საგნად ექცია ქართული უკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი.

სამწუხაროდ, აგვისტოს შემზარავი ტრაგედიის გამო, მას თავისი განზრახვის აღსრულება არ დასცალდა.

## ყოვლადმხსნელი სასოება

მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძე მთელი სიგრძე-სიგანით აცნობიერებდა თავისი ქვეყნისა და თანადროული საზოგადოების მდგომარეობას – სულიერ მიძინებასა და ზნეობრივ დაცემას, იგი, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, სასოწარკვეთილებას არასოდეს ეძლეოდა. იყო რეალისტი, მაგრამ ამავე დროს დრმადმორწმუნება და დვთის მსასოებელი. ეს სასოება რომ არა, ყოველივე ამის დამნახავს ბრძოლის სურვილი აღარ ექნებოდა.

მას დრმად სწამდა, რომ ჩვენ „ნამყო გვქონდა, აწმყო გვაქვს და მომავალი გვექნება“ (გაზ. „ივერია“ 1890წ.№33) და როცა გულმხურვალე მამულიშვილი მამხილებელ სტატიებს წერდა ან თავის თხზულებებში მთელი სიმძაფრით ასახავდა ერის დაკნინებას, ამას აკეთებდა არა იმისთვის, რომ გულისტკივილის გამოთქმით დარდი გაექარვებინა, არამედ იმ უმთავრესი მიზნით, რომ საზოგადოება გამოეფხიზლებინა, მისი დაცემის ამსახველი სურათები სარკესავით დაედო მისთვის წინ და გამოსწორებაში დახმარებოდა.

მართლის თქმაში, სატკივრის მხილებაში გამოიხატებოდა მისი მოქალაქეობრივი მრწამსი, რომელსაც საფუძვლად სიმართლისა და ჭეშმარიტების სიყვარული ედო:

„ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას ამბობს,

ჩვენს ცუდს არ ჰმალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“

ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს,

ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!“

(ჭავჭავაძე 1987: 120)

„ყოვლადმხსნელი სასოებით“ გულანთებული მწერალი დიდი მონდომებით ხატავდა ცოცხალ სურათებს ქვეყნის რეალობიდან და ცოდვის მორევში ჩაფლულ თანამემამულეებს მოუწოდებდა კაცის კვლის, სიძვა-მრუშობის, მპარავობის, შურის, ხარბობის, ამპარტავნების, უსაქმურობის, უკეთურების, უსიყვარულობის, ურწმუნოებისა თუ უსასოობის დაძლევისაკენ, მაგრამ მხილება საქმის მხოლოდ ერთი მხარეა, თუ კაცს მართლა გული შეგტკივა მხილებაზე, მას გამოსწორებაშიც უნდა დაეხმარო, ან იმაზე მაინც იზრუნო, რომ იგივე ცოდვა აღარ გაიმეოროს!

ილია ჭავჭავაძის აზრით, ქვეყანაში იყო ისეთი არაერთი საცდური, რომელიც არა ცალკეულ პიროვნებებს, არამედ მთელ ერს უბიძგებდა ცოდვისაკენ.

მართალია, საცდურის არსებობა შემცოდეს არ ამართლებს, მაგრამ თუ კაცს უნარი შეგწევს, მის თავიდან აცილებას უნდა ეცადო. თავად უფალმა გვასწავლა ლოცვაში ამის თქმა: „და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა“ (ახალი აღთქმაB 2003: მათე 6-13).

XIX საუკუნეში ქართველთა ასეთ საერთო საცდურად იყო ქცეული ბატონყმობა, რუსეთის თვითმკურობელური რეჟიმის პოლიტიკური ბატონობა ჩვენს ქვეყანაზე და რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ ქართული მართლ მადიდებელი ეკლესიის შევიწროვება.

ეპოქამ მოიტანა ეს თუ პოლიტიკურმა ვითარებამ, ბატონსა და ყმას შორის ურთიერთობა ძალიან გაუარესდა. ერთი ბოროტად იყენებდა თავის უფლებებს,

მეორესათვის კი გაუსაძლისი ხდებოდა მორჩილება და შურისძიებით ანთებული, შესაძლებლობა თუ მიეცემოდა, სასიკვდილოდაც კი იმეტებდა ბატონს.

რუსეთის ხელისუფლება ისეთ პოლიტიკას ატარებდა საქართველოში, რომ ქართველი კაცი ნამდვილად ვერ იგრძნობდა ვერც სიყვარულს და ვერც მზრუნველობას. შესაბამისად, მასაც არ ჰქონდა კეთილი განწყობა უმაღლესი ხელისუფლებისადმი.

რიგითი ერისკაცი, რომელსაც მოესპო საშუალება მშობლიურ ენაზე მოესმინა დვოისმსახურება და ქადაგება, მოწმე ხდებოდა იმისა, თუ როგორ ძარცვავდნენ საეკლესიო ხელისუფალნი მისი მამა-პაპის წვითა და დაგვით ნაშენებ ტაძრებს და ერის დაწყევლასაც კი არ ერიდებოდნენ, ნაკლებად-ლა დადიოდა ამ გაუცხოებულ ეკლესიაში და ერთმორწმუნე ერის მიმართაც ნდობა ეკარგებოდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაირდვა ერის შინაგანი ერთობა, მისი სახელმწიფოებრივი ცნობიერება და ეკლესიისადმი დამოკიდებულებაც.

ამ უმაღლესი დირებულებების დაკარგვით ადამიანი დაჩიავდა და უფრო ადვილი მოსანადირებელი გახდა სხვა ცოდვებისაგან.

ილია, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი და მოსიყვარულე ადამიანი, მთელი თავისი გულისხმევით ცდილობდა, ეს საცდური მოქმორებინა ქვეყნისათვის. მან დიდი წვლილი შეიტანა ყმების განთავისუფლების მშვიდობიანად განხორცილების საქმეში. მნიშვნელოვნად მოუმზადა ნიადაგი როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობას, ისე ავტოკეფალიის აღდგენასაც. მართალია, ამ ორიდან მწერალი ვერც ერთის განხორციელებას ვერ მოესწრო, მაგრამ ორივეს საძირკველში თითო დიდი ლოდი ჰადებული.

მწერლის მთელი მხატვრული შემოქმედება და მისი საზოგადოებრივი თუ პრაქტიკული მოღვაწეობა დვთისადმი უსაზღვრო სიყვარულითაა გაჯერებული, მოყვასისადმი თავდადებისა და საყოველთაო პუმანიზმის გრძნობითაა გასხივოსნებული.

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ილია ჭავჭავაძის შავი, მოკლე კონსპექტური ჩანაწერი „სიკვდილისათვის“ (1-17,13), რომელიც, როგორც ჩანს, უნდა იყოს ფრაგმენტი იმ კრცელი მოხსენებისა სიკვდილით დასჯის ადგეთის თაობაზე, რომელიც მწერალმა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე წაიკითხა.

როგორც პავლე ინგოროვგა იგონებს, ილია ამ გამოსვლისათვის დიდხანს ექნადებოდა და თავისი სიტყვა წარმოუთქვამს 1907 წლის 17 აპრილს ან 2 მაისს. ამ სხდომაზე წარმოთქმული ზოგიერთი სიტყვის დაბეჭდვა მთავრობას აუკრძალავს და ამ აკრძალულ მოხსენებათა შორის ყოფილა ილის სიტყვაც.

როგორც ირკვევა, მწერალი თავის გამოსვლაში გმობდა სიკვდილით დასჯას, როგორც საზარელ აქტს და როგორც არაქრისტიანულ ქმედებას. ის წერდა: „ხოლო სამი რამ საბუთია წინააღმდეგ სიკვდილით დასჯისა:

ა) აჩლუნგებს გრძნობას ბუნებურს, რომელსაც სისხლი ეზიზდება და ხშირი ნახვით კი ყურიც ეწვევა და გრძნობაც. მაგალითად ახლა სიკვდილი ისეთი ჩვეული ამბავია, არავისდა უმდვრევს გულს და ყურადღებასაც არ იქცევს;

ბ) არყევს ზნეობას, რადგან ართმევს იმას, რისი მიცემაც არ შეუძლიან.

გ) შეცდომა დასჯისა არ სწორდება და უდანაშაულოს კლავს.

დ) ეწინააღმდეგება ქრისტიანობას, რომელიც დაფუძვნებულია სიყვარულზე.

ე) მთელი ქვეყანა თხოულობს სიკვდილით დასჯის მოსპობას და თუ ბანის მიცემაში შევცდით ... ნუგეში იმაშია, რომ ავყვეთ ხმას დვთისას, რადგან ხმა ერისა არის ხმა დვთისა.“

რთული ასახსნელი არ არის, თუ რატომ აკრძალა მთავრობამ 1907 წელს ამ სიტყვის გამოქვეყნება. ილიასეული დამაჯერებლობითა და ჩვეული უკომპრომისობით გამორჩეული მოხსენება მიმართული იყო რევოლუციის შემდგომი რეპრესიების წინააღმდეგ, რის გამოც რუსეთსა და საქართველოშიც მრავლად იყო აღმართული სახრჩობელები და იმპერიის რეაქციას საზოგადოების საუკეთესო ნაწილი ეწირებოდა.

ილია ჭავჭავაძისათვის ქრისტიანობა, დვთისადმი რწმენა ცხოვრების კანონთა საზრისში იდო, ამიტომაც მიაჩნდა რომ „უმჯობესია ათი დამნაშავე გამართლდეს, ვიდრე ერთი მართალი დაისაჯოს“.

მწერალი ყველაზე უდიდესად, აღმატებულად და სანატრელად ადამიანში სიბრალულის მადლს თვლიდა: „მადლსაც სიმართლისას, პატიოსნებისას, სიყვარულისას, ნუგეშცემისას, ერთმანეთის განკითხვისას, შეწყნარებისას, შენდობისას — დასაბამად, სათავედ სიბრალულის მადლი აქვს. თუ გებრალება, უსამართლობას ვერ უზამ; თუ გებრალება, გუვარება კიდეც; თუ გებრალება, უსამართლოდ ვერ მოექცევი; თუ გებრალება, გულით წმინდით განიკითხავ; თუ გებრალება, შეიწყნარებ; თუ გებრალება, შეუნდობ“ ((ჭავჭავაძე 1988: 543),

ამბობს მწერლის ერთ-ერთი მხატვრული პერსონაჟი და ეს სიტყვები ავტორის მრწამსის გამოხატულებაცაა.

წიწამურის ტრაგედიის შემდგომ, როდესაც ილიას მეუღლე, ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძე თბილისის გენერალ-გუბერნატორს ილიას მკვლელების შეწყალებას სთხოვდა (გაზ. „დროება“ 1908წ. №22), ამ ფაქტს ასე ხსნიდა: „მე ლრმად მწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა იმათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი და თავის უბედურ, გზა-აბნეულ ძმებად მიიჩნევდა. დღეს კი ჩემი ქმრის ხსოვნა საქართველოს ერის სულიერ ცხოვრებაში იმის მკვლელთა სიკვდილით დასჯით დაიჩრდილება. ეს საზარელი სასჯელი დაარღვევს იმ დვაწლს სიყვარულისას, ცხოვრების მასწავლებელ ქრისტის იმ საუკუნო მცნებას, რომლითაც ცხოვრობდა ჩემი განსვენებული ქმარი.“

თუკი ბოროტების ჯაჭვი არსებობს, არსებობს მიტევებისა და სიკეთის ჯაჭვიც და ქრისტიანი ადამიანის მორალური პასუხისმგებლობაც მათ შორის უპირატესის არჩევანში, ბოროტისაგან კეთილის გამიჯვნაშია.

ოლღა გურამიშვილმა სწორედ ეს შესძლო, როდესაც ხელისუფლებისაგან სამი სიკვდილმისჯილი პატიმრის შეწყალება ითხოვა.

„გრძნობა სულიერი მარტო ადამიანის ნიჭია“ – წერდა ილია და მან მოელი თავისი ძალ-დონე, ღვთის მიერ მასზე მოვლენილი მაღალი ნიჭი ადამიანის სულში ადამიანური გრძნობის გაღვიძებასა და კაცთა შორის სიყვარულის განმტკიცებას შეალია. კეთილისმოქმედი ადამიანის დანიშნულებასაც სწორედ ამაში ხედავდა მწერალი და როდესაც „მართლად გულადტკინებულ მოღვაწეზე“ საუბრობდა, აღნიშნავდა, რომ ასეთი კაცი დაუძინებელი მოქმედია, „ის იღწვის, ვიდრე ბნელს არ გაათენებს ჭეშმარიტების სხივითა, ან ვიდრე თვითონ დღე არ დაელევა...“

ჩვენი ხალხის ისტორიიდან ვერ გავიხსენებო სხვა პიროვნებას, ვისაც ამდენი ებრძოლოს, ეღვაწოს, ეშრომოს, ვისაც ამდენი ეთესოს და ეზრუნოს კეთილი ნაყოფის აღმოსაცენებლად, ვიდრე ილიას.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას ჰქონდა გაცნობიერებული სავალი გზის სიმძიმე, თავისი „დანიშნულება და საღმრთო ვალი“. 1858 წელს, სრულიად ახალგაზრდა პოეტი წერდა:

„დაქ, თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,  
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი

ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,  
თქვან აღასრულა მან თვისი ვალი“

(ჭავჭავაძე 1987: 66)

მნელი სათქმელია, თუ როგორ შეხვდნენ 21 წლის ჭაბუკის ამ სიტყვებს მისი თანამედროვენი, მაგრამ დღეს ცხადზე ცხადია, რომ იმ საბედისწერო უამს ილია უფლისმიერი დანიშნულების აღმსრულებლად მოევლინა საქართველოს და ნახევარი საუკუნის მანძილზე საოცარი ერთგულებითა და მოთმინებით ზიდა ქვეყნისთვის საჭირო ყველა დიდი საქმის მძიმე ჭაპანი.

გლეხთა განთავისუფლების რეფორმა, სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნა, გზების კეთილმოწყობის, რკინიგზის, მეღვინეთა საზოგადოების, ერობის, თვითმმართველობის, ნაფიც მსაჯულთა საკითხები; ქართული ეპლესისა და სამდგდელოების პრობლემები; ქართული მწერლობის, ლიტერატურული კრიტიკის, გამომცემლობის გულშემატკივრობა; სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემა, ქართული ენის სიწმინდის დაცვა, ქართული თეატრის, მუზეუმების დაარსებისა და განვითარების საკითხები; „საქართველოს მოამბის“, „ივერიის“, სათავადაზნაურო ბანკის დაარსება და ხელმძღვანელობა; იმპერიის სახელმწიფო სათათბიროში ერის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა და ა.შ. — ეს იმ საქმეთა არასრული ჩამონათვალია, რომელთა გაძლიერება და აღსრულებაც ამ ჩვენმა დიდმა წინაპარმა შეძლო. „მისი გენია და ნებისყოფა შინაგანად მომზადებული აღმოჩნდა ამ ისტორიული მისისთვის“ (კათოლიკოს პატრიარქი ილია II 1987:21)

„თუ თვით არ ვიწვით, ვერ ვპოვებთ კეთილსა შესაკრებელსა“ — ასე მიაჩნდა ილიას და ეს „კეთილი შესაკრებელი“ მის მიერ აღსრულებული საქმეები და ის უნიკალური შემოქმედებითი მემკვიდრეობაა, ქართველი ერის სამსხვერპლოზე რომ მიიტანა ჩვენმა დამაშვრალმა წინამძღვარმა.

ილია ჭავჭავაძის ნაწერების სარწმუნოებრივი კუთხით კვლევამ დაგვარუმუნა, რომ ის არა მხოლოდ რელიგიურად განსწავლული იყო, იცოდა და აინტერესებდა წმიდა წერილი, ქრისტიანული მოძღვრება, საეკლესიო საკითხები და ზნეობა, არამედ ეს სულისკვეთება იყო სათავე და განმსაზღვრელი მთელი მისი მოღვაწეობისა.

დღესაც, თითქმის საუკუნის გასვლის შემდეგ, მიუხედავად დირებულებათა გადაფასებისა, ქართული ლიტერატურული აზროვნება კვლავ ვალში რჩება ამ დიდი მოაზროვნის წინაშე.

იქნებ ჩვენი თაობის გალი და საქმე იყოს მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთელი სიმართლითა და სიღრმით აღნუსხვა, მისი მრწამსის, მსოფლმხდველობისა და მწერლური ჩანაფიქრის განსაზღვრა და დადასტურება; მით უფრო მას შემდეგ, რაც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესის წმიდა სინოდმა, 1987 წელს, ერისა და ეკლესის წინაშე დიდი დამსახურების, მისი დგაწლისა და მოწამეობრივი აღსასრულის გამო, ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხა და უწოდა მას წმიდა ილია მართალი.

კათალიკოს-პატრიარქი ილია II ქადაგებაში აღნიშნავდა: „ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა იწყება საქართველოსთვის საბედისწერო ჟამს, როცა ჩვენმა სამშობლომ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, როცა საქართველოს ეკლესიას მოჰკვეთეს თავი და დაუმორჩილეს რუსეთის ეკლესის სინოდს, როცა ერის სული იყო ჩამკვდარი, სიწმიდე შელახული, – ბეთლემი უკაცერი..“

ამ დროს, დვოის განგებით, მოგვევლინა ილია, როგორც წინასწარმეტყველი და მქადაგებელი, როგორც „ხმა მდალადებელი უდაბნოსა შინა“, სიტყვა მართალი და ჭეშმარიტი, რათა ბიბლიურ მოსესავით აედო მოწამეობრივი ტვირთი ერის წინამდევრისა.

მისი გენია, მისი საოცარი ნებისყოფა მირონცხებული და შინაგანად მომზადებული აღმოჩნდა ამ ისტორიული მისისათვის. . .

სწამდა, რომ მისი თანამედროვე საქართველოს გადარჩენა მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას შეეძლო, რომ ესწავლა ხალხს გარჩევა კეთილისა და ბოროტისა, ცოდვისა და მადლისა, ჩასწვდომოდა ცხოვრების არსეა და მიზანს, პიროვნების დანიშნულებას, ეგრძნო ჭეშმარიტი თავისუფლება და ბედნიერება. . .

გარდაცვალება არ ეთქმის მის სიკვდილს. ეს იყო ჯვარცმა და მსწრაფლამაღლება: ეს იყო გარდასახვა, თითოეულ ქართველში გაბნევა და მასში ერის სიყვარულად აღდგომა. . .

წმიდანად აღიარების შემდეგ ილია არის არა მარტო პოეტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, არამედ გამორჩეული მოძღვარი, მქადაგებელი სიკეთისა და სიმართლისა, რწმენისა. წმიდანად აღიარების შემდეგ ის არის დიდი სულიერი მფარველი ჩვენი, დამხმარე, შუამდგომელი წინაშე დვოისა. იგი ამიერიდან არის მფარველი ჩვენი კულტურის, ჩვენი მწერლობის, ჩვენი ახალგაზრდობის, ჩვენი მომავალი თაობისა“ (კათოლიკოს პატრიარქი ილია II 1987:22)

... თითქოს, „უამი დაღგაო“, ფასეულობათა ახლებურ ხედვაში ილია თითოეულმა ჩვენგანმა ხელახლა იპოვა, თუმცა ის არ იყო საძიებელი, ის ჩვენს სულებს საუკუნის მანძილზე წარმართავდა; ამ უკმარისობას წერტილი გაღვიძებულმა ცნობიერებამ დაუსვა. ილია წმინდანად შეირაცხა და მისი შემოქმედების ზნეობრივი გაბრწყინებაც, თითქოს, თავიდან გახდა შესაძლებელი და საჭიროც.

წმინდანის შარავანდედით სხივმოსილი მწერლის შემოქმედება საფიქრალ-სააზროვნოს ყველა დროსა და ეპოქაში დატოვებს, აქ ყველაფერი შთამბეჭდავია იმის მიხედვით, თუ რა სურვილით, რა მიზნით მივალთ ამ დიდ შემოქმედთან.

ილია ჭავჭავაძის სამომავლო ოცნება ქვეყნის დამოუკიდებლობა და ძლიერება, ერის სულიერი ამაღლება და ზნეობრივი გაბრწყინება იყო. ამ ოცნებას შეალია მან თავისი ცოდნა და გამოცდილება. ეს მისია განესაზღვრა მას სადგომ განგებულებით ქართველი ერის ისტორიაში და ამიტომაც პგავდა მთელი მისი ცხოვრება და თვით სიკვდილიც კი – უფლის საგანგებო დანიშნულების აღსრულებას.

წმიდა ილია მართლის მხატვრული შემოქმედებისა და პუბლიცისტიკის კომპლექსური კვლევის შედეგად ირკვევა, რომ რელიგიურობა ავტორის მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი უმაღლესი ფასეულობაა და წინამდებარე ნაშრომიც ყოველივე ამის დადასტურების მცდელობას წარმოადგენს.

## დ ა ს პ გ ნ ა

**1.** ილია ჭავჭავაძე როგორც პუბლიცისტურ წერილებში, ისე მხატვრულ ლიტერატურაში, არაერთგზის მიმოხილავს საქართველოს წარსულს და გამოკვეთს რელიგიის როლს ჩვენი ქვეყნის ეროვნული მეობისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაში. იგი მიიჩნევს, რომ ქრისტეს რჯული სარწმუნოებით აღმსარებლობასთან ერთად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილთა გამაერთიანებელი „პოლიტიკური ქვითკირი“იყო და მან გამოატარა საქართველო საუკუნეების ქარცხეცხლს.

**2.** მწერალმა არაერთი სტატია მიუძღვნა სარწმუნოებისადმი ქართველთა ერთგულებასა და თავგანწირვას. მისი აზრით, სწორედ ეს მსოფლმხედველობრივი სიმტკიცე და ლვთიური მადლი იყო ჩვენი უმთავრესი საუნჯე XIX საუკინემდე. ის, თუ რა იყო ქრისტიანობა პირადად მისთვის, ჩანს შემდეგი სიტყვებიდან: „ადამიანის მხსნელი მისი რჯული და სარწმუნოებაა“

**3.** სარწმუნოებრივი გრძნობის მეტ–ნაკლებობა ეკლესიის მდგომარეობაზე იყო მუდამ დამოკიდებული. ის ლოცვებითა და საღმრთო წერილის მცნებებით მუდამ ადგიძებდა და აძლიერებდა სარწმუნოების უზენაეს გრძნობას. ლვთის სახლში ადამიანები ერთად ადიდებდნენ ღმერთს. ეკლესიის წიაღში იყო თანასწორობა და სიყვარული. მწერალი მადლობდა ღმერთს ყოველივე ამისათვის და ადიდებდა იმ ადამიანებს, რომლებსაც ეკლესია–მონასტრების აღმშენებლობა „სულის წყრვილად ჰქონდათ ქცეული“.

**4.** ილია ჭავჭავაძეს განსაკუთრებული კეთილგანწყობა პქონდა იმ სასულიერო პირებისადმი, რომლებიც ღირსეულად აღასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. ეს ჩანს გაბრიელ ეპისკოპოსისა და ალექსანდრე ოქროპირიძისადმი მიძღვნილი წერილებიდან.

ბერ-მონაზვნების, მესვეტე თუ განდეგილი მამების ღვაწლის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წმინდა ილია მართალი კიდევ უფრო მეტად აფასებდა სულიერი მოღვაწეობის ასკეტურ გზას. სიტყვებით: „სვიმონ მესვეტე სვეტზე ავიდა და იქ მიუცა გახრწნილებას სულის საოხად, და ნუთუ ეს სიზარმაცით მოუვიდა და ქვეყანას იმიტომ მოერიდა, რომ ქვეყანა ხელ-ფეხის მოძრაობას, გარჯასა და მუშაობას პოხოულობდა და

სვეტზედ კი უძრავად შეეძლო დებულიყო. ამისთანა ამბავს სხვა მიზეზი აქვს, რომელიც თავს იმალავს ადამიანის მრავალფერს ბუნებაში....“ მწერალმა გამოხატა თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, მომდევნო ფრაზით კი იმაზე მიგვანიშნა, რომ ამგვარი სულიერი დვაწლის მნიშვნელობა ყველას არ ესმის ( ჭავჭავაძე 1991: 371 ).

**5.** წმინდანთა მნიშვნელობას მართალმორწმუნე ერისათვის ილია ჭავჭავაძე ორ სხვადასხვა ასპექტში განიხილავს – მათი ლოცვიტი შემწეობისა და პირადი მაგალითის კუთხით. იგი მიიჩნევს, რომ ამ „უძველესთა და უდიდესთა მოქმედთა მეოხებითა და დვაწლით გსულდგმულობთ“ და, რომ ერი მათში „პოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა.... თავის ხატსა და მაგალითს“.

ილიამ არა ერთი წერილი და მხატვრული ნაწარმოები მიუძღვნა წმინდანად შერაცხილ თანამემამულეებს, მაგრამ ის საოცარი ნიჭიც აღმოაჩნდა, რომ თავის თანამედროვე ადამიანებშიც დაენახა ის ლირსებები სულისკვეთება და ქრისტიანული საოცარებები, რომელსაც ადამიანები უფალთან მიჰყავს და წარუგალი გვირგვინით მოსავს.

ილიას თანამედროვენი, ეპისკოპოსები: გაბრიელ ქიქოძე და ლეონიდე თქროპირიძე, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა.

**6.** ქრისტიანის სულიერი სახისა და აღმსარებლობის მაჩვენებელი მისი ზნეობაა. ილია ჭავჭავაძისათვის ზნეობრივი საწყაო უფლის მცნებები და საოცარებებია. მათ დაცვას იგი უმნიშვნელოვანეს საქმედ მიიჩნევს, როგორც თითოეული ადამიანისათვის, ისე ერისათვის.

**7.** გარდა იმისა, რომ ილია ჭავჭავაძის ცხობრება და მისი ნაწერები ირეკლავს ამ პიროვნების მსოფლმხედველობას, მწერლის ლირიკაში, პუბლიცისტიკასა და პირად წერილებში არის ბევრი ისეთი გამონათქვამი, რაც პირდაპირი დასტურია მისი მართლმადიდებლური აღმსარებლობისა და სამი საოცარებისა: ღვთისადმი რწმენის, მისი მსასოებლობისა და მისადმი სიყვარულისა. ილიას სემოქმედებით მემკვიდრეობაში ლირიკული ნაწილი არც ისე დიდი მოცულობისაა ( თითქმის ნახევარი ტომი ), მაგრამ სიწმინდითა და საღმრთო მადლით აღბეჭდილი ეს ლექსები ყველაზე ნათლად ირეკლავენ ავტორის მათლმადიდებლურ მსოფლმხედველობასა და მრწამსს.

**8.** ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“ ყოველთვის წარმოადგემდა კრიტიკოსთა და მკვლევართა განსჯის საგანს. აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა პოემის დედააზრის გაგება, ილიას მხატვრული ჩანაფიქრი და დამოკიდებულება განხილული საკითხისადმი. ლიტერატურული კრიტიკის მიმოხილვამ დაგვანახა, რომ მკვლევარი ამ პოემას ყოველთვის აფასებდნენ მათი ეპოქის, ცნობიერების და მსოფლმხედველობის გადასახედიდან. სამწუხაროდ, არც ერთ კრიტიკოსსა თუ მკვლევარს არ უცდია განდეგილობის არსის ახსნა ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე და ამის მიზეზიც ეპოქის ცნობიერებით განპირობებული ლიტერარულული აზროვნების (სოც. რეალიზმი) თავისებურებებში უნდა ვეძებოთ.

ვიდრე მეცნიერთა საკვლევი პოზიცია არ დაუახლოვდა ავტორისას, პოემის იდეური შინაარსი არ გაიხსნა. ამის გამო, ათეული წლების განმავლობაში მეცნიერთა მიერ მწერლის ჩანაფიქრის დეფინიცია უპირისპირდებოდა ილიას ცხოვრებისეულ მრწამსს.

**9.** რამდენადაც ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს ეპიკური ჟანრი წარმოადგენს, რომელშიაც მწერლის ჩანაფიქრი მეტწილად გმირთა სახეების წარმოჩენით რეალიზდება, ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ, თუ რა ზნეობრივი გადასახედიდან უყურებს და აფასებს მწერალი ამ გმირებს. ეპიკური ოხზულებების გმირთა სახეების შესწავლის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ თითოეული მათგანის ცხოვრება ქრისტიანული მორალის კუთხით არის შეფასებული. აქედან გამომდინარე, სწორედ ეს არის ავტორის საჭვრეტი პოზიცია.

**10.** ქრისტიანული დღესასწაულების აღნიშვნა საეკლესიო ლვთისმსახურების მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ გზით ყოველწლიურად ხდება განახლება სიხარულისა. ილია ჭავჭავაძეც, როგორც ამ სიხარულის თანაზიარი და თანაგანმცდელი საგანგებო სტატიებით ეხმიანებოდა ხოლმე დიდებულ დღესასწაულებს: ქრისტეშობას, აღდგომას, ნინობას და სხვადასხვა წმინდანთა სენების დღეებს.

**11.** იმის გასარკვევად, თუ რამდენად ღრმად იყო ქრისტიანული მრწამსი გამჯდარი მწერლის ცნობიერებაში, ჩვენ შევეცადეთ დავკვირვებოდით მის მიმართებას სხვა ლირებულებებთან, კერძოდ ეროვნებასა და მეცნიერებასთან. ხშირად გვსმენია ხოლმე ამგვარი დაპირისპირება: ეროვნება თუ სარწმუნოება,

მეცნიერება თუ სარწმუნოება. ილიასთან მსგავსი რამ არსად არ გვხვდება, პირიქით, იგი ყოველთვის ხაზს უსვამს იმას, რომ ქართველისათვის მამული და რწმენა ერთი მთლიანობაა, ქრისტიანობა მისთვის დედა სარწმუნოებაა. ხოლო თუ მოვიწადინებთ იმის გარკვევას, თუ ამ ორთა შორის რომელს ენიჭება უპირატესობა, ეს კარგად ჩანს მწერლის სიტყვებიდან, სადაც ილია ამბობს, რომ ჩვენმა ერმა სულიერი და ხორციელი ძალ-ღონე, სიყვარული სამშობლოსი და გვარ-ტომობისა „სარწმუნოებას ქვეშ დაუყენა, ყოველივე ეს მას დაუმორჩილა“ და ამას უდიდეს „სასწაულს“ უწოდებს.

**12.** ურწმუნო ადამიანი უმაღლეს ჭეშმარიტებად მიიჩნევს თავისი კვლევის შედეგებს, რომელსაც მეცნიერებას უწოდებს, მაგრამ რეალურად მეცნიერება უზენაესი ლგთაებრივი ჭეშმარიტებისაგან განცალკევებით არ არსებობს, მეცნიერის სწრაფვა მიმართული უნდა იყოს სწორედ მისი წვდომისაკენ. სხვა შემთხვევაში მარადიულ ჭეშმარიტებას კი არა დააკლდება რა, მაგრამ მეცნიერება ცრუ მეცნიერებად იქცევა. ამიტომ ილია ჭავჭავაძე მაღალ შეფასებას აძლევდა მათ, ვინც მეცნიერებასა და სარწმუნოებას ერთმანეთს კი არ უპირისპირებდა, არამედ ერთმანეთთან არიგებდა.

**13.** ილია ჭავჭავაძე ყველაზე ხშირად თავის მკითხველს სულიერი სიფხიზლისაკენ მოუწოდებდა. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ხორცისა და სულის, ცოდვის და მადლის ჭიდილი ადამიანში მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება და რა სულიერ სიმაღლეებსაც არ უნდა მიაღწიოს მან დაცემისაგან დაზღვეული არასოდეს არის.

**14.** ჭეშმარიტად გულშემატკივარი ადამიანი მოყვასის ნაკლს კი არ დაფარავს, არამედ აუცილებლად მიუთითებს მას. ეს ხდება არა ნიშნის მოგების მიზნით, ან საკუთარი უპირატესობის წარმოსაჩენად, არამედ მოყვასის გამოსწორებისა და განწმენდისათვის. სწორედ ამიტომ, ილია არ ერიდებოდა ნაკლის მხილებას არამარტო ერში, არამედ ეკლესიის შიგნით, თვით სასულიერო პირთა შორისაც.

**15.** ჭეშმარიტი ზნეობის ფასის მცოდნე ადამიანი უკეთ აცნობიერებს ზნეობრივი ნაკლულოვანების შედეგებს, ამიტომაც, სრულებით არ არის გასაკვირი, რომ ილია ჭავჭავაძე ძალზე ხშირად წერს ამ თემაზე. ადამიანის სულიერი დაკნინებისა და სიწმინდეთა დესაკრალიზების მიზეზს იგი რწმენის შესუსტებასა და დაკარგვაში ხედავს. პუბლიცისტურ წერილებში, შემზარავ

მაგალითებსა და ავტორისეულ შეფასებებში იკითხება დიდი გულისტკივილი და წუხილი, უდიდესი აღმფოთება, შეურიგებლობა ცოდვით დაცემული და ზნეობრივად გადაგვარებული ერის მდგომარეობის გამო. როცა გულმხურვალე მამულიშვილი მამხილებელ სტატიებს წერდა და მთელი სიმძაფრით ასახავდა ერის დაკნინებას, ამას აკეთებდა არა იმისათვის, რომ გულისტკივილის გამოთქმით დარდი გაექარვებინა, არამედ იმ უმთავრესი მიზნით, რომ საზოგადოება გამოეფხიზლებინა, მისი დაცემის ამსახველი სურათები სარკესავით დაედო მისთვის და გამოსწორებაში დახმარებოდა.

**16.** ერის დაცემა და წარსულთან დაპირისპირება ილიას მხატვრული თხზულებებიდან ყველაზე მეთად ხაზგასმულია პოემა „აჩრდილში“. ავტორმა ამ ნაწარმოებში წარმოაჩინა თუ როგორ მიმართებაში იყო მისი ერი მარადიულ ზნეობრივ კატეგორიასთან – ღვთიურ სახიერებასთან. ავტორს მიაჩნია, რომ „მტვრად გარდაქმნილი“ და „თვის დენაში შეყვნებული“ ქვეყნის ხსნა ჯერ კიდვე შეიძლება, მაგრამ ამისთვის საჭიროა მთელმა საქართველომ დაინახოს „მცნების ნათლით ამაღლების“ აუცილებლობა.

**17.** XIX საუკუნის ერთ-ერთი „წყევლა-კრულვიანი სატკივარი“ ქართული ეკლესიის უფლება აყრილი მდგომარეობა და, კერძოდ, მისი ავტოკეფალურობის დაკარგვა იყო. იმპერიული ადმინისტრაციის სეპარატისტული განწყობა, საეკლესიო მმართველობაში შექმნილი მძიმე გითარება, ქართულად ღვისმსახურების აკრძალვა და სასულიერო სემინარიებში მშობლიურ ენაზე სწავლების გაუქმება არაეთხელ გამხდარა ილია აღმფოთებისა და გულმტკივნეული განსჯის საგანი. ილია ჭავჭავაძე კირიონ და ლეონიდე ეპისკოპოსებთან, დეკანოზ კალისტრატე ცინცაძესთან ერთად, ალექსანდრე ცაგარელთან, ნიკო მართან, ექვთიმე თაყაიშვილთან, იაკობ გოგებაშვილთან და სხვა ქართველ მეცნიერებთან ერთად აქტიურად იყო ჩაბმული ეკლესიის დამიუკიდებლობის აღდგენის საკითხთან დაკავშირებულ მოძრაობაში. სელმძღვანელობდა ქართველთა დეპუტაციას და სხვადასხვა დროს თბილისსა თუ პეტერბურგში აწარმოებდა მოლაპარაკებებს მეფისნაცვალთან, ობერ-პროკურორთან, სინოდის წარმომადგენლებსა და სახელმწიფო სათათბიროს საბჭოს წევრებთან ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე.

**18.** მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძე მთელი სიგრძე-სიგანით აცნობიერებდა თავისი ქვეყნისა და თანადროული საზოგადოების მდგომარეობას

– სულიერ მიძინებასა და ზნეობრივ დაცემას, იგი, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი სასოწარკვეთილებას არასოდეს ეძღვოდა. იყო რეალისტი, მაგრამ, ამავე დროს, ღრმად მორწმუნე და ღვთის მსასოებელი. ეს სასოება რომ არა, ყოველივე ამის დამნახავს ბრძოლის სურვილი აღარ ექნებოდა.

იმ „ყოვლადმხსნელი“ სასოებით“ გულანთებული მწერალი დიდი მონდომებით ხატავდა ცოცხალ სურათებს ქვეყნის რეალობიდან და ცოდვის მორევში ჩაფლულ თანამემამულეებს მოუწოდებდა კაცის კვლის, მპარაობის, შურის, ხარბობის, ამპარტავნების, ფარისევლობის, უსაქმურობის, უსიყვარულობის, ურწმუნოებისა და უსასოობის დაძლევისაკენ. ის არა მხოლოდ სამწერლო, არამედ საზოგადოებრივი მოღვაწეობითაც ზრუნავდა იმისთვის, რომ მის თანამემამულეებს ეცხოვრათ დამოუკიდებელ, მართლმადიდებელ, სამართლებრივ სახელმწიფო და პოლიტიკური თუ სოციალური უსამართლობით გამოწვეული საცდურები ნაკლებად ჰქონდათ.

ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების, პუბლიცისტიკისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მრწამსი ქრისტიანული და ეროვნული მსოფლმხედველობითაა განსაზღვრული. ამას მოწმობს არა მარტო ლირიკული და ეპიკური შედევრები, არამედ მთელი მისი ცხოვრების გზა, საზოგადოებრივი თუ პრაქტიკული მოღვაწეობა და სიცოცხლის დასასრულიც.

## **დამოწმებული სამეცნიერო ლიტერატურა და წყაროები:**

- აბაშიძე 1962:** აბაშიძე კ. ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 1962.
- ახ. აღთქუმავ 2003:** ახალი აღთქუმავ. წმიდა ოთხთავი და სამოციქულო (შეჯერებული გიორგი ათონელის რედაქციასთან) თბილისი: „საქართველოს საპატრიარქო“, 2003.
- ახმეტელი 1986:** ახმეტელი ვ. ილია ბრძენის გარშემო. საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე (მასალები ინგლისური დღიურიდან). ვ. შარაძის რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1986.
- ბუბულაშვილი 2003:** ბუბულაშვილი ე. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეპლესის საკითხები. თბილისი: 2003.
- ბარბაქაძე 2005:** ბარბაქაძე ი. ქრისტიანული მოტივები ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში. საკანდიდატო დისერტაცია. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი: .2005.
- ბადრიძე 1987:** ბადრიძე შ. ილია ჭავჭავაძე და ქართული ეპლესის ავტოკეფალიის საკითხი. ჟ. ჯვარი ვაზისა. №1. თბილისი: „საქართველოს საპატრიარქო“, 1987.
- ბაქრაძე 1984:** ბაქრაძე ა. წიწამური. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1984.
- ბაქრაძე 1992:** ბაქრაძე ა. ილია და აკაკი. თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“, 1992.
- ბეროშვილი 1989:** ბეროშვილი ი. განკაცებული ადამიანი: ( ილიას ათი მცნება ადამიანის განკაცების შესახებ). თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1989.
- ბოლქვაძე 1908:** ბოლქვაძე მ. ახლო წარსულიდან. ილია ჭავჭავაძე რუსეთში. კ. განათლება №3–4, (სამეცნიერო პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი) თბილისი: 1908.
- გაბაშვილი 1996:** გაბაშვილი რ. ილია ჭავჭავაძის ეკონომიკურ მოღვაწეობაზე. ილია ემიგრანტთა თვალით. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 1996.
- გაჩეჩილაძე 1957:** გაჩეჩილაძე ს. ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი. თბილისი: „თბილისის სახ. უნივერსიტეტი“, 1957.
- გიორგაძე 1987:** გიორგაძე ი., გურგენიძე ნ. ილია ჭავჭავაძე – ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987.

- გონჯილაშვილი 2001:** გონჯილაშვილი ნ. მაგრამ ქართველნო, სად არის გმირი... („ბაზალეთის ტბის“ სახისმეტყველებისათვის). ჟ. ლიტერატურული ძიებანი, XXII. თბილისი: 2001.
- დურნოვო 1907:** დურნოვო ნ. ბედი ქართული ეკლესისა (თარგმანი გ.ტოტოჩავასი გაზ. „რუსეთი სტიაგის“ 1907 წლის პუბლიკაციებიდან)
- ეპ.ალექსანდრე..1996:** ეპისკოპოსი ალექსანდრე (სიმონოვ-ტიანშანსკი), მართლმადიდებლური კატეხიზმო. თბილისი: „საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა“, 1996.
- თაბუკაშვილი 1998:** თაბუკაშვილი მ. თავადი ილია ჭავჭავაძე. ჟ. ბალავარი №2-3, თბილისი: 1998.
- თაყაიშვილი 1991:** თაყაიშვილი ე. ემიგრანტული ნაშრომები. (მრავალტომეული, გ. შარაძის რედაქციით) ტ. I. „დაბრუნება“. თბილისი: 1991
- თვარაძე 1972:** თვარაძე რ. გალაკტიონი, გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1972.
- ივერია 1879:** ივერია, №1. საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველდღიური გაზეთი (რედაქტორ-გამომცემელი ი. ჭავჭავაძე), 1879.
- ივერია 1882:** ივერია, №10. საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველდღიური გაზეთი (რედაქტორ-გამომცემელი ი. ჭავჭავაძე), 1882
- ივერია: 1886:** ივერია, №9. საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველდღიური გაზეთი (რედაქტორ-გამომცემელი ი. ჭავჭავაძე), 1886.
- ივერია: 1887** ივერია, 17 ივნისი. საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველდღიური გაზეთი (რედაქტორ-გამომცემელი ი. ჭავჭავაძე), 1887.
- ივერია: 1887** ივერია, №70. საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველდღიური გაზეთი (რედაქტორ-გამომცემელი ი. ჭავჭავაძე), 1887.
- ივერია: 1888** ივერია, №9. საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველდღიური სგაზეთი (რედაქტორ-გამომცემელი ი. ჭავჭავაძე), 1888.
- ივერია: 1888** ივერია, №17. საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველდღიური გაზეთი (რედაქტორ-გამომცემელი ი. ჭავჭავაძე), 1888.
- ივერია: 1888** ივერია, №191 საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველდღიური გაზეთი (რედაქტორ-გამომცემელი ი. ჭავჭავაძე), 1888.
- ივერია: 1897** ივერია, №72. საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველდღიური გაზეთი (რედაქტორ-გამომცემელი ი. ჭავჭავაძე), 1897.
- ივერია: 1897** ივერია, №75. საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველდღიური გაზეთი (რედაქტორ-გამომცემელი ი. ჭავჭავაძე), 1897.
- ივერია: 1898** ივერია, №103. საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველდღიური გაზეთი (რედაქტორ-გამომცემელი ი. ჭავჭავაძე), 1898.

- ი. ჭავჭავაძე...1957:** ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ტ. I. შემდგენელი ი. ბოცვაძე. თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 1957.
- ი. ჭავჭავაძე...1958:** ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ტ. II შემდგენელი ი. ბოცვაძე. თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 1958.
- ინგოროვა 1975:** ინგოროვა პ. ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1975.
- კათალიკოს... 1987:** კათალიკოს-პატრიარქი ილია II. (1987წლის 2 აგვისტოს ქადაგება). ქ. ჯვარი ვაზისა №1. თბილისი: „საქართველოს საპატრიარქო“, 1987.
- კალანდარიშვილი** 1992: კალანდარიშვილი გ. ასკეტიზმის პრობლემა ილია ჭავჭავაძის „განვითარების“ მაცნე №4 (ენისა და ლიტერატურის სერია). საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 1992.
- კალანდაძე 1996:** კალანდაძე შ. ილია ჭავჭავაძის რელიგიის ფილოსოფიაზე. ილია შემიგრანტთა თვალით, ტ.I (რედაქტორი დ. სინჯარაძე). თბილისის ი. ჭავჭავაძის ლიტ-მემორიალური მუზეუმი. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 1996.
- კაგაბაძე 2003:** კაგაბაძე მ. ეროვნული გმირის იდეა პოლიკარპე კაგაბაძის „გახტანგ გორგასლისა“ და „კახაბერის ხმალში“. ქ. ლიტერატურული ძიებანი, ტ.XXIV.2003.
- კაგაბაძე 2005:** კაგაბაძე გ. ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ. წიგნები (გაზეთ „24 საათის“ ყოველკვირკვლი დამატება), №6/25, 2005.
- კაშია 1996:** კაშია ჯ. წმიდა ილია მართალი ერის დიდი მამა. ილია შემიგრანტთა თვალით. ტ.II. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 1996.
- კირიონ II 1906:** კირიონ II (საძაგლიშვილი), ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კირიონ საძაგლიშვილის საარქივო ფონდი: №264, №272, №273, №282,
- კოტეტიშვილი 1959:** კოტეტიშვილი ვ. XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959.
- კოტეტიშვილი 1996:** კოტეტიშვილი ვ. ილია ჭავჭავაძის პროზის პოეტიკა, ქართველ მწერალთა ესთეტიკური ნააზრევიდან. თბილისი: 1996.
- მინდიაშვილი 2003:** მინდიაშვილი ა. ქრისტიანულ-რელიგიური ნაკადი აკაკის შემოქმედებაში. თბილისი: 2003.
- მერჩულე 1986:** მერჩულე გ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. (სასკოლო გამოცემა) თბილისი: 1986.
- მეტრეველი 1993:** მეტრეველი ვ. განდეგილის პრობლემატიკა. ქ. რელიგია №12, თბილისი: 1993.

- მნათობი, 1957:** მნათობი №10, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი. თბილისი: 1957.
- მოსია 1984:** მოსია ტ. „აჩრდილის“ ლიტერატურული წეროგბი, მაცნე №4 (ენისა და ლიტერატურის სერია). თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 1984.
- მწყემსი 1906:** მწყემსი №11-12. სასულიერო ორკვირული ჟურნალი. (რედ-გამომცემელი დეკანოზი დავით ლამბაშიძე, ხელაძე). ქუთაისი: „ყვირილა“ 1906.
- ნაროუშვილი 1932:** ნაროუშვილი ფ. თავადი ილია ჭავჭავაძე. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ №47. თბილისი: 1932.
- ნინიძე 1997:** ნინიძე მ. მადლის წერო (ილია ჭავჭავაძის მრწამსი და შემოქმედება). თბილისი: 1997.
- ნინიძე 2005:** ნინიძე მ. მხატვრულ სახეთა სისტემა და რელიგიური დისკურსი „ოთარაანთ ქვრივში“. თბილისი: 2005.
- ნინიძე 2000:** ნინიძე მ. დაცარიელებული ბეთლემი. თბილისი: 2000.
- ნინიძე 2005:** ნინიძე მ. რა მიზეზია, რომ ასეთი კრიტიკა გვაქვს. წიგნები (გაზეთ „24 საათის“ ყოველკვირული დამატება), №8/25, 2005.
- ნიკოლეიშვილი 1994:** ნიკოლეიშვილი ა. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები. ქუთაისი: გამომცემლობა „მოწამეთა“, 1994.
- ნოზაძე 1996:** ნოზაძე ვ. ილია და დამოუკიდებლობის საკითხი. ილია ემიგრანტთა თვალით. ტI. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 1996.
- რადიანი 1967:** რადიანი შ. მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა (მეორე შევსებული გამოცემა). თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1967.
- საქართველოს ... 1970:** საქართველოს ისტორიის ნარკვევები. XIX საუკუნის 30-90წლები (რედაქტორი ი. ანთელავა). ტ.V თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1970.
- საქართველოს... 1990:** საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბილისი: საქართველოს საპატიოარქოს გამოცემა, 1990.
- სპარსიაშვილი 2005:** სპარსიაშვილი ა. ქრისტიანობა და ჩვენი მწერლობა (XIX საუკუნე). თბილისი: გამომცემლობა „ცოდნა“, 2005.
- ფსალმუნი 1998:** ფსალმუნი წინასწარმეტყველისა და მეფისა დავითისა, თბილისი: „საქართველოს საპატიოარქო“ 1998.
- ქიქოძე 1987:** ქიქოძე გ. ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე. ილიას სამრეკლო, თბილისი: 1987.
- ყიფიანი 2003:** ყიფიანი მ. როდის დაკარგი ქართველმა კაცმა დავით აღმაშენებელი? თბილისი: 2003.

- შარაძე 1986:** შარაძე გ. საქართველოს მზე და სიუგარული ალბიონის კუნძულზე (მასალები ინგლისური დღიურიდან). თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1986.
- შარაძე 1987:** შარაძე გ. ილია ჭავჭავაძე ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, ფოტომატიანე, ორ წიგნად. წიგნი I (1837–1855) თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1987.
- შარაძე 1990:** შარაძე გ. ილია ჭავჭავაძე ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, ფოტომატიანე, ორ წიგნად. წიგნი II (1837–1855) თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1990.
- ჩიჯავაძე 1906:** ჩიჯავაძე ს. პირადი წერილები კირიონ II-დმი. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კირიონ საძაგლიშვილის საარქივო ფონდი: №1206, №1209, №1210.
- ჩხაიძე 1999:** ჩხაიძე გ. სრულქმნილებას მხოლოდ ერთი საზღვარი აქვს. შური. ბურჯი ეროვნებისა №9. თბილისი: 1999.
- ჩხეიძე 1996:** ჩხეიძე რ. შურისგება. ლიტერატურული ცდა. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 1996.
- წგ. ძუელისა ...1984:** წიგნი ძუელისა აღთქემისანი, ნაკვეთი I, შესაქმისავ. გამოსვლათავ. თბილისი: „საქართველოს საპატრიარქო“, 1984.
- წიქარიშვილი 2004:** წიქარიშვილი ლ. მიხეილ ჭავახიშვილის შემოქმედების სახისმეტყველებითი ასპექტები. საკანდიდატო დისერტაცია, მოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი: 2004.
- წიქარიშვილი 2005:** წიქარიშვილი ლ. მადლის მქმნელი პიროვნების კონცეფცია. ქ. კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, №8. თბილისი: 2005 .
- წმ. ბასილი...2002:** წმიდა ბასილი დიდი. თხზულებანი. თბილისი: 2002.
- წმ. ალექსი... 2002:** წმიდა ალექსი ბერის (შუშანია) მოძღვრებანი. თბილისი: 2002.
- ცნ. ფურცელი 1898:** ცნობის ფურცელი, №337. ყოველდღიური გაზეთი (რედაქტორ – გამომცემელი ვალერიან გუნია), თბილისი: 1898.
- ჭავჭავაძე №202:** ჭავჭავაძე ი. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ილია ჭავჭავაძის საარქივო ფონდი: №202 (უთარილო, 2 ფურცელი).
- ჭავჭავაძე 1952** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ.II. (პავლე ინგოროვას რედაქციით). თბილისი: „საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა“, 1952.
- ჭავჭავაძე 1953:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ.III. (პავლე ინგოროვას რედაქციით). თბილისი: „საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა“, 1953.
- ჭავჭავაძე 1955:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ.IV. (პავლე ინგოროვას რედაქციით). თბილისი: „საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა“, 1955,

- ჭავჭავაძე 1955:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ.V. (პავლე ინგოროვას რედაქციით). თბილისი: „საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა“, 1955.
- ჭავჭავაძე 1956:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ.VI. (პავლე ინგოროვას რედაქციით). თბილისი: „საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა“, 1956.
- ჭავჭავაძე 1956:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ.VII. (პავლე ინგოროვას რედაქციით). თბილისი: „საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა“, 1956.
- ჭავჭავაძე 1957:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ.VIII. (პავლე ინგოროვას რედაქციით). თბილისი: „საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა“, 1957.
- ჭავჭავაძე 1957:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ.IX. (პავლე ინგოროვას რედაქციით). თბილისი: „საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა“, 1957.
- ჭავჭავაძე 1958:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ.X. (პავლე ინგოროვას რედაქციით), თბილისი: „საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა“, 1958.
- ჭავჭავაძე 1987:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ.I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, „საბჭოთა საქართველო“, 1987.
- ჭავჭავაძე 1988:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ.II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, „საბჭოთა საქართველო“, 1988.
- ჭავჭავაძე 1988:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ.III. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, „საბჭოთა საქართველო“, 1988.
- ჭავჭავაძე 1988:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ.V. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991.
- ჭავჭავაძე 1988:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ.VI. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 19917
- ჭავჭავაძე 2005:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ.VII. თბილისი: გამომცემლობა „ილიას ფონდი“, 2005.
- ჭავჭავაძე 2006:** ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ.IX. თბილისი: გამომცემლობა „ილიას ფონდი“, 2006.
- ჭამპურიძე 2001:** ჭამპურიძე ნ. იაკობ გოგებაშვილის ქრისტიანულ-ზეობრივი მრწამსი და მისი მხატვრული შემოქმედება“. საკანდიდატო დისერტაცია. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი: 2001.
- ჯალიაშვილი 1998:** ჯალიაშვილი მ. აპოკალიფსური ხილვები დემნა შენგელაიას „სანავარდოში“. ქ. ნობათი №1-2. თბილისი: 1998.

შესავალი ----- 3

## I. ქართველთა რწმენის ისტორია

1. რელიგიური წარსული -----	6
2. ქრისტიანობის ერთგულება -----	13
3. ეკლესია-მონასტრები -----	16
4. სასულიერო პირთა დვაწლი -----	24
5. წმინდანთა სახეები -----	31

## II. უფლის „ქმნილებათა გვირგვინი“

1. ქრისტიანული ზნეობა -----	50
2. ლირიკულ ნაწარმოებებში განვითარებული მსოფლმხედველობრივი მრწამსი -----	58
3. მხატვრული თხზულება, ოქმა, ეპოქა და ლიტერატურული კრიტიკა (პოემა „განდევილის“ მიხედვით) -----	68
4. მხატვრული პერსონაჟები ქრისტიანული ზნეობის გადასახედიდან-----	80

## III. სარწმუნოების არსი და მისი მიმართება სხვა ღირებულებებთან

1. ქრისტიანული დდესასწაულები -----	100
2. ეროვნება და სარწმუნოება-----	106
3. მეცნიერება და სარწმუნოება -----	112

## IV. დროის ტკივილი – რწმენის დაკარგვა და სიწმინდეთა დესაკრალიზება

1. სულის და ხორცის ჭიდილი -----	121
2. ეკლესიისა და სასულიერო განათლების მდგომარეობა -----	127
3. ზნეობრივი დაცვება -----	142
4. სახე ქვეყნისა და მადლი ცისა (პოემა „აჩრდილის“ მიხედვით) -----	150
5. ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის -----	159
6. ყოვლადმხსნელი სახოება -----	169

დასკვნა ----- 177

დამოწმებული ლიტერატურა ----- 183

შინაარსი ----- 189